

1168  
2006

N27 (317) 6/VII-12/VII.2006. ფასი

სვ



რა სურვილებს ასრულებას  
დაჰპირდა ქართველი დევიდ  
კოჩიაშვილდი ირინა მნაშვილს



# დაკუჭული კაბა და გულგატეხილი ტელეჟურნალისტი

## ვინ აატირა ნათია ლაზაშვილი



ვინ „გაღარია“ ინგა  
ბრიგოლია და ვინ დაჰიდა  
ლურსმანა ბუცაძე

„ჩემთვის დიმა  
ობოლაძე  
„პრეზიდენტი“  
არ არის“



რა უსთავაზავს პიერ რიზარის  
მეგობარ ქალს თბილისში

№14 (126)

6.VII-19.VII.2006

ოჯახის

# მკურნალი

სამედიცინო ჟურნალი

ფასი 70 თეთრი

**ასრების დრო მოვიდა!**

*რას გვპირდება  
ჯანდაცვის ასაკი  
მიფორმებს?*

**თუ ოპერაცია  
გჭირდებათ**

**გარდაბნის ასაკის  
პრობლემები**

**სოკოვანი  
დაავადება**

**ლიოსამსია  
უდანოდ**

**იოდი და  
მოზარდი**

**მთავარი თემა:  
რიყვი**

## რიყვი

- ✓ როგორ სვამენ ჩიყვის დიაგნოზს?
- ✓ რატომ ატარებენ ჩიყვის დროს ქარვის ყელსაბამს?
- ✓ იოდის დეფიციტი ბავშვებში მესხიერებისა და შრომის უნარის დაქვეითებას იწვევს

## სოკოვანი დაავადება

- ✓ დაავადების ხელშემწყობი პირობაა კანის სისველე, ამიტომ იგი ხშირად ემართებათ მათ, ვისაც ჭარბი ოფლიანობა აწუხებს

## თუ ოპერაცია გჭირდებათ...

- ✓ რას გვპირდება ჯანდაცვის ახალი რეფორმა?

**რაზე არ  
ლაპარაკობენ  
ქალები**

## სამართველოში

- ✓ შარდ-სასქესო ორგანოების დაწვევა, გამოვარდნა და მასთან დაკავშირებული პრობლემები

**სამკურნალო მცენარეებში იძლევა უსარბებლო აღმოჩენას**

**ასრების დრო მოვიდა**

**თქვენი და თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის**

<b>მინიატურები</b>	3
„სისუფთავე – უპირველეს ყოვლისა!“	
<b>ერთი კითხვა</b>	4
<b>უმსოური პრესა</b>	
„დასავლეთმა საქართველოს სრულიად განსხვავებული ადგილი მიუჩინა...“	6
<b>სახელმწიფო</b>	
ალამიანის უფლებები, „მეგობლის“ სტატუსი და რას ურთისხის ეპროკავშირი	8
<b>სახე</b>	
ვინ ბაანაწყენა ნათია ლაგაშვილი	9
<b>ჟურნალისტის როლი</b>	
რა შესთავაზა ქართველმა ღვიფდ კოპაერშილდმა ირინა ონაშვილს	11
<b>ქრიმინალი</b>	
• „მე ღანა არ მქონია. არ ვიცი, ბირგვლიანის სხეულზე ზრილობები საიდან აღმოაჩნდა“	13
• „თბილგაგის“ ყოფილი მმართველის ამ განცხადებას მოსამართლე ღვიფლით შეხვდა...“	14
• 30 წლის პატიმარს ბამოგალველოებაში აღანაშაულებან	15
<b>გზავნილები</b>	
რა სარგებლობა მოაქვს „გზავნილებს“	17
<b>თინეიჯერული პონტვაი</b>	
შიქრით „გაბურღული“ ტვინი, თავში ჩარტყმული აგური და უგონოდ შეყვარებული რეპერი	20
<b>ტანღაეი</b>	
ბარის „სტოიკაგე“ ამგვრალი ანა ჯაბი, „ღაგოილი“ საგოგაღოება და აღამიანი, რომელსაც „ჩქიმ ყოროფას“ ებახის	23
<b>თეგა</b>	
ოჯახური კალღობა და გენღერული თანახნორობა	24
<b>ქულისეგი</b>	
„ფიცს და არყისმოყვარულ“ ბიბინა მახარაბეს ცხოვრებას შონგო უფნარებს	27
<b>ეკრანს მიღვა</b>	
გაპიარებული ლეჟს-სენი, „გაღარეული“ ინგა ბრიგოლია და აჩი არველაკე, რომლის ბუხეაბის სულ ლურსმანგე კიღია	28
<b>სიგაღლა</b>	
არაერთგვის დაჯარბეებული პირველი გვრინავი და სემღიანი აპიარბისი თბიღისი-მანგღისი	30
<b>ოგვიეტივი</b>	32

## შიქრით „გაბურღული“ ტვინი, თავში ჩარტყმული აგური და შეყვარებული რეპერი



„აბა, რა გვექნა, როცა საშინელი სკოლა გვექონდა? ბარი რომ დაირეკებოდა, კარს კეგავდნენ და ყარაულები გარეთ გასვლის უფლებას არ გვაძლევდნენ, ჯოხს გვირტყამდნენ. ასევე, გვეყავდა საშიზღარი ინსპექტორი ქალი, რომელსაც პოლიციასთან რაღაც კონტრაქტი ჰქონდა დაღებული და თუ რამეს დავაშავებდით, ეგრევე დაგვიჭერდნენ“.

20



## ოჯახური კალღობა და გენღერული თანახნორობა...

„მცემდა ყოველგვარი მიზეზის გარეშე. ჩვენი უმცროსი ბიჭი მაშინ 16 წლის იყო, კატეგორიულად უთხრა – დეღამე ხელი არ ასწიო!“

24



## ბიბინა მახარაბეს ცხოვრებას შონგო უფნარებს...

„მიუხეღავად იმისა, რომ ესგრაღამეც არაერთხელ გამოვსულვარ, ვფიქრობ, რომ პოპულარობა ამ სერიღლმა მომიგანა“.

27



## არაერთგვის დაჯარბეებული პირველი გვრინავი და...

ფრენის შემღევ მასთან გენერალ-გუბერნაგორი მივიღა და მილოცვის ნაცვღად უთხრა – დაჯარბეებული ხარ 500 ოქროთიო...“

30

<b>დოკუმენტური პროზა</b>	
სანამ ცოცხლები ვართ...	33
<b>ტანამ-აუტი</b>	36
<b>რომანი</b>	
გაგა ვაჩნაპე. ველური წაბლის ხეივანი (ბაზრქელეა)	38
<b>ჯანერთელობა</b>	
● ფორთოხლისაგური თავლასხმა	
● სხვადასხვა	43
<b>ანტიფარკანსანი</b>	
ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი გორა ღვალის უბის წიგნაკიდან	44
<b>ბედი ქაჩისა</b>	
„მე, ბებია-ბაბუა, დედა, მამა და ბიძა შერაკე“ – წიგნი	
„არასერიოზულ კაცზე“	44
<b>დღენასწაული</b>	
კებრე და კავლე – მოსიქულთა თავნი	46
<b>ტაქარი</b>	
წმინდანის გამრთელაგული მარჯვენა და ათონის წმინდა მთის მონასტარი, სადაც იღუმენს არ ირჩევენ	47
<b>ასაარაზი</b>	
მისეილ ქორქია – „უშიშარი ვითარცა უხორცო“	48
<b>პარსკვლავი</b>	
„სპარლამტ იოჰანსონი: „მერილინ მონროს სულ ტყუილად მაღარაბენი“	51
<b>გომოდნი</b>	53
<b>ნამდვილი აგავი</b>	
უშვილობის ემიგრაციული წამალი...	55
<b>შაუხნოკალი</b>	
ქალწულ ლენორმანის საიდუმლოება	56
<b>ეს სანიტეკანსა</b>	
სასიკვდილო თავაში ბურთით...	57
<b>გომოდური მოხაიკა</b>	58
<b>გუსტალარი</b>	
შიო გვატაპე.	
მონანიება. (ბაზრქელეა)	60
<b>საზღვრებს მიღვა</b>	
„მოსეკავამთა გვარი“ საქართველოდან	64
<b>ავტო</b>	65
<b>მუნდილი</b>	66
<b>სკანოკლი</b>	69
<b>პროსკოვი</b>	
კვირის (6-12 ივლისი)	
ასტროლოგიური პროგნოზი	70
<b>ტესტი</b>	71


**გარეკანზე:** ირმა ლიპარტიანი კოლაჟი საფორმალური-პოლიტიკური ფურნალი „გზა“ გამომცემის კვირაში მრთხვლ. სუთუბათობით გავსით „კვირის პალიტრის“ ლამაზება ფურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს. მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქავიაა მენეჯერი: მათე კვიციანი მისამართი: თბილისი, იოსებების ქ. №49 ტელ: 38-50-03 email: gza@kvirispaitra.com



## 306 გაანანქენა ნათია ლახაგვილი

„გვიყვლები ჩემს დაბადების დღეზე. საერთოდ, არიან ადამიანები, რომლებსაც არ უყვართ თავიანთი დაბადების დღე. მაგალითად, ჩემი მეუღლე“.


9



## სანამ ცოცხლები ვართ...

„მერაბი და გვიადი როიალს მიუსხდნენ და ოთხ ხელში, მოქენის ულამაზესი პიესა დაუკრეს. ხალხმა ტაში დასცხო, რესტორნის ადმინისტრაცია და მილიციელები გამეშვებულები იდგნენ“.


33



## „მერილინ მონროს სულ ტყუილად მაღარაბენ!“

ჭეშმარიტად ვარსკვლავური გარეგნობის მქონე მსახიობმა, დაძაბულ რბოლაში მრავალი თანაგოლი დაჯანა. სკარლეგი საკუთარ რეპუტაციას სასიყვარულო სკანდალებითა და უგვიფარ რეალითი-შოუებში მონაწილეობით არ ზღაღავს სკარლეგ იოჰანსონი მაყურებელს სხვაგვარად აოცებს.

51



## veluri wabl is xei vani

– რა?! თან ხელიც გაგიშვა და თან გამიმეორებ კიდევ?! ოხ, როგორ მინდა, რა, ერთი გემომე დაგალი-ლაგო, დაგვილო ერთი, კარგად!

– ვინ უნდა დაგილო, ბიჭო! – ანიმ უეცრად, ცალი ხელი გააშვებინებინა და თამოს ლაწანი გაადინა ყბაში. – აი, შენ!

– ნუ მირტყამ, გაიგე? ნუ მირტყამ, – ისევ მოახერხა თამომ მისთვის ხელის გაკავება, – თორემ, დაგახრჩობ, იცოდე, დაგკლავ!

38

# „სისუფთავე - უჩრველეს ყოვლისა!“ ახე დიდი „უბორჯა“ თბილისში



რამდენიც არ უნდა იყვირო და ამტიციო, ხალხი მაინც ბრბოა, ბრმა და წინდაუხედავი. მხოლოდ დღევანდელი დღით ცხოვრობს და სულაც არ ფიქრობს იმაზე, თუ როგორი „ხვალ“ ექნება და რას მოუტანს იგი. ა, ბატონო, კიდევ სამი დღეც და დამთავრდება ეს შენი ფეხბურთის ჩემპიონატი, მერე რას შვრები, რით უნდა იცხოვრო? რა დაგიტოვა ამ ჩემპიონატმა, ტოტალიზატორში „გასხმული“ ბილეთებისა და წყალწალბული ბრაზილიის დროშის გარდა?!

ეჰ, კიდევ კარგი, რომ ოჯახზე მზრუნველი, დედასავით მთავრობა გვყავს და უკვე წინა დღის ვახშმობამდე აქვს მოფიქრებული, ხვალ რა აჭამოს ოჯახს. ასეა, ჩვენი მთავრობა ჩვენს საფიქრალსაც ფიქრობს და ჩვენს გადასაწყვეტსაც თვითონ წყვეტს. მოკლედ, ბედნიერი ხალხი ვართ!

რაიონი, სოფელი ქუთაისი“ — ხომ კარგად უღერს?! მერიც ალარ დასჭირდება, ბარემ, კოლექტივის თავმჯდომარე დაფუნინოთ. რალა დროს კოლექტივიაო?! — იტყვიო. ოჰ, თუ არა, გამგეობა ხომ ბღღენის ყველაფერს მუშაობით!..

თბილისის მერი კი, როგორც ერთადერთი მერი საქართველოში, ყველაფერს აკეთებს, რომ ხალხის ყურადღება მიიპყროს. ფეხბურთის ტაიმებს შორისაც ჩაასმევინა რეკლამა დასუფთავების შესახებ, მაგრამ ვინ უსმენს, ამ საფეხბურთო ყაყანში?! ნარინჯისფერი ჟილეტი რომ აცვია, დასცინიან კიდევ — ნაგებული პოლანდიის ფანი ყოფილაო. არადა, კაცი მთელი ხმით გაყვირის — საპნით და სარეცხი საშუალებებით უნდა დაეანკრიო ქუჩები და შემომიერთდითო!.. მე მგონი, „ფერი“ სჯობია ყველას. ერთი წვეთიც ისე ქაფდება, რომ მთელ ქუჩას ეყოფა. ასე რომ, მალე „ფერის“ ახალი რეკლამაც გავაეთერში: „ფერის“ ნაწილაკები სწრაფად აღწევს ასფალტის შრეებში და ეფექტურად ამორებს ყოველგვარ ლაქას!..“

ან კიდევ — კბილის პასტის რეკლამა: „ქოლგეით ტოტალ-12“ არათუ შეაჩერებს ასფალტის დაშლის პროცესს, არამედ ალაღ-გენს მის ზედაპირზე ნარმოქმნილ „იამკებს“.

„ქოლგეით ტოტალ-12“ — მერიის თანამშრომელთა თორმეტკაციანი გუნდი!“ ა, როგორია?!

უბრალო ხალხს კი, რა ენაღვლება, უმუშევრობითა და უხელფასობითაა „დაღლილი“ და „დასვენება“ ესაჭიროება, გენაცვალე! ვინ ლოჯიიდან საძინებელში „გაემგზავრება“ დასასვენებლად, ვინ — ეზოში და ვინ კიდევ — პენსიის რიგში შეეფარება აგვისტოს მწველ მზეს. სასექტემბროდ დაბრუნდებიან ამ „კურორტებიდან“ და არც კი იკითხავენ, ვინ გაავარდბაღ-ნარა ეს ქალაქიო?..

აი, რას ნიშნავს არჩევითობა მერიის პოსტზე. დღე და ღამე ასწორებს კაცი შრომაში... ეჰ, ნეტავ, პარლამენტიც არჩევითი იყოს ჩვენს ქვეყანაში!..

P.S. თათბირი მერიაში:

— ბატონო მერო, თბილისი დასუფთავებულია, ერთ ნამცეც ნაგავსაც

ვერსად ნახავთ.

— კი, მაგრამ — ნაგავსაყრელები?..

— სოფლებში გავითანეთ: ახლა მთელი ნაგავი ქუთაისში, გორსა და ზუგდიდში მიგვაქვს და იქ ვწვავთ.

— ამას უკმაყოფილება არ მოჰყვება?

— უკვე მოჰყვა და თავ-თავიანთი მერების სახელზე საჩივრებიც დაწერეს.

— მერე?

— მერე, სად ჰყავთ მერები?!

პროპოკატორი



სანამ ჩვენ „ფან-კლუბებში“ ვღვრით ოფლს და ლუდის ბოთლებს ვაცარიელებთ, მთავრობა იმაზე ფიქრში ათენ-ალამებს, როდის და როგორ ჩაატაროს არჩევნები, რომ ხალხმა მაქსიმალური სიამოვნება მიიღოს და გაერთოს. შედეგიც სახეზეა: ყველა ოპოზიციურმა პარტიამ ბოიკოტი გამოაცხადა. რას ნიშნავს ბოიკოტი?! რას ნიშნავს და, რომ მიხვალ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე და ბიულეტენში ერთადერთი პარტია რომ იქნება ჩანერილი, როგორ გააკეთებ დემოკრატიულ არჩევანს, მაგასაც ვნახავ!..

ოპოზიცია გაკვივის — ჩვენ ცალკე ჩავატარებთ არჩევნებსო! — მაგრამ სასაცილოა, არჩევნებს უკვე ატარებს ხელისუფლება და თქვენ თუ განდათ, „არადნები“ ჩაატარეთ... ეს კიდევ რაა?! უკვე „გამოცხვა“ ახალი კანონპროექტი და ალბათ, პარლამენტიც მალე დაამტკიცებს (ვინ ან რა შეუშლის ხელს?..), რომ მერი არც ერთ ქალაქს არ ჰყავდეს, თბილისის გარდა. მართალია, რა საჭიროა ამდენი მერი?! ან საერთოდ, რა საჭიროა ამდენი ქალაქი ამ ერთი ციციქნა ქვეყანაში?! ამიტომ, ბარემ მიიღეთ კანონი, თბილისის გარდა, სხვა ქალაქების გაუქმების შესახებ. თუნდაც, ქუთაისი ავიღოთ — სიდიდით მეორე ქალაქი: 3500 წელია უკვე, ქუთაისი ქალაქია და „დაიღალა“! დროა, სოფლად გადავაკეთოთ და გახდეს „თბილისის



# „ამ კედლებს უფრო მიიმაღლებინ ახსოვს...“

— უნივერსიტეტში ორხელისუფლებიანობა დამყარდა, პროფესორ-მასწავლებლების წინააღმდეგ კი, სისხლის სამართლის საქმეა აღძრული. თქვენი აზრით, როგორ დასრულდება ეს მოვლენები?



**ჯეგალ მებონია**, პროფესორი:

— შესაძლებელია, დღევანდელი დღე, ისტორიული მომენტი იყოს, როგორც უნივერსიტეტის, ასევე ქვეყნის გადარჩენისათვის ბრძოლაში. დიდმა საბჭომ სკუთარ თავზე აიღო უნივერსიტეტის მართვის უფლებები, გამომდინარე წესდებიდან და საბჭოს უფლებამოსილებიდან. ჩვენ ბრძოლას არ შევწყვეტთ მანამ, სანამ ხელისუფლება არ აღიარებს, რომ უნივერსიტეტის მათ მიერ შეკონინებული ადმინისტრაცია უკანონოდ მოქმედებს და არ გაიწვევს ამ ხალხს აქედან. ამ ადამიანებს არა აქვთ არც მორალური და არც სამართლებრივი უფლება, რომ უნივერსიტეტში დარჩნენ. მათი წასვლის შემდეგ კი, ჩვენ მართვას კანონიერი გზით დავიწყებთ. ახლა დაიწყო პროცესი, რომელიც ყველასათვის სამაგალითო უნდა გახდეს. შენობაში მყოფი პროფესორ-მასწავლებლები არ გამოვრიცხავთ, რომ დარბევა მოხდეს. ქართული საზოგადოება არცთუ ისე დიდი ხნის წინ, უკვე გახდა იმ ფაქტის მომხრე, რომ სამართალდამცავები მეცნიერებს ფიზიკურად უსწორდებოდნენ. მორიგ შეტაკებასაც ისე შევხვდებით, როგორც საჭიროა, პოზიციებს კი არ დავთმობთ. ამ კედლებს უფრო მძიმე დღეებიც ახსოვს, მაგრამ უნივერსიტეტი გადარჩა და ჩვენ მის გადარჩენას ამჯერადაც შევძლებთ. დაპატიმრების მუქარა აქ სრულიად უადგილოა.

# „მთავარი ის არის, თუ ვინ დასვა ამ ღამნაშაპებს განსახლების სკამზე“

— თქვენ თაკო სალაყაია გირგვლიანის მკვლელობის შემკვეთად დაასახელეთ. ამ ბრალდების გამო, შესაძლებელია, გიჩივლონ. რით დამტკიცებთ თქვენი ვერსიის სისწორეს?

**დავით ბაგჩალიძე**, „მემარჯვენე ოპოზიციის“ ლიდერი:

— მე საკუთარ სიტყვებზე პასუხისმგებელი ვარ და ვისაც უნდა, მიჩივლო. სანდრო გირგვლიანის სამაგალითოდ დასჯის ბრძანება თაკო სალაყაიამ გასცა. ამ განკარგულების აღსრულება დათა ახალიამ მელნიკოვს დაავალა. „სიგარეტზე გასული“ მელნიკოვი კი, პირადად ხელმძღვანელობდა ამ ოპერაციას, ალანის და იმ ადამიანებს, რომლებიც ახლა გისოსებს მიღმა იმყოფებიან. ეს არის საქმის მთავარი არსი, რასაც ბევრი დაკითხვა და დეტალებში ჩაიკრიკება აღარ სჭირდება. შეიძლება, ამაზე ხმაბალა ლაპარაკისგან ზოგი თავს იკავებს, მაგრამ რა მოხდა იმ ღამეს,

ჯერ „შარდენ ბარში“, შემდეგ კი, ოქროყანის სასაფლაოზე, ყველასთვის ცნობილია. ახლა მთავარი ის არის, თუ ვინ დასვა ამ ღამნაშაპებს განსახლების სკამზე. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე გაფაცვიცებით ცდილობს, რომ პროცესზე ვინმეს, მერაბიშვილის ოჯახობის შეურაცხყოფელი სიტყვა არ წამოსცდეს. კულამეილია კანონი დარღვია და მოსამართლე ჩემიას გვერდის ავლით დაადგინა, რომ გირგვლიანის საქმის განხილვისას, არც ერთ სასამართლო პროცესზე დასწრების უფლება არა მათქვს. ეს არის მისი მხრიდან უფლებამოსილების გადაშეშება, ეს არის დიქტატურა! მე მის „ვერდიქტს“ ნამდვილად არ დავემორჩილები და პროცესზე, როცა მიწა, მაშინ შევლა. ირაკლი კაკაბაძის დაჭერით, ფიქრია ჩიხრაძის ცემით, დარბაზიდან ჩემი გამოძევებით უნდათ, მიაჩუმათონ ეს პროცესი და მკვლელობის დამკვეთები გაამართლონ. ყოველივე ეს სამარცხვინოა.

# „სამართაშორისო ორგანიზაციები სინდისს პატიმრების დაუყოვნებლივ გათავისუფლებას მოითხოვენ“



— ირაკლი კაკაბაძე უფადო შიმშილობით იმუქრება. თქვენ, როგორც პატიმრის ადვოკატი, რას ურჩევთ კაკაბაძეს?

**გელა მსოქლიაშვილი**, ადვოკატი:

— მინდა, ხუთივე პატიმრის გვარი დავასახელო: ირაკლი კაკაბაძე, ლაშა ჩხარტიშვილი, ზურაბ რთველიაშვილი, ჯაბა ჯიშკარიანი და დათო დალაქიშვილი.

ისინი სინდისის პატიმრები არიან, ვინაიდან დაკავეს და ადმინისტრაციული პატიმრობა მიუსაჯეს მხოლოდ იმიტომ, რომ საკუთარი აზრი გამოთქვეს. „ემნესტი ინტერნეიშენალი“ და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები სინდისის პატიმრების დაუყოვნებლივ და უპირობო გათავისუფლებას მოითხოვენ. ადმინისტრაციული კოდექსის ის მუხლი, რომელიც „თანასწორობის ინსტიტუტის“ წევრებს შეუფარდეს, მათ ქმედებას არ მიესადაგებოდა. ამ მუხლით სასამართლოს მიმართ უპატივცემულობა და სასამართლო პროცესის წარმართვისთვის ხელის შეშლაა გათვალისწინებული. კაკაბაძის შემთხვევაში, არც ერთი ყოფილა და არც — მეორე. მისი დაჭერა უნდოდათ და დაიჭირეს. „თანასწორობის ინსტიტუტის“ წევრები შენობაში იქნებოდნენ თუ სასამართლოს ეზოში, ილაპარაკებდნენ მეგაფონში თუ მის გარეშე, მათ მაინც აიყვანდნენ. არასამთავრობო სექტორის დევნა დაიწყო და ასეც გაგრძელდება, თუ გაუვათ. ვიშობ, რომ 20 ივლისამდე, გირგვლიანის საქმის მთავარ ეჭმიტანილებს არავინ დააპატიმრებს, შესაბამისად, ირაკლი კაკაბაძე შიმშილობას დაიწყებს, ეს კი მისი სიცოცხლისთვის ძალზე საშიშროა. ვურჩევ, თავის ჯანმრთელობაზეც იფიქროს, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილება მანც თავად უნდა მიიღოს.

### „აკლასიონ უეუჩასხყოფა – უდიდესი სოფლა“

— მამათა მონასტრის დარბევის გამო, შს მინისტრმა ბოდიში მოიხადა. თქვენი აზრით, სამართალდამცველების მხრიდან, ეს გულწრფელი მონანიება იყო?

**გიორგი ზინციფაძე**, დმანისის ეპისკოპოსი:

— დაწინოების წმინდა სამონასტრო კობლექსი, შეურაცხყოფა მიაყენეს საქართველოს ეკლესიას. 30-მდე ნიღბიანი, სროლით იმუქრებოდა, მორჩილები აიძულეს, მინაზე დაწოლილიყვნენ, წინამძღვრის კელიაში ჩხრეკა ჩაატარეს, გადაგვიარეს და წავიდნენ... როდესაც დამნაშავეს ძებნას აწარმოებ, არსებობს შესაბამისი ორდერი, რაც შს სამინისტროს წარმომადგენლებს არ გააჩნდათ. მათ არც სიტყვიერად აცნობეს რაიმე ეპარქიის წინამძღოლს. სამართალდამცველებს არავინ უშლის მონასტრის ტერიტორიაზე შესვლას —

უბრალოდ, გავფერთხილებინეთ, თუნდაც — სიტყვიერად. გარდა იმისა, რომ ყოვლად შეუწყნარებელია ეკლესიის უპატივცემულობა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დმანისის ეპარქია სასაზღვრო ზოლშია განთავსებული, იქ, სადაც ქართველობა და მართლმადიდებლობა უმცირესობაშია. ასეთ ვითარებაში არ შეიძლება ხდებოდეს ისეთი ფაქტები, როგორც 2 ივლისს მოხდა. გაცილებელი ვარ შსს-ს გაუფრთხილებელი და უცერემონიო მოქმედების გამო. მინდა, იმედი ვიქონიო, რომ მსგავსი ქმედებები აღარ გამოვრდება. ეკლესიის შეურაცხყოფა და იქ მოღვაწე ადამიანების აპუჩად აგდება — უდიდესი ცოდვება. სამწუხაროდ, ეს არ იყო პირველი შემთხვევა საქართველოში ტაძრის ხელყოფისა. მე ყველას გონიერებისკენ მოვუწოდებ. ■

### „დღესდღეობით, ქვეყანაში ისეთი ტენდენცია იკვეთება, რომ ფასების კლებას არ უნდა ველოდეთ“

— საკვებ პროდუქტებზე ფასების მნიშვნელოვანი მატება მოსახლეობას უმძიმეს ტვირთად დააწვა. თქვენი ვარაუდით, ფასების ზრდის ტენდენცია გაგრძელდება? **დევიდ ბიორსალიძე**, ეკონომისტი:

— ფასები ყველაფერზე იზრდება, ამიტომ, სოფლის მეურნეობა ამ პროცესისგან იზოლირებული ვერ იქნება. აგრარულ სექტორში დასაქმებულ ადამიანებს სჭირდებათ სამრეწველო საქონელი, საწვავი და ა.შ., რაც მოსავლის ფასზე ასახვას პოუვს. ფასი უნდა იყოს ისეთი, როგორც პროდუქციაზე რეალურ ხარჯებსა და მათზე არსებულ მოთხოვნილებას შეესაბამება. „დაბალფასიანი ეკონომიკა“ განვითარებადი და ძლიერი ვერასოდეს გახდება. ამ თვალსაზრისით, საგანგაშო არაფერია. პრობ-

ლემა ის არის, რომ მოსახლეობის უმრავლესობა შემოსავლების გარეშე დარჩენილი. აუცილებელია, მოქალაქეებს საკუთარი შრომის ადეკვატური შემოსავლების მიღების საშუალება ჰქონდეთ. დღესდღეობით, ქვეყანაში ისეთი ტენდენცია იკვეთება, რომ ფასების კლებას არ უნდა ველოდეთ. ფასები ნელ-ნელა კიდევ გაიზრდება. თუ უმუშევართა რიცხვი მინიმუმამდე შემცირდება და ხელფასები მოიმატებს, ეს ზრდა უმტიკინეულო იქნება. წინააღმდეგ შემთხვევაში, სოციალური ფონი კიდევ უფრო დაიძიმდება, სიღატაკის ზღვარს მიღმა მყოფი ადამიანების რაოდენობა მოიმატებს. ასეთი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა კი ხშირად, სოციალური აფეთქების მიზეზი ხდება: მშვიდ ადამიანს ეკონომიკის ზოგადი პრინციპები ნაკლებად აღელვებს და ეს გასაგებია. ■

### „როგორც ხელისუფლების, ისე დევნილთა მხრიდან, სიტუაციის არაადეკვატურ შეფასებას ჰქონდა ადგილი. აუთოტაჟი მასმედიაზე შექმნა. დევნილებს წუთითაც არ უფიქრიათ იმაზე, რომ სოხუმის ხელისუფლებისთვის ეთხოვთ დახმარება. მათ იმედი ჰქონდათ, რომ აჭარაში მცხოვრებ დევნილებს აიყოლიებდნენ, იქნებოდა ხმაური და ამით, რაღაც შედეგს მიიღებდნენ. ეს მასმედიის წარმომადგენლებსაც უნდა გავცნობიერებინათ და იმ პოლიტიკოსებსაც, რომლებმაც მათ განცხადებებს შეფასებები მიაყიციეს. გაჭირვებული ადამიანების შეურაცხყოფა ჩემთვის სრულიად გაუგებარია. რაც შეეხება თავად სასტუმროს ეპიზოდს, — ამ საკითხში დეტალურად ვერ ვერკვევი, მაგრამ ფულად კომპენსაციაზე ისინი უნდა დათანხმდნენ. სტიქიის შედეგად დაზარალებულ ადამიანებს დაცარიელებულ სოფლებში კაპიტალურ სახლებს სთავაზობენ. ასეთ სოფლებში 2.000-3.000 დოლარად შეიძლება სახლის ყიდვა. დევნილებს შეუძლიათ, სწორედ მსგავს ადგილებში მოინყონ ცხოვრება. ხელისუფლებაში უკვე იხილება საკითხი, ყველა რეგიონში მცხოვრები დევნილისთვის პირობების გაუმჯობესების შესახებ. ლაპარაკია მათ დასაქმებაზე, ბინებით უზრუნველყოფაზე და ა.შ. სამწუხაროდ, ზოგიერთი დევნილი უკადრებულს კადრულობს, 7-8 რაიონშია რეგისტრირებული და სხვა, მასავით გაჭირვებულს უმაღლეს ამას, აზარალებს სახელმწიფოსაც. ■

— დევნილებთან დაკავშირებული პრობლემები ბოლო პერიოდში, უფრო გამწვავდა. რატომ უწოდებენ მათ მოლაღატეებს და რა კეთდება თქვენს კომისიაში მათ დასახმარებლად?

**რომან კუსანი**, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:

— ამ დღეებში, როგორც ხელისუფლების, ისე დევნილთა მხრიდან, სიტუაციის არაადეკვატურ შეფასებას ჰქონდა ადგილი. აუთოტაჟი მასმედიაზე შექმნა. დევნილებს წუთითაც არ უფიქრიათ იმაზე, რომ სოხუმის ხელისუფლებისთვის ეთხოვთ დახმარება. მათ იმედი ჰქონდათ, რომ აჭარაში მცხოვრებ დევნილებს აიყოლიებდნენ, იქნებოდა ხმაური და ამით, რაღაც შედეგს მიიღებდნენ. ეს მასმედიის წარმომადგენლებსაც უნდა გავცნობიერებინათ და იმ პოლიტიკოსებსაც, რომლებმაც მათ განცხადებებს შეფასებები მიაყიციეს. გაჭირვებული ადამიანების შეურაცხყოფა ჩემთვის სრულიად გაუგებარია. რაც შეეხება თავად სასტუმროს ეპიზოდს, — ამ საკითხში დეტალურად ვერ ვერკვევი, მაგრამ ფულად კომპენსაციაზე ისინი უნდა დათანხმდნენ. სტიქიის შედეგად დაზარალებულ ადამიანებს დაცარიელებულ სოფლებში კაპიტალურ სახლებს სთავაზობენ. ასეთ სოფლებში 2.000-3.000 დოლარად შეიძლება სახლის ყიდვა. დევნილებს შეუძლიათ, სწორედ მსგავს ადგილებში მოინყონ ცხოვრება. ხელისუფლებაში უკვე იხილება საკითხი, ყველა რეგიონში მცხოვრები დევნილისთვის პირობების გაუმჯობესების შესახებ. ლაპარაკია მათ დასაქმებაზე, ბინებით უზრუნველყოფაზე და ა.შ. სამწუხაროდ, ზოგიერთი დევნილი უკადრებულს კადრულობს, 7-8 რაიონშია რეგისტრირებული და სხვა, მასავით გაჭირვებულს უმაღლეს ამას, აზარალებს სახელმწიფოსაც. ■

Georgian Adventures & Tours

ტელ: 20-44-11; 38-49-21  
ელ-ფოსტა: info@geoadventures.ge

**მოგზაურად რაფტინგზე GAT-თან ერთად**

ერთი ადამიანი 30 ლარიდან

კავშირი ფაქტობრივად ფაქტობრივად მათთვის დღეებში

ნუნ აქვე ვაქვს კომპიუტერი და სხვა საინფორმაციო ტერმინალი 30 ლარიდან (ერთი ადამიანი)



საუბრალო ნაპირი, საუბრალო მიწა, საუბრალო მთავარადიანად!

# „დასავლეთმა საქართველოს სკანდალს განსხვავებული ხედვითი მიხედობა...“

## რუსულან ლეპანიძე

ვაშინგტონში საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტისა და ჯორჯ ბუშთან შეხვედრის შედეგები საყოველთაოდ ცნობილია, ჯეროვნად მათ განაალიზებას კი, დრო სჭირდება. ამავე დროს, აღნიშნული შედეგების შეფასებისას, საინტერესო იქნება, თუ რა პროგნოზებს გამოთქვამდნენ ექსპერტები მოლაპარაკების წინა დღეებში.

წინასწარ დაუგეგმავი, თანაც, ამერიკის მხარის ინიციატივით გამართული ამ ვიზიტის მნიშვნელობა მით უფრო დიდია, რამეთუ ის „დიდი რვიანის“ სამიტის წინ შედგა.

პოლიტოლოგი ალექსანდრე რონდელი აღნიშნავდა: „ეს შეხვედრა დიდი ქვეყნის მიერ თავისი უმცროსი პარტნიორის მხარდაჭერისა და იმის დანახვის სურვილის გამოხატულებაა, რომ ეს პარტნიორი სწორ გზაზე დგას. ვფიქრობ, პირობა ასეთია: თუ თქვენ სინამდვილეში აშენებთ დემოკრატიას, საკითხების მშვიდობიანი გზით გადაჭრა გაქვთ გადაწყვეტილი და რეალისტურად აღიქვამთ ყველაფერს, რაც ხდება, მაშინ თქვენ გვერდით გვიგულეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში კი — წურას უკაცრავად... ეს „მესიჯი“ აშშ-მა უკვე დიდი ხანია, ჩამოაყალიბა და მას კიდევ ერთხელ გაიმეორებს...“ რონდელის აზრით, ბუში ასევე დაინტერესებულია „სააკავილიისგან მოისინოს სიტყვები იმის შესახებ, რომ საქართველო მომხრეა კონფლიქტების, კერძოდ — სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებისა...“ რაც შეეხება აფხაზეთის კონფლიქტს, ბატონი ალექსანდრე ფიქრობს, რომ ამერიკის წარმომადგენელთა გახშირებული სტუმრობა ამ სეპარატისტულ რესპუბლიკაში, ამერიკის პოზიციის შეცვლის კი არა, იმის ნიშანია, რომ ის „უფრო სერიოზულად მიუდგა საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ კონფლიქტებს...“ ყველას ეჩვენებოდა, რომ ეს საკმაოდ უწყინარი კონფლიქტები იყო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ასე არ არის... — დასძინს პოლიტოლოგი. მისი აზრით, დასავლეთი ცდილობს, რუსეთს რეგიონული კონფლიქტების მოგვარებაში „მონოპოლისტის როლი“ ჩამოართვას, თუმცა დარეგულირებაში მონაწილეობის უფლებების ჩამორთმევას არ ლამობს...

სანამ დასავლეთი რუსეთთან ურთიერთობის საკითხში კვლავაც არც მწვადს წვავს და არც შამფურს, კონკრეტულად ამერიკა კი, ჯერაც იმას არკვევს, თუ ვისთანაა, მოდი, იმათი აზრიც მოვისმინოთ, ვისაც საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ კონფლიქტებთან დაკავშირებით არაფერი „ჩვენება“ და ისიც კარგად იცის, თუ ვისთანაა და რატომ...

### რუსეთი საქართველოს ეთამაშება (IA REGNUM)

საინფორმაციო სააგენტო „რეგნუმის“ შეკითხვებს თვითგამოცხადებული სამხრეთ ოსეთის ვიცე-სპიკერი იური ძიციოთი პასუხობს.

— საქართველომ არაერთხელ განაცხადა, რომ ქართულ-ოსური კონფლიქტის გადაწყვეტა თბილისსა და სამხრეთ ოსეთს კი არა, თბილისსა და მოსკოვს შორისაა შესაძლებელი. თქვენ როგორ შეაფასებდით ამ ორი ქვეყნის პოზიციას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით? შეიცვლება თუ არა რაიმე სამხრეთ ოსეთის პრობლემების გადაჭრის პროცესში სანქტ-პეტერბურგში პუტინი-საკავილიის შეხვედრის შემდეგ?

— პირველ რიგში, თვით ამ შეხვედრის ფაქტია საინტერესო. ცნობილია, რომ პუტინი და სააკაშვილი შეხვედრას არ ამირებდნენ. ეს ინიციატივა აშშ-ს ეკუთვნოდა. ვფიქრობ, რუსეთზე ზენილას ჰქონდა ადგილი. ჩვენი პრობლემის გადაჭრას მოსკოვისა და ვაშინგტონის მეშვეობით — ანუ ჩვენს ზურგს უკან ცდილობენ. ძნელი სათქმელია, რამდენად მისცა რუსეთმა საქართველოს ამ მხრივ წინ ნაწევის უფლება: ჩვენ ხომ არ ვიცით, პუტინმა და სააკაშვილმა პირისპირ რაზე ილაპარაკეს. მაგრამ საკმაოდ ძალაუფლების მქონე და შესაბამისად, კრემლის კულურებში ყოველივე მომხდარის კარგად მცოდნე ბატონების — კამინინისა და კოსაჩივის განცხადებით თუ ვიმსჯელებთ, დღეს რუსეთმა საქართველოსთან სულ უფრო აქტიური თამაში დაიწყო. მაგალითად, კოსაჩივმა განაცხადა, რომ რუსეთი არ ამირებს და არც არასდროს ამირებდა იმ განცხადებების განხილვას, რომლითაც მას სამხრეთ ოსეთმა და აფხაზეთმა მათი დამოუკიდებლობის აღიარებისა და რუსეთის შემადგენლობაში შესვლის მიზნით მიმართეს. იმავე კოსაჩივის აზრით, რუსეთი ყოველთვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მომხრე იყო და მზადაა მის აღდგენას ხელიც შეუწყოს, — უბრალოდ, მისთვის მიუღებელია ის გზები, რომლებსაც საქართველო აყენებს. ე.ი. საჭიროა, ამ პრობლემის არა ძალიან იერი, არამედ მოლაპარაკებების გზით გადაჭრა. როგორც ასეთ დროს რუსეთი იტყვიან, „პირშუშა ბოლოკზე ტკბილი როდია“ — და თუ მიზანი უკვე განსაზღვრულია, სხვას დანარჩენს მნიშვნელობა აღარ აქვს. ამიტომაც მივიჩნევ, რომ დღეს რუსეთი საქართველოს აქტიურად ეთამაშება იმ იმედით, რომ ის რუსეთთან ურთიერთობას შეცვლის, ლოიალობას გამოიჩინებს და ნატოს სტრუქტურებში შესვლაზე უარს იტყვის...

— ხომ არ ფიქრობთ, რომ აუღიარებელი სახელმწიფოებისთვის არასახარბიელო მდგომარეობა იქმნება? არადა, მათ ხომ, ერების თვითგამორკვევაზეც რომ არაფერი ვთქვათ, კოსოვოს მომგებიანი პრეცედენტიც აქვთ ხელთ?

— საქმე ის არის, რომ კოსოვოს პრეცედენტი ჯერ არ შექმნილა. პრეზიდენტმა კუშტუნიცამ ახლახან განაცხადა, რომ კოსოვო, სერბეთის ნაწილი იქნება. ვფიქრობ,

დასავლეთი დააფრთხო კოსოვოს პრეცედენტმა და ამიტომაც ამ მიმართულებით მოძრაობას შეაჩერებს. ჩემი პროგნოზით, დასავლეთის ქვეყნები, პირველ რიგში, აშშ-ს უფრო პოსტსაბჭოურ სივრცეში არსებულ კონფლიქტებს „დაარეგულირებენ“ — ანუ, უხეშად რომ ვთქვათ, სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთს — საქართველოში, დნესტრისპირეთს კი — მოლდავეთში „შეტენიან“, მოუვლიან ყარაბაღს მხოლოდ ამის შემდეგ — ე.ი. მაშინ დაუბრუნდებიან კოსოვოს პრობლემების მოგვარებას, როცა ეს პრეცედენტი უკვე აღარავის დასჭირდება...

— მერე — რუსეთი?..

— საქართველოს საბოლოო მიზნის გათვალისწინებით, რუსეთი მხოლოდ აგებს. საქართველო კი, როგორც უნდა, ისე იქცევა.

— იქნებ, ეს კრემლის დიპლომატიური სვლაა?

— შეიძლება, დიპლომატიური სვლაა, მაგრამ ერთიან საქართველოზე რუსი პოლიტიკოსების განცხადებებით, საქართველო ძალიან წარმატებით სარგებლობს. რა თქმა უნდა, პარარელურად, რუსეთი ერების თვითგამორკვევის უფლებებზეც ლაპარაკობს. მაგრამ აქ თავისუფლად შეიძლება იმით აპელირებაც, რომ ერს თვითგამორკვევა ერთიანი სახელმწიფოების ფარგლებშიც შეუძლია.

— ნუთუ ნატოში საქართველოს შესვლა რუსეთისთვის იმდენად დიდ პრობლემას წარმოადგენს, რომ საქმეში დიპლომატიური თამაშის სრულიად განსხვავებულ მეთოდებს, თვით სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთზე უარის თქმასაც კი, იყენებენ?

— რუსეთისთვის მის სამხრეთ საზღვრებთან ნატოს მოახლოება, მთავარ პრობლემასა და საკვანძო მომენტს წარმოადგენს. თუ საქართველო ნატოს ნაწილი გახდება, მაშინ მთელი დოქტრინა (როგორც თავდაცვითი, ისე საგარეო პოლიტიკური) იცვლება. იცვლება ჩრდილოეთ კავკასიაში ძალების განლაგება. აი, აქ კი, უკვე მარტო ჩვენს სეპარატისტებზე კი არა, მთელ ჩრდილოეთ კავკასიის სეპარატისტულ განყოფილებებზეც დაბეჯითებით შეიძლება ლაპარაკი.

— მაგრამ ხომ არც იმდენად ახლო მომავალშია განსაჭვრეტი ნატოში საქართველოს შესვლა?

— ჩვენ ზუსტად ასე ვფიქრობდით, როცა საქართველო ევროსაბჭოში შედიოდა... ბევრად უფრო განვითარებულ ქვეყნებს — თურქეთს და სხვებს — არაერთ, მათ შორის, პოლიტიკური ხასიათის პირობასაც უყენებენ. თურქეთს, მაგალითად, ჩრდილოეთ კვიპროსისა და ქურთების პრობლემები აქვს... მაგრამ როცა საქმე საქართველოს შეხებო, ის ევროსაბჭოში ისე უცბად მიიღეს, რომ გაოცდებოდა კაცი. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ დასავლეთმა საქართველოს სრულიად განსხვავებული ადგილი მიუჩინა... დასავლეთისთვის საქართველო პოსტსაბჭოურ სივრცეში ცენტრალურ პოზიციას წარმოადგენს და მას უკრაინაზე არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება. საქართველო და უკრაინა — ეს ის ორი რეგიონია, რომლებსაც ამერიკა სამკვდრო-სასიცოცხლოდ ჩააფრინდა...



### „მესამე“, საქმეს ვერ უშველის...

(Независимая газета)

გაზეთის მიერ ჩატარებულ გამოკითხვაში — ჩაერევა თუ არა დასავლეთი დსთ-ის ტერიტორიაზე არსებულ კონფლიქტებში? — რუსი პოლიტოლოგები მონაწილეობენ.

**სარგაი მარკალოვოვი**, პოლიტიკური და სამხედრო ანალიზის ინსტიტუტის საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილების გამგე:

— ყველა გაყინული კონფლიქტის გასაღები ვაშინგტონში, ბრიუსელში ანდა, მოსკოვში კი არა, — თბილისში, სოხუმში, ცხინვალში, ტირასპოლსა და კიშინიოვშია საძებნელი. აულიარებელი სახელმწიფოების პრობლემა მხოლოდ კონფლიქტში მყოფ მხარეებს შორის ნდობის არსებობის შემთხვევაში გადაიჭრება. და თუ პრეზიდენტ სააკაშვილსა და პრეზიდენტ ვორონინს ამ პრობლემის დამოუკიდებლად გადაჭრა არ შეუძლიათ, ეს მხოლოდ ამ სახელმწიფოების დამოუკიდებლობის დაბალ ხარისხზე მეტყველებს. დასავლეთის ზენოლას კი, საზღვარი აქვს. როცა დასავლეთში შეიგნებენ, რომ საკითხის გადაჭრის ფასი არაა ბალიდან — სომხების, აფხაზეთიდან — აფხაზების, სამხრეთ ოსეთიდან — ოსების გარდაუვალი დეპორტაციაა, მხოლოდ მას შემდეგ გადავა პრაქტიკულ სიბრტყეში ამ რესპუბლიკების ალიარების საკითხი.

**ირინა ზიზაბალსაია**, პროფესორი, სტრატეგიული და პოლიტიკური კვლევების საერთაშორისო ცენტრის ვიცე-პრეზიდენტი:

— სრული დამოუკიდებლობის მინიჭება და ახალი სახელმწიფოების შექმნა, სიტუაციის დარეგულირების ერთადერთი გზა როდია. და თუ აულიარებელი რესპუბლიკების ამისკენ სწრაფვა გასაგებია, გულუბრყვილობა იქნებოდა იმის ვარაუდი, რომ ამ სწრაფვას საერთაშორისო დონეზეც დაუჭერენ მხარს. თვითგამოცხადებული რესპუბლიკების მიერ სეპარატისტული პოზიციის მიზეზი, რუსეთის გავლენა როდია. მიზეზები იმ სახელმწიფოების არამიზიდველობაშია საძებნელი, რომლებსაც, ყველაფრისდა მიუხედავად, დემოკრატიის მაღალ დონეს მიანერენ. ქვეყნები, რომელთაც ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება სურთ, ვალდებული არიან, ეკონომიკურად და პოლიტიკურად მიმზიდველი გახდნენ. თუ „დიდი რვიანის“ სამიტზე „აულიარებელი“ შეესებინან, საკითხი ალბათ, მხოლოდ ასე დაისმება: რა გავლენით და რა ალტერნატივები გვაქვს...

**ალა იაზოვა**, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ევროპის ინსტიტუტის ხელთათმეა ზღვისა და შავი ზღვის პრობლემების ცენტრის ხელმძღვანელი:

— სააკაშვილმა ბუმის მიწვევა მიიღო, ვორონინმა ბრიუსელს მიამურა და ყოველი მათგანი ადგილზე თავისი სიმართლის სათქმელად ჩადის (ინტერვიუ ჩანერილია 4 ივლისს. — ავტ.). ვორონინთან დაკავშირებით, შედარებით მარტივი სიტუაციაა: მას დნესტრისპირეთში იძულებით გადაადგილებული პირები არ ჰყავს. გარდა ამისა, რუმინეთი, როგორც ევროკავშირის მომავალი წევრი, „ახალი მეზობლების“ პროგრამის ჩარჩოებში, მოლდავეთ-

თან ასოციაციისა და თანამშრომლობის შეთანხმებას მოაწერს ხელს. ამიტომაც, ევროკავშირთან კონტაქტი ამ შემთხვევაში, სავსებით კანონზომიერად მეჩვენება. რაც შეეხება საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ კონფლიქტებს, — უნდა გავიხსენოთ, რომ 2003 წელს, დსთ-ის სახელმწიფოების მეთაურთა საბჭომ მიიღო დადგენილება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და ყველა საკითხის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტის თაობაზე. პრეზიდენტ პუტინს ამ პოზიციიდან არ გადაუხვევია. ამიტომ, იმის ლოდინი, რომ „დიდი რვიანის“ სამიტზე რუსეთზე პირდაპირ ზენოლას ექნება ადგილი, არ ღირს! თუმცა, ირიბი ზენოლის გამორიცხვა არ შეიძლება.

**ვიჩასლავ ნაუროვი**, ფონდ „პოლიტიკის“ პრეზიდენტი:

— „დიდი რვიანის“ სამიტზე, აულიარებელი რესპუბლიკების პრობლემებს არ განიხილავენ, რადგან ეს საკითხი სამიტის დღის წესრიგში არ შესულა. ეს პრობლემები მხოლოდ ორმხრივ ფორმატში, თანაც, ან სამიტამდე, ან მის შემდეგ თუ განიხილება. ამასთან, მე ამ საკითხში წინსვლის ვერანაირ წინაპირობას ვერ ვხედავ. არც საქართველო და არც მოლდავეთი აულიარებელი სახელმწიფოების მიმართ საკუთარი პოზიციების შეცვლას ისევე არ აპირებენ, როგორც აულიარებელი სახელმწიფოები — საკუთარსას. და აქ საუბრობა, ვინმე „მესამე“ შეძლოს საქმის გამოსწორება...

## იხრიში ართროზი

წითუწყველში მტფქვევქმე უეფზმემემ უკ-უკ ნმუდფზე უაუდგეკ ზკუზფფეთ ცფქწფფებუთ მპპ ფრი ეღვენსლი ცქ აქქედში თუქფვუტდწიფემ თუფთ თფქმ თუქფვუტუდმ თუქფვუტუთ დმ ლიწმდში ნმუდფ ლწქწწტუტემე მპპ ფრი — ს ფრფდმ აქქედფ თფთფკთ ვფლფკკდ )ვჭუემმთ( გტფკთ ვფგიკტუთბ აფგწდუთ ქწწკწიფთ ვფ ვფმფთმ ჩკემდთ ვფემქამუშოფტყ თუქფვუტ ქსკუთფ ელმმდმ ვფ შჭკუთფ თფთფკთ ქწწკწიფთ თმფკუყ ზკუზფფეთ ლფთფდუთ თფმსფყ ქლკტფდწი ლკთმ სმუდუთქმ —, მეთ თუფვ პუტთუ უაუდმ ამლმკუთფ კვქვუტქუ მმთ ქტტმჭტუბ ჭწპოუყ ცუდმცფცყ ნმუდფუქმ ვფფფუთმ ფთფლჭუქ ვქწლმჭუთდმ თფლუქთუქ თუქფუთმ ფქკწმთ თფცმთ თეფვუთემ ქმსკუტფ ქლკტფდწი უკმ ლკთმ თფთფკთ ელმმდში ფემწთმ თუთფაღუდწი კვქვუტქუ ცდმ მჭდუქ

თუქ ცფთდმ თუქმბუბუთფთ ლკთმ სფეკუთ უაუდგეკმ ფფტფლდუთ ცუდმცფემ — თუქ ზკუზფფეთ ფ პფტტმ კლსტუთუთმ მფქწუთ წლუტმ ქწდოლუთაფტყ ფმფტტ წკყ ზქწლმჩდმ ფქემლუდმ უღმემ გზმეფუთიფთ ფტმსთი მპპ ფრი ეღვენსლი( ვფმმმტფთყ —? — ცყ ლყ ქვმქმთმ სფეკუთდქფ ზკუზფფეთ ლდმტლკქფ ზქწლდმდქქ კვტწქმქმეუთდმ წკფამ იკქფ ზდფსუაწ-ლწტკწდმეუთფემ ქუწემმ ქწამს თუქმ

- თფთუთემ ლწქწკდწი მქეუთფ ...5ყ
- ვმმკემ ფლემწწი მქეუთფ ...5ყ
- ამჭმლკემ ვფემქამთ მქეუთფ ...5ყ

„მპპ ფრი ეღვენსლი“ — მიღბაული და რამომდებელია ამერიკის ართროზის ფონდის მიერ. „მპპ ფრი ეღვენსლი“ — წამსმფდგემ ვთეუმიეკემეფ „ჯემოვიტი“ „ჯეოვიტი“ — თქეიბი ჭწმწოიეკოობის თწწმგზწრის

„ქეოვიტი“ - მის: მლთი ზმმზმზმმ მპპ. №411. ტელ: 29-20-91, 899 10-99-20. ყოველდღიური ჯეოსო ქონსულტაციი

საქმე პფთმეკმ: მწმრმმმმმ 1. მწმრმ მპპმ 19, მწმრმ მპპმ 22



ემა ტუხიაშვილი

— „პიუმენ რაიტს ფორის“ წარმომადგენლები ხშირად სტუმრობენ საქართველოს და აქ არსებულ ვითარებაზე პერიოდულად, ანგარიშსაც ადგენენ. წელს, მათი ყურადღების ცენტრში, ორთაჭალის ციხეში მომხდარი აჯანყება მოექცა და შესაბამისი ანგარიშის წარდგენაც სექტემბრისთვის იგეგმება. მაგრამ მანამ-

ამერიკულმა ორგანიზაციამ — „პიუმენ რაიტს ფორი“ — საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში არსებული მდგომარეობა შეისწავლა და საკმაოდ ნეგატიურ დასკვნას ამზადებს. 27 მარტს ციხეში მომხდარი არეულობა, სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმე და სამართალდამცველთა მხრიდან უფლებამოსილების გადაამეტების არაერთი ფაქტის შესახებ დასაველეთი და მთელი საერთაშორისო საზოგადოება კარგადაა ინფორმირებული.

ცოტა ხნის წინ, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე, ანა დოლიძე და „პიუმენ რაიტს ფორის“ წარმომადგენელი კავკასიაში, ჯეინ ბიუქენენი ბრიუსელში იმყოფებოდნენ და ევროკავშირის ყველა სამთავრობო რგოლთან ჰქონდათ შეხვედრები.

# ალაშიანის უფლებები, „მეზობლის“ სტატუსი და რუს უშიშის მხრობები

დე, მე და ამ ამერიკული ორგანიზაციის წარმომადგენელმა კავკასიაში, ბრიუსელში გამგზავრება გადაწყვიტეთ, რათა ევროკავშირში შევხვედროდით იმ ადამიანებს, ვისაც ჩვენს ხელისუფლებასთან მოლაპარაკებები ძალუძს. გვინდოდა, აგვეხსნა მათთვის, რომ ჩვენი მთავრობის გრძელვადიანი გეგმები ხშირად, სულაც არ ემთხვევა მის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს. ჩვენი ვიზიტი დროული იყო იმ თვალ-

ლო ეტაპს, რომელიც ამ გეგმის განხორციელების ინსტრუმენტის შემუშავებას ითვალისწინებს. ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო ისეთი ინსტრუმენტის შემუშავება, რომელშიც კონკრეტულად იქნება მითითებული, თუ ვინ, როდის და რა უნდა შეასრულოს. ამიტომაც, ბრიუსელში ყოფნისას შევეცადეთ, ევროკავშირის ყველა მნიშვნელოვანი სამთავრობო რგოლი მოგვეცვა და საქართველოს შესახებ ობიექტური ინფორმაცია მიგვეწოდებინა. შევხვედით ევროპის პარლამენტის წევრებს, ევროპის აღმასრულებელი საბჭოს და ევროკომისიის წევრებს. შევეცადეთ, ყველა იმ სფეროს შევხებოდით, სადაც ამკარად ირღვევა ადამიანის უფლებები. განხილულ ფაქტებზე დაყრდნობით, ყველა ერთხმად აღიარებდა, რომ საქართველოში მართლაც ხდება ადამიანის უფლებების ხელოვნა, ამიტომ, როგორც ამბობენ, საჭიროა, ჩვენი ქვეყნის მიმართ გატარდეს ორგანიზაციის პოლიტიკა — მკაცრი და იმავდროულად, ნამახალისებელიც: როგორც რუსები იტყვიან — **политика кнута и пряника**. ბრიუსელში გამართული შეხვედრების ერთ-ერთი მთავარი თემა, ციხეში 27 მარტს მომხდარი აჯანყება გახლდათ. ევროკავშირის წარმომადგენლებთან შეხვედრისას დავაფიქსირეთ, რომ გამოიძიება ამ საკითხზე არაობიექტურად მიმდინარეობს და პასუხისგებაში მხოლოდ პატიმრები მისცეს...

— უფრო დაწვრილებით მოგიყვით გამართული შეხვედრების შესახებ.

— 5 დღის განმავლობაში, 20-მდე შეხვედრა გაემართეთ. სხვათა შორის, ყველა მწვავე პრობლემის შესახებ ევროკავშირმა საქართველოს ხელისუფლებას დაუფარავად გაუზიარა თავისი შეხედულება. ჩვენი მხრიდან, მასპინძლებს ვუთხარით, რომ მათი რეკომენდაციების შესასრულებლად საჭიროა, განხორციელდეს მკაცრი მონიტორინგი. შევეცადეთ აგრეთვე, დაგვერწმუნებინა ევროკავშირი იმაში, რომ ობიექტური ინფორმაციის მისაღებად, აუცილებლად უნდა მოისმინონ



არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიში, რადგან ხელისუფლება ყოველთვის ეცდებოდა იმის მტიცებებს, რომ ყველაფერს კარგად ასრულებს.

— უნდა ვივარაუდოთ, რომ „პიუმან რაითს ვოჩი“ საქართველოზე საკმაოდ მწვავე ანგარიშს დანერს. მაგრამ საინტერესოა, რამდენად განსხვავდება ჩვენში დამკვიდრებული მდგომარეობა იმისგან, რომელიც ჩვენს მეზობელ ქვეყნებშია შექმნილი?

— სიმართლე გითხრათ, ძალიან არ მინდოდა, რომ ევროკავშირის, ამიერკავკასიის ქვეყნების ჯგუფში მოექცია საქართველო. ეს გეოგრაფიული მახასიათებელი მნიშვნელოვნად გვხვებს უკან, რადგან ჩვენი სახელმწიფო პრაქტიკულად, სომხეთთან და აზერბაიჯანთან ერთად განიხილება და იქ არსებული მდგომარეობის კვალობაზე, სშირად უთქვამთ: რა გინდათ, ისე ცუდად ხომ არ არის საქართველოში საქმე, როგორც ალიევის აზერბაიჯანში?! სამწუხაროა, როდესაც გადარებენ ქვეყანას, სადაც ტოტალური კორუფცია მეფობს, სადაც არასამთავრობო ორგანიზაციის რეგისტრაციის შესაძლებლობაც კი არა არსებობს და ადამიანის უფლებათა დაცვაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია... მირჩევნია, რომ შეგვადარონ პოლონეთს, უნგრეთს ან ჩეხეთს — სახელმწიფოებს, რომლებიც ფაქტობრივად, ჩვენთან ერთდროულად გათავისუფლდნენ საბჭოთა მარნუხები-სგან და დღეს ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრები არიან. შეგვადარონ თუნდაც უკრაინას, რომელსაც უკვე აქვს ევროინტეგრაციისკენ მიმავალი სამოქმედო გეგმა. ამით ჩვენს ქვეყანას უფრო მეტი სტიმული ექნება, რომ ჭეშმარიტ დემოკრატიულ ქვეყნებთან გატოლებას შეეცადოს... ევროკავშირში უკვე არაერთხელ გამოითქვა აზრი, რომ ევროკავშირის გაფართოება თურქეთის განევრებით დასრულდა და ამის შემდეგ, ის მხოლოდ ე.წ. „სამეზობლო პოლიტიკას“ მიჰყოფს ხელს, ეს კი ჩვენთვის აბსოლუტურად განსხვავებული სტატუსის მიღების მომასწავებელია. დღეს, საქართველოს ხელისუფლება ევროკავშირთან ინტენსიური მოლაპარაკებებისთვის დროს ითხოვს, რომ უკრაინის მსგავსად, ევროკავშირმა ჩვენი ქვეყნის „ევროპული მისწრაფებებიც“ აღიაროს და ეს ნერილობით დადასტუროს, რაზეც ევროკავშირი ჯერ არ თანხმდება. ბრიუსელში მაინც ფრთხილობენ. ამიტომაც ვამბობ — როდესაც ხედავენ, რომ ადამიანის სიცოცხლეს ქვეყანაში ჩაღის ფასი აქვს, სერიოზული ურთიერთობის დამყარებას არც ერთი ძლიერი სახელმწიფო და მით უმეტეს — სახელმწიფოთა გაერთიანება არ გადაწყვეტს. რაც უფრო დავცილდებით დემოკრატიის ძირითად პრინციპებს, მით უფრო დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება ჩვენთან პარტნიორობის საკითხი, ეკონომიკური ურთიერთობების დამყარება და საბოლოოდ, საშიში ქვეყნის სტატუსს მოვიპოვებთ.

6 ივლისს, ტელეჟურნალისტი ნათია ლაზაშვილი „იუბილარი“ გახლავთ. ქალს ასაკს არ ეკითხებიან და არც მე დავარღვევ ამ წესს. რა მნიშვნელობა აქვს, რამდენი წლის არის?! იმასაც ამბობენ — ქალი რამდენისადაც გამოიყურება, იმდენი წლისააო. ჰოდა, ჩვენი ოჯახების ყოველდღიური სტუმარი, ნათია ლაზაშვილი აგერ უკვე რამდენი წელია, ძალზე ახალგაზრდულად გამოიყურება. მას საკუთარი დაბადების დღის გადახდა წელს არც უფიქრია — რაღაც ამის ხალისი ნაკლებად მაქვსო, — მითხრა. თუმცა, მასთან საუბარი ფეხბურთის თემით დავიწყე, რადგან ის ამ სპორტის თავდაკლული მოყვარული გახლავთ.



### ვინ გაანაწყენა ნათია ლაზაშვილი „ჩემთვის ღიმა ობოლადე პრეზიდენტი არ არის...“

#### ლალი შანია

— ნათია, ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატში ისე აქტიურად ხარ ჩაბმული, რომ პრეზიდენტში, საინფორმაციო გამოშვების დროს, ბრაზილიის გუნდის მისიურიც გეცვა. — აღარ ჩაივიწყებ ბრაზილიის მისიურს, რადგან აღარ მიინტერესებს ჩემპიონატის შემდგომი ეტაპი. — რატომ? — იმიტომ, რომ ბრაზილიამ წააგო. ინტერესი დავკარგე: ფავორიტმა მიმტყუნა. ჩემპიონატებზე სულ ბრაზილიის გუნდს ვგულმემატევიკობდი ხოლმე. ისინი რაღაც უფრო ახლოს არიან ჩემს ხასიათთან, ტემპერამენტთან. მომწონდა მათი თამაშის სტილიც. — ამ ჩემპიონატზე ბრაზილიის თამაშებს სად და როგორ უყურებდი? — ბრაზილიის „ფან-კლუბში“. — ალბათ, შესაბამისადაც იყავი აღტყურებული, არა? — კი, მისიურიც მეცვა და კვიც მეხურა. ბოლო თამაშზე „ბრაზილიის“ კაბა მეცვა, მაგრამ მაინც წავეგეთ, კაბამაც არ გაამართლა. — ამბობენ, რომ საფრანგეთი ბრაზილიის მატჩი გაყიდული იყო. — რა სისულელე! უბრალოდ, ვერ ითამაშეს. — არადა, თქვენს — რადგან გერმანია მასპინძელი ქვეყანაა, მისი გუნდის სასარგებლოდ გადაწყდა ყველაფერი. — მაშინ თამაში ფინალში გაიყიდებოდა. ფინალში შესვლამდინ გერმანია და ბრაზილია ერთმანეთს. ისე, მინდოდა, რომ სწორედ ასე მომხდარიყო... უბრალოდ, ვერ ითამაშეს და მორჩა! აშკარად უკეთესი იყო საფრანგეთის გუნდი. არადა, ყველაფერი ნულ-დან დაიწყეს, თავიდან, აბსოლუტურად უპერსპექტივო გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებდა... ბრაზილიასთან ზიდანმა მაგრად ითამაშა, ფეხბურთიდან ხომ მიდის და ბუნერი ზიდანის ბოლო გაფართოება იყო. — ვიცი, რომ ანარქული ადამი-

ანი ხარ. ფეხბურთის ყურებისას, ემოციებს როგორ გამოხატავ, ბილნსიტყვაობა ხომ არ გახასიათებს? — რეპლიკებით. რაღაც-რაღაცებს ვამბობ ხოლმე, მაგრამ არა ისე, რომ 90 წუთის განმავლობაში ვიგინებოდე. უფრო, საკუთარ თავში ვიკვებები, ვწერეულობ, ვიძაბები... — ვითან ერთად გიყვარს ფეხბურთის ყურება? — მეგობრებთან ერთად. — ისე, ამ ჩემპიონატისგან რა შედეგებს ელოდი? — ექვიც არ მეპარებოდა, რომ ბრაზილია გამიმარჯვებდა. ფინალში გერმანია-ბრაზილიის მატჩის საყურებლად ვეშაბებოდი. ჩემმა ფავორიტმა რომ წააგო, ვიტირე კიდევ... — ტოტალიზატორის სშირი სტუმარი ხარ? — ტოტალიზატორში თამაშს აქტიურად არ მივდევი, მაგრამ რამდენჯერმე, რაღაც თანხა მოვიგე — ანუ რამდენჯერაც დავდე, იმდენჯერ მოვიგე. ისე, ბრაზილიაზე არასდროს დამიღვივა, რადგან ისედაც ვგულმემატევიკობდი ამ გუნდს. — ახლა, რომ გადაუდები და გაუორგულდი ბრაზილიას, რონალდინიო ცოდავ არ არის? — არა, უბრალოდ, ინტერესი დავკარგე. ძალიან მინდოდა, ბრიზილიისა და გერმანიის ფინალში შესვლად მენახა. ახლა დარწმუნებული ვარ, რომ გერმანია გამიმარჯვებს (ინტერვიუ ჩანერილია 3 ივლისს; როგორც ხედავთ, ნათიას პროგნოზი არც აქვრად გამართლდა. — ავტ.) იმიტომ კი არა, რომ თამაში გაყიდულია ან მასპინძელი ქვეყნის გუნდია. რასაკვირველია, ეს ფაქტორიც თამაშობს როლს მსოფლიო ფეხბურთში, ასევე — პოლიტიკა, ტოტალიზატორებიც, მაგრამ უბრალოდ, გერმანიას კარგი გუნდი ჰყავს! შემტევ ფეხბურთის თამაშობენ, მათი ყურება ღირს... — ბრაზილიის მისიური, კვი და კაბა რა უყავი? — კაბა დავკვექე და სადაც შევიხანე, მისურს და კვას ალბათ, ვინმე ბავშვს ვაწუქებ... ხომ ვთქვი — ფეხბურთში თამაშის სტილს

ვაქცევ ყურადღებას, მაგრამ ამოჩვენებულ ცდას ფეხბურთელები. 15 წელი, არგენტინის მეკარე გოიკოჩეა მყავდა ამოჩვენებულ. ის ფეხბურთელები, რომლებიც მომხიბვლელები და სექსუალური იმიჯის მქონენი არიან — იგივე ბექჰემი, — ჩემთვის „ნულები“ არიან. არ მიყვარს ისეთი ფეხბურთელები, რომლებიც იპრანკებინან, „მარიაუობენ“. ნუნუ გომეშიც მომწონდა, მაგრამ მას მერე, რაც მისი ინტერვიუ წავიკითხე, აღარ მომწონს, მის მიმართ ინტერესი გამიქრა, რადგან ის დიდ ყურადღებას უთმობს თავის გარეგნობას, მოსწონს ის, რომ ფანები მასზე გიჟდებიან, ვარსკვლავური დაავადება სჭირს. ამიტომაც არის, რომ ახლა, სათადარიგოთა სკაშზე ზის და აღარ თამაშობს... სხვათა შორის, დიმა ობოლაძე შეყირობს ხოლმე — როდესაც იტალია თამაშობს და ვილაც მოედანზე კუთხურს აწვდის, სხვები თმას ისწორებენო... ასეთი სტილის მეტიჩარა ფეხბურთელი ბიჭები არ მიყვარს.

— კითხვა დიმა ობოლაძეზე მინდოდა დამესვა და შენც ასევე იგი ამ ჩემპიონატის დღეებში, 9-საათიან „კურიერში“ შენ გვერდით რომ არ ზის, არ მოგწონს?

— კი, მომეწონება, მაგრამ ვნახულობ ხოლმე.

— თორემ თქვენს სამეულს შენ, ზალიკო უდუმანგოლა და დიმა ობოლაძეს — თითქოს რაღაც სხვა ეშვი აქვს; კარგად ხალისობთ ხოლმე პირდაპირ თორემ.

— (იციინს) დიმა ძალიან დატვირთულია ჩემპიონატის დღეებში, ბევრი საქმე აქვს. 9 ივლისს, ფინალია და მალე დაბრუნდება „კურიერში“.

— ფეხბურთის ფანებისთვის ის დიდად პატივსაცემი ადამიანია, ჩვენი „პრეზიდენტი“ ამბობენ.

— ჩემთვის „პრეზიდენტი“ არ არის (იციინს). თუმცა, არ ვიცი, მისთვის თუ ვარ მე „პრინცესა დაიანა“, ვერ გეტყვი...

— შენ ხარ ერთადერთი ქალი, რომელიც ბატონ დიმიტრის სერიოზულად ჩაგრავს.

— რატომ? სხვა ვერ ჩაგრავს?

— ვერა.

— უბრალოდ, მითმენს და ეს არის (იციინს).

— რატომ გითმენს?

— იმიტომ, რომ მეგობრები ვართ, თან — რამდენი წელია, ერთად ვმუშაობთ!..

— მაგონ, ცოტა გამოსწორდა. ფეხბურთის მატჩის კომენტატორობის იმდენ შეცდომას აღარ უშვებს. ფეხბურთელების გვარები ისწავლა და სწორად გამოთქვამს.

— კი, მაგრამ ახლა უფრო მეტი მონიშნა: პოლიტიკოსების გვარების დასახელებაზე გადავიდა. მაგალითად, გერმანიის კანცლერზე — ანგელა მერკელზე, კადრში რომ გამოჩნდა, ანგელა თუ ანეტა მერკელიო, ასე თქვა (იციინს).. რომ ვნახავ, ვეტყვი, ისევ ფეხბურთელების გვარებს „მიანვეს“. ეს იქნება ჩემი რჩევა მისთვის. თუ მაინცდამაინც პოლიტიკაშიც უნდა განათლება, მაშინ ერთად უნდა ვიმეცადინოთ. საათებს შევთავაზებ: „კურიერის“ შემდეგ დარჩეს და ვასწავლი...

— საინტერესოა, როგორ მოსწავლე აღმოჩნდება?

— ისე, ნიჭიერია, მაგრამ ზარმაცია...

— შენ არ გქონია ფეხბურთის რეპორტაჟის წაყვანის სურვილი?

— დიმასთან ერთად — კი, ისე — არა.

— რატომ?

— სერიოზულად რომ დავვდე და რეპორტაჟი წავიყვანო, მთელი ჩემი იმიჯი წაშლი დაინგრევა, რაიმე ცუდი სიტყვა რომ წამოცდეს ფეხბურთის ყურებისას, მერე რა ვქნა?.. ისე, რომ გავერთო, დიმასთან ერთად შეი-



ძლება. — 6 ივლისს, დაბადების დღე გაქვს. „კირიზი“ ყოფილხარ.

— კი, „კიბო“ ვარ... ვგიჟდები ჩემს ზოდიაქოს ნიშანზე. ჩემი ზოდიაქოს შესახებ ვრცელი ინფორმაცია რომ წავიკითხე, სრული შოკი განვიცადე: მეგონა, ის ვინც წერდა, მე მიცნობდა ან მიყურებდა და ისე წერდა...

— დაასახელე შენი ზოდიაქოს ნიშნის სამი ძირითადი სასახათო შტრიხი.

— ემოციური, არაჭორიკანა, შესაიდუმლე...

— ჭორაობა არ გიყვარს?

— არა, ყველაფერს გვიან ვიგებ. „კურიერში“ რაც ხდება, ამის შესახებ შეიძლება, გარედან მითხრას ვილაქამ. „კიბორჩხალას“ თურმე, ნაკლი არა აქვს.

— უნაკლო ხარ?

— (იციინს) ახლა ეს სათაურშიც არ გამომიტანო!..

— როგორ აპირებ დაბადების დღის გადახდას?

— შარშან, დიდი დაბადების დღე მქონდა, სასტუმრო „ივერიის“ ვერანდაზე გადავიხადე. ყველა ჩემი მეგობარი იქ იყო. მომავალ წელს ასეთსავე დაბადების დღეს გადავიხდი. ახლა რაღაც არა მაქვს ამის სურვილი, თან, ჩემი მეგობრები აქეთ-იქით არიან დაქსაქსულები. 6-ში სახლში მშვიდად მივალ, ერთ ტორტს მივიტან, ერთი-ორი მეგობარი დამხვდება და მშვიდად დავსვდები.

— საერთოდ, გიყვარს შენ დაბადების დღე?

— ვგიჟდები ჩემს დაბადების დღეზე. საერთოდ, არიან ადამიანები, რომლებსაც არ უყვართ თავიანთი დაბადების დღე. მაგალითად, ჩემი მეუღლე. ბევრს ვიცნობ ასეთს. მე ძალიან მიყვარს ჩემი დაბადების დღე და ახალი წლის დღესასწაულიც. ყოველთვის განსაკუთრებული განცდა მეუფლება.

— საჩუქრების მიღებაც გიყვარება.

— ძალიან. ვის არ უყვარს საჩუქრები?! სხვათა შორის, ისე, უმიზეზოდ მომღვინილი საჩუქარიც მიყვარს, დაბადების დღეს რომ არ უკავშირდება.

— ამ ზაფხულისთვის რა გეგმები გაქვს? სად აპირებ დასვენებას?

— ჯერ არ ვიცი. ამ საკითხს საერთოდ, სპონტანურად ვწყვეტ ხოლმე. ის ვიცი, რომ აგვისტოში, ორი კვირით წინაშე — სად, ჯერ უცნობია. შარშანაც უცრად გადავწყვიტე თურქეთში წასვლა.

— ზღვაზე დასვენება გიყვარს?

— ზღვაზეც და მთაშიც. მთელი ბავშვობა მთაში მაქვს გატარებული. წყნარ სიტუაციაში, სიმშვიდეში დასვენება არ მიყვარს...

— წინასწარ გილოცავ დაბადების დღეს და ზაფხულში კარგ დასვენებას გისურვებ!

— გმადლობ.

**Franch Provost**  
Paris

**ფრანკ ჰროვოსტ ჯაშიზი**

ფრანგული თმის სალონის ფილიალი საქართველოში

**აცხადებს ხონაურსს პროფესიონალი ხელოსანების მიღებაზე**

მომხმობები: არანაკლებ 3 წლის გამოცდილების მქონე სტილისტები 20-დან 40 წლამდე

**ინფორმაციისთვის დაბრუნებისთვის:**  
ტელ: (995.77) 99.55.22; (995.99) 26.77.97; (995.99) 14.30.06.  
**გამოსხაურების საბოლოო ვადა: 20 ივლისი**

ლალი შანიბა

ჟურნალისტი – ზურა ვალაჟორია რასპონლაჟი – ირინა ონაშვილი

— ირინა, როგორი განცდაა, როდესაც ლამაზი ქალი ხარ?

— მშვენიერია (იცინის). ისე, ერთადერთი და განუყოფელი არა ვარ... რა თქმა უნდა, სასიამოვნო განცდაა, როცა ლამაზი ხარ. ყველა ყურადღებას გაქცევს, ყურადღების ცენტრში ექცევი. თუ ამას პოპულარობაც ემატება, უსიამოვნო სულაც არ არის, — ეს ფაქტია.

— გასაგებია, მაგრამ პოპულარობა, რაღაც დოზით, თავისუფლებას სომ არ გიზღუდავს? ქუჩაში, ვთქვათ, ჭამა რომ მოგინდეს, თავს შეიკავებ?

— ისეთი ტიპი ვარ, რომ თავს არასდროს არაფერში ვიზღუდავ. მერე რა, რომ პოპულარული ვარ?! ბევრჯერ მიჭამია ქუჩაში, როცა კი ამის სურვილი მქონია, რადგან ჭამა სიგიჟედ მიყვარს. საერთოდ, აბსოლუტურად ჩვეულებრივი ადამიანი ვარ.

— როგორც გავიგე, ფეხბურთელი მეუღლე გყოლია. ფეხბურთის გულშემბატოვრობ? თუ მსოლიოდ მეუღლის სათრით უყურებ სოლმე?

— ჩემი ქმარი ახლა „ზბორებზეა“ წასული. მე ვზივარ და ტელევიზიით ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებს ვუყურებ. თვითონ მიკვირს საკუთარი თავის, ამას რომ ვაკეთებ, რადგან აქამდე, მეუღლეს, ფეხბურთს რომ უყურებდა, გვერდით არ ვუჯდებოდი სოლმე. მისი არყოფნის დროს, ისე ჩავერთე ფეხბურთის ჩემპიონატში, რომ... ჩემი ქმარი რომ მიყურებდეს, ძალიან გაუხარდებოდა, რადგან სულ ვწუნუნებ — რა არის ამდენი ფეხბურთი-მეთქი?! ჩვენი ტელევიზორი სულ მწვანე მინდორს უჩვენებს...

— ვის გულშემბატოვრობ?

— ბრანზილისა და იტალიას (ინტერვიუ ჩანერილია 1-ელ ივლისს. — ავტ.)

— რომელ გუნდში ისურვებდი, რომ შენი მეუღლე თამაშობდეს?

— ალბათ უფრო — იტალიაში, ევროპაში რომ იყოს, ახლოს. ისე, როგორც გუნდი და ფეხბურთი, ბრანზილის გუნდი მომწონს... თქვენ ვის გულშემბატოვრობთ?

— ინგლისს... ახლა, ვთქვათ, ზღაპრული ჯინი გაჩნდა და დაინყო სურვილების ასრულება. რა სამ სურვილს სთხოვდი?

— ბევრი რამ მინდა, თან, ასე უცბად, ვერც ვიტყვი. შეიძლება, ისეთი სურვილიც იყოს, რომ ჟურნალის ფურცლებიდან მისი გამყლავნება არც მინდოდეს...

— ნუთუ, სამივე ისეთი სურვილია, რომ ჟურნალში არ დაინერება?

— არა, რა თქმა უნდა. სურვილი მაქვს, რომ უფრო წარმატებული ვიყო. ჩემი ნამღერი სიმღერების დისკი მინდა, გამოვეშვა... მაგარ ქვეყანაში ვიცხოვროთ...

— გეთანხმები. კარგი ქვეყანა საქართველო, მაგრამ — „დასალაგებელია“. კარგი იქნებოდა, აქ ადამიანების ნიჭი, სილამაზე რომ იყოს დაფასებული... მესამე სურვილზე არ

„მის საქართველო-2003“-ის — ირინა ონაშვილის სიმაღლე და სილამაზე მართლაც რომ თვალში საცემია. მაგრამ ის გარეგნობასა და პოპულარობას არც გაუთამამებია და არც რაიმეში შეუზღუდავს. ჩვეულებრივი ადამიანი ვარო, — ამბობს. არც ტანდაბალ და ხელმარჯვე ილუზონისტ ზურაბ ვადაჭკორიას დაუბრკოლებია საკუთარი თავი რამეში. პირიქით — ამაყობს კიდეც იმით, რომ მსოფლიოში ყველა ცნობილი და გამოჩენილი ადამიანი, სწორედაც რომ ტანდაბალი იყო.

ამრიგად, ამ ორი ადამიანის მაგალითზე მოხდა შემდეგი საკითხების განხილვა: როგორია, როცა ხარ მაღალი ქალბატონი და რას განიცდი, როდესაც დაბალი მამაკაცების კატეგორიას მიეკუთვნები.



ქართული სინი პროფილისა და ლაზე კოკარფილის ახაზი ირინა ონაშვილისა და ზურა ვალაჟორიას ლაჟარული და გაქლავნებული სურვილები

გვეთხები, შენთვის საიდუმლოდ შეინახე. ჩინეთში რომ იყავი „მის მსოფლიოზე“, შორიდან თვალყურს გადავენებდი. ერთ-ერთი „მის“ გამოვიდა და ფოკუსებს აკეთებდა. შენ გქონია სურვილი, კეთილი ჯადოქარი ყოფილიყავი? — კი, მქონია...

— მაშინ, მე ერთ ასეთ იდეას შემოგთავაზებ: ერთი კეთილი ჯადოქარს კარგი სიმღერა ჩანერე, სადაც ტექსტში ლაპარაკი იქნება იმაზე, თუ როგორ აქრობ და აჩენ რაღაც რაღაცებს. ამ სიმღერაზე მერე, კლიბც გადავიღოთ. მეც მივიღებ მასში მონაწილეობას. შენ იმღერებ და კეთილი ჯადოქარის როლში იქნები, მე კი — ფოკუსებს გავაკეთებ. ასეთი კლიბ ჯერ არ გადაუღიათ.

— კარგი იდეაა. ვიფიქრებ ამაზე.

— ირინა, რამდენი შვილი გინდა, რომ გყავდეს?

— ბევრი (იცინის). ბავშვობიდან მინდოდა, ოთხი შვილი მყოლოდა, რადგან ჩვენ ოთხი დედამიწვილი ვართ, დები. დედაჩემიც ოთხშვილიანი ოჯახიდანა და ამიტომ, ტრადიციის გაგრძელება მეც მინდოდა, მაგრამ ახლა, დებს რომ ვუყურებ და დისვილებს, არ არის ადვილი დღეს ბავშვების გაზრდა...

— ბიჭები გინდა, რომ გყავდეს თუ გოგონები?

— ღმერთი რასაც ინებებს... ისე, ორი ბიჭი

და ორი გოგო — იდეალური ვარიანტია.

— ირინა, ახლა მე და შენ სურათები გადაგვიღეს. ჩემზე საკმაოდ მაღალი ხარ. როგორც გაირკვა — 1 მეტრი და 86 სანტიმეტრი. როგორ გრძნობ თავს ჩემნაირი დაბალი მამაკაცების გვერდით?

— აბსოლუტურად ჩვეულებრივად. ნებისმიერი ადამიანი — პიროვნება, ინდივიდი და მას სიმაღლისა და სიდაბლის მიხედვით არ ვფასებ. მშვენიერად ვგრძნობ თავს მათ გვერდით. დაბლებმა იკითხონ (იცინის)...

— ზემოდან უყურებ?

— არა, ასეთი ტიპი არა ვარ. სიმაღლეს რა მნიშვნელობა აქვს?! შეიძლება, დაბალიც იყო და ხალხს ზემოდან უყურებდე. ეს ადამიანის შინაგანი ბუნებიდან მოდის. მე ზემოდან არავის უყურებ, ყოველ შემთხვევაში, ვცდილობ.

— ისე, ისტორიას, ხელოვნებას, მეცნიერებას თუ გადავავლებთ თვალს, ყველა დიდი ადამიანი ტანდაბალი იყო: ჩარლი ჩაპლინი, ნაპოლეონი, პიტლერი, ლენინი, სტალინი, აინშტაინი, მარადინა ალ პაინო, დე სრო, ბანდერასი, ზურა ვადაჭკორი და ჯაპანა... ტანდაბალი მამაკაცებისთვის მაღალი ქალბატონები იყვნენ შთაგონების წყარო და მუზეუმი. აბა, მაღალი მამაკაცი რას გააკეთებდა?! ტანდაბალი ქალბატონებიც სომ არ გავისსწროთ?

— მერილინ მონრო, ედიტ პიაფი, კლეო-

პატრა, მადონა, ჯენიფერ ლოპესი...  
— რაც ჩვენში კონკურსი — „მის საქართველო“ დაიწყო, მუდმივად თვალყურს ვადევნებ. შენზე ლამაზი ქალი ჯერ არ აურჩევიათ. და კიდევ, ძალიან კარგად მახსოვს — „მის მსოფლიოზე“ თურქმა ქალმა რომ გაიმარჯვა, ულამაზესი იყო. — სხვათა შორის, ყველას ის ერთი თურქი ახსოვს, მაგრამ „მის მსოფლიოს“ ისტორიას თუ გადავხედავთ, ბევრჯერ ყოფილა იქ თურქი არჩეული, ერთხელ — ინდოელი და ორჯერ — რუსი...



ჩვენ გაოცებთ, კი არ ვიტყვი-ბით

— ახლა რომ გითხრან, კონკურსში უნდა მიიღო მონაწილეობა — მაგალითად „მის ევროპაზე“, — გახფოდოდი?  
— გავიდოდი, მაგრამ ყველაფერს სხვანაირად გავაკეთებდი. უპირველესად, იმ კაბას არ ჩავიცვამდი, რომელიც „მის მსოფლიოზე“ მეცვა. სამინიელი კაბა იყო. ვფიქრობდი — „მის მსოფლიოს“ ორგანიზატორი, პრეზიდენტი ჯულია მორლი ჩემს კაბას რომ დაინახავს, გული გაუსკდება-მეთქი, რადგან როდესაც კონკურსანტები სცენაზე საცურაო კოსტიუმებით გამოდიან, მას ეს არ სიამოვნებს... დრო რომ დაბრუნდეს და ისევ მომეცეს იქ წასვლის შანსი, ზუსტად ვიცი, იმ კაბას აღარ ჩავიცვამდი. რალაც უბრალოს, სადას შევარჩევდი.  
— შენ ვინ მოგწონა კონკურსენტი ად კონკურსანტი „მისებიდან“?  
— ასე არ არის — მაგალითად, ჰოლანდიელ გოგოს ულამაზესი სახე ჰქონდა, მაგრამ ტანი არ უფარგოდა... ჩემს დროს, ცუდი ნაკადი იყო. ბარბის თოჯინებს ჰგავდნენ. ვინც „მის მსოფლიო“ გახდა, ისიც „ბარბი იყო. საკმაოდ კარგი გოგონები იყვნენ სამხრეთამერიკელები — ვენესუელიდან, პერუდან, — მაგრამ 2002 წელს გამარჯვებულ თურქ გოგონას (აზრა აკიმი) არც ერთი არ სჯობდა. ის ყველანაირად გამორ-

ჩეული იყო, შინაგანად „ციმციმებდა“.  
— სწორად ლაპარაკობენ იმაზე, რომ კონკურსზე — „მის საქართველო“ — მაინცდამაინც გამორჩეული გოგონები არ ხვდებიან. შეიძლება, ამ საქმეში დილემანტი ვარ, მაგრამ გოგონებს, როგორც მამაკაცი, ისე ვაფასებ და დიდად კმაყოფილი არა ვარ. მაგალითად, შენ „მის საქართველო“ რომ გახდი, მთელი 100%-ით დაგიჭირე მხარი. ეტყობა, ვერც სხვები გაეცნენ შენს სილამაზეს...  
— დიდი მადლობა! ახლა, რაც შეეხება პრობლემას — რატომ ვერ ხვდებიან კონკურსზე ლამაზი გოგონები, მაშინ, როცა ქუჩაში უამრავი ლამაზი გოგო დადის. საქმე ის არის, რომ ამ გოგონებს არა აქვთ სურვილი, კონკურსში მიიღონ მონაწილეობა, ზოგიერთს ოჯახი არ უშვებს. მე რომ კონკურსის ორგანიზატორი ვიყო, სააგენტოში კი არ დავინებებდი გოგონებს, არამედ კარდაკარ — ინსტიტუტებში, სკოლებში, დანესტრულეებში ვივლიდი და ისე ავარჩევდი. ვთხოვდი გოგონებს, მონაწილეობა მიეღოთ, რადგან საბოლოოდ, ეს ყველაფერი მაინც ორგანიზატორის სახელია, რადგან კონკურსის ის ატარებს.  
— იქნებ, მიზეზი ისიც არის, რომ აქ დიდი ჰონორარი არა აქვთ ქართველ „მისებს“. არადა, მსოფლიოში მათ ბევრს უხდიან...  
— არა. სხვათა შორის, იქ გოგონებთან მქონდა საუბარი — ვის რა ერგო იმი-სთვის, რომ თავისი ქვეყნის „მის“ გახდა. ყველას გასაოცრად გეტყვით, რომ მათ ჩემი პრიზები გაუკვირდათ — ბინა თბილისში და ავტომანქანა. მათ მსგავსი არაფერი ჰქონდათ მიღებული.  
— მოდელიც ხარ და მომლერალიც. რომელი საქმიანობაა უფრო „შენეული“?  
— პროფესიით იურისტი ვარ. ძალიან მიყვარს სიმღერა და ხანდახან, პოდიუმზეც გამოვდივარ. ყველაფერს ერთდროულად რომ ვაკეთებ, მსიამოვნებს. ვერაფერს დავთმობ. ახლახან, მაია კაჭკაჭიშვილის სიმღერა ჩაენერე. „ლუკოილის“ სახე ვარ, საინტერესო ფოტოგადაღებებში, სხვა პროექტებში ვმონაწილეობ...  
— კარგია, როცა ბევრი რამ შეგიძლია. ვინ არის შენი საყვარელი მსახიობი?  
— როგორც არაპროფესიონალი, ადამიანებს გარეგნობით ვაფასებ. ძალიან მომწონს ბენ აფლეკი, ბრედ პითი; ქალბატონებიდან — ანჯელინა ჯოლი.  
— მომლერლებიდან?  
— მომლერლებს ხმის მიხედვით ვარჩევ. მომწონს ჯამი როკვაი, უიტნი ჰიუსტონი.  
— პოლიტიკოსებიდან ვის დაასახელებდი?  
— აპოლიტიკური ადამიანი ვარ. ისე, ბუმის დასახელება შემიძლია...  
— რას უსურვებ შენს მაცურებელს, მამენელს, მკითხველს?  
— ყველაფერს საუკეთესოს. გოგონებს ვურჩევ, ჩაიხედონ სარკეში და მერე, აუცილებლად გადწევიტონ, კონკურსში მონაწილეობა. ნუ დამალავენ საკუთარ სილამაზეს.  
— მადლობა ინტერვიუსთვის! წარმატებებს გისურვებ, ჯანმრთელობას,

ოთხშვილიანობას და იმ სამი სურვილის ასრულებას; ღვთის მფარველობას და — 100 წელი, ასეთი ლამაზი ყოფილიყავი!  
— დიდი მადლობა.

ქარნალისტი — ირინა ონაშვილი  
რესპონდენტი — გურა პალაპორია

— ახლა თქვენზე მიაბებთ!  
— ვაკეთებ ფოკუსებს. იმიტომ ვაკეთებ, რომ მიყვარს და ამიტომაც, უფრო კარგად ვაკეთებ. ამ საქმის მიმართ სიყვარული რომ არ მქონდეს, ზერელედ გავაკეთებდი. სცენაზე რომ გამოვდივარ, მსახიობი კი არა ვარ — ილუზიონისტი გახლავარ, რადგან ილუზიონისტის როლს არ ვთამაშობ. მოკლედ, რაცა ვარ, ესა ვარ. ჩვეულებრივი ადამიანი ვარ. ქუჩაშიც დავდივარ და ნაყინსაც ვჭამ, თუმცა ხანდახან, ხალხის ყურადღების ცენტრში ვექცევი, „ტიქნიკურად“ მითვალთვალებენ და მაკონტროლებენ ხოლმე, რას ვაკეთებ.  
— თქვენი ნიჭი ცხოვრებაში თქვენს სასარგებლოდ თუ გამოგიყენებიათ?  
— საერთოდ, ადამიანი ყველაფერს თავის სასარგებლოდ აკეთებს. ჩემი საქმე ჩემს სასარგებლოდაც და სხვის სასარგებლოდაც გამოგიყენებია. ამბობენ, ილუზიონისტები იტყუებიანო. ეს არასწორია. ილუზიონისტი აოცებს დაყურებულს. ტყუილი ის არის, როდესაც ადამიანს რალაცს დაჰპირდები და არ შეასრულებ. ჩვენ, ილუზიონისტები, არ ვიტყუებით.  
— როგორ? თქვენი მოქმედებები ხომ ტყუილია!  
— ჩვენ გაოცებთ, კი არ ვიტყუებით. ჩვენი ტყუილი თქვენ გიკვირთ და ამით არავის არ ვწნებთ.  
— კი, ბოროტი არ არის, მაგრამ...  
— ეს არის საოცრება, რომელიც აწყობილია ტყუილზე და სასიამოვნო სანახავია. ამავე დროს — დამინტრიგებელი. ჩვენს საქმეს დევიდ კოპერფილდმა დიდი პოპულარიზაცია გაუწია, მსოფლიოს დაანახვა, რომ ილუზიონისტი შეიძლება იყოს წარმატებული, მდიდარი, მყავდეს ლამაზი მეგობარი, ინატროს და აუხდეს...  
— არ გქონიათ სურვილი, დევიდ კოპერფილდს ჰორადად შევედროდით?  
— მას პირადად 1997 წელს, მოსკოვში შევხვდი და გაცივანი. კრემლის სასახლეში 3 კონცერტი ჩაატარა. დევიდს მოსკოვის ილუზიონისტთა კლუბში შეხვედრამ მოუწყვეს. მეც ვიყავი ამ ილუზიონისტებს შორის. თითო-თითო ფოკუსი ყველამ ვუჩვენეთ. ამ ადამიანს პატივს იმეტივ ვცემ, რომ მან ჩვენს ჟანრს პოპულარიზაცია გაუწია, თუმცა ამერიკაში, როგორც პროფესიონალმა, ფეხი ვერ მოიკიდა. არადა, ყველა ძლიერი ილუზიონისტი ლას-ვეგასში მოღვაწეობს — მაგალითად, ლარზ ბარტონი, მაიკლ ლამა, ზინი როი. ჩემთვის დევიდ კოპერფილდი, ამ ილუზიონისტების ფონზე, ყოველთვის მეთვალყურისობსო იყო...  
— თქვენ არ გქონიათ უცხოეთში მუშაობის სურვილი?  
— მე ვმუშაობდი მაიამიში, ორლანდოში — „დისნეი ლენდში“. მაგრამ ლას-ვე-

გასმი რომ ვიმუშაო, ამისთვის დიდი შოუ უნდა მქონდეს, — ისეთი, როგორც ზისრი როის აქვს. თან, ამერიკაში მუშაობის უფლება უნდა მოვიპოვო... ირინა, შენ ნელ-ნელა თქვი, „დალაგებულ“ ქვეყანაში მინდა ვიცხოვრო. მეც ეს მინდა. როცა აქ გეყენება ადამიანს შესაბამისი პირობები, უცხოეთში ნასვლა აზრადაც არ მოგვივა. ვმ ქვეყანა მოვიარე. ნიკარაგუაშიც კი ნამყოფი ვარ, ჰონდურასის საზღვარზე...

— **ზურა, ჩვენ სინამდვილეში, რომ მიინდომოთ, რას გააქრობდით?**

— ეს კითხვა დაახლოებით იმას ჰგავს, მე რომ გკითხე — რა სამ სურვილს ჩაიფიქრებ-მეთქი?... რომ შემეძლოს, ადამიანებში ბოლმას, სიძულვილს, ღვარძლს გაქაჩოვებდი, იმ თვისებებს მოგსპობდი, რომლებიც მას ადამიანობას უკარგავს. ჯანსაღი კონკურენცია „მოსულა“, მაგრამ — არა ბოროტება. რომ შემეძლოს, ბოროტებას მოვსპობდი და გაქაჩოვებდი.

— **მერე, თქვენ ხომ შეგიძლიათ გაქრობა!**

— არა ვარ ყოვლისშემძლე. რომ ვიყო, მაშინ ეს კითხვაც არ დაგვებადებოდა...

— **კარგი. მაშინ, თქვენ მეორე სურვილის შესახებ მითხრობ.**

— მეორე სურვილი ის იქნება, რომ ადამიანებს ჯანმრთელობას მივცემდი — ის დღეს ბევრს აკლია...

— **შესაძლებელია სურვილი?**

— თუ ბოროტება გაქრა, ადამიანები გამოჯანმრთელდნენ, ასეთ დროს, „დალაგებულ“ ქვეყანაში ცხოვრებაც სასიამოვნოა...

— **ოდნავ მაღალი რომ იყოთ იმაზე, ვიდრე ხართ?**

— მქონია ასეთი სურვილიც, მაგრამ...

— **ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატზე რომელ გუნდს გულშემოტკიცებთ?**

— მე ლამაზ ფეხბურთს ვგულშემოტკიცებ, ლამაზ სანახაობას. საერთოდ, ყველაფერი ლამაზი მიყვარს.

— **როგორც ილუზიონისტი, რომელ გუნდს დაეხმარებოდით?**

— პატრიოტი ვარ, მინდა, საქართველოს ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატზე მოხვედეს.

— **როგორც ვიცი, თქვენს საქმიანობას ეკლესია კრძალავს...**

— მსახიობობას, მომღერლობას არ კრძალავს?... ირინა, ჩვენ ხომ შევთანხმდით, რომ ილუზიონისტის პროფესია არავის ენებს, მას ზიანი არავისთვის მოაქვს. ეკლესიაში დავედივარ, ვლოცულობო...

— **ალსარება გითქვამთ?**

— დიახ. ერთია — მარხვას ვერ ვინახავ; ხელში კარტი მიჭირავს, ფოკუსებს ვაკეთებ. მარხვის დროს რომ მითხრან — კონცერტი, — უნდა წავიდე...

— **იქნებ, რაიმე ფოკუსი გვიყვართ?**

— სიამოვნებით (ზურა ვადაჭკორიამ ჯიბიდან ხუთლარიანი ამოიღო, შუაზე გადაკეცა, გადახია და კიდევ, ხელის სწრაფი მოძრაობებით ისე გადაკეცა, რომ ბოლოს, კუპიურა გამოვლიდა. „ვაიმე!“ — ნამოიძახა გაოცებულმა ირინამ. „აი, ეს არის, რა!“ — უპასუხა ზურამ).

# "მი დანა არ მძინია, არ ვიცი, ბირბვლიანს სხეულზე ჭრილსებები საიდან აღმოაჩნდა"

## განსასჯელმა აღანიამ სასამართლოს ჩვენება მისცა

„გაერთიანებული ქართული ბანკის“ თანამშრომლის — 27 წლის საანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმის სასამართლო განხილვა თბილისის საქალაქო სასამართლოში კვლავ დაძაბულად მიმდინარეობს. წინა პროცესზე გირგვლიანების ოჯახის ადვოკატმა — შალვა შავგულიძემ მოსამართლის — გიორგი ჩემიასა და პროკურორების აცხილება მოითხოვა.

### შალვა შავგულიძე:

„ამ მოთხოვნის საფუძველი გახლდათ ის, რომ ჩვენ მიერ ზედინდელ დაყენებული შუამდგომლობები მოსამართლემ, ყოველგვარი მოტივაციისა და განმარტების გარეშე, არ დააკმაყოფილა. ყოველივე ეს სასამართლოს ტენდენციურობაზე მეტყველებს და მიგვაჩინია, რომ არც მოსამართლე და არც პროკურორები საქმეზე ჭეშმარიტების დადგენით დაინტერესებული არ არიან. შუამდგომლობები ეხებოდა საქმეზე დართული ნივთმტკიცებების გამოთხოვას და მათ დამატებით შესწავლას. კერძოდ, ლაპარაკი იყო თბილისის პროკურატურის მიერ წინასწარი გამოძიების პერიოდში დაკითხულ მოწმეთა ჩვენებებისა და ამოცნობის პროცედურების ამსახველი ვიდეომასალის შესწავლაზე. მაქვს ინფორმაცია, რომ აღნიშნული საგამოძიებო მოქმედებების დროს, უხეშად დაირღვა საპროცესო ნორმები. მაგალითად, ამ ინფორმაციის თანახმად, გამოძიებელი ტელეფონით იღებდა მითითებებს ხელმძღვანელებისგან, რაც ყოველად დაუშვებელია და ამ დეტალების სათანადო გამოკვლევის გარეშე, სასამართლო გამოძიება სრულყოფილი ვერ იქნება. მიუხედავად ამისა, შუამდგომლობა მოსამართლემ არ დააკმაყოფილა და მას არც ბრალდების მხარე დაუჭირა მხარი.“

შავგულიძე აღინიშნავს იმასაც, რომ პროკურატურის წარმომადგენლები სასამართლო პროცესზე მას დაცვის განხორციელების საშუალებას არ აძლევდნენ და ყველანაირად ცდილობდნენ, შეზღუდონ. სწორედ ამას ეხებოდა ადვოკატის მეორე შუამდგომლობა, რომლითაც მან პროკურორების აცხილება მოითხოვა, მაგრამ მოსამართლისგან ამაზეც უარი მიიღო.

მანამდე კი, სასამართლომ საქმეში მთავარი ბრალდებული — შს სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დაცვის პირველი სამმართველოს ყოფილი უფროსი — გია აღანიამ დაჰკითხა. მის ჩვენებას დაზარალებული მხარის წარმომადგენლები აბსურდულს და ულოგიკოს უწოდებდნენ და ასეთი კომენტარს უკეთებენ: „აღანიამ მკვლელობის ღამეს განვითარებული მოვლენების თავისი ვერსია დეტალურად გაიხსენა და თავისი ცნობილი ჩვენება კიდევ ერთხელ გაიმეორა.“

### აღანიამ ჩვენებიდან:

„...საღამოს, დაახლოებით 8 საათზე, მე და დათა ახალაია ჩემს სამუშაო კაბინეტში ვიმყოფებოდით და საქმეზე ვსაუბრობდით. მაშინ ახალაია მიმართა: „შალვა, შენ ხარ ადვოკატი, მაგრამ რატომ იგინებო-“

ფეხობდით და საქმეზე ვსაუბრობდით. მაშინ ახალაია მითხრა — ამ ღამით, 12 საათისთვის „შარდენ ბარში“ ვიკრიბებით და შენც წამოდიო. ბევრი საქმე მქონდა მოსაგვარებელი, ამიტომაც არ ვიცოდი ზუსტად, წავიდოდი თუ არა. მოგვიანებით, როცა სამსახურის საქმეები მოგავიკრე, ნასვლა გადაწყვიტე. დავუკავშირდი თანამშრომლებს — ავთო აფციანურს და ალექსო ლაჭავს. შევთავაზე, სახელში ერთად წავიდეთ-მეთქი. სამივენი ნუცუბიძეზე ვცხოვრობთ და ამიტომაც, შინ ყოველთვის ერთად ვბრუნდებოდით ხოლმე. ორივეს ვუთხარი, რომ სულ 15 წუთით შევირბენდი „შარდენ ბარში“ და შემდეგ, მათთან ერთად, სახლში წავიდოდი... გზები მოყინული იყო. ამის გამო, ჩემი მანქანა სამსახურში დაგვოვე და სამსახურის „მეილის“ ჯიბით წავედი. მანქანას ნომრები არ ჰქონდა და ამიტომ, „ოპერატიული“ ნომრები გავუკეთე. ბარს რომ მივუახლოვდით, დავინახე, კართან, დაახლოებით 2-3 მეტრში, ახალგაზრდა მამაკაცი იდგა და ჩვენს ერთ-ერთ თანამშრომელს — გურამ დონაძეს აგინებდა. გაბრაზებული, მასთან მივედი და ვკითხე — ვინ ხარ? რატომ იგინებო-მეთქი? — შენ ვინ ხარო? — მიპასუხა და მეც შემაგინა. შემდეგ, გზა განაგრძო. მალე მას კიდევ ერთი ახალგაზრდა შეუერთდა. საქმის გასარკვევად, მათ უკან გავეყვი. ლესელიძის ქუჩის მიმართულებით წავიდნენ. მე მანქანაში, სადაც ლაჭავა და აფციანური მელიოდებოდნენ, ჩავჯექი და უცნობ ახალგაზრდებს მანქანით დავეწიე. თან, დავურჯე თანამშრომელს — მიხეილ ბიბილოვს, რადგან ვიფიქრე, რომ თუკი ახალგაზრდების დაკავება გახდებოდა საქირო, მას გაეყაყა და, თავად კი, ბარში წავიდოდი. მათ რომ წამოვიყვანიე, ვინაობა წავიხსენე. საქმის გარკვევას კიდევ ერთხელ ვეცადეთ, მაგრამ სიტუაცია



ძალიან დაიძაბა. ისინი მანქანაში ჩავსვით. ვიდრე ბიბლიური ჩვენამდე მოვიდოდა, მანქანი თავისუფლების მოედანს ორი წრე დავარტყით და შერის მახლობლად, საქართველოს ბანკის შენობასთან გავჩერდით. მანქანის ორივე კარი ღია იყო, მაგრამ არც ერთ მათგანს გაქცევა არ უცდია. ამბობდნენ — ნავიდეთ აქედან და საქმე გავარკვიოთო. მანქანა დავფარით და სანამ საქმეს გავარკვევდით, მივხვდი, რომ თბილისიდან გავედით. მანქანა ოქროყანაში გავაჩერეთ და გადმოვედით. სანდროს რომ დავარტყი, დავცა, ამიტომ, ჩხუბი ბუხაიძესთან გავავრძელებო. ამასობაში, ბიბლიურიც მოვიდა. როცა შევნიშნე, ის უკვე გირგვლიანთან ჩხუბობდა. ამ დროს, მოულოდნელად გაისმა სროლის ხმა. დავინახე, რომ ბიბლიური ისროდა. მან მითხრა — სანდროს ხელში დანა ეჭირა და გაფრთხილების მიზნით, ჰაერში ვისროლოო. მერე დავინახე, რომ ვიღაც გარბოდა და ჩვენც წავედით...“

შეკითხვა — ჰქონდათ თუ არა მათ (ალანასა და მის თანმხლებ პირებს) დანა? — ალანიამ ასე უპასუხა: „ჩვენ დანა არ



გვექონია და არ ვიცი, საიდან აღმოაჩნდა სანდრო გირგვლიანს სხეულზე დანით მიყენებული ჭრილობები“. ბრალდებულმა ალანიამ აღნიშნა ისიც, რომ მომხდარის შესახებ იმ დღეებში მას არავისთვის მოუყოლია.

დანარჩენი განსასჯელები — შს სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დაცვის ყოფილი თანამშრომლები: აფციაური, ღვაჭავა და ბიბლიური — მომხდართან დაკავშირებით, სასამართლოს ჩვენებებს არ აძლევენ. ისინი კანონით მინიჭებულ დუმილის უფლებას იყენებენ და ნარდგენილ ბრალდებებში თავს დამნაშავედ არ ცნობენ. გირგვლიანის მკვლელობის საქმეში თავს უდანაშაულოდ აცხადებს გია ალანიაც. ერთადერთი, რასაც ის აღიარებს, — სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაა.

სასამართლო პროცესზე დაიკითხა ოქროყანაში მდებარე ავტოგასამართი სადგურის თანამშრომელი — ალექსანდრე საჯაიაც. მან მკვლელობის ღამეს, ნაცემი ლევან ბუხაიძე შეიფარა.

**ალანისადრე საჯაია:**

„ღამის 3 საათი იქნებოდა, როცა მოვიდა. მხოლოდ მაისური და ტრუსი ეცვა. სახეზე და თავის არეში ცემის კვალი აშკარად ეტყობოდა. მაშინ მომიყვა, რომ ის და მისი მეგობარი თბილისში, კიროვის ქუჩაზე უცნობმა პირებმა მანქანაში ჩასვეს და ოქროყანაში წაიყვანეს. იქ სტუმრე, ტანსაცმელი გახადეს, დააყაჩაღეს და საბუთები წაართვეს. ბუხაიძემ ისიც თქვა, ჩემმა მეგობარმა გაქცევა შეძლოო...“

ადვოკატმა შალვა შავგულიძემ, საჯაიას ჩვენების სისწორეში ეჭვი შეიტანა. მისი თქმით, საჯაიას მიერ წინასწარი გამოძიებისთვის მიცემულ და ამჟამინდელ ჩვენებებს შორის, წინააღმდეგობა ფიქსირდება.

ადვოკატის თქმით, ადრინდელ ჩვენებაში საჯაია ამბობს, რომ უცნობმა შეიარაღებულმა პირებმა ბუხაიძე და მისი მეგობარი არა კიროვის, არამედ ლესელიძის ქუჩიდან აიყვანეს. ადვოკატმა მოწმეს სთხოვა, დაეზუსტებინა, თუ რომელი ჩვენება იყო სწორი. მოსამართლემ ადვოკატს კითხვა შეაწყვეტინა და განაცხადა, რომ საჯაიამ წინასწარი გამოძიების დროსაც ზუსტად ის თქვა, რაც ახლა — სასამართლო დარბაზში. ადვოკატმა შავგულიძემ ამასთან დაკავშირებით პრეტენზიები გამოთქვა და აღნიშნა, რომ სასამართლო სხდომაზე მას მონებებისთვის კითხვის დასმის საშუალება არ აძლევენ.

პროცესზე დაიკითხნენ სხვა მოწმეებიც, სანდრო გირგვლიანის რამდენიმე მეგობარი, მათ შორის — ზაალ ქურციკაშვილიც. მკვლელობის ღამეს, ისიც „შარდენ ბარში“ იმყოფებოდა და მეზობელ მაგიდასთან, გირგვლიანსა და მისთვის უცნობ პირებს შორის მომხდარ ინციდენტს შეესწრო.

**ზაალ ქურციკაშვილი:**

„იმ მაგიდასთან ჩემთვის უცნობი რამდენიმე მამაკაცი და სამი ქალი იჯდა. სანდრო ჯერ ჩვენს სუფრასთან მოვიდა, შემდეგ იმ მაგიდასთან გადაინაცვლა, სადაც ზემოთ სხენებულ უცნობი პირები ისხდნენ. დავინახე, რომ ის სუფრასთან მჯდომ ახალგაზრდა ქალს გამოეუბლაპარაკა. სანდროს უსიამოვნო გამოემეტყველება ჰქონდა. მივხვდი, რომ რაღაც ხდებოდა და მას შემდეგ, რაც სანდრო იმ სუფრას მოშორდა, მე მივედი აღნიშნულ მაგიდასთან და უცნობ მამაკაცს, რომელიც იმ გოგონასთან იჯდა, ვისაც სანდრო ელაპარაკებოდა, ზურგზე ხელი დავარტყი, ვუთხარი — თუ ჩემმა მეგობარმა რამე განწყენინა, მე გიხდი ბოდიშ-მეთიო...“

დაიკითხა კიდევ ერთი მოწმე, ლევან ბუხაიძის მეგობარი — თორნიკე ჩიკვაიძე. იმ ღამეს, ჩიკვაიძეც ბარში იმყოფებოდა. ბუხაიძე ამბობს, რომ სანდრო გირგვლიანს ჩიკვაიძე მან სწორედ მაშინ, ბარში გააცნო. ჩიკვაიძის ჩვენება იმ მხრივ აღმოჩნდა მნიშვნელოვანი, რომ მან არ დაადასტურა განსასჯელ გია ალანიას ჩვენება. ჩიკვაიძის თქმით, იმ ღამეს, ბართან, გარეთ გირგვლიანსა და ალანიას შორის არანაირი ინციდენტი არ მომხდარა. ალანია კი, პირიქით, ამბობს, რომ მასა და გირგვლიანს შორის პირველ, მცირე შელაპარაკებას სწორედ იქ ჰქონდა ადგილი.

„ბუხაიძე და გირგვლიანი, ბარდან გასვლისას გეგავილე და ასეთი არაფერი შემინიშნავს“, — განაცხადა ჩიკვაიძემ.

ადვოკატმა შალვა შავგულიძემ, მკვლელობის ღამეს „შარდენ ბარში“ მყოფი თაკო სალაყაიას, ანა კალანდაძის, ოლეგ მელნიკოვისა და ვასილ სანოძის მძღოლის, ლევან ჩიფლაშვილის მობილურ ტელეფონებზე განხორციელებული შემაჯავლი და გამავალი ზარების დეტალური ამონაწერი მოითხოვა. ამასთან დაკავშირებით, მან მოსამართლეს მორიგი შუამდგომლობით მიმართა. „ჩემთვის

გაუგებარია, რატომ მოხდა ტელეფონებზე დაფიქსირებული ზარების გამოკვლევა შერჩევით. პროკურატურამ წარმოადგინა მხოლოდ დონაძის, ახალაიას და ალანიას მობილურ ტელეფონებზე განხორციელებული ზარების დეტალური ამონაწერი, სუფრის დანარჩენი წევრებისა კი, არსად ჩანს. აქედან გამომდინარე, ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი იმისა, რომ სწორედ ამ ზარებში იმალება მნიშვნელოვანი ინფორმაცია“, — აღნიშნავს შავგულიძე.

როგორც ცნობილია, პროცესს არასამართლო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც ესწრებიან. „თანასწორობის ინსტიტუტის“ წევრმა, ირაკლი კაკაბაძემ უვადო შიმშილობა გამოაცხადა და აღნიშნა, რომ იშიმშილებს იმ შემთხვევაში, თუ სამართალდამცველები სანდრო გირგვლიანის მკვლელობის შემკვეთებს არ დააკავებენ და არ დასჯიან.

**ირაკლი კაკაბაძე:**

„ვადას ვაძლევ — ამ თვის 20 რიცხვამდე. მკვლელები — ახალაია, დონაძე და მათი დამქანებები უნდა დააპატიმრონ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვინცერთი შეურიგებელ და საყოველთაო დაუმორჩილებლობის კამპანიას მოეუწოდებთ სასამართლო ხელისუფლებას — იყოს სამართლიანი და დასაჯოს არა მარტო მკვლელობის შემსრულებლები, არამედ პირველ რიგში, შემკვეთები.“

ირაკლი კაკაბაძე, სააპელაციო სასამართლოს წინ გამართული საპროტესტო აქციის გამო, ორგანიზაციის სხვა წევრებთან ერთად დააკავეს და 30-დღიანი ადმინისტრაციული სასჯელიც შეუფარდეს.

სასამართლო პროცესიდან გააძევეს ოპოზიციონერი, „ახალი მემარჯვენეების“ ლიდერი დავით გამყრელიძე. რამდენიმე დღის წინ, მან გააკეთა განცხადება, შინაგან საქმეთა მინისტრის ცოლის — თაკო მერაბიშვილის შესახებ: გამყრელიძის თქმით, მკვლელობის შემკვეთი სწორედ ის გახლავთ. „იმ ღამეს, განკარგულება სანდრო გირგვლიანისა და მისი მეგობრის დასჯის თაობაზე, სწორედ თაკო მერაბიშვილმა გასცა. ამ განცხადებისთვის პასუხს ვაგებ და ვისაც სურს, სასამართლოში მიჩივლოს“, — განაცხადა გამყრელიძემ.

მისივე თქმით, მინისტრის ცოლის განკარგულების სისრულეში მოყვანა დათა ახალიამ მელნიკოს დაავალა. „მელნიკოვი პირადად ხელმძღვანელობდა ამ ოპერაციის შემსრულებლებს — ალანიასა და იმ ადამიანებს, ვინც დღეს გისოსებს მიღმა სხედან“, — აღნიშნა გამყრელიძემ.

წიგლის გამართულ სხდომაზე გამყრელიძე არ დაუშვეს. იმის გამო, რომ მას ლეიბორისტული პარტიის ლიდერი — შალვა ნათელაშვილი გამოექომაგა, მოსამართლე გიორგი ჩემიამ დაუყოვნებლივ მიიღო გადაწყვეტილება, ნათელაშვილი დაეჯარიმებინა. სწორედ მოსამართლის გადაწყვეტილებით, ნათელაშვილი, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის გამო, 400 ლარით დაჯარიმდა. ხოლო „მემარჯვენეების“ წარმომადგენელი — მანანა ნაჭყვიანი მოსამართლემ 100 ლარით იმისთვის დააჯარიმა, რომ მან პროცესზე ხმაყალი რეპლიკა გააკეთა. სასამართლოს შენობის დატოვებისას კი, გამყრელიძემ კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ მთელი პროცესის მსვლელობა შს მინისტრის ცოლის მიერაა შეკვეთილი.



# „მზად ვარ, სვანური წესით გაქვსაქარილონ“

## „თბილგამის“ ყოფილი მმართველის ამ განცხადებას მოსამართლე ღიმილით შეხვდა...

ეი-ი-ეს-თელასის ფინანსური მენეჯერის — ნიკა ლომინაძის მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით, პროცესი თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარეობს. „მზად ვარ, სვანური წესით გამასამართლონ“, — ასეთი განცხადება გააკეთა სხდომაზე, მკვლელობის შეკვეთაში ბრალდებულმა, „თბილგამის“ გაკოტრების ყოფილმა მმართველმა, გიორგი გვიჩიანმა. ის წარდგენილ ბრალდებაში თავს დამნაშავედ არ ცნობს და აცხადებს, რომ ის, ისევე, როგორც ლომინაძის მკვლელობაში სხვა ბრალდებულები, სრულიად უდანაშაულონი არიან.

„ჩემ მიმართ ეჭვები თავიდანვე, ყალბი ჩვენებების გამო გაჩნდა. ეს ჩვენებები ჩემი ოჯახის პირადმა მტერმა — ნოდარ გვიჩიანმა მისცა სამართალდამცველებს. სწორედ ამ ადამიანის ცრუჩვენებების გამო ჩატარდა აფრასიძეების. მზად ვარ, სვანური წესით, ხატზე გავიდე და დოკუმენტურად დავამტკიცო ჩემი უდანაშაულობა. ამ წესით, დაზარალებულის და ჩემი ოჯახის ოთხ-ოთხი წარმომადგენლის, ასევე, ოთხი ნეიტრალური ადამიანის წინაშე დავამტკიცებ, რომ უდანაშაულო ვარ. თორმეტივე უნდა დაიჯეროს ჩემი სიმართლე და დაიფიცოს ხატზე, რომ მკვლელობაში ბრალი არ მიმიძღვის, რაც იმას ნიშნავს, რომ გავმართლები. თუ თორმეტიდან ერთი მაინც არ დაიფიცებს, შეგიძლიათ მიიჩნიოთ, რომ დამნაშავე ვარ და 20 წელიც მომიხაჯეთ“, — განაცხადა განსასჯელმა.

გვიჩიანმა ისიც აღნიშნა, რომ გასამართლების სვანური წესი ამერიკულ დემოკრატიკაზე უფრო სამართლიანია. მოსამართლემ კი, განსასჯელს ურჩია, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, კონსულტაცია ადვოკატთან გაეკეთებინა. განსასჯელის ამ ინიციატივამ მოსამართლისა და ადვოკატების ღიმილი, სხდომის დამსწრეებში კი, გაოგნება გამოიწვია.

შეგახსენებთ, რომ გიორგი გვიჩიანი, ნიკა ლომინაძის მკვლელობის შეკვეთის ბრალდებში, 2006 წლის 7 მარტს, საკუთარ კაბინეტში დააკავეს. გვიჩიანმა თავიდანვე უარყო ბრალდება. მისი თქმით, ამ საქმესთან მისი დაკავშირება, ნუგზარ და ნოდარ გვიჩიანების ანგარიშსწორების შედეგს წარმოადგენს. განსასჯელის ინტერესების დამცველი ადვოკატის — დიმიტრი ხაჩიძის თქმით, 1991

წელს, ნოდარ და ნუგზარ გვიჩიანებს უფროსი ძმა მოუკლეს. ამ მკვლელობას ძმები, გიორგი გვიჩიანის ნათესავს აბრალებდნენ. სწორედ ამის გამო, ამ ორ ოჯახს შორის მტრობა ჩამოვარდა. ადვოკატი იმასაც ამბობს, რომ რამდენიმე ხნის წინ, გიორგი გვიჩიანს ნოდარ გვიჩიანი ტელეფონით ურეკავდა. მის ზარებს რომ არ უპასუხეს, ნოდარ გვიჩიანმა პატიმარს მოკლე ტექსტური შეტყობინება გაუგზავნა. „მესიჯებში“ ნოდარ გვიჩიანი წერდა, რომ მაშინდელი პროკურატურის მაღალჩინოსნები სთხოვდნენ მას ლომინაძის მკვლელობის აღიარებას, შემკვეთად კი — გიორგი გვიჩიანის დასახელებას. პირობა ასეთი იყო — თუ ამას შესასრულებდა, მას საპროცესო გარიგებით გაათავისუფლებდნენ... ამ მესიჯების თაობაზე გიორგი გვიჩიანმა პროკურატურას დაუყოვნებლივ აცნობა, მაგრამ გამოძიების მხრიდან ამას არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია.

სასამართლო პროცესზე დაიკითხა მთავარი მოწმე და შემსრულებელი — გიორგი ლაპაჩიშვილი. გამოძიების ინფორმაციით, მკვლელობის ღამეს, ლაპაჩიშვილი მკვლელს მანქანაში ელოდებოდა. მისი დაკითხვის მომენტში, პროცესი დაიხურა. ასეთი გადანაცვლება მოსამართლემ ბრალდების მხარის შუამდგომლობის საფუძველზე მიიღო. ამან დაცვის მხარის უკმაყოფილება გამოიწვია. გვიჩიანის ადვოკატების თქმით, უხეშად დაირღვა პროცესის საჯაროობა, რადგან სხდომის დახურვის არანაირი საფუძველი არ არსებობდა. სამაგიეროდ, მოსამართლემ დააკმაყოფილა გვიჩიანის ადვოკატის — ალექო ალადაშვილის შუამდგომლობა, რომელიც სატელეფონო ზარების შესახებ დეტალური ინფორმაციის მოპოვებას ითვალ-

ისწინებდა. საქმე ეხება ზარებს, რომლებიც 2002 წლის 21 აგვისტოს, ლომინაძის ტელეფონის ნომერზე დაფიქსირდა, ზარების ავტორთა ვინაობისა და იმ მომენტში მათი ადგილმდებარეობის გარკვევას. დაცვის მხარე აცხადებს, რომ გამოძიება აშკარად ცრუვალს ადგას. ის მომავალ სასამართლო სხდომებზე შუამდგომლობების დაყენებას გეგმავს.

აღსანიშნავია, რომ გიორგი გვიჩიანის საქმის მასალები, რომლებიც მისი ეი-ი-ეს-თელასში საქმიანობის დროს გაფლანგულ თანხებს ეხება, განსახილველად თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაეცა. დაცვის მხარემ თბილისის სააპელაციო სასამართლოში გვიჩიანის მიმართ პირველი ინსტანციის მიერ გამოტანილი განაჩენი გაასაჩივრა. ადვოკატებმა გვიჩიანის სრული გამართლება მოითხოვეს. გიორგი გვიჩიანის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე რამდენიმე წლის წინ აღიძრა, მაშინ, როცა იგი ეი-ი-ეს-თელასის კომერციული მენეჯერი გახლდათ. პროკურატურა აცხადებდა, რომ გვიჩიანმა კომპანიას 2,5 მილიონი ლარის ოდენობის ზარალი მიყენა. საქმე რუსეთის ჯარისთვის მიწოდებული ელემენტარული დავალიანების დაფარვის დროს განხორციელებულ ჩათვლებს ეხებოდა. ბრალდების თანახმად, სწორედ ამ ჩათვლების დროს, გვიჩიანმა თელასის კუთვნილი 2,5 მილიონი ლარი მიითვისა.

ბრალდებულის ადვოკატის განცხადებით, საქმეში უკვე დევს რამდენიმე, იმის დამადასტურებელი უტყუარი დოკუმენტი, რომ გვიჩიანს აღნიშნული დანაშაული არ ჩაუდენია. ადვოკატ დიმიტრი ხაჩიძის თქმით, დოკუმენტებში ნათლად ჩანს, რომ გვიჩიანის ქმედების შედეგად, ეი-ი-ეს-თელასს რეალურად არავითარი ზარალი არ განუტყდია. აღნიშნულ პერიოდში, გიორგი გვიჩიანის მიმართ სისხლის სამართლის საქმე „სამეწარმეო ორგანოში ხელმძღვანელის მიერ ორგანიზაციის საწინააღმდეგოდ, საკუთარი ინტერესებისთვის უფლებამოსილების გამოყენების“ მუხლით იყო აღიარებული. ამ მუხლს შემდეგ, ამნისტია შეეხო და ამ მუხლით გასამართლებული პირები სასჯელის მოხდისგან გათავისუფლდნენ. აღნიშნული დანაშაულისთვის ციხეს გადაურჩა გვიჩიანიც, მას თბილისის მთავრობის-კრწანისის სასამართლომ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, მხოლოდ 700 ლარის გადახდა დააკისრა.

# 30 წლის კატიშარს გამოძიებულობაში აღნაშაულებენ ბრალდებული ეი აცხადებს, რომ მასზე მეზობელმა იცა შური

„სამარშრუტო ტაქსების გაჩერებასთან ვიდექი. ნასვამი ვიყავი, მაგრამ ძალიან მთვრალი არ ვყოფილვარ. ნათესავთან ვაპირებდი ნასვლას და „მარშრუტის“ შეესებას ველოდებოდი. მანქანიდან ოდნავ მოშორებით ვიდექი და სიგარეტს ვწვნივდი. უეცრად, „მარშრუტის“ მხრიდან ქალის ყვირილის

ხმა მომესმა. მივიხედე და ვნახე, რომ ახალგაზრდა გოგონა ვილაცას ეჩხუბებოდა, ძალიან ალელუებული ჩანდა, სულ კანკალებდა. თან, ძალიან ახალგაზრდა, დაახლოებით 17-18 წლის იქნებოდა. დავინტერესდი და როცა მას მიუახლოვდი, იქვე, ჩემი მეზობელიც — ვანო მატარაძე დავინახე. თურმე, გოგონა

სწორედ მას ეჩხუბებოდა. ვანო დამინახა თუ არა, უხეშად მკითხა — შენ რაღა გინდა? — მაშინ, როცა მე ჯერ ხმაც კი არ ამოვიღო და არაფერი მეკითხა მისთვის. ასეთ პარენიას მისგან შეჩვეული ვიყავი, მაგრამ მაინც გამიკვირდა მისგან ჩემი მისამართით ასეთი დაუმსახურებელი უხეშობა. მაშინ, გოგონას

მიუზბრუნდი და ვკითხე, რაში იყო საქმე. მითხრა — უთხარი, მომზორდეს, თავს არ მანებებს, რამდენი ხანია, უკან, უკუდნი მომყვება, წელან კი, ხელიც წამაწვლო. ძალიან გავბრაზდი და ვანოს ვუსაყვედურე: არ გრცხვინია, ახელა კაცს, ამ ბავშვს რას ერჩიმეთი?! გაბრაზებული, მისკენ გავიქაჩე. ვანო მაშინვე დატოვა იქაურობა, გაიქცა...“ — წერს ჩვენებაში 30 წლის ბრალდებული — **გელა ნადირაშვილი**. ზემოთ აღნიშნული ფაქტიდან მეორე დღეს, სამართალდამცველებმა ის ნათესავის ბინაში დააკავეს. ბრალდების თანახმად, იმ დღეს, მან მატარაძეს სხეულზე დანა მიაბჯინა და მოკვებით დაემუქრა. ნადირაშვილი აცხადებს, რომ მეზობლის მხრიდან შურისძიების მსხვერპლია და სინამდვილეში, მას არანაირი დანაშაული არ ჩაუდენია.

დაზარალებული — 38 წლის ვანო მატარაძე კატეგორიულად უარყოფს ბრალდებულს ჩვენებას და აღნიშნავს, რომ სინამდვილეში, ამ საქმეს გოგონასთან კავშირი არა აქვს. მისი თქმით, იმ დღეს, ახალგაზრდა გოგონა მას თვალისავე არ უნახავს.

დაზარალებულის ჩვენებიდან:

„...სამარშრუტო ტაქსების ბოლო გაჩერება ჩემი საცხოვრებელი კორპუსიდან ახლოსაა, ამიტომ, იქ ბევრი ჩემი უბნელი ნაცნობი მოძრაობს და მე, რომც ჩამოვიყრებინა ვინმე გოგონასთან ურთიერთობის დამყარება, ამას იქ, ჩემსავე უბანში, არ გავაკეთებდი. იმ დღეს ბაზარში ვაპირებდი პროდუქტების საყიდლად წასვლას. „მარშრუტკას“ მივუახლოვდი თუ არა, იქვე ჩემი მეზობელი — გელა ნადირაშვილი შევნიშნე. მისი დანახვა, მართალი გითხრა, მაშინვე არ მესიამოვნა, რადგან მასთან ბოლო, თითქმის მთელი წლის მანძილზე, ძალიან დაძაბული ურთიერთობა მქონდა. გელა უბანში ცნობილია, როგორც ავარდნილი, ქუჩური გაგების კაცი, რომელსაც „შე სამყაროსთან“ კავშირები აქვს და მთელი თავისი ცხოვრება ცდილობს, ამ სამყაროში ფეხის შებიჯებას და ე.წ. ავტორიტეტებს შორის დაეკვიდრება. უბანში მცხოვრებ ხალხს, თუკი ვინმე ოდნავ მაინც შეძლებული ეგულებოდა, მოსვენებას არ აძლევდა, ფულს სთხოვდა და თუ მიიღებდა, უკან არ აბრუნებდა — „ანერდა“. ორი წელია, რაც კორპუსის ქვეშ, პირველ სართულზე ფართი ვიქირავე და სასურსათო მაღაზია გავხსენი. პირველ ხანებში, გელა ნადირაშვილს ნამდვილად არ შევუწუხებია, მაგრამ ერთ დღესაც, დაახლოებით 8 თვის წინ, ფული მთხოვა — 100 ლარი. მითხრა, სასწრაფოდ მჭირდება და რამდენიმე დღეში დაგიბრუნებო. მისი ამბავი ვიცოდი, მაგრამ უარის თქმას აზრი არ მქონდა, რაიმე შარს გადამყრიდა. თანხა, რა თქმა უნდა, არ დაუბრუნებია. არც მომითხოვია. იმედი მქონდა, რომ თუკი არ მოვთხოვდი, ისიც თავს დამანებებდა, მაგრამ შევცდი. დაახლოებით ორ თვეში, ჩემს მეუღლეს მიაკითხა თურმე, მაღაზიაში და უთხრა — შენი ქმარი 300 ლარს დამპირდა, სესხად მაძლევს, სასწრაფოდ მჭირდება და ახლავ უნდა მომცე, შენთან გამომგზავნაო. ჩემმა ცოლმა უარი უთხრა. უთქვამს — პირადად ჩემმა ქმარმა მითხრა და მოგცემო. ამის შემდეგ, გელა ჩემთან მოვიდა და დამემუქრა — ფული მჭირდება, თუ არ მომცემ,

იცოდე, ღორივით გამოგჭრი ყელს და არც შენი ოჯახის წევრებს გაჯახებო. მისგან მართლაც ყველაფერი იყო მოსალოდნელი. იმდენად აგრესიული და გალიზიანებული ჩანდა მაშინ, რომ მუქარის რეალობაში ეჭვი ნამდვილად არ შემპარვია. დრო გადიოდა და გელა ისე იქცეოდა, თითქოს არაფერი მომხდარიყო. მაღაზიაშიც შემოდის და, ლაპარაკობდა, ვალს საერთოდ არ ახსენებდა. მაშინ ვიფიქრე, რომ თუკი მეც გავჩუქმდებოდი და ვალს არ მოვთხოვდი, მომავალშიც იგივე განმეორდებოდა, მას თავს ველარ დავაღწევდი და ფულის მიცემა ყოველთვის, როცა კი მას მოესურვებოდა, ულაპარაკოდ მომიხვედა. ამიტომაც გადავწყვიტე, მისთვის ფული მომეთხოვა. ეს იმდენად იუკადრისა, რომ იმ დღესაც, როცა ვალი ვუხსენე და შემდეგაც, სადაც დამინახავდა, საჩხუბრად მოიხვედა და იმუქრებოდა... შემთხვევის დღესაც, როცა სამარშრუტო ტაქსის ვუახლოვდებოდი, დამინახა თუ არა, მაშინვე საჩხუბრად გამოინია, თან მთვრალი იყო, იგინებოდა და ილანძლებოდა. საყულოში ჩამავლო ხელი და „მარშრუტკის“ კართან მიმიხვედა. მაშინ დავინახე მის მარჯვენა ხელში დანა და ყვირილი დავიწყე — მიშველეთ-მეთქი! ჩემდა ბედად, იქვე პოლიციელი აღმოჩნდა. ის გელამაც დანახა, თავი დამანება და გაიქცა...“

დაკითხნენ მონიშნულ, სამარშრუტო ტაქსის მძღოლი და ერთ-ერთი მგზავრი, რომლებიც ამბობენ, რომ ჩხუბის ფაქტს ნამდვილად შეესწრნენ, მაგრამ ჩხუბობდა ორი მამაკაცი, გოგონა კი მათ არ შეუნიშნავთ და არც მისი ყვირილი გაუგონიათ. ბრალდებული ამბობს, რომ მას შემდეგ, რაც მან მატარაძეს უსაყვედურა და პასუხი მოსთხოვა, შემინებული გოგონა, დრო ისელთა თუ არა, გაიქცა და აღარ უნახავს. გოგონას ვინაობა საქმის მასალებში არ ფიქსირდება. გამოძიება მთლიანად იზიარებს დაზარალებულის ჩვენებას და მიიჩნევს, რომ გოგონა მართლაც, ბრალდებულმა, პასუხისმგებლობის თავიდან ასაცილებლად მოიგონა. დაზარალებულის გარდა, გამოძიება სამარშრუტო ტაქსის მძღოლისა და მონიშნულ მგზავრის ჩვენებებთან ერთად, პოლიციელის — მერაბ გოდერიძის ჩვენებას ეყრდნობა. გოდერიძე მთლიანად ადასტურებს დაზარალებულის ჩვენებას. ბრალდებული კი, საქმის ვითარებას სულ სხვაგვარად წარმოგიდგენს, თავს სრულიად უდანაშაულოდ მიიჩნევს და აცხადებს, რომ დაზარალებულად ცნობილი — მატარაძე და პოლიციელი — გოდერიძე წლების მანძილზე იცნობდნენ და ენათესავებინ კიდევ ერთმანეთს, ამიტომაც, მის წინააღმდეგ შეიკრნენ.

**გელა ნადირაშვილი:**

„დანაშაული, რომელშიც მე ბრალს მდებენ, არ ჩამიდენია. დაზარალებულად ცნობილმა მატარაძემ ჩემზე შურისძიება გადამწყვიტა, შეეკრა პოლიციელს, რომელიც მისი ნათესავია. სწორედ ის განლაგებულ საქმეში ბრალდების ძირითადი მონიშნულნი. ჩემ წინააღმდეგ მათ ერთად შეითხნენ ბრალდება. საქმე ის გახლავთ, რომ დაზარალებულის ვალი მქონდა — 300 ლარი. დედის ავადმყოფობის გამო დამჭირდა და ვთხოვე. 100 ლარი ერთ თვეში დაუბრუნე, მაგრამ იმის გამო, რომ თანხა სრულად ვერ მოვაგროვე, დარ-

ჩენილ ფულს ვერ ვუბრუნებდი. მატარაძე თითქმის ყოველდღე მავითხვავდა სახლში, თუ მე არ დავხვდებოდი, ავადმყოფ დედაჩემს ეწხებებოდა და ილანძლებოდა, მომაკვდავ ქალსაც კი არ ერიდებოდა. არაერთხელ მოგვსვლია ამის გამო შელაპარაკება, ერთმანეთზე ხელითაც გავწულვართ, მაგრამ მაშინ რატომღაც, არ ჩიოდა და პოლიციისთვის არ მიუშარტავს მატარაძეს. ალბათ იმიტომ, რომ ფიქრობდა — მერე უფრო ვერ ამოვიღებ მისგან ვალსო... „შე სამყაროსთან“ მე არაფერი მაკავშირებს, ეს მის მიერ შეთხზული ამბავია, პირიქით, თვითონ მემუქრებოდა — ფული დამიბრუნე, თორემ, „შავებს“ დაგასეგო! გამოძიებამ, რომელიც თავიდანვე ჩანდა, რომ ამ საქმეში ობიექტურობას არ გამოიჩინა, არც ერთ ჩვენებაში არ შეიტანა ეჭვი და სიმართლით არ დაინტერესებულა. ჩვენებები ურთიერთსაწინააღმდეგოა და არც ერთი არ ჰგავს მეორეს. დაზარალებული ისეთ შეცდომებს უშვებს, მის მიერ მოგონილი ამბის გადმოცემისას, რომ ცხადი ხდება — ცრუობს და უსინდისოდ მწამებს ცილს. გამოძიებამ კი, რომელმაც მხარი აუბა ამ ცილისწამებას, უსამართლოდ წამომიყენა ბრალი უდანაშაულო ადამიანს. ახლა მოხლოდ სასამართლოს იმედი მაქვს. მართალია, თავის დროზე, როცა ალკვეთის ღონისძიების სახით, წინასწარი პატიმრობა შემეფარდეს, არც სასამართლომ გაიზიარა ჩემი პოზიცია და დამცველის არგუმენტები გაითვალისწინა და არც ის გარემოება, რომ სახლში, სიმსივნით დაავადებული დედა მყავდა და მას იმ პერიოდში, ძალიან სჭირდებოდა ჩემი თანადგომა. მართალია ამის გამო ვერ დავტოვებდი ქალაქს, ვერსად გავიქცეოდი და მივიმალეოდი და შესაბამისად, ვერც გამოძიებას ავარდნილი თავს. თუკი საქმის განხილვისას, სასამართლოსაც ვერ შევაცხვე ობიექტურობა, იმუღებული გავხდები, უვადო შიმშილობა გამოვაცხადო.“

ნადირაშვილის ქურდული ორიენტაციის დამადასტურებელი ჩვენებები, გარდა დაზარალებულისა და მონიშნულ სახით დაკითხული პოლიციელის ჩვენებებისა, არ ფიქსირდება. გამოძიებამ ამ საკითხთან დაკავშირებით, მეზობლებიც დაკვიტა, მაგრამ ისინი კონკრეტულს არაფერს ამბობენ. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ნადირაშვილი წარსულშიც გახლდათ ნასამართლევი ხულიგნობისთვის. მაშინ მას 2 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, მაგრამ მსჯავრდებული ნადირაშვილი ცხინდან ვადამდე ადრე გათავისუფლდა. ბრალდების მხარე ყურადღებას ამახვილებს ამ ფაქტზე და აღნიშნავს, რომ ასეთი წარსულისა და სასჯელის მოხდის მიუხედავად, ნადირაშვილი მანც არ დაადგა გამოსწორების გზას. ამგვარად მას, ხულიგნობასთან ერთად, გამომძალველობაშიც სდებენ ბრალს.

გამოძიებისადმი პრეტენზიები დაზარალებულსაც აქვს. მისი თქმით, დანაშაულის მუხლი არასწორად დაკვალიფიცირებული. ის ბრალდებულისთვის მკვლელობის მცდელობის მუხლის მიყენებასა და შესაბამისად, მკაცრად დასჯას მოითხოვს. ნამდვილად ჩაიდინა თუ არა ნადირაშვილმა აღნიშნული დანაშაული, ამის გარკვევის სასამართლო დაახლოებით ერთ თვეში დაინიშნება.



# ნა საჩუქარი „გზავნილებს“

## „გზავნილები“ „ჩინჩლავს“ და საკუთარ ცოლს გაყვარებს

„გზავნილებს“ არანაირი სარგებლობა არ მოაქვს. ეს არის უბრალოდ, სისულელე და მე ამ მესიჯების არ მჯერა“, — ასეთი უნდობლობა გამოუცხადა ერთმა მკითხველმა ჩვენს რუბრიკას. რა თქმა უნდა, ნებისმიერ ადამიანს აქვს აზრის გამოთქმის უფლება და თანაც, „გზავნილები“ „მკვდარი“ ხომ არ არის, რომ მასზე ან მხოლოდ კარგი ილაპარაკონ, ან — არაფერო, მაგრამ სწორედ ამ მკითხველის საპასუხოდ, მინდა, ერთი საინტერესო ამბავი მოგიყვეთ, სადაც „გზავნილებმა“ მართლაც რომ შეუცვლელი როლი ითამაშა. ა.ნ. „გზის“ №5-ში, დაიბეჭდა მესიჯი, ქვესათაურით — „ვეძებ და-ძმას“. ავტორი საბერძნეთიდან გვიმესიჯებდა. თავდაპირველად, ძველ მესიჯს შეგახსენებთ, შემდეგ კი, ამბის გაგრძელებას მოგიყვებით.

### მარი ჭაშარიძე

„უკვე სოლიდური ასაკი მაქვს. სადაცაა, 40 წლის გავხდები. ის, რაც ახლა მინდა გიამბოთ, ყველაზე ახლობელი ადამიანებისთვისაც კი არ მომიყოლია. ნაშვილები ვარ. გავიზარდე საუცხოო ოჯახში და საუკეთესო მშობლები მყავდა. სამწუხაროდ, ისინი ცოცხლები აღარ არიან. მე ვიცი, ვინ არიან ჩემი ნამდვილი მშობლები, მაგრამ არასოდეს მომნდომებია იმ ადამიანებთან ცხოვრება, რომლებმაც წლინახევრის გამაშვილეს. ჩემი ღვიძლი დედა თინა ბინოვეა იყო. ის ქარელის რაიონში, სოფელ ბალთაში ცხოვრობდა, ხოლო მამა — ნოდარ შავლობოვი, რომელიც იმავე რაიონში, სოფელ თიღვაში ცხოვრობდა. მე კი, ვიდრე გამაშვილებდნენ, ინგა ბინოვეა ვიყავი. ჩემი მიზანია, მოვებნო და-ძმა და მათთან კავშირი მქონდეს. ასე რომ, თუ ვინმემ იცის ჩემი ნამდვილი მშობლების ასავალ-დასავალი, ან მათი შვილების შესახებ აქვს

რაიმე ინფორმაცია, აუცილებლად დამიკავშირდეს. ნატო“... მესიჯის გამოქვეყნებიდან, დაახლოებით ერთი თვის შემდეგ, მამაკაცი დამიკავშირდა და რესპონდენტის ტელეფონის ნომერი მთხოვა — ის ქალბატონი თინა ბინოვეას დისშვილი აღმოჩნდა. რა თქმა უნდა, ტელეფონის ნომერი მივეცი და ვთხოვე, ჩემთვისაც შეეტყობინებინა, თუ რა შედეგით მათ საუბარს... ერთმანეთს ესაუბრნენ, მაგრამ, ქალბატონი დიდხანს ეძებდა მისთვის ვერსად. მას, ნატოს მეტყველებდა, რომ ურეკავს შვილი შორიდან ეფსოს მთელი თავისი ცხოვრება ერთ რვეულში

ჩაუტყვია და ნატოსთვის საბერძნეთში გაუგზავნია. — უზომოდ ბედნიერი ვართ მე და დედაჩემი იმის გამო, რომ ერთმანეთი ვიპოვეთ. მას ვსაყვედურობ ხოლმე: ყოველდღე ნუ მირეკავ, ზედმეტ ხარჯს ნუ სწევმეთქი. ის კი, მეუბნება: ფული რად მინდა, შვილო, ახლა მხოლოდ მონობარათები მჭირდება, რომ შენი ხმა გავიგონო — მიაბო ნატომ, რომელიც ახალი წლისთვის საქართველოში ჩამოვა და როგორც თვითონ დამპირდა, დედა-შვილის შეხვედრას „ლაივში“ დავესწრები, ვრცელ ინტერვიუსაც ჩავწერ და თქვენთვის საინტერესო ყველა კითხვას გავცემთ პასუხს. აი, ასეთი კუთილი საქმე გააკეთა „გზავნილებმა“: დედა-შვილი, 40 წლის შემდეგ შეხვედრა ერთმანეთს.“

### „დაჩმორებულ“ სიძე

„შარშან ზაფხულს, „გზავნილებში“ ჩემი მესიჯი დაიბეჭდა. გიყვებოდით, რომ მყავდა საქმრო, რომელმაც დის ქორწილში დამბატიჟა. იქ მისულმა კი აღმოვაჩინე, რომ თურმე, ჩემს საქმროს თავის ქორწილში დავუბატიჟებდნენ. ვერ თავის მოკვლა მინდოდა, იქიდან გამოვიქეცი, მაგრამ შემდეგ, შურისძიების წყურვილმა უკანვე მიმიყვანა, დავთვერი, სიძეს თავზე ღვინო გადავასხი, ხოლო პატარძალს, სახეში ტორტი შევაზილე... ამის შემდეგ, ბევრი რამ შეიცვალა. მე და გიგას ისეთი ურთიერთობა გვქონდა, რომ ვერ წარმოვიდგენდი, თუ ოდესმე მილაღატებდა. თანაც, ქორწილშიც დამბატიჟებდა. ვერაფრით დავადგინე, რატომ მოიქცა ასე. გავიდა ხანი და სრულიად შემთხვევით გავიგე, რომ თურმე, მისი მეუღლის მამა საკმაოდ შეძლებული ბიზნესმენი ყოფილა. ვერ ვიჯერებდი, რომ ფულში გამცვალა, მაგრამ ფაქტი სახეზე იყო... ჰოდა, რაღა დაგიმალათ — გული ძალიან დამწყდა, მაგრამ მალე ბედს შევეგუე და ცხოვრება თავისი გზით წავიდა. ერთ მშვენიერ დღეს კი, გიგამ დამირეკა. თვალებს არ ვუჯერებდი, როცა მობილურზე მისი ნომერი ამოვიკითხე. ქორწილიდან უკვე 7 თვე იყო გასული. კარგა ხანს ვფიქვრე, მეპასუხა თუ არა მისი ზარისთვის, მაგრამ რადგან თვითონაც არ გაითიშა, ვუპასუხე. კარგა ხანს დუმდა. როგორც იქნა, ხმა ამოიღო და ამოლერდა, რომ თურმე, ჩემთან



შეხვედრა უნდოდა. უარი არ მიტყვამს, რადგან ძალიან მინდოდა, შეხვედროდი და დამემცირებინა. თვალცრემლიანი მელაპარაკებოდა. თურმე, სიმამრმა, იმის შემდეგ, რაც სიძე „ითხოვა“, მანქანა უყიდა, ახალი ბინა აჩუქა და მისი მონად ქცევაც მოისურვა. ცოლი ერთი გაზულუქებული გოგო ყოფილა და ქმარს, ლამის ფეხის დაბანასაც კი უბრძანებდა. მოკლედ, რომ იტყვიან, მაგრად „დააწმორეს“... ვკითხე: მერე ჩემგან რა გინდა-მეთქი? — მიყვარხარ და უნდა დამიბრუნდეო... ხმაბალა გადავიხარხარე და ლამის სიცილით დავიხრჩვე. მანამდე კიდევ დაუშვამყოფილებლობის გრძნობა მქონდა და თავმოყვარეობაშეუღებელი, ლალატს ძალიან განვიცდიდი, მაგრამ იმ წუთიდან, როგორც კი პატივბა მთხოვა, გიგა ჩემს თვალში ჭიად გადაიქცა და ზიზღის გრძნობა დამეუფლა. ეს არც მისთვის დამიმალავს. შევაფურთხე და წამოვედი... ღმერთმა მამატიოს ჩემი საქციელი. აი, ასეთი გაგრძელება მოჰყვა ჩემს ამბავს, რომელიც შარშან მოგიყევით“.

**„საკუთარი ცოლი შემყვარდა“**

„დიდი ხნის წინ, მესიჯი მოგწერეთ, სადაც ჩემს ამბავს გიყვებოდით. 23 წლის ვიყავი, როდესაც ერთი არაჩვეულებრივი გოგონა შემყვარდა და მასთან მთელი 7 წელი მქონდა ურთიერთობა, მაგრამ როდესაც ოჯახმა ცოლის შერთვა დამამალა, არჩევანი სხვაზე გადავეთე, ვინაიდან მათთვის პირველი მამაკაცი მე არ ვიყავი. ცოლთან ცუდი ურთიერთობა მქონდა, მიუხედავად იმისა, რომ სულ თვალეში შემომციცინებდა. მაშინ გწერდით, რომ ჩემს არჩევანს ძალიან ვნაზობდი. მაია, ჩემი დაოჯახებიდან 4 წლის მერე შემხვდა და ჩვენი ურთიერთობა აღდგა. ჩემი და მისი შეხვედრები



გრძელდებოდა. რაც შეეხება „გზაჯინებს“, თქვენთან გამოქვეყნებული ჩემი მესიჯი ჩემს მეუღლეს წაუკითხავს და ვინაიდან, მისთვის არაერთხელ მქონდა მოყოლილი ჩემი და მაიას ამბავი, მაშინვე იცნო. მისთვის, სწორედ „გზაჯინების“ შემგვობით გახდა ცნობილი, რომ მე და მაია ერთმანეთს ვხვდებოდით. ჩემთვის არაფერი უთქვამს. დრო გავიდა. ერთ დღეს, ჩემს მეუღლეს

სამსახურში მივაკითხე (წინასწარ არ მიტყვამს, რომ უნდა მივსულიყავი), იქ არ დამხვდა. — დღეს არ მოსულაო, — მითხრეს თანამშრომლებმა. როგორც კი, შენობიდან გამოვედი, მაშინვე მობილურზე დავურეკე. — სამსახურში ვარო — ენა არც კი ნაპბორძიკებია, ისე „დაახეთქა“ ტყუილი. ლამის გული გამიჩერდა. არ მეგონა, რომ ასე ვინერვიულებდი, თუ მისი ლალატის შესახებ რაიმეს შევიტყობდი. არ შევიმჩინე, უბრალოდ, ვკითხე: — შინ როდის დაბრუნდები-მეთქი და ტელეფონი გავთიშე. ტვინი მეღრმე იმაზე ფიქრობდა, როგორ გამეგო მისი ადგილსამყოფელი. მაშინ დავფიქრე იმაზე, რომ ნესიერად მის მეგობრებსაც კი არ ვიცნობდი. თავქუდმოგაღებული შინ გავიქეცი, რომ მისთვის სახლში მისვლა მიმეწნო. ამასობაში მაიამ დამირეკა და შეხვედრა მთხოვა, მაგრამ მისთვის არ მცხელოდა და თავზიანი უარი ვუთხარი. ძალიან გაუკვირდა, რადგან მის დაძახილზე ყოველთვის უკანმოუხედავად გავბოდიხობდი. ჩემი ძვირფასი მეუღლე კი, საღამოს ისეთ დროს დაბრუნდა სახლში, როგორც ჩვეულებრივ, ყოველდღე ბრუნდებოდა. სამსახურის ამბები გამოვიკითხე, რაც ძალიან გაუკვირდა. მშვიდად მპასუხობდა. შემდეგ, მისი მობილური „გაქვრივდა“ და რაც კი ნომრები ეწერა, ყველა ამოვიწერე, მაგრამ შემომნება ვერ გავბედე. მეორე დღეს, მე თვითონ მივიყვანე სამსახურში, ჩემი მანქანით, რამაც კიდევ უფრო გააკვირვა. მერე, მთელი დღე ვდარაჯობდი, რომ ლალატში გამოემეჩირა. საღამომდე იქ ვიდექი... მოკლედ, თავს არ შეგანწყენ და გუტყვი, რომ თითქმის ერთი თვე ვიდე უკან ჩემს ცოლს, ხანდახან, საექვო მარშრუტით დადიოდა, მაგრამ ყოველთვის ისე დამიძვრებოდა, ხოლმე ხელიდან, რომ ვერ ვიგებდი, სად მიდიოდა. მისთვის თვალყურის დევნება უფრო ფიზიკურად დავინწყე, მაგრამ არაფერი გამომივიდა. ამასობაში, რა თქმა უნდა, მაიასთან ურთიერთობა დამეძაბა, რადგან მთელი თვის განმავლობაში, მასთან შეხვედრაც კი ვერ მოვახერხე და ამას რომელი ქალი მოითმენს? — დამირეკა და მეჩხუბა, დამეუქრა, რომ საერთოდ მიმატოვებდა, მა-

გრამ ჩემდა გასაოცრად, არ მიხერვიულია. ერთ მშვენიერ დღეს, ცოლს ჩვეულები-სამებრ, ჩემი მანქანით მომსახურება შევთავაზე, მაგრამ უარი მივიღე: — ნინო (მისი მეგობარი) გამომივიღის და ერთად წავალთ, თანაც, სხვაგან უნდა გავიაროთო. საექვოდ იპრანჭებოდა, სარკესთან

დიდხანს ტრიალებდა. გადავწყვიტე, ექსპერიმენტი ჩამეტარებინა და ვინაიდან მარტონი ვიყავით, მოფერება დავუწყე. ჯერ გამიძალიანდა, თმა დამეშლებო, მაგრამ მერე დამინებდა... ასეთი ვნებიანი ურთიერთობა ცოლთან არასოდეს მქონია. მისი მეგობარი რომ მოვიდა, მათ ისევ ჩუმად ავედევნე უკან. ისინი „მარშრუტკაში“ ავიდნენ და მეც, ჩემი მანქანით, უკან გავყვი, მაგრამ იქიდან როდის ჩამოვიდნენ, ვერ გავიგე — ისევ დამისხლტა ხელიდან. უკან მოვბრუნდი თუ არა, მობილურმა დარეკა. ის და თავისი მეგობარი ჩემი მანქანის უკან იდგნენ და ხელს მიქნევდნენ. თურმე, დიდი ხანია, შეუმჩნევია, რომ უკან დავეყვებოდი და ასე მანამებდა. იმ ავადსახსენებელ დღეს კი, როდესაც სამსახურში მივაკითხე და არ დამხვდა, თურმე, ფანჯრიდან დავინახე ის და განგებ დამეძაბა, რომ მეექვნიანა. მოკლედ, ჩემი საკუთარი ცოლი ნ წლის შემდეგ შემყვარდა და ამასი, დიდი როლი „გზაჯინებს“ ითამაშა, რადგან სწორედ იქ ნაკითხულმა ჩემმა მესიჯმა გადაანწყვტინა, რომ ჩემი გულისთვის ებრძოლა... ჭირი იქა, ლხინი აქა...“

**ვარსკვლავა**

„მარი, ამას წინათ, ჩემი ძალღის ამბავი მოგწერეთ, აუცილებლად გემასხორებოდა, ერთი მეზობლის ქალი რომ მოგწონდა ორივეს. როგორც იქნა, ღამე ჩემთან რომ გაათია და ჩემმა ძალღმა, დილით ოცლარიანი რომ გამოუტანა, საჩუქრად. ახლა, მასზე ახალი ამბავი მაქვს მოსაყოლი. რა თქმა უნდა, ყოველ დილა-საღამოს ვასეირნებ და ისეა მიჩვეული, რომ თუ ბუნებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილება უნდა, აუცილებლად კარზე აფხაჭუნებს, რომ გარეთ გავიდეს. რაც ჩემი საყვარელი არსება „გზაჯინების“ ვარსკვლავი გახდა, მეზობლები სიყვარულით ეფერებიან ხოლმე, სახელიც კი შეუცვალეს და ვარსკვლავა დაარქვეს. ამ რამდენიმე დღის წინ, დილით, ჩვეულებისამებრ ეზოში ჩავიყვანე და საყვალური მოვსენი. მე კი, იქვე, მეზობლის კაცთან სასაუბროდ გავჩერდი. ცოტა ხანში, მას მეგობარმა ბოლო მოდელის „მერსედესით“ მოაკითხა. ჩემი ვარსკვლავა, რა თქმა უნდა, მივიდა, მანქანა დაყნოსა და გარშემო შემოურბინა (ქალეში და მანქანებში მაგრად ერკვევა). — ვააა, რა კარგი ტიპია! — მოეწონა მძღოლს. რა თქმა უნდა, ჩემმა მეზობელმაც არ დააყოვნა და მეგობარს ის ამბავი მოუყვა, რაც „გზაჯინების“ დაიბეჭდა. რა თქმა უნდა, „მერსედესის“ პატრონი ამის მერე უფრო აღფრთოვანდა. კარგი ხნის საუბრის შემდეგ, მანქანის ძრავა ჩართო და ადგილიდან დაიძრა. თურმე, ჩემი ძალღი, მისი მანქანის უკანა საბურავთან იდგა და ფეხი ჰქონდა აწეული. მანქანა რომ დაიძრა, ისიც სირბილით გაჰყვა. მძღოლმა ის მოგვიანებით შენიშნა, მანქანა გააჩერა, თავი ფანჯარაში გადმოყო და უთხრა: — მოდი, ძაო, დამათავრე შენი საქმე, მაგარი კაცი ყოფილხარო... მის საქციელზე გულიანად ვიცინეთ. ხედავთ, „გზაჯინებს“ ჩემს ძალღსაც კი სარგებელი მოუტანა...“

### მეზობლის ქალს ხელს ნუ ახლებ

„გამარჯობა, მარი. ერთხელ ჩემი გასაჭირის შესახებ მოგწერე და „მოკლე მესიჯებში“ გამოქვეყნდა. ახლა, მინდა, ამის შესახებ უფრო ვრცელად გიამბო და ისიც გითხრა, რა გაგრძელება მოჰყვა მესიჯის გამოქვეყნებას. გათხოვილი ქალი ვარ და საკუთარი კარის მეზობელი, ცოლშვილიანი კაცი შემეყვარდა. მისი ცოლი და მე ვმეგობრობდით. ხშირად მიწევდა მათ ოჯახში ყოფნა. ჯერ იყო და, ლიკა მიჭედავდა ყურებს თავისი ქმრის ქებით, მერე, მეც ჩემი საკუთარი თვალთ ვხედავდი, რომ მართლაც კარგი ადამიანი იყო — ვაჟკაცური, მოხდენილი, დახვეწილი და საიმედო. მთელი 3 წელი ვიტანჯებოდი მისი სიყვარულით და რა თქმა უნდა, არაფერს ვიმჩნევდი. მხოლოდ თქვენ მოგწერეთ, ჩემი გრძობებისა და განცდების შესახებ. ამის შემდეგ, მალე მამინაცვალი გარდამეცვალა და სოფლიდან, ეს ამბავი სალამო ხანს შემატყობინეს. დედამ მთხოვა: იქნებ, ამაღამვე ჩამოხვიდე, მიცვალებულთან სრულიად მარტო ვარო. ვინაიდან ჩემი ტელეფონი გამორთული იყო, დასარგვად ლიკასთან შევედი. ქმარს ვთხოვე, მანქანა ემოვა, რომ სოფელში გავემევი, მაგრამ მისგან უარი მივიღე — დილაზე ვერაფერს მოვახერხებო... მერე, ხან სად დავრეკე და ხან — სად, მაგრამ ვერაფერი გავანწყვე და ძალიან შევწუხდი. მერაბმა შემომთავაზა: — ბავშვი ლიკას დაუტოვე, აბა, დაძინებულს ხომ ვერ ნამოიყვან, მე კი, ჩემი მანქანით მოგემსახურებო... მერაბთან ერთად მარტო პირველად დავრჩი. მთელი გზა ხმას ვერ ვიღებდი. მას ეგონა, მწუხარებისგან მქონდა ენა ჩავარდნილი. ცდილობდა, საუბარი ისეთ თემაზე წამოეწყო, რომ გავერთე. მეც ავყევი. ინტიმურ თემასაც შევეხეთ და მერე, „გზავნილებში“ დაბეჭდილი ჩემი მესიჯიც გაიხსენა. მითხრა, ვიცი, შენი დანერვილია და ნუ ეცდები, რომ უარყო... თავი დაგხარე. მეც არ მახსოვს, როგორ აღმოვჩნდი ჩახუტებულეში. აზრზე რომ მოვედი, მანქანა გზიდან გადასული იყო და მერაბი თვალებს მიკოცნიდა. თან მეწერეწულეობდა: — რამდენი ხანია, ამაზე ვოცნებობო... სიხარულის, სინდისის ქენჯნისა და სირცხვილის გრძობა ერთმანეთში აშერია და რომელი უფრო ძლიერი იყო, ვერ ვარკვევდი. მოკლედ, იმ დღიდან, მე და მერაბს საერთო საიდუმლო გაგვიჩნდა და ერთმანეთს ხშირად ვხვდებით. შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ ძალიან ბედნიერი ვარ. თუმცა, ორივე ძალიან ვფრთხილობთ, რომ ჩვენი საიდუმლო არ გამოვადანდეს. დიდი მადლობა, რომ არსებობთ.“

### „გზავნილებო“, გაიხარე

„გზავნილებს“ მკითხველი ვარ, მისი დაარსების დღიდან. ვინაიდან ჟურნალები დიდ ადგილს იკავებს, თითოეული „გზავნილი“ ამოვჭერი და „ფაილებში“ ჩასამულს, საკმაოდ სათუთად ვინახავ. ხშირად, თვალსაც გადავავლებ ხოლმე. ერთხელ, იქ ჩემი ქმრის მიერ მონერილი ამბავიც წავიკითხე,

სადაც თავის თავზე და საყვარელზე გიყვებოდათ. ამბავი მეცნო და რა თქმა უნდა, ძალიან დავიბოლმე. ერთი სული მქონდა, სალამო როდის მოვიდოდა, რომ მისთვის კარგი „კონცერტი“ მომეწყო. თან, ეჭვი მეპარებოდა: იქნებ, ის არ არის და ტყუილად არ ვეჩხუბო-მეთქი, მაგრამ რომ მოვიდა, თან ჟურნალიც მოიყოლა. ეს კი, მას არ სჩვეოდა — ყოველთვის ჩემს ნაყიდ ჟურნალს კითხულობდა ხოლმე. ეტყობა, ვაჟბატონმა სალამომდე ვეღარ მოითმინა და თავისი მესიჯის წაკითხვა იჩქარა. ამან დამარწმუნა, რომ ჩემი ეჭვი უსაფუძვლო არ იყო. ისე ვიჩხუბეთ, რომ ჩვენს გასაშვლებლად მეზობლებმა პატრული გამოიძახეს. საცოდავი, სახლში არაფრად ვარგოდა, ჩემთან სექსს თვეში ერთხელ ძიღეს ახერხებდა და სხვასთან დაძვებოდა... მასზე ისედაც გამწარებული ვიყავი და ახლა სულ გადავირიე. რამდენიმე წელი ადრე, ერთი საკმაოდ სიმპათიური და შეძლებული კაცი გულსა და ხელს მთავაზობდა, მე სათოფზე არ ვიკარებდი. მართალია, 50 წელს გადაცილებული იყავდათ, მაგრამ მშვენიერ ფორმაში იყო და თანაც, თანახმა იყო, რომ ცოლად გავყოლოდი. ავდექი და პირდაპირ ქმრის სახლიდან გავთხოვედი, ისე, რომ მისთვის არაფერი მიტყვამს. ერთ დღით, შინიდან წავედი და რომ აღარ დავბრუნდი, ქმარმა დაამირეკა: — მალე მოხვალა? (ეტყობა, მოშივდა, თორემ, არ გავახსენებოდი) — გავთხოვედი-მეთქი, — ვუთხარი. რა თქმა უნდა, არ დაიჯერა, მაგრამ სახლში რომ აღარ მივედი, რაღას იზამდა? ფაქტი სახზე იყო... ახლა ძალიან ბედნიერად ვგრძნობ თავს. ჩემი ქმარი თავს მევლება და პატარა ბავშვივით მწებოვრებს. იყოს ის მარტო და თუ ჭკვიანად არ იქნება, შვილების ნახვის უფლებასაც არ მივცემ. თქვენ გაიხარეთ, რომ არსებობთ და თვალის ამხილეთ...“

ახლა კი მოკლე მესიჯებს გავეცნობ:

### „მომენატრა ამ რუბრიკაში აქტიურ როლში ყოფნა“

„ვაიმევე, მარი, ეგ რა საკითხავია? ყველამ კარგად იცის, რომ „გზავნილებს“ ძალიან დიდი სარგებლობა მოაქვს. ხშირად, სხვებისთვის თქვენი საშუალებით მიმმართავს კიდევ. მიყვარხართ, სოფი.“

„პირველი სარგებელი ის გახლავთ, რომ „გზავნილების“ კითხვისას კარგ განწყობილებას ვეძებ; მეორე სარგებელი — ის, რომ ჩემს ჟურნალისტურ ჭიას ვახარებ ხოლმე. ვინ იცის, რამდენჯერ მომიწერია ჩემი და ჩემი მეგობრების თავგადასავლები, რომლებიც თითქმის ყოველთვის იბეჭდება, თანაც, ვამყობ, რომ მარი სწორედ ჩემს მესიჯებს ააქვეყნებს...“

„მარი, მომენატრა შენს რუბრიკაში აქტიურ როლში ყოფნა. ნეტავ, ვინმეს ეჭვი თუ ეპარება „გზავნილებს“ სარგებლობაში? გარკვეულწილად, შეიძლება ითქვას, რომ ეს რუბრიკა აზრობრივად ჩინჩლავს, რადგან ზარმაც ქუჩის ბიჭებს ჟურნალების კითხვა დაწავებინა. გარდა ამისა, სხვა სიკეთეც მოაქვს: ხუთშაბათი „გზავნილებს“ დღეა და ყველას ძალიან გიყვარს.

ხანდახან, ინტრიგასაც აქვს ხოლმე ადგილი, მაგრამ ერთფეროვნებაც ხომ ტყავს? დაე, დახოცონ ერთმანეთი რძალ-დედაძიღებმა, სიძე-სიდედრებმა და მოლალატე მუღლულებმა. სამაგიეროდ, ჩვენ მხიარულ ამბებს ვიგებთ და ვხალისობთ. თანაც, „გზავნილები“ რომ არ იყოს, სად მოიხებდა გულს ემოციებით დატვირთული ამდენი ადამიანი? გოცნით.“

„ჩვენს კი არ არსებობს „გზავნილები“, არამედ, „გზავნილებით“ ვარსებობთ ჩვენ. მისი საშუალებით პავლიკა გავიცანი — ძალიან რომანტიკული, მეოცნებე, განათლებული და რაც მთავარია, მორწმუნე ადამიანი. ვუთხარი, შეყვარებული მყავს-მეთქი და ალბათ, სწორედ ამის გამო ამარიდა თავი. მე კი, მასში მხოლოდ მეგობარს ვხედავდი. ლანკა.“

„გზავნილები“ და სარგებელი? ალბათ, ბევრ სარგებელს მომიტანდა, რომ არა — ჯაფარიძე. ის ხომ არც ერთ მესიჯს არ მიბეჭდავდა! უკვე ხელიც კი ჩავიქნიე, მაგრამ... ახლა გულში არ გამიძლო და მაინც ვამეხივებ. იმედია, ახლა მაინც შემინყავლებს.

„მართლა დიდი სარგებლობა მოაქვს, რადგან ხალხი ერთმანეთს გულისტვივრებს უზიარებს და თანაურგრძობს. მიყვარხართ, „გზავნილების“ მკითხველებო! სოფო.“

„რა სარგებლობა მოაქვს? უცხო ხალხში რომ „გავიჩითები“ ხოლმე და „გზავნილებში“ წავითხულო ამბებს ვყვები, თანაც ისე, თითქოს ჩემს ახლობელს გადახდა თავს, უნდა ნახო, ბუზის გაფრენის ხმასაც კი გაიგონებ, ისე მისმენენ. „გზის“ ყველა ნომერი შენახული მაქვს. სასწავლებელში რომ მივდივარ ხოლმე, იმ დღით ვყიდვილივარ, რადგან სახლში არავინ დამაცდის მის ნაკითხვას. მამა სამსახურიდან რომ მოდის, იმასაც „გზა“ მოაქვს. დედა გვეუბნება — ერთმანეთს შეუთანხმდით და ისე იყიდეთო. ჩვენს სახლში უამრავი „გზა“ ყრია და თანაც ყველა „გზავნილებზე“ გადაამოწილი.“

„ისტორიას საკმაოდ ძველმოდური ქალი გვასწავლის. წელს ამოიჩნა, აუცილებლად გამოცდა უნდა ჩაგიტაროთო. თანაც, ისეთივე წესით, როგორითაც ჩვენს მშობლებს უტარებდა ხოლმე — ბილეთებით. გამოცდის მოახლოებას ძალიან განვიცდიდი. დავინყე მეცადინეობა, მაგრამ ერთი კვირის განმავლობაში, მხოლოდ 2 ბილეთის სწავლა მოვახერხე. წინ სულ 2 კვირა მქონდა, ხოლო სასწავლი — 33 ბილეთი. ის იყო, ნორმალური ნიშნის მიღებაზე ხელი ჩავიქნიე, როცა „გზავნილებში“ ერთი რეკლამდენტის ოინი წავიკითხე, იმის შესახებ, როგორ გაიჩალიჩა მეცამეტე ბილეთი. გადავწყვიტე, მასავით მოვეცუულიყავი. სწორედ, „გზავნილების“ „დამსახურება“, რომ საქართველოს ისტორიაში „ათიანი“ გამოიყვა. ძალიან მიყვარხართ ყველანი. იმედია, საინტერესო თემებს კიდევ შემოგვთავაზებთ. თათული.“

დღეს „გზავნილებს“ ამით ვამთავრებთ. მომდევნო ნომრის თემად გთავაზობთ: საზაფხულო თავგადასავალი. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8(77) 45.68.61. ველი თქვენს მესიჯებს და გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე.



**ლიკა ქაჩაია**

— როგორ უნდა აგისხნა — ვინ არიან თინიჯიკები, როცა თვითონაც, 18 წლის ბავშვი ვარ?.. არა, გატყუებ. თინიჯიკი ჩემთვის ბავშვურ გონებასთან, დაუღვინებელ ადამიანებთან ასოცირდება. როცა 20 წელს გადააბიჯებ, ნელ-ნელა ხასიათი გეცვლება, რასაც მანამდე აკეთებდი, 25 წლის ასაკში, იმას აღარ გააკეთებ.

— თინიჯიკობის ასაკში შენ რას აკეთებდი ისეთს, რასაც დღეს, არავითარ შემთხვევაში არ გააკეთებ?

— დავდიოდი კონცერტებზე და ვილა-ცებს ვაფანატებდი. ამას, ახლა რომ მომის-აჯო, მაინც ვერ გაგაკეთებ.

— 20 წლამდე, რა პრობლემები გქონდა?

— არავითარი პრობლემა არ მანუხებ-და, გარდა სიყვარულისა.

— სიყვარული შენთვის პრობლე-მა იყო?

— აბა, რა?! მაშინ ყველაფერი ისე გაიოლებული კი არ იყო, როგორც დღესაა — მთელი დღე იმაზე უნდა გეფიქრა, სად შეიძლება შეყვარებულს შეხვედროდი. ახლა კი, ბალიდან ბალზე, მთელი ღამე უფასოდ ლაპარაკობ და ტვინს სისულე-ლეებზე ფიქრით არ „იბურღავ“. ეჰ, სად იყო ჩემს დროს მობილური და კარგი ცხ-ოვრება? (იცინის).

— ბავშვობის ასაკში, რაიმე კო-მპლექსი თუ გქონდა?

— ახლაც კომპლექსიანი ვარ, რაღაც-რაღაცები დღესაც მანუხებს.

— რაღაცებში რას გულისხმობ?

— რას ვგულისხმობ და იმას, რომ „ვაფშე“ საქართველო და ქართველები არ მომწონს.

— რატომ, რას გვეჩი?

— იმიტომ, რომ როცა სადმე „ვიჩითე-ბი“, ვილაცები ისე მიყურებენ — კომპლექს-დები.

— იქნებ იმიტომ გიყურებენ, რომ მოსწონხარ?

— კარგი ერთი, მართლა?.. კარგი თვალთ რომ მიყურებენ, ამაზე „ბაზარი“ არ არის, მაგრამ როცა გრძნობ, რომ ვი-ლაცას არ ევასები და მაინც გიყურებს, ძნე-ლი ასატანია. თუმცა, ამ ბოლო დროს, ამას ყურადღებას აღარ ვაქცევ, ყველაფერი მა-გრად „მიკვიდა“.

რამდენიმე დღის წინ, 17 წლის წინ, შემდეგი მესაჯი მომწერა: „ლიკა, ძალიან გთხოვ, შემდეგ ნომერში რეპერი ამიკო მიიწვიე. თუ ჩემს თხოვნას არ გაითვალისწინებ, თავს მოვიკლავ, რადგან ეგ ტიპი მაგრად „მომწონს“ და მაინტერესებს, რას ფიქრობს თინიჯიკებზეო და სხვა“. მეც ვინაიდან, არ მინდა, ამ უბრალო მიზეზის გამო ვინმემ თავი მოიკლას, ამიკოსთან ინტერვიუ ჩაგწერე (თან, ეს არ არის ჩემთან შემოსული ერთადერთი მესაჯი, რომლითაც, ჩვენს რუბრიკაში, მის მონვევას მთხოვ-ნენ) და მინდა გითხრათ, რომ ის საკმაოდ მხარული და თავისუფალი ადამიანია, რომელსაც რაღაც-რაღაცები მართლა „ჰკვიდა“.

# ფიქრით „გაბყხილყნი“ ტკინი, თავში რახტყმყნი აგყხი და ყგონოდ მეყკაიებყნი ხეპყხი

— და ყველაფრის „დაკიდება“ შეიძლება?

— აბა, რა ვენა? ყველას ომი გამოყუყუც-ადო? ასეც რომ მოვიქცე, სანამ რუსთაყე-ლის მეტროდან თავისუფლებამდე ჩავალ, ან მე მომკლავენ, ან ისინი დაიხოცებიან. ეგეთი რაღაც კი, არ მინდა (იცინის).

— ამიკო, სკოლაში როგორ მოს-ნავლედ ითვლებოდი?

— ფრიადოსნობით ვერ დავიკვყვნი, მა-გრამ რაღაცებს „ყწალიჩობდი“ და ორებს არ მინერდენ.

— რას „ყწალიჩობდი“?

— ჩემთვის ვყაიფობდი, სულ ვმლეროდი. თან, ჩემ წინ გოგოები იჯდნენ, რომლებიც დასანახავად ვერ მიტყნდნენ, რადგან მათ „ლიფის ზორტებს“ ვუტყატუნებდი, რაღა-ცებს „ყუყწალიჩებდი“.

— და ორიანს ამიტომ არ გი-წერდნენ?

— არა, ეტყობა, მასნავლებლებს ჩემი ვოკალური მონაცემები მოსწონდათ — დამ-აყენებდნენ, მამლერებდნენ და ნიშნასაც მი-წერდნენ. თან, ძალიან საყვარელი ბავშვი ვიყავი და ხათრს ვერ მიტყნდნენ... მართა-ლია, ხანდახან მათ გალიზიანებას ვინვევდი, ვერ მაჩერებდნენ, მაგრამ მემლერებოდა და რა უნდა ექნათ?

— ეი. სიმღერის გამო, არა მართო ნიშნებს გინერდნენ, არამედ, ამით მასნავლებლებს აბრაზებდი კიდევ?

— ალბათ, რადგან დედაჩემს ყოველ-დღე სკოლაში იბარებდნენ და ეუბნებოდ-ნენ: ქალბატონო ლალი, ჩვენ ვერ გავიგეთ — რა სჭირს თქვენს შვილს და იქნებ, თქვენვე მიხედოთ.

— კლასელები „შატალოზე“ არ დადიოდით?

— როგორ არა, მთელი 45 წუთი სა-პირფარეშოშიც კი გაგვიტარებია.

— და „შატალოს“ ამას ეხასდით?

— აბა, რა გვექნა, როცა საშინელი სკო-ლა გვექონდა? ზარი რომ დაირეკებოდა, კარს კეტავდნენ და ყარაულები გარეე გას-ვლის უფლებას არ გვაძლევდნენ, ჯოსს გვირტყამდნენ. ასევე, გყავდა საზიზლარი ინსპექტორი ქალი, რომელსაც პოლიცია-სთან რაღაც კონტრაქტი ჰქონდა დადებუ-ლი და თუ რამეს დავაშავებდით, ეგრევე დაგვიჭერდნენ. მე კი, პოლიციის იმდენად მემწიოდა, რომ მეგონა — თუ სიგარეტს

მოვწევდი, დამიჭერდნენ.

— ახლა პოლიციის აღარ გეწინა?

— ახლა რატომ უნდა მემწიოდეს, უკვე სრულწლოვანი ვარ და სიგარეტის მოწე-ვის უფლებაც მაქვს.

— მშობლები არაფერს გიკრძა-ლავდნენ?

— როგორ არა, მაგალითად, სიგარე-ტის მოწევას მიკრძალავდნენ... ისე, ბავშვო-ბიდან ვენევი.

— უფრო კონკრეტულად?

— პირველად რომ გავაბოლე, დაახ-ლოებით, 13 წლის ვიყავი.

— მოწევა რატომ დაიწყე?

— ბიჭებმა დამანყებინეს.

— ვინ ბიჭებმა?

— ისეთი საყვარელი ბავშვი ვიყავი, რომ ჩემს უბნელ დიდ ბიჭებს სულ თან დაყავ-დი, გოგოებზე რაღაცებს მაკეთებინებდნენ. მაშინ უზარმაზარი სიგარეტი ასტრა იყ-იდებოდა, რომელიც უნდა დაგეჭრა და ისე მოგენია (სხვათა შორის, მაშინ შემოგ-იდა მტკვარი და ისიც ისეთ „ცვეტში“ იყო, როგორც ახლა მალბოროა). ამ ასტრას, სახლის სახურავზე ავიტანდი და იქ ვენეო-დი ხოლმე. ოღონდ სიგარეტის დაჭრა არ მიყვარდა, ყოველთვის დიდი სიგარეტი მო-მწონდა და ისე მეკავა ხელში, ვინმეს რომ ენახა, სიცილით გაიგუდებოდა. სახლში რომ მივდიოდი, სიგარეტს წინდაში ვმაღავდი.

— მშობლები სიგარეტის სუფს ვერ გრძნობდნენ?

— სუნი რომ არ მქონოდა, ნაძვის წი-წვებს ვლყავდი, სიგარეტს ჩხირებით ვწნეო-დი (სუნი ხელზეც რომ არ მქონოდა) და ყველაზე სასაცილო ის იყო, რომ ნაფაზის დარტყმა არ ვიცოდი...

— შენი კლასელებიც ეწეოდნენ?

— აბა, რა... გინდა გაკაიფო? — სკოლის საპირფარეშოში, რაღაც რკინის ყუთი იყო. მე და ჩემს 4 კლასელს, იმის „მუღამი“ გვექონდა, რომ ეს ყუთი სიგარეტით აგვევსო, მაგრამ სკოლა ისე დავამთავრეთ, ეს ვერ შევძელით. ახლა, 1 კვირა რომ არ მოვწიო, ის ყუთი აუცილებლად გაივსვოდა.

— თინიჯიკერი ამიკო ვისი ფანი იყო?

— 2pac-ზე ვაფანატებდი, ისეთი მაი-სურები მქონდა, სადაც მისი სახელი ეწ-ერა და ჭყუაზე არ ვიყავი. კიდევ, მქონდა ერთი რეჟული, რომელშიც მისი სურათე-ბი ჩავაკარი და ა.შ.

— ქართველებიდან არავინ „გვე-ასება“?

— ვინ უნდა მევასებოდეს?... თუმცა, რატომაც არა! იცი, ვინ მომწონს? — „მა-ჟორში შედის ნოტები, მოვდივართ პა-ტრიოტები“. რა გაცინებს? დავიჯერო, დიდი ლექს-სენი შენ არ „გვეასება“?..

— როგორ ფიქრობ, ქუჩის ცხოვრებას რა მოაქვს?

— ციხე... ვისუმერ, მართლა მარტო ციხე კი არ მოაქვს, იქ ბევრი რალაცის სწავლა შეიძლება.

— მაგალითად?

— მაგალითად, იქ ვისწავლე მძაკაცობა, თავის გატანა. კაცმა ქუჩის ცხოვრება რალაც დონეზე მანინც თუ არ იცი, ამ ცხოვრებაში თავის გატანა გაგიჭირდება. არასდროს ვყოფილვარ „დედიკოს ბიჭი“...

— „დედიკოს ბიჭებში“ რა იგულისხმება?

— რა და ის, რომ მძაკაცი არ გყავს, დღე და ღამე სახლში ზიხარ და ა.შ. ჰო, შეიძლება რალაც საქმე გქონდეს და სახლში იმიტომ იჯდე, მაგრამ რალაც-რალაცებში ხომ უნდა ერკვეოდე? ხანდახან ქუჩაშიც უნდა გაიხედო. უსაქმური არც მე ვარ, ბავშვობიდან ვმღერი. მაშინ, როცა მთელი ჩემი კლასელი ბიჭები თავს ძველბიჭობაზე დებდნენ და დანებით დარბოდნენ, მე ეს არ მაინტერესებდა. მიუხედავად ამისა, მათთან ვახლოვდებოდი და ეს ხელს არაფერში მიშლიდა, პირიქით, ისინი ბევრ რამეში დამეხმარნენ.

— შენი მეგობრები „დედიკოს ბიჭებს“ ჩაგრავენენ ხოლმე?

— არა, რადგან ვფიქრობდით, რომ ისინი ისედაც დაჩაგრულები არიან. ბევრი ისეთი ბიჭი ვიცი, რომელიც ყველგან დედიკოსთან ერთად დადის. ასეთებზე მაგრად მეცინება.

— რატომ, დედასთან ერთად სიარული „ტეხავს“?

— „გასატეხია“, აბა, რა არის, როცა დედასთან ერთად იმიტომ დადის, რომ ვინმემ რამე არ გითხრას?..

— თინიჯეკულ ასაკში შეყვარებული გყავდა?

— 17 წლის ვიყავი, როცა გოგო უზომოდ შემეყვარდა, მერე, ცოლად მოვიყვანე და დღეს, 2 შვილის მამა ვარ.

— ქალის გულისთვის თუ გიჩუბია?

— როგორ არა!..

— გცემეს თუ შენ სცემე ისინი?

— რა თქმა უნდა, მცემეს (იცინის)... ყოველთვის მამაჩემის იმედი მქონდა ხოლმე, მეუბნებოდა: მამი, ქუჩაში თუ ვინმემ რამე გითხრა, არ დაუთმო, თავში აგური ჩაარტყი და სახლში თავგატეხილი გაუშვი, რომ მთელი ცხოვრება დაამასოვრდესო.

— დაუფერე?

— ასეთ რალაცებს ვერ ვაკეთებდი, მეშინოდა... ახლაც მასე ვარ — ყველა მეცოდება, თუ ვინმე მართლა ჩასართყმელია, მას ამისთვის ვერ ვიმეტებ და ამის გამო, შეიძლება აგური თავში თვითონ ჩავირტყა.

— ბავშვობიდან კიდევ რა გადმოგყავდა?

— შრამები, თან, ძალიან ბევრი. სულ ვჩუბობდი და მართალია, არავინ დამიჭრია, მაგრამ სამაგიეროდ, დანას აქეთ დაუნდობლად მირტყამდნენ. მოკლედ,

უბედური ბავშვობა მქონდა.

— როგორ ფიქრობ, თინიჯეკრობის ასაკში, სიგარეტის მოწევა და ალკოჰოლის მიღება დასაშვებია?

— ვისაც როგორ „გაუსწორდება“, ისე უნდა მოიქცეს — როცა მინდოდა, მოვნიე კიდეც და როცა „გამისწორდა“, მაშინ დავთვერი და მე ვის რა უნდა ვურჩიო? თავადაც არავისთვის არაფერი მიკითხავს.

— ოდესმე წამალი თუ გაგიკეთებია?

— რას ამბობ?.. პათიოსანი ბიჭი ვარ, მასეთ მავნე რალაცებს ვერიდები. თუ არ გჯერა, შემომხედე — როგორი ლოყა და ღიპი მაქვს (მუცელზე ხელს ირტყამს. — ავტ.).



— ვინმესთვის რამე თუ მოგიპარია?

— ბებიჩემს რალაცებს ვპარავდი ხოლმე.

— მაინც, რას ჰპარავდი?

— კანფეტებს... სკოლაში დიპლომატით დავდიოდი ხოლმე. კლასელებს ბებიჩემის მალაზიამი ვუპატიუებოდი — ისინი მას ართობდნენ, მე ამასობაში, სიგარეტსა და შოკოლადებს ვიპარავდი, მერე კი, ამ ყველაფერს ძმურად ვიყოფდი.

— სკოლაში დიპლომატით სიარული არ „გიტყდებოდა“?

— ეგეთი რალაცები არასდროს „მიტყდებოდა“, პირიქით, მაგრად „მეკვიდა“, რვეული დიპლომატში იქნებოდა, „პაპკაში“, თუ მუცელში. თან, დაცინვას ვერავინ გამიბედავდა.

— შეყვარებულისთვის ყვავილები თუ მიგირთმევია?

— არა, მაგ დონემდე ვერ „ვქაჩავდი“. ეს პროცესი, ყოველთვის ქართულ მოკლემეტრაჟიან ფილმ — „ქორნის“ მახსენებს — კაცს ყვავილი „გაუგმილს“ რომ მიაქვს შეყვარებულთან და...  
— რა განსხვავებაა თქვენი თაობის და დღევანდელ თინიჯეკრებს შორის?

— რა განსხვავებაა და ის, რომ ამათ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბეს. თუ ჩვენ „მარშრუტკებით“ დავრბოდით, ესენი მერსედესის კუპეებით დაქრან. ჩვენს დროს, ამდენი გასართობი საშუალება არ

იყო. წარმოიდგინე, რომ ყოფილიყო, ახლა სად ვიქნებოდი?

— სად იქნებოდი?

— ამერიკაში... ახლა ქალებიც ადვილად იკვრიბან. ადრე, გოგოსთვის რამე რომ გეთქვა, ეგრევე გაგარტყამდა, ახლა კი, რაც გინდა, ის უთხარი... გოგოს სიყვარულს რომ აუხსნიდი, მთელი 2 წელი უნდა გემტკიცებინა, რომ მართლა გიყვარდა და მერეც თუ დაგიჯერებდა, ესეც კითხვის ნიშნის ქვეშ იყო... ახლა, ყველანი ტიპები გახდნენ.

— შენი ცოლი არ ეჭვიანობს ხოლმე?

— რაზე უნდა იეჭვიანოს, როცა ქალებში არ დავდივარ.

— გოგოებს არც ელაპარაკები, არა?

— ჰო, იმიტომ, რომ მათი მრტყენია.

— ქართველი რეპერებიდან ვისთან მეგობრობ?

— შავთვალასთან (იცინის). ხომ იცი, ვინც არის? თუ გინდა, შეგასხენებ — „ყველაფერს გაყვიდი მალე“... „მიშა საქართველოს ყიდის“... და რალაცებს რომ მღერის. აუ, რა მარაზია, შავთვალა რომ რეპერი იქნება, იქ რაზე უნდა ვილაპარაკო? ამის მერე, საქართველოში რეპერობა მართლა ტუხავს...

— შენ მაგარი „როჟა“ ხარ?

— ძალიან მაგარი და ცოტა „სტრანნი“ ტიპი, მაგრამ მაინც საყვარელი „როჟა“ ვარ.

— თინიჯეკერი ამიკო როგორ ერთობოდა ხოლმე?

— გაკვეთილზე, იცი, როგორ ვერთობოდი? როცა მასწავლებელი იკითხავდა: აბა, გაკვეთილს ვინ მოჰყვებო? რამდენიმე ბიჭი ვილაცას დავაგინებდით, რომ იმას ხელი აენია, მერე კი, მას დავასთან გამოიძახებდნენ და რა უნდა მოეყოლა, როცა არაფერი იცოდა? მასწავლებელი, ასეთ მოსწავლეს ან სცემდა, ან კიდევ, კლასიდან აგდებდა. ჩვენ კი, ამაზე იმდენს ვიცინოდით, რომ ლაშის „ვიხეოდით“...

— რით განსხვავდებიან ქართველი და უცხოელი თინიჯეკრები ერთმანეთისგან?

— ყველაფრით. იქ თუ ვინმეს აფანატებენ, მასზე მართლა გიჟდებიან, აქ კი, თან სიამოვნებით გისმენენ და თან, გაგინებენ. ამას წინათ, ვილაცამ დამირეკა და მეუბნება: სანამ შენი სიმღერა ჰიტობდა, შენი ფანი ვიყავი, ახლა კი, „მეკის“ ფანი ვარო. ერთი გამაგებინა, ეგ ვინლაა?.. თუ მასას ვევალები, იმ „პონტი“, შენც უნდა გევალებოდე, თუ არა და... ეს რომ მითხრა, კინალამ გულმა მიმტყუნა.

— ეი. მიმაძველები არიან?

— ჰო, ვილაცებს ჰბაძავენ, გონზე არ არიან.

— დაბოლოს, რას ურჩევდი თინიჯეკრებს?

— მათ ურჩევ, ცუდი და კარგის გარჩევა ისწავლონ და შავთვალას არ მოუსმინონ.

P.S. ძვირფასო თინიჯეკრო! შენ შეგიძლია მოგვენრო — ვის ნახვას ისურვებდი მომავალ ხუთშაბათს და რატომ? რა კითხვას დაუსვამდი შენს რჩეულს. ან სულაც, თუ გინდა, შენი გულისტკივილი გაგვიზიარო და რჩევები ცნობილი ადამიანებისგან მიიღო, დაგვიმესიჯე ნომერზე: მ(99) 17-35-27.



**წვიკო, 17 წლის:**

„თავო, ძალიან კარგი გოგო ხარ, მაგრამ გაფასებ. გთხოვ, მირჩიე რა ვქნა: „ლიფტი 2“-ის მონაწილე შემთხვევად, არ ვიცნობ, მხოლოდ ორჯერ ვნახე და უკვე მასზე ვგვიყვები. გკოცნით.“

**თაქო ცაძილინია:**

— პირველ რიგში, დაიბახსოვრე — როცა ვილაც გიყვარს, აქედან პრობლემა არ უნდა შექმნა. შეეცადე, რამენაირად მოახერხო და გაიცნო. სამწუხაროდ, არ ვიცი, ვისზე ლაპარაკობ და იმ პიროვნებას რომ ვიცნობდე, რაღაცით აუცილებლად დაგეხმარებოდი. სასიყვარულო ფრონტზე წარმატებას გისურვებ.

**გიო, 19 წლის:**

„თავო, არაჩვეულებრივი გოგო ხარ და ამის გამო, მხოლოდ ერთ რამეს ვნანობ — რამდენიმე წლით ადრე რატომ არ დავიბადე? ჩემთვის ასაკს დიდი მნიშვნელობა რომ არ ჰქონდეს, აუცილებლად მოგიტაცებდი. მაინტერესებს, ასაკით შენზე პატარას, ცოლად რა შემთხვევაში გააყვები?“

**თაქო ცაძილინია:**

— ჩემთვის ასაკს არანაირი მნიშვნელობა არა აქვს. მით უმეტეს, 1 წელი არც იქითაა, არც აქეთ. მთავარია, ადამიანები ერთმანეთს პატივს სცემდნენ, რაღაც საკითხში ერთნაირად აზროვნებდნენ და ყველაფერი კარგად ექნებათ. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ უნდა მომიტაცო.

**პაპა, 16 წლის:**

„თავო, რომ ამბობ — ადრეულ ასაკში გათხოვება სისულელეაო, შენ თვითონ რამდენი წლის გათხოვდი? მაშინ ამაზე არ ფიქრობდი?... მიუხედავად იმისა, რომ 16 წლის ვარ, ამ დღეებში, სახლიდან გაპარვას ვაპირებ და შენი აზრით, ასე არ უნდა მოვიქცე? მაშინ მირჩიე, საყვარელ ადამიანს რა საბაბით ვუთხრა ცოლად გაყოლაზე უარი და რა გარანტია მექნება იმის, რომ ის არ მიმტაცებს?“

**თაქო ცაძილინია:**

— 17 წლის ვიყავი, როცა გათხოვდი. სახლიდან არ უნდა გაიპარო, რჩევა მშობლებს ან მეგობრებს ჰკითხე და მათი აზრი გაითვალისწინე. ადრე გათხოვება სისულელე კი არ არის, არამედ, ამ ასაკში და რწმუნებული ვერაფერში იქნები. დაფიქრდი, არის თუ არა შენი რჩეული ის ადამიანი, რომელთანაც ცხოვრების ბოლომდე ბედნიერი იქნები? ემოციებს

# გადასახაზება

არ აპყვე, თუ მართლა უყვარხარ, იმდენი ხანი დაგელოდება, რამდენიც შენ დაგეჭირდება. იმაზეც დაფიქრდი, მომავალში სწავლის გაგრძელება გინდა თუ არა, ცხოვრებაში რის მიღწევა გსურს. როცა გათხოვილი ხარ, შეიძლება მიზანს ვერ მიაღწიო, რადგან ოჯახი ამის შესაძლებლობას ყოველთვის არ იძლევა.

**„სვეტი“, 15 წლის:**

„თავო, ლიკამ „სვეტსკი“ მათხოვარი მიწოდა, რადგან ქუჩაში ვდგავარ, ფულს „ვაკეთებ“ და ამით, მაგრამ ვხალისობ. მაინტერესებს, რას იზამდი, შენ მეგობრებს შენთვის ასეთი გართობა რომ შემოეთავაზებინათ, ან შენი შვილი, ჩვენსაირი „სვეტსკაობის“ პონტში რომ გენახა?“

**თაქო ცაძილინია:**

— ჩემთვის მეგობრებს ასეთი „გართობა“ რომ შემოეთავაზებინათ, კატეგორიულ უარს მიიღებდნენ, თან, დარწმუნებული ვარ — ისინი ამას არასდროს გააკეთებდნენ, ასეთი ტიპები არ არიან. ამ საქმიანობაში „გასართობს“ ვერაფერს ვხედავ — კარგად ჩაცმული, ღიმილიანი სახით ვილაცას ფულს რომ სთხოვ, მაგარი, არა? ჩემი შვილი ქუჩაში ასეთ დღეში რომ მენახა, რაც მას იმწუთას მოუვიდოდა, ამას ენით ვერ აღვწერ. თუმცა, დარწმუნებული ვარ, ჩემი შვილი ამას არასდროს გააკეთებს.

**თაქო, 14 წლის:**

„გამარჯობათ. ეპ, გოგოები იმიტომ დამცინიან, რომ როკერი ვარ, თანაც, კარატისტი. არ მიყვარს გამრანჭვა და ალბათ, ეს სპორტის ბრალია, მაგრამ რა ვქნა — კარატეს თავს ვერ დავანებებ, რადგან უკვე საკმაო მიღწევები მაქვს. ყველაფერთან ერთად, ორჯერ გავხდი საქართველოს ჩემპიონი. თავო, რა ვქნა, სპორტს შევეშვა? თინეიჯერებო, გთხოვთ, თქვენც გამოემხმარეთ.“

**თაქო ცაძილინია:**

— ვერ ვხედავ, დასაცინი რა გჭირს? არავის არ მიაქციო ყურადღება, გიყვარდეს შენი საქმე და იყავი ის, რაც ხარ. რატომ ან ვის გამო უნდა შევეშა სპორტს, მით უმეტეს, რომ რაღაც მიღწევებიც გქონია. დაუმტკიცე ყველას, რომ კარგ საქმეს აკეთებ. ნუ იდარდებ იმას, რომ გამრანჭვა არ გიყვარს, ამას ცოტა ხანში დაიწყებ, ჯერ საამისოდ პატარა ხარ — 14 წლის გოგო, ქალივით ხომ არ ივლი?

**სტილა, 20 წლის:**

„გამარჯობათ. ახლა ძალიან რთული პერიოდი მაქვს — 7 წელი შეყვარებული ვიყავი, ახლა კი, მას დავშორდი, რადგან დაქალთან მიღალატა. მართალია, თავის საქციელს უკვე ნანობს, მიხვდა, რომ საზიზღრად მოიქცა, მუხლებზე დაჩოქილი პატივებს მთხოვს, მაგრამ ვერ ვაპატიებ, აღარ მიყვარს. ვიცი, ძალიან ცუდად არის, მაგრამ ჩემი თავში გავერკვიე და იმაში დავრწმუნდები, რომ მის მიმართ გრძნობა აღარ მაქვს. ამ ამბავმა გამანადგურა, მთელი ცხოვრება თავდაყირა დამიყენა, თუმცა, ვიცი, რომ ცხოვრება გრძელდება, ვი-

ლაც ისე შემთხვევად და დიდი სურვილი მაქვს, რომ ბედნიერი ვიყო. იქნებ, მირჩიოთ რამე, სწორად ვიქცევი?“

**თაქო ცაძილინია:**

— მინდა გითხრა, რომ სწორად იქცევი, მაგრამ შეეცადე, ამ სიტუაციაში არ დაგაკომპლექსო. ცხოვრებაში ყველაფერი ხდება და იმედია, მალე იპოვი ადამიანს, რომელიც აუცილებლად გაგაბედნიერებს. ამ ყველაფერს კი, დრო დაგვიწევს, მით უმეტეს, ამბობ, რომ უკვე აღარანაირი გრძნობა არ მაქვსო.

**გიო, 21 წლის:**

„თავო, სიმართლე მითხარი — შეყვარებული ვიყავი? თუ არა და რატომ?“

**თაქო ცაძილინია:**

— შეყვარებული არავისზე არ ვარ, მაგრამ რატომ, ამას ვერ გეტყვი.

**თინი, 20 წლის:**

„თავო, ძალიან მაგრად მომეწონე. ვარ 185 სანტიმეტრი სიმაღლის, ეროვნებით — ქისტი. არც ქერა და არც შავი. ცოლად გამოყვები?“

**თაქო ცაძილინია:**

— ძალიან კარგი შემოთავაზებაა. დავფიქრებდი, ხომ იცი? ისე, ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილი“ ქისტ გულსუნდას ვთამაშობ და ყველაფერი შეიძლება მოხდეს, მაგრამ ამ საკითხზე იმ პირობით დავფიქრებდი, თუ საცხოვრებლად აქ ჩამოხვალ (იციანის).

**დათო, 19 წლის:**

„ვეხმარები ნინოს, რომელსაც ბიჭები ჯერ არ ან ვერ კოცნიან. ეტყობა, ლამაზი ხარ. მიყვარს მაღალი, სქელტუჩებიანი გოგოები. თუ გინდა, დამირეკე და ერთ-მანეთი გავიცნოთ. ყველა თხოვნას შეგისრულებ (იმას გვულისხმობ, რაც ასე განუხლებს). ტელ: 8(93)58-93-58.“

**ძმა, 18 წლის:**

„ვეხმარები ლამას. ჯერ მხოლოდ 16 წლის ხარ, მთელი სიცოცხლე ნინ გაქვს. ამბობ, რომ ტანჯული სიცოცხლე გაქვს, მაგრამ ასეთად მას ხომ შენ თავად ქმნი... კარგია, რომ რაღაცის შეცვლა გინდა, მაგრამ ეს ძალიან მწელი იქნება, ამ „ჭაობიდან“ ამოსვლას მარტო ვერ შეძლებ. არ შეიცოდო შენი თავი, იპოვე ძალა და გამოიჩინე ძლიერი ნებისყოფა, ირწმუნე ღმერთის, რადგან რწმენის გარეშე, ვერაფერს მიაღწევ და თუ საშუალება გაქვს, ჯობს მონასტერში წახვიდე, სადაც იმ ადამიანებს გაესაუბრები, რომლებმაც ნარკოტიკზე უარი თქვეს. თავი გარიყულად არ იგრძნო, რეალურ სამყაროში გადმოინაცვლე და გახსოვდეს, რომ ჩვენ შენ გვერდით ვართ.“

**ინკოზიტო, 14 წლის:**

„ლექსო შენგელია, ფიზიკურად კარგი ბიჭი ხარ, მაგრამ ცუდი პიროვნება. თუ ამას ნაკითხავ, ვინც ვარ, მიხედები.“

**სინა, 16 წლის:**

„იკა მარგალიტაძე, ყველაზე მაგარი ხარ. „ლიფტი 2“-ის სახე ხარ, მიყვარხარ. გამიცანი, რაა... ჰო, „გზა“ ძალიან მაგარია.“



მომღერალმა ანა ჯაკმა და პრომოუტერმა ზვიად შელიამ ერთმანეთი „ვაკის კლუბში“ გაიცნეს, სადაც პირველივე შესვენებისთანავე, ერთმანეთით მოიხიბლნენ და... „ჩქიმ ყოროფა“ (მეგრ. — ჩემო სიყვარულო) — ასე მიმართავენ ისინი ურთიერთს და ახლო მომავალში, დუეტის ჩანერას აპირებენ.

# ბარის „სტოიკაზე“ აქმერალი ანა ჯაკი, „ღაშოკილი“ საზოგადოება და ადამიანი, რომელსაც ის „ჩქიმ ყოროფას“ ეძახის

## ლიპა ქაჩაია

### ზვიადი:

— ერთმანეთი „ვაკის კლუბში“ გავიცანი, სადაც ანამ თავისი კლიპისა და ალბომის პრეზენტაცია მოაწყო. სხვათა შორის, ძალიან საინტერესო საღამო გამოვიდა, ანაც საოცრად შთაბეჭდილი იყო.

### ანა:

— ხომ არ გავნითლდე?..

### ზვიადი:

— რა საჭიროა?.. ჰოდა, მალე დაგემგობრდით.

### ანა:

— ერთმანეთს იცი, რას ვეძახით? — „ჩქიმ ყოროფას“.

### ანა, მეგრულიც იცი?

— რა თქმა უნდა! დედაჩემი ხომ მეგრელია და ზვიადიც წარმოშობით, მისი კუთხიდანაა.

### ამიტომაც დაუმეგობრდი?

— არა, რა სისულელეა! უბრალოდ, კარგი ადამიანია, ერთმანეთს გავუგეთ.

### რას ნიშნავს თქვენთვის მეგობრობა?

— ადამიანი, რომელსაც მეგობარი არ ჰყავს, ძალიან მეცოდება.

### ზვიადი:

— მეგობრობა არის ურთიერთობა, პატივისცემა, სიყვარული, როცა ადამიანის გვერდით ყოფნა შენთვის ზემოთს ტოლფასია.

### ანა:

— მაგრამ როცა მეგობართან შეხვე-

დრას ასე ზემოთ, ის კი, გაჭირვებაში მიგატოვებს — ეს მეგობრობა აღარაა.

### მეგობრებს გაჭირვებაში შენც მიუტოვებია?

— ასეთი შემთხვევა მართლაც იყო — მილაღატეს და ამიტომაც, ისინი ჩემ გვერდით აღარ არიან. მათ „გამარჯობის“ თქმის ღირსადაც კი აღარ მივიჩნევ.

### როგორ ფიქრობთ — ქალსა და მამაკაცს შორის მეგობრობა შესაძლებელია?

— ბევრ ქალსა და მამაკაცს ვიცნობდი, რომლებიც ცხოვრების ბოლომდე მეგობრობდნენ. არადა, მათზე ჭორს „აგორებდნენ“... ისეთ ურთიერთობასაც შევსწრებივარ, როცა მეგობრობა სიყვარულში გადაზრდილა.

### ზვიადი:

— ამ კითხვაში თუ ჩვენი ურთიერთობა იგულისხმავ, მაშინ გეტყვი, რომ სანამ ანას გავიცნობდი, ის, თავისი ორიგინალური იმიჯიდან გამომდინარე, სულ სხვანაირი მეგობარია...

### და როგორი გეგონა?

— უფრო თავნება, ამაყი, უკარება...

### ანა:

— შენ არა ხარ პირველი ადამიანი, რომელიც ასე ფიქრობს. როცა ადამიანს არ იცნობ, შტერივით ხომ არ „დაუნყებ გალიმებას“? ისიც მეყოფა, ამის გაკეთება თვითმფრინავში რომ მიწევს...

### თუ გაგიგონათ ისეთი ჭორი, რომელიც თქვენს მეგობრობას სულ სხვა შინაარსს აძლევს?..

— ასეთი რამ რომ გაგიგონო, სიცილით მოკვდებო.

### ზვიადი:

— მგონი, საბაბი არავისთვის მიგვიცია და თუ რამეს იტყვიან, ამას ვერც მე ავუკრძალავ ვინმეს და ვერც ანა.

### ზვიად, ანას, როგორც მომღერალს, როგორ შეაფასებ?

— ანას განსაკუთრებული ხმის ტემბრი აქვს და ეს ძალიან მომწონს. მასში ვხედავ ადამიანს, რომელსაც აქვს ის თვისებები, რომლებიც შოუბიზნესს სჭირდება, მაგრამ ქართველებმა ადამიანის დაფასება არ ვიცით, კრიტიკულები ვართ...

### ანა:

— ჯანსაღ კრიტიკას რა სჯობია?!

### ზვიადი:

— ანას ყველა სიმღერა მომწონს, განსაკუთრებით კი — „ალერსისთვის გეძახი“.



### ანა:

— ამ სიმღერით „ტივინი წაიღო“: როცა მნახავს, ყოველთვის მამღერებს.

### ზვიადი:

— ერთ კურორტს გავიხსენებ: 14 თებერვალს, სიყვარულის დღეს ანა ჩემ მიერ მოწყობილ საღამოს სტუმარი იყო. მან ეს სიმღერა შეასრულა და მერე, სცენაზე ამიყვანა, ერთად ვიცეკვეთ და, ბოლოს ბარის „სტოიკაზე“ აღმოვჩნდით.

### ანა:

— მერე რა მოხდა?

### ზვიადი:

— არაფერი. რა უნდა მომხდარიყო?!

### ანა:

— დრო საკაიფოდ გავატარეთ, ცოტა დავლიეთ, მერე „სტოიკაზე“ ავძვერით და...

### ზვიადი:

— ხალხი დაიშოკა (იციინან). ის საღამო სულ სხვანაირი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ანამ სიახლე შემოიტანა და ხალხიც კმაყოფილი წავიდა.

### ანა:

— როცა შოუბიზნესში საქმიანობ, კომპლექსები არ უნდა განუხებდეს. ჩვენ, უცხოელებზე არანაკლებ სექსუალური, ლამაზი მამაკაცები და ქალები გვყავს, მაგრამ რად გინდა?! ეს ყველაფერი არ ჩანს, რადგან ყველას სტილი აქვს შესაცვლელი და ამის გამო მაგრად მიტყდება.

### ზვიადს არა აქვს სტილი შესაცვლელი? არაფერს ურჩევ?

— მას თავის სტილი აქვს და ეს მომწონს. მაგრამ როცა ჩემთან ერთად იმღერებს, რაღაც უნდა შეიცვალოს. ისეთს, როგორც დღეს არის, მას სცენაზე ვეღარ ნახავ. დამიჯერე, ის უფრო მოგეწონება (იციინის).

### დუეტის ჩანერას როდისთვის გეგმავთ და ეს ვისი იდეა იყო?

### ზვიადი:

— ანას მე შევთავაზე — სიმღერა დუეტში ხომ არ ჩაწეროთ-მეთქი? ჩემდა გასაოცრად, მომიბრუნდა და მითხრა: კარგი, მეგრული სიმღერა ჩაწეროთ.

### ანა:

— სახლში მეგრულ სიმღერებს ხშირად



ანას მე შევთავაზე — სიმღერა დუეტში ხომ არ ჩაწეროთ-მეთქი?

ვმღერით, ძალიან „გემრიელი“, სულში ჩამწდომი ენაა და ზვიადს ამიტომაც შევთავაზე მეგრული სიმღერის ჩანერა... მუშაობას ახლო მომავალში დავინწყებთ.

— ერთმანეთთან კონფლიქტი არასდროს მოგსვლიათ?

**ზვიადი:**

— ჯვარი გვწერია! კარგი ენის იყავი, თორემ...

**ანა:**

— თფუ, თფუ (მაგიდაზე სამჯერ აკაკუნებს)... საერთოდ, კონფლიქტური არა ვარ, რადგან ჩემს ისედაც ხრინწიან ხმას ვუფრთხილდები... ყველასთან მეგობრული „ატნაშენიები“ მაქვს.

— ერთმანეთს რას ვერ აბტიებთ?

**ანა:**

— ლალატს, ტყუილს.

**ზვიადი:**

— პირფერობას. შეცდომა ყველას მოსდის, მაგრამ ზურგს უკან ლაპარაკს ვერ ვიტან.

— დაბოლოს, რას ურჩევდით მეგობრებს?

**ანა:**

— თუ მართლა ვილაცის მეგობარი ხარ, მისი გულისთვის ყველაფრისთვის მზად უნდა იყო; ზურგს უკან არ ილაპარაკოთ, სათქმელი პირში უნდა უთხრათ ერთმანეთს. მეც ასე ვიქცევი და ამის გამო, ჩემი და მამაყირებს ხოლმე — ჩემზე ამბობს: გეფერება, გეფერება და ისეთი გული აქვს, შეიძლება, ერთხელ ისეთი სიტყვა გესროლოს, დანასავით დაგსეროსო.

**ზვიადი:**

— მეგობრებს ჩემთვის ბევრჯერ გაუცრუებიათ იმედი. დღეს, მაქსიმალურად ვცდილობ, რომ მათ არჩევაში არ შევცდე... ხალხნო, გაუფრთხილდით მეგობრულ ურთიერთობებს, ერთმანეთს გული არ ატყინოთ, თორემ...

**ანა:**

— თორემ, მერე გვიან იქნება თითზე კბენანი.



ოჯახური ძალადობის პრობლემა ოდითგანვე არსებობდა ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ ტაბუდადებულ თემად იყო ქცეული და საზოგადოებაში ამ საკითხზე დღევანდელისგან განსხვავებით, ლიად არავინ ლაპარაკობდა. ეს არ გახლავთ მხოლოდ ოჯახის პრობლემა — ეს არის ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდისათვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი პრობლემა. ოჯახში, სადაც ძალადობას აქვს ადგილი, სერიოზული ფსიქოლოგიური გართულებებით დამძიმებული ბავშვები იზრდებიან. ამ თემაზე მუშაობა ქალთა საკონსულტაციო ცენტრ „სახლში“ ვიზიტით დაინწყე ცენტრის ხელმძღვანელმა, ფსიქოლოგმა რუსუდან ფხაკაძემ ორ ქალბატონს შემხვედრა.

# ოჯახური ძალადობა და მეგრული თანასწორობა

„ღაჰმორდი და აჰოჰისუთეჲ, ჳიცი, რომ სახლში მისულს ჳეგას ალარაჳინ ღაჰიწყაჰს“

## თამუნა კვინიკაძე

ბაღდა, 44 წლის:

— ჩემს უბედურებაში გარკვეულწილად, მშობლებს ვაძანაშაულებ. ძალიან მკაცრად მზრდიდნენ. ყოველთვის სახლში ვიყავი გამოკეტილი, მეგობრებთანაც კი არ მიშვებდნენ... 18 წლის ვიყავი, როცა ინსტიტუტში ჩავაბარე. ჩემი ყოფილი მეუღლეც მაშინ გავიცანი. მოვეწონე. ის პირველი მამაკაცი იყო, რომელმაც მითხრა — მიყვარხარო და მთელი ქვეყანა ჩემი მეგონა... მას ბინა არ ჰქონდა და ჩემმა მშობლებმა ზედსიძედ შემოიკედლეს. თანდათან გათამაშდა, კარგი ცხოვრება შეიფერა, სმას მოუხშირა. მიუხედავად იმისა, რომ არ მუშაობდა, ჩემი მშობლები არაფერს გვაკლებდნენ. ცოტა ხანში, ბინა მივიღეთ და ცალკე გადავედით საცხოვრებლად. 1993-94 წლებში, ქვეყანაში ისედაც გართულებული მდგომარეობა იყო, ჩვენც პრობლემები მოგვიმრავლდა. უკვე 3 შვილი გვყავდა, მატერიკალურად გაგვიჭირდა, ამიტომ ოჯახებში დავინწყე დამხმარედ მუშაობა. ის კი ყოველდღე მთვრალი მოდიოდა სახლში. კიბეზე მისი ნაბიჯების და გინების ხმას რომ გავიგონებდი, შვილებთან ერთად, მეზობლებთან ვიმალებოდი.

— რატომ? ფიზიკურ შეურაცხყოფას გაყენებდათ?

— მცემდა ყოველგვარი მიზეზის გარეშე. ჩვენი უმცროსი ბიჭი მაშინ 16 წლის იყო, კატეგორიულად უთხრა — დედაზე ხელი არ ასწიოო! ამან უფრო გააგიჟა, მითხრა — შვილები ჩემს წინააღმდეგ განაწყვეო! მეტის მოთმენა აღარ შემეძლო და განქორწინებაზე ფიქრი დავინწყე. რატომ უნდა მეცხოვრა მასთან?! სამსახურიდან საშინლად დაღლილი ვბრუნდებოდი, კიდევ ცემა და დამცირება რატომ უნდა ამეტიანა?!

— ბავშვებსაც სცემდა?

— არა, ბავშვებს არ სცემდა, მაგრამ ამ

ნაბიჯის გადადგმისკენ მათაც მიბიძგეს. უმცროსმა ბიჭმა მითხრა — შენ, კარგი, გაუძევი, მაგრამ ჩვენ რა დავაშავეთ, მე ასე ცხოვრება აღარ შემიძლიაო! ბევრჯერ ჩემს ქალიშვილს კარი გაუღია და მამამისისთვის უთქვამს — სახლიდან წადიო. მიდიოდა და 5 წუთში უკან ბრუნდებოდა...

— რომ არ შემოგეშვათ?

— მერე უარესი მოხდებოდა...

— უარესი რა მოხდებოდა?

— ბევრჯერ, სახლში რომ არავინ დავხვედრივართ, ეგონა, კარს არ ვუღებდით, დავრეკავდით და მას დავაჭერინებდით... ჩხუბით და გინებით სახლის კარი არაერთხელ ჩამოუღია, შინ კი არავინ დახვედრია.

— ამჟამად სად იმყოფება?

— არ ვიცი.

— არც შვილებს ნახულობს?

— არა. ცოტა ხნის წინ, ჩემს ქალიშვილს ქუჩაში დაუნახავს; მითხრა — ისეთი მთვრალი იყო, ვერ მივუახლოვდიო...

— ბავშვები არ განიცდიან მასთან დაშორებას?

— მისგან იმდენი სიმწარე ახსოვთ, რომ... უკვალოდ არაფერი იკარგება. გადატანილი ჩხუბების შედეგად, უმცროსი ბიჭი ნერვიული გახდა. ჯარში უნდა წასულიყო, სამედიცინო კომისიამ დაინუნა... ფსიქიატრთან გაგვზავნეს. ის ძალადობის მსხვერპლია. 3 წელია, რაც ქმარს გავყარე და ამოვისუნთქე. ახლა მშვიდად ვგრძნობ თავს ვიცი, რომ სახლში მისულს, არავინ ნამეჩხუბება, არავინ მცემს...

— ერთად რამდენი წელი იცხოვრეთ?

— 21.

— შერიგება არ უცდია?

— დამორებიდან 1 წლის შემდეგ დამირეკა და მითხრა, შევრიგდეთო. ერთი შანსი კიდევ მივეცი. ერთი თვის განმავლობაში, რეკავდა, შვილების ამბავს კითხულობდა. მერე კი, დამირეკა და მითხრა



ყველასთან მეგობრული „ატნაშენიები“ მაქვს...

— გადავიფიქრე შენთან შერიგება, ცოლის მოყვანა მინდაო. ღმერთმა ბედნიერი გამყოფოს-მეთქი, — ვუთხარი და დავემშვიდობე.

**— საყვარელი ჰყავდა?**

— მექალთანე იყო, მაგრამ დიდი ხნით არავისთან ჩერდებოდა.

**— ფული თუ ჰქონდა?**

— ხელოსანია. ზამთარში სამუშაო არ ჰქონდა. ზაფხულში, როგორც კი ფულს იშოვიდა, ყოყონობდა — ქედი მომიხარეთო!.. ახლა რომ ვფიქრობ, მიკვირს იმ ქალების, რომლებსაც სცემენ, შეურაცხყოფენ, ისინი კი მანც არ ვერებიან ქმრებს. მაინც, შვილების მამაო, — ამბობენ და ყველანაირ დამცირებას იტანენ.

**— რატომ გიკვირთ? თვითონ ხომ ასე, 21 წელი იცხოვრეთ...**

— ჩემთვის ბოლო წლები გაუსაძლისი იყო. ეს ნაბიჯიც ამიტომ გადავდგი. ოჯახის დანგრევა ადვილი არ არის, მაგრამ ეს რომ ადრე გამებედა, უკეთესი იქნებოდა. ახლა დავისვენე, თითქოს ხელმეორედ დავიბადე.

**— თქვენს პრობლემებზე, ოჯახურ ძალადობაზე, ხმაბლლა და ღიად დაინწყეთ ლაპარაკი. ანალოგიური მდგომარეობა არაერთ ოჯახშია, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო, ამის აფიშირებას არ ახდენენ... თქვენი ქმედების გამო ხომ არავის გაუკიცხინართ?**

— ჩემს ახლობლებს — არა, მაგრამ ბევრისგან მსმენია — მაინც ქმარი... ჩემთვის ქმარი, ფუფუნების საგანი არ არის. არც არავის აზრი მაინტერესებს. ჩემთვის მთავარია, მე და ჩემმა შვილებმა მშვიდად ვიცხოვროთ.

**ჯული, 50 წლის:**

— ჩემი მეუღლე ჩემზე 4 წლით უმცროსი იყო. როცა ცოლობა მთხოვა, უარი ვუთხარი, ნორმალურად არც კი ვიცნობდი. 1981 წლის 7 ნოემბერს მომიტაცა. მანქანაში რომ ჩამსვეს, მემუქრებოდნენ, ხმა არ ამოიღო. მერე ცუდად გავხდი. ზუგდიდში ჩემი მომავალი მულის სახლში მიმიყვანეს.

**— თუ არ გიყვარდათ, ხომ შეგეძლოთ, უკან დაბრუნებულიყავით?**

— მაშინ ასეთი რამ სირცხვილად ითვლებოდა. ვიფიქრე, ქურდი და ყაჩაღი არ არის-მეთქი და ბედს შევურიგდი... მისი ოჯახი ძალიან ღარიბულად ცხოვრობდა. ვმუშაობდი, კარგი ხელფასი მქონდა. მასთან ურთიერთობის პირველსავე დღეებში მიცხვდი, რომ ჩემთან ანგარების გამო შექმნა ოჯახი. მერე ისიც გავიგე, რომ ჯარში წასვლამდე სხვა გოგო ჰყვარებია. მას ცოლობაზე უარი უთქვამს; მისგან უარყოფილს, ჯიბრზე ჩემი მოტაცება გადაუნწყვტია.

**— როგორი მეუღლე იყო?**

— ქორწინების პირველ წლებში, ცუდი არაფერი შემიმჩნევია. უკვე გითხარით, რომ ძალიან ღარიბულად ვცხოვრობდით, მაგრამ მე ამ სიღარიბეს არ შევუშინდი, შრომით თანდათან ავანყვე ცხოვრება. ერთადერთი, რაც გვანუხებდა, უშვილობა

იყო. 4 წლის შემდეგ შეგვეძინა ვაჟი — ლევანი. მაგრამ მალე ჩვენთან ოჯახში საცხოვრებლად მული გადმოვიდა და ყველა უბედურება იმ დღიდან დაიწყო.

**— რატომ, ასეთი რა გააკეთათ?**

— ოჯახის საქმეებში უხეშად ჩარევა დაიწყო. მის გამო ერთხელ, ჩემი მამამთილი თოფით ხელშიც კი გამომეკიდა. ბავშვთან ერთად გავიქეცი და მათი ბიძაშვილის ოჯახში შესვლა მოვასწარი. ლევანი მაშინ 6 წლის იყო. მისი კვილის ხმა ახლაც ჩამესმის. ბავშვს შიშისგან, მეტყველება დაუზიანდა. ექიმებმა მითხრეს, რომ მისი ნერვიულობა არ შეიძლებოდა, ოჯახში კი მშვიდი გარემო არ იყო.

**— მეუღლე არ გიცავდათ?**

— იმ დროს ჩემი მეუღლე სახლში არ იყო. დედამთილმა და მულმა მასზე გავლენა მოახდინეს, ჩემს წინააღმდეგ განწყვეს. როცა მთვრალი დაბრუნდებოდა შინ, მცემდა ხოლმე, გამოფხიზლებული კი, ინანიებდა. მეუბნებოდა — როცა მთვრალს დამინახავ, მომერიდებო... ოჯახში გართულეულ მდგომარეობას თან დაერთო აფხაზეთის ომი. ზუგდიდში არეულობა იყო. მატერიალურადაც ძალიან გაგვიჭირდა. ოჯახში ბავშვიც შეიძულეს. ერთხელ, შემთხვევით მალულად დავინახე, როგორ სცემდა ლევანს ჩემი დედამთილი. იმ დღის მერე, ბავშვს სახლში მარტო ვღარ ვტოვებდი. ჩემმა ძმამ მიჩია, რომ მასთან თერჯოლაში გადავსულიყავით საცხოვრებლად. ასეც მოვიქეცი.

**— თქვენი მეუღლე წამოგყვით?**

— მას ჩემი ძმა ძალიან უყვარდა, ამიტომ უარი არ მითხრა. იქ 3 წელი ვიცხოვრეთ. ხშირად სვამდა, მაგრამ ჩემ მიმართ აგრესიული აღარ იყო, აღარ მცემდა.

**— ზუგდიდში დატოვებულ ოჯახთან კავშირი აღარ გქონდათ?**

— იქ ჩასვლა დიდი ნერვიულობის ფასად გვიჯდებოდა. პერიოდულად თერჯოლის შემდეგ, ვცხოვრობდით თბილისშიც და მოსკოვშიც. ჩემი მეუღლე ცუდად აღარ იქცეოდა. მაგრამ საკმარისი იყო, ოჯახში ჩასულიყო, იქიდან საშინლად აგრესიული და გაღიზიანებული ბრუნდებოდა. რამდენჯერმე ჩემზე კვლავ საცემრად გამოინია.

**— რა იყო ამის მიზეზი, გულახდილად არ დალაპარაკებინართ?**

— ამაზე საერთოდ არ ლაპარაკობდა.

**— როგორ ფიქრობთ — ოჯახის წევრები ამხედრებდნენ თქვენს წინააღმდეგ?**

— მაგაში ეჭვიც არ მეპარება... ლევანიც წამოიზარდა, მამას უფლებას აღარ აძლევდა, დავმცირებინე. ერთხელ, ცემის შედეგად, მხედველობაც დამიზიანდა...

**— თქვენი მეუღლე ამჟამად სად იმყოფება?**

— ზუგდიდში. მეორე ცოლი მოიყვანა.

**— ლევანს არ აქცევს ყურადღებას?**

— მხოლოდ ერთხელ მისცა 5

ლარი და მეტი არაფერი. ლევანს მკურნალობა სჭირდება, ფსიქიატრთან დამყავს, დღესაც ფსიქოლოგიურ-ნევროლოგიური კლინიკის ვალი მაქვს. მე და ჩემი შვილი ისე გამოგვყარეს სახლიდან, რომ არაფერი მოუციათ.

დღეს ძალიან ბევრს ლაპარაკობენ გენდერულ თანასწორობაზე, მაგრამ ქვეყანაში ხშირად ხდება ოჯახის ერთი წევრის მიერ, მეორის კონსტიტუციური უფლებების დარღვევა — ფიზიკური, ფსიქოლოგიური, მატერიალური, სექსუალური ძალადობით, ზოგი შვილი დედას არ უშვებს სახლში, ზოგი მშობელი კი — შვილს აიძულებს ქუჩაში გავიდეს და იმათხოვროს... ეს რეალობაა, რომელსაც ვერსად გავუქცევით.

**ნონა, 65 წლის:**

— ბევრ ჩემნაირად გამწარებულ დედას ვიცნობ, მაგრამ ამ საკითხზე ლაპარაკს ყველა გაუბრბის. ვიცი, რომ ამ ინტერვიუს ნაკითხვა ჩემს შვილს გააგიჟებს, მაგრამ მეტი რაღა უნდა დამმართოს? სახლიდან უკვე გამომაგდო...

**— ამჟამად ვისთან ცხოვრობთ?**

— ჩემმა დისშვილმა შემიკვდლა. მას ორი წლის წინ მეუღლე გარდაეცვალა. ორი პატარა ბავშვი ჰყავს. თვითონ მუშაობს, მე კი, ბავშვების აღზრდაში ვხმარები.

**— შვილმა სახლიდან რატომ გამოგაგდოთ?**

— სახლიდან წადიო, — არ უთქვამს, მაგრამ მასთან ყოფნა აღარ შემეძლო: ისეთი პირობები შემიქმნა, რომ წამოვსულიყავი.


**— უფრო კონკრეტულად, თუ შეიძლება.**

— მოგვსენებათ, დედამთილი აღარავის უნდა. მეუღლე წლების განმავლობაში, ჩემზე ცუდს ელაპარაკებოდა და სურვილიც აისრულა. მისი აზრები ნაკლებად მაინტერესებს, მაგრამ გული ჩემი შვილის საქციელის გამო მტკივა. დაუმსახურებლად მიყვიროდა, რამდენჯერმე საცემრადაც კი გამოინია. მაიძულებდა, რომ ჩემს ოთახში ყყოფილიყავი ჩაკეტილი. მე თავმოყვარე ქალი ვარ, რაც არ მეკუთვნის, იმის ატანა არ შემიძლია. ამიტომ ჩემს დისშვილთან გადმოვედი საცხოვრებლად. აქ თავს ადამიანად ვგრძნობ.

**— შვილს აღარ ნახულობთ?**

— 3 წელია, იმ სახლიდან წამოვედი. ამ

ოჯახური ძალადობა, სახელმწიფოს მიერ პრობლემად არ არის აღიარებული



3 წლის განმავლობაში, ერთხელაც არ მივსულვარ. თვითონ გამოვივლის ხოლმე. ვატყობ, რომ რცხვენია.

— **მეუღლესთან როგორი დამოკიდებულება აქვს?**

— არ ვეკითხები, მაგრამ ვატყობ, რომ მის პირად ცხოვრებაში ყველაფერი კარგად ვერ არის...

— **თუ ფიქრობთ, რომ მის აღზრდაში შეცდომა დაუშვით?**

— გარკვეულწილად. 35 წლის ვიყავი, როცა ოჯახი შევექმინე. ერთი წლის შემდეგ, ბიჭი შეგვეძინა. ჩემს მეუღლეს კარგი ხელფასი ჰქონდა. შეიღს ფუფუნებაში ვზრდიდით. მისთვის არასოდეს არაფერი დამიკლია. შრომა არ შევაყვარე — ეს არის ჩემი დანაშაული. 30 წლამდე, ვიდრე მამა არ გარდაეცვალა, არსად უმუშავია. მერე,



დილით საჭმელს მაჭმევენ და ქუჩაში მიშვებენ ფულის სამოვნელად...

ერთ-ერთ კომპანიაში მიიღეს რიგით თანამშრომლად. არ უნდოდა, უკადრისობა... ახლა რომ მყავდეს ბავშვი აღსაზრდელი, სულ სხვაგვარად მოვეპყრობოდი, თურმე, ფუფუნება და სიმდიდრე, სიღარიბეზე ცუდი ყოფილა...

ჩემი შემდეგი რესპონდენტი ქუჩაში გაეცანი. ბიჭი ერთ-ერთ შუქნიშანთან იდგა და შეჩერებული მანქანების მძღოლებისგან მონყალებას ითხოვდა.

— **შეიძლება, დაგელაპარაკოთ?**  
— შენ ვინ ხარ?

— **ჟურნალისტი ვარ.**

— ადრეც იყო აქ ერთი ჟურნალისტი, რალაც ისტორიებს გვაყოლებდა. ვიცი, რაც უნდა მკითხო.

— **რა გქვია?**

— სახელს არ გეტყვი.

— **რატომ?**

— იმ ჟურნალისტმა ჩემი სახელით რომ დანერა. სტატია, მერე მშობლებმა დამსაჯეს.

— **გცემს?**

— ჰო, დილით საჭმელს მაჭმევენ და ქუჩაში მიშვებენ ფულის სამოვნელად.

— **თვითონ რას აკეთებენ?**

— არაფერს.

— **ოჯახს შენ არჩენ?**

— არა, ზოგჯერ თვითონაც მათხოვრობენ.

— **დაძმა გყავს?**

— არც მაგას გეტყვი. არ მინდა, ჩემი მშობლები კიდევ რამეს მიხვდნენ. არც ის დანერო, რომელ ქუჩაზე მნახე, თორემ, დავისჯები. ცოტა ხანში შეიძლება, სახლში

ალარც მივიდე.

— **აბა, სად წახვალ?**

— რა ბევრი რამე გაინტერესებს!.. მე აღარ მინდა, სხვა კითხვებზე გიპასუხო. ისე, კარგია, ჩვენი ბედით რომ დაინტერესდით, მაგრამ თქვენ ვერაფერს შეცვლით.

— **შენ ასე გგონია?**

— კი არ მგონია, ასეა. ნახვამდის.

**რუსუდან უზნაბაძე, ფსიქოლოგი, ქალთა საკონსულტაციო ცენტრ „სახლის“ ხელმძღვანელი:**

— ოჯახური ძალადობა, სახელმწიფოს მიერ პრობლემად არ არის აღიარებული. მართალია, კანონი მიიღეს, მაგრამ მე, როგორც პრაქტიკოსი ფსიქოლოგი მივიჩნევ, რომ სახელმწიფო ამ პრობლემას მეტი სერიოზულობით უნდა ეკიდებოდეს...

— **წლის განმავლობაში, თქვენს ორგანიზაციაში ოჯახური ძალადობით შეწყვეტილი რამდენი ადამიანი მოდის?**

— თუ 2000 წელს, ჩვენთან მომსვლელთა რაოდენობა 100 კაცს არ აღემატებოდა, დღეს ეს რიცხვი 300-მდე გაიზარდა.

— **რას ნიშნავს ეს? ქვეყანაში ძალადობის ფაქტებმა იმატა?**

— ოჯახური ძალადობის ფაქტები ადრეც იყო და დღესაც აქტუ-

ალურია. უბრალოდ, იმატა იმ ადამიანთა რიცხვმა, ვინც ამ საკითხზე დუმის აღარ აპირებს. ჩვენ ამ პრობლემაზე მუშაობა 1997 წელს დავიწყეთ. მაშინ ბევრისთვის გაუგებარი და შეიძლება, მიუღებელიც კი იყო ჩვენი ინიციატივა. ბევრისთვის, უცნაურად მოჭიკჭიკე პირველი მერცხალი ვიყავით. მაგრამ დღეს, უკვე ძალიან ბევრი ადამიანი ჩვენებურად ფიქრობს.

— **ოჯახურ ძალადობას, უმეტეს შემთხვევაში, მამაკაცები მიმართავენ მეუღლეებთან ურთიერთობისას. ძალადობის მსხვერპლი მამაკაცი თუ გწვევიათ?**

— უმრავლეს შემთხვევაში, მამაკაცია მოძალადე, მაგრამ ოჯახში ხშირად ხდება დაპირისპირება რძალსა და დედამთილს შორის, მულსა და რძალს შორის და ან სულაც დედა-შვილს შორის. მოძალადეები ყოველთვის მამაკაცები არ არიან. როცა ძალადობას ადგილი აქვს რძალსა და დედამთილს შორის, ამ დროს, მამაკაცი — იარაღია.

**ბაბ იოზიძე, იურისტი:**

— სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, მეუღლეებს ერთად შეეძინა უძრავ და მოძრავ ქონებაზე თანაბარი უფლება (არ იგულისხმება პირადი ნივთები, ძვირფასეულობის გარდა) აქვთ. უძრავი ქონება, რომელიც ერთ-ერთი მეუღლის მიერ შეძენილი იყო ქორწინებამდე, მაგრამ შეძგომ, კაპიტალურად შეკეთდა, გადაკეთდა და მნიშვნელოვნად გაძვირდა, ასევე სანახევროდ ეკუთვნის მეუღლეს.

— 2006 წლის 25 მაისს მიღებული იქნა კანონი ოჯახური ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის და დახმარების შესახებ. რას გვეტყვით ამ კანონის შესახებ?

— ამ კანონის მთავარ ღირსებად მიმაჩნია დამცავი და შემაკავებელი ორდერების შემოღება. როდესაც ოჯახური ძალადობის გამო მოხდება პატრულის გამოძახება, პატრულს გამოაქვს შემაკავებელი ორდერი. შეიძლება მოძალადე ჩამოაშორონ კიდევ ოჯახს; თუ ოჯახში რამდენიმე მოძალადეა, მაშინ, პირიქით, მსხვერპლი მოაშორონ ოჯახს. ამ ორდერს აქვს იმნუთიერი დანიშნულება. დამცავი ორდერი კი უფრო ხანგრძლივ დროზეა გათვლილი. მას გასცემს სასამართლო, 3 თვის ვადით. ამ ვადის გაგრძელება შესაძლებელია ორდერის მოქმედების პერიოდში. მოძალადეს ეკრძალება მსხვერპლთან მიახლოება, საერთო საკუთრებით სარგებლობა. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად საფრთხის მომტანია ამ პიროვნებასთან ურთიერთობა.

— **თუ მოძალადე დაარღვევს დაკისრებულ ვალდებულებებს, ასეთ დროს, კანონი რას ითვალისწინებს?**

— მოძალადის მიერ დამცავი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი დადგება.

— **ვის აქვს დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნის უფლება?**

— თვითონ მსხვერპლს და მისი ოჯახის წევრებს, რომელიც უნევს სამედიცინო, იურიდიულ, ფსიქოლოგიურ დახმარებას, ხოლო ბავშვის მიმართ ძალადობის შემთხვევაში — მეურვეს.

— **ოჯახის დანგრევის დროს, ზოგი მშობელი ბავშვს იარაღად იყენებს ასეთ შემთხვევაში, რას ითვალისწინებს კანონი?**

— კანონის მიხედვით, ორივე მშობელს ბავშვზე თანაბარი უფლება აქვს. საკითხი წყდება ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე. ხშირ შემთხვევაში, ბავშვი დედას ირჩევს. მშობელს ყოველთვის აქვს შვილის ნახვის უფლება, თუ ის ლოთი და ნარკომანი არ არის ან რაიმე მავნე ზეგავლენას არ ახდენს მოზარდზე. ხოლო თუ ბავშვისთვის საფრთხის მომტანია მშობელთან ურთიერთობა, მაშინ ნახვა ეკრძალება.

— **ოჯახური ძალადობის მსხვერპლს უფლება აქვს, მოითხოვოს თავშესაფარი. რა ვადით შეუძლია თავშესაფარში დარჩენა? შეუძნარჩუნდება თუ არა მას სამუშაო ადგილი?**

— ეს კანონის მე-18 მუხლია, რომელიც 2007 წლის პირველი იანვრიდან შევა ძალაში. თავშესაფარში მსხვერპლს შეეძლება 2 თვით დარჩენა. საჭიროების შემთხვევაში, ვადა შეიძლება გაუგრძელონ. რაც შეეხება სამუშაო ადგილის შენარჩუნებას — კანონით, მსხვერპლს უნარჩუნდება სამუშაო ადგილი, იმავე თანამდებობაზე.



ეკა მინლაძე

— ბატონო ბიძინა, მომავალში აპირებთ თუ არა ახალგაზრდა მსახიობების აყვანას?

— რა თქმა უნდა. ცოტა ხანში, ახალგაზრდა მსახიობებს, არა მარტო მივიღებთ, არამედ მათ დახმარებასაც შევცდებით. მანამდე კი, ჩვენს თეატრს მხოლოდ ოთხი მსახიობი ჰყავს: სოფო ბრეგვაძე, მერაბ ნიკოლაიშვილი, ეკა მუჟავენიძე და მე.

— ეკა მუჟავენიძეს ტელესერიალ „საპნის“ გადაღებამდე იცნობდით?

— ვიდრე სერიალის გადაღებები დაიწყებოდა, ეკა მარჯანიშვილის თეატრის მსახიობმა ავთო მიქაძემ გამაცნო. სხვათა შორის, დუეტში თამაში იმდენად კარგად გამოგვიძის, მართლა ცოლ-ქმარი ვგონივართ. სინამდვილეში, ეკას თავისი ოჯახი აქვს, მე კი, უცოლო ვარ...

— როგორც ვიცი, ამ თეატრში რეჟისორიც თქვენ ხართ და სცენარისტიც. მკაცრი რეჟისორი ხართ?

— არა, უფრო ლმობიერი. მართალია იმისათვის, რომ მსახიობი ამა თუ იმ როლისათვის მოვამზადო, დიდი ენერჯის დახარჯვა მჭირდება, მაგრამ მიუხედავად ამისა, დიქტატორი ვერ ვიქნები. რადგან პირველ რიგში, მსახიობი ვარ.

— რით განსხვავდება მინიატურების თეატრი სხვა თეატრებისგან?

— მინიატურების თეატრი, სხვებისაგან პირველ რიგში თავისი ფორმით განსხვავდება. თუმცა მათსავით ჩვენც შეგვიძლია ისეთ მარადიულ თემებზე საუბარი, როგორცაა — სიყვარული, მეგობრობა და ოჯახი. უბრალოდ, აქ მოსული ადამიანი ბევრს იცინებს.

— მომავალში ხომ არ აპირებთ, უარი თქვათ სერიალში მონაწილეობაზე?

— რა თქმა უნდა, არა. სერიალშიც მივიღებ მონაწილეობას და თეატრის წარმატებებზეც ვიფიქრებ. ისინი ერთ-

„მიუხედავად იმისა, რომ ესტრადაზე არაერთხელ გამოვსულვარ, მაყურებელმა მაინც ტელესერიალ „საპნიდან“ გამიცნო“ — ამბობს მსახიობი ბიძინა მახარაძე, რომელიც ცხოვრებაშიც ისეთივე ხალისიანია, როგორც სცენაზე.

ცოტა ხნის წინ, ბატონმა ბიძინამ მინიატურების თეატრი გახსნა, სადაც ჯერჯერობით, ადგილი მხოლოდ 4-მა მსახიობმა დაიმკვიდრა.

# „თქვენ რას წიყის მოყვარულნი“ ბიძინა მახარაძეს ცხოვრებას შონზო უმნ“წიყებს...

მანეთს ხელს არ უშლის. მიუხედავად იმისა, რომ ესტრადაზეც არაერთხელ გამოვსულვარ, ვფიქრობ, რომ პოპულარობა ამ სერიალმა მომიტანა.

— „საპონში“ როგორ მოხვდით?

— პირველად, ნიკა ქავთარაძის შოუში მე და ეკა მუჟავენიძემ რალაც ვითამაშეთ. გადაცემის დამთავრებისთანავე, ნიკას თანამშრომლობა შევთავაზე. მან მითხრა: ცოტა ხანში, ახალი სერიალის გადაღებას ვინყებთ, რომელსაც „საპონი“ ერქმევა და თქვენ, ოჯახის უფროსის როლზე დაგამტკიცებთო. ამ შემთავაზებამ ძალიან გამახარა და მას სიამოვნებით დავთანხმდი.

— თქვენსა და სერიალის გმირს შორის რაიმე მსგავსება არის?

— რა თქმა უნდა, არის. თავიდან ის თითქოს სულ სხვა ტიპი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ახლა დამემსგავსა — ისიც გურულია და მეც. თუმცა, მისგან განსხვავებით, ზოგიერთ რალაცებში გაცილებით უფრო ზომიერი ვარ — ის ფიცხი და არყის მოყვარული კაცია, მე კი, ამ ყველაფრისგან შორს ვარ.

— გადაღებების დროს, ყველაზე მეტად ვინ გაბრაზებთ?

— რა თქმა უნდა, შონზო. სწორედ, ის გახლავთ ხალხის განამების დიდოსტატი (იცინის). ცდილობს დაგვაბნოს და ამის გამო, შუა გადაღების დროს, ხან ბალიშს შემოგვიგდებს, ხან კი, კარის გაღების ნაცვლად კედელს „ხსნის.“

— პოლიტიკოსების პაროდია თუ გაგიკეთებიათ?

— ადრე, გორბაჩოვის, ბრეჟნევისა და შევარდნაძის პაროდირებს ვაკეთებდი. დღეს კი, პოლიტიკოსები აღარ მაინტერესებს

და მხოლოდ მსახიობების: ეროსი მანჯგალაძის, რამაზ ჩხიკვაძის, ოთარ მეღვინეთუხუცესის, ზურა ქაფიანიძის, ლუი დე ფიუნესის და ყველასათვის საყვარელი ადამიანის — ოტია იოსელიანის პაროდით შემოვიფარგლები.

— ოდესმე თუ გისარგებლიათ სხვისი ხმით?

— სიმართლე გითხრათ, ეს ნიჭი, ჩემდა სასიკეთოდ არასოდეს გამომიყენებია, თუმცა ბევრი რალაცის გაკეთება კი შემეძლო. მახსენდება ის პერიოდი, როცა დეიდასთან ცხოვრობდი. მას თითქმის ყოველდღე ვიღაც გოგონები ურეკავდნენ და აშაყირებდნენ. განამებული ქალი მათ ხან უწყრებოდა, ხან ემუქრებოდა და ა.შ. მაგრამ ვერაფრით ჩამოიშორა. ერთხელაც, როცა გოგონებმა ისევ დარევეს, დეიდას ყურმილი გამოვართვი და მათ, ეროსი მანჯგალაძის ხმით დავუყვირე — „რას შვრებით თქვენ, მანდ?“ ამის თქმა და ყურმილის დადება ერთი იყო. იმ დღის შემდეგ, დეიდა აღარავის გაუშაყირებია. აი, ასეთი კარგი საქმე გავაკეთე (იცინის).

— ოდესმე თქვენთვის ფილმში გადაღება თუ შემოუთავაზებიათ?



დუეტში თამაში იმდენად კარგად გამოგვიძის, მართლა ცოლ-ქმარი ვგონივართ


— არა. ისე, ფილმში თამაშის დიდი სურვილი მაქვს. იმედია, ეს დროც მალე დადგება. სხვათა შორის, მოსკოვში ყოფნისას, ერთ-ერთ ტელესერიალ — „დრონგოში“ გადამიღეს, მაგრამ რად გინდა? კინო იწყება თუ რა, ჩემი გმირი მაშინვე კვდება — იქ ბანდიტი მიხო მოსულიშვილს ვთამაშობ. ერთხელ, ქუჩაში მეგობარი შემხვდა და მითხრა: სერიალში გნახეო. ვკითხე: კი, მაგრამ სად დამინახე-მეთქი? მიპასუხა: სერი-ალის ტიტრებშიო (იციანის).

**— ქუჩაში უცნობი ადამიანები ხშირად გაჩერებენ ხოლმე?**

— ამას წინათ, ქუჩაში ერთმა მა-მაკაცმა გამაჩერა და დიდის ამბით მომიკითხა. როდესაც მიხვდა, რომ ვერ ვიცანი, გაუკვირდა და მითხრა: არ გახსოვს, 1982 წელს, ჩხორონწყუში, ბანკეტზე, ერთად რომ ვიქეიფეთო?.. ჩვენ ერთ მაგიდასთან ვისხედით, ოღონდ შენ შემდეგ რამდენიმე კაცის მერე ვიჯექიო. აბა, როგორი გასახსენებელია ადამიანი, რომელთან ერთადაც ჩხორონწყუში, 1982 წელს ვიქეიფეთ?.. ამას წინათ, ქუჩაში სრულიად უცნობი ქალბატონი მომიახლოვდა და მითხრა: არ გახსოვარ? — მე შენი პედაგოგი ვიყავიო. მართალი გითხრათ, ეს ქალი საერთოდ არ მეცნო, არადა, პედაგოგი როგორ არ გამახსენდებოდა? ვუთხარი: ქალბატონო, დიდი ბოდიში, მაგრამ მგონი, რალაც გეშელება-მეთქი. ის კი, მიმტკიცებდა — ნამდვილად მე გასწავლიდიო. კურიოზია, აბა, რა არის? (იციანის).

**— ბატონო ბიძინა, ცხოვრებაშიც ასეთი ხალისიანი ხართ?**

— ცხოვრებაში იუმორის გრძნობა რომ არ გამაჩნდეს, ალბათ ხალხის გამხიარულებას სცენიდანაც ვერ შევძლებდი. თუმცა, არის ადგილები, სადაც სერიოზული ვხდები. ■



„ლიმონის“ „პიარშიკები“ — ნიკა წერეთელი და ზაქრო ინკირველი ფიქრობენ, რომ ახლა უფრო მეტად პოპულარულები არიან, ვიდრე „ნიკას შოუს“ დროს იყვნენ. გარდა პიარისა, განუყრელი მეწყვილეები „ლიმონის“ და სერიალ „საპნის“ სცენარისტებიც არიან. ნიკა ინგლისის ნაკრების გულშემატკივარია, ზაქრო — ბრაზილიის. განსხვავებული აზრი ფეხბურთის შესახებ მუშაობაში მათ ხელს არ უშლის. ორივეს უყვარს თავისი საქმე და დიდი შემართებით აპირებენ პოლიტიკოსებსაც და სხვა პოპულარულ ადამიანებსაც. როგორც მათგან შევიტყვევ, ზაფხულშიც კი არ აპირებენ დასვენებას და მაცურებელს ახალ იუმორისტულ-გასართობ გადაცემებს ჰპირდებიან...

**გაპიარებული ლექს-სენი, „გადაწყვეტილი“ ინგა გრიგოლია და აჩი აჩველასძე, რომლის ბუცებიც სულ ლურსმანზე კიდია**

**ნიკო ჯავახიშვილი**

**ნიკა წართაღი (თეთრი პიარი)**

— 1980 წლის 2 მარტს დავიბადე. დავამთავრე უნივერსიტეტი, საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტი. ბიზნესიურისტი ვარ, მაგრამ ჩემი პროფესიით არასდროს მიმუშავია; უნივერსიტეტში კულტურისა და ხელოვნების ცენტრის დირექტორის მოადგილე ვიყავი, მერე ტელეკომპანია „202“-ში, „ვიპ-შოუს“ სცენარისტად ვმუშაობდი, იქიდან კი, „იმედში“ გადმოვიწინაცვლე. ასეა, ასაკის მატებასთან ერთად, ენთუზიაზმიც ქრება: 25 წლის კაცი, 200 ლარზე როდემდე ვიმუშავებდი?..

**ზადრო ინკირველი (შავი პიარი):**

— მე 1978 წლის 3 მაისს დავიბადე. პროფესიით ფსიქოლოგი ვარ. მაგრამ არც მე მიმუშავია ჩემი სპეციალობით და არც ვაპირებ მომავალში. მე და ნიკა განუყრელი დუეტი ვართ — სტუდენტობის წლებიდან ვმეგობრობთ კიდეც და საქმესაც ერთად ვაკეთებთ. „202“-შიც ერთად ვმუშაობდით და „იმედშიც“ ერთად ვართ. როდესაც უნივერსიტეტში კა-ვე-ენს ვთამაშობდით, სერიოზული წარმატებები გვქონდა.

**ნიკა:**

— იუმორი თავისი აქტუალობითაა მნიშვნელოვანი და საინტერესო. წლების წინ, თუ ედუარდ შევარდნაძეზე დანერდი ხუმრობას და ამაზე ხალხს გულიანად ეცინებოდა, დღეს იმავეზე აღარ გაიცინებს. თუმცა კლასიკური იუმორი არასდროს „ბერდება“. ასეთ იუმორს ჩვენ „საერთაშორისო იუმორის“ ვუძახ-

ით — რა ენაზეც არ უნდა თარგმნო, მაინც სასაცილოა. სამწუხაროდ — დღეს მაცურებელს რაც არ უნდა შესთავაზო, ყველაფერზე თანახმაა. ამიტომაც დაბალი ხარისხის, ბანალური იუმორი ჭარბობს — ისეთი, რომელიც ენის გამოყოფაზე ან კაცის სიმსუქნეზეა აგებული. შიშველი კაცი რომ გაივლის, ეს მასისთვის სასაცილოა, ჩემთვის კი — დასაცინი. დაცინვა და გაცინება კი, სხვადასხვა რამეა.

**— გაიხსენეთ, რამდენიმე ძველი ხუმრობა, რომელიც დღესაც აქტუალური შეიძლება იყოს...**

— ჩემი მოგონილი ხუმრობა ასეთი იყო: შენ ვისი სახელი გქვიაო? — ჩემი ძმისო. — მერე, შენს ძმასო? — ჩემს ძმას დაუპატარავდა და მე მაჩუქაო... ზაქროს ჰქონდა ერთი ასეთი ხუმრობა: ერთი ამბობს! — ქუჩაში მივდიოდი და მარტორქა დავინახეო. — მერე, დიდი იყოო? — არა, მე მარტო რქა დავინახეო... ფრანგებზე და სიტყვების თამაშზე აგებული იუმორია.

**ზადრო:**

— ასეთი ხუმრობაც გვქონდა: — რას შვრება შენი ძაღლი, იმშობიარაო? — კი, იმშობიარა, კატა ეყოლა. — მერე, გული რაზე გწყდებაო? — კატაც კარგია, მაგრამ პირველი მინც ძაღლი გვინდოდაო... ის კი, რასაც „ლიმონში“ ვაკეთებთ, კლასიკური იუმორია, სატირასთან მიახლოებული...

**— როგორ გაჩნდა იდეა, თეთრი და შავი პიარი გაგვეკეთებინათ?**

— ჯერ კიდეც „ნიკას შოუს“ დროს გაჩნდა იდეა, რომ სტუმარი, კარგი და



არის ადგილები, სადაც სერიოზული ვხდები

ცუდი თვისებების მიხედვით დაგვეხასიათებინა. ეს მაშინ, როდესაც კლიპის გარჩევა ამოვიღეთ და სხვა ბლოკის დამატებაზე ვფიქრობდით, პირველად შავი პრინცი წარვუდგინეთ მაცურებელს და ძალიან მაგარი გამოვიდა. ყველას მოეწონა. თავიდან, წარმდგენები ვიყავით, შემდეგ კი „პიარშიკები“ გავეხდით. ნიკა თეთრი პიარია, მე — შავი. ეს ისე, პირობითად, თორემ, არც ერთი არ ვაკლებთ სტუმრებს მწარე-მწარე სიტყვებს. ასე რომ, შეიძლება, ორივეს შავი პიარი გვეწოდოს. ეს საქმე მე და ნიკამ საკუთარ თავზე ავიღეთ და ბიჭებიც გვეხდნენ. ვფიქრობ, კარგი ბლოკი გამოდის. სტუმრებს აინტერესებთ, რას ვიტყვით მათზე, როგორები არიან, სხვისი თვალთ დანახული. მათზე, მწარე რაღაცებს ვამბობთ, ოღონდ ისე, რომ თვითონ კმაყოფილები რჩებიან, ყოველ შემთხვევაში, გაბრაზებული არავინ ნასულა.

**ნიკა:**

— მართლაც ყველა გულიანად იცინის ხოლმე. ინგა გრიგოლია კი გადავრიეთ — ეს რა მიყავით, ასეთი რამ ჩემთვის არავის გაუკეთებიაო!.. სიტყვა რამდენჯერმე შემანყვეტინა. მესამედ რომ შემანყვეტინა, ხელით ვანიშნე (ისე, როგორც თვითონ იცის ხოლმე) — ერთი წამით გაჩუმდი-მეთქი, — და ლაპარაკი გავაგრძელე. მოკლედ, გავაჩუმე, რაც ძალიან გაუკვირდა. სხვათა შორის, ინგა გრიგოლიას, აჩიკო არველაძის და ლექსენის პიარი ძალიან მაგარი იყო. ვეცდებით გავიხსენოთ, რას ვამბობდით ინგას და კიდევ — აჩის შესახებ:

— ქალბატონებო და ბატონებო, საავადმყოფოდან გამოვიდა ინგა გრიგოლია...

**ზადრო:**

— ახლა უკვე პენიცილინის არომატით.

**ნიკა:**

— ინგამ გაიკეთა ურთულესი ოპერაცია და... გადარჩა.

**ზადრო:**

— ასეა ღმერთს თავისთვის კარგები უნდა!

**ნიკა:**

— ინგას აქვს კულინარიული გადაცემა.

**ზადრო:**

— მოჰყავს სტუმრები და ჭამენ ერთმანეთს!

**ნიკა:**

— ინგაზე დადის ჭორი, თითქოს ვილაცამ ბინა აჩუქა.

**ზადრო:**

— ვილაცაა ნიკა, ბატონი ბადრი?!

**ნიკა:**

— მაშ ასე, თქვენ წინაშეა თქვენი ვარდი, თქვენი ია, თქვენი ინგა გრიგოლია!.. ხომ მაგარია?! აჩი არველაძეს კი, ასეთი პიარი გავუკეთეთ: დღეს ჩვენი სტუმარია აჩი არველაძე.

**ზადრო:**

— ან შოთა არველაძე.

**ნიკა:**

— აჩი არველაძე ფეხბურთს აღარ თამაშობს.

**ზადრო:**

— ბუცები სულ ლურსმანზე კიდია.

**ნიკა:**

— აჩიმ რატომ დაანება ფეხბურთს თავი?

**ზადრო:**

— ტრავმებმა შეაწუხა.

**ნიკა:**

— და რეზიმ?

**ზადრო:**

— რეზი ნამუსმა შეაწუხა...

**ნიკა:**

— მისი კერპი არის მამამისი და რონალდინო.

**ზადრო:**

— პრინციპში, ორივე კიჭაა...

**ნიკა:**

— აჩის ხელზე პასტით ახატია ჯვარი...

**ზადრო:**

— 99-ში გაიტანა ბოლოს გოლი და რომ არ დაავიწყდეს!

**ნიკა:**

— ბავშვობაში ძმები არველაძეები ხშირად ჩხუბობდნენ და ამიტომ მამა ეუბნებოდა...

**ზადრო:**

— ერმანეთის გატანა მაინც ისწავლეთ, გოლის გატანას თუ ვერ სწავლობთო...

**ნიკა:**

— არჩილ და შოთა არველაძეები არიან თანამედროვე მამლუქები.

**ზადრო:**

— ორივე, თურქეთში გაყიდეს 1993-ში...

**ნიკა:**

— მერე, აჩი მოხვდა „ბრედაში“, შოთა — „აიაქსში“, შემდეგ აჩი — „კიოლნში“, შოთა — „რეინჯერსში“...

**ზადრო:**

— მოკლედ, არც ერთი იყო შოტლანდიელი და არც მეორე — გერმანელი, ორივენი ბედრკული საქართველოს ნაკრების წევრები


იყვნენ...

— თუ შეგიძლიათ, ექსპრომტად გააკეთოთ ვინმეს პიარი?

**ნიკა:**

— კარგი საპიარო იქნება შალვა ნათელაშვილი, ვთქვათ ასე: შალვა ჭამს დღეში ერთხელ. მეტი არცაა საჭირო — მე თუ მკითხავ, ზოგი რომ ჭამს სამჯერ, ოთხჯერ... ყოველთვის გაზის ტარიფის შემცირებას ითხოვს, ეტყობა, გაზზე ჰყავს მანქანა და ამიტომ... დიდი სურვილი გვაქვს, სააკაშვილის პიარი გავაკეთოთ, მართალია, ჩვენს პრეზიდენტს პიარი არ სჭირდება, მაგრამ მაინც... მით უფრო,

დიდი სურვილი გვაქვს სააკაშვილის პიარი გავაკეთოთ



რომ ჩაი უყვარს და ლიმონიანი ჩაით გაუმასპინძლდებით.

— ბოლოს, თქვენს ოჯახურ მდგომარეობაზეც მითხარით რამე?

— მყავს ცოლი — ხათუნა ვეფხვაძე, შვილს აგვისტოში ველოდები. ზაქროს, არ დაგიმალავთ და, ჰყავს შეყვარებული, ოღონდ მის ვინაობას არ გაგიმხელთ.


**ზადრო:**

— ამჟამად მოლაპარაკებები მიმდინარეობს და როგორც კი, კონტრაქტს გავაფორმებთ, მაშინვე შეგატყობინებთ...


— სანამ მაგ ახალ ამბავს გავიგებ, თქვენს ახალ პროექტზეც მიაბზეთ, რის გაკეთებას აპირებთ?

**ნიკა:**

— ამ ზაფხულს, მხოლოდ ერთი ან ორი კვირა თუ დავისვენებთ, რადგან ახალ პროექტებზე მოგვიწევს მუშაობა. ეს იქნება იუმორისტულ-გასართობი გადაცემები. რამდენიმე პროექტზე მიმდინარეობს მუშაობა, არჩევანს რომელზე გავაკეთებთ, — ეს მუშაობის პროცესში გამოიჩნდება.



კარგი საპიარო იქნება შალვა ნათელაშვილი



შეყვარებული ჰყავს, ოღონდ მის ვინაობას არ გაგიმხელთ

# ზეზუქოგზის დეჯუჯიფუჟი პიჯუჟი მუჟინაჟი ლ საქლთანი ზუიჯუჟისი თუიღისი-ჟანგლისი...

ისტორია ინახავს ბევრი ისეთი ადამიანის სახელს, რომლის არა მხოლოდ ღვაწლი, არამედ არსებობაც, ფართო საზოგადოებისთვის უცნობია. მათ შორისაა ბესარიონ ქებურია, რომელიც ავიაციის განვითარების გამორულ ხანაში ცხოვრობდა, მსოფლიოში 210-ე პილოტი გახლდათ და თბილისის ცაში პირველი საფრენი აპარატით აიჭრა. მან რუსეთის იმპერიაში პირველმა ააგო საკუთარი კონსტრუქციის მონოპლანი. ავიაციაზე ფანატურად შეყვარებულ ადამიანზე სასაუბროდ, მის შვილიშვილს ბატონ გუგუნი ძიბუნიას ვესტუმრეთ, რომელმაც სხვადასხვა მუზეუმსა და ავიაციის ვეტერანთა საოჯახო არქივებში მისხალ-მისხალ შეაგროვა უნიკალური მასალა და ქართული ავიაციის მომცრო მუზეუმი შექმნა.



ბესარიონ ქებურიას ბეგლი თბილისის აეროპორტში

## ნუთა თოფიშვილი

— ბესარიონ ქებურია ალბათ ფენომენია ქართული ავიაციის განვითარების ისტორიაში. ჩხორონყუს რაიონი ბევრი რამით დღესაც შორს დგას თანამედროვე ცივილიზაციისგან. რკინიგზა იქ დღემდე არაა. ერთადერთი რაიონია საქართველოში, სადაც ჯერ თვითმფრინავი ჩაფრინდა და მერე გამოჩნდა მანქანა! ეს, რასაკვირველია, ბესარიონ ქებურიას წყალობით მოხდა, რომელიც ჩხორონყუს რაიონში დაიბადა. სოფლის მღვდელმა, თოდუამ (კოტე მახარაძის ბაბუა. — ავტ.) შეასწავლა მას წერა-კითხვა. ფეხშიშველა ბიჭმა, რომელიც ფოთისკენ ნახირს მიერეკებოდა, პირველად დაინახა მატარებელი. ამან იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა პატარა ბესოზე, რომ ფოთში დარჩა, მიუხედავად დედის წინააღმდეგობისა. მაშინ ფოთში რკინიგზის მშენებლობა მიმდინარეობდა და ბესო, ინჟინერ სლივიცკის (ელდარ და გიორგი შენგელაიების ბაბუა) მიეკვდლა. სლივიცკის მოენონა ახალგაზრდა და მზრუნველობას არ აკლებდა. სწავლის წყურვილმა მას რუსული და ფრანგული ენების დაუფლება შეაძლებინა. შემდეგ, სწავლის გასაგრძელებლად პეტერბურგში გაემგზავრა. გზების ინსტიტუტს (Институт путей сообщения) ქართველი კაცი — მიხეილ გარსევანიშვილი ხელმძღვანელობდა. საინტერესო პიროვნება გახლდათ. ამ ინსტიტუტის გარდა, ის აგრეთვე, რუსეთის სამეცნიერო საზოგადოების დამაარსებელიც იყო. მის წინაპრებს კი, პეტრე პირველმა თავადობა უბოძა. რეპინი როცა ხატავდა თავის ცნობილ სურათს — „Казачи Запорожские“

ყველაზე კოლორიტული პერსონაჟისთვის გარსევანიშვილი მიიწვია ნატურად. ბესარიონ ქებურიამ აღნიშნულ ინსტიტუტში ექსტერნად ჩააბარა გამოცდები, სწავლის დამთავრების შემდეგ, გარსევანიშვილმა მას პეტერბურგში დარჩენა და სამეცნიერო მოღვაწეობის გაგრძელება შესთავაზა, მაგრამ ბესარიონს საქართველოში დაბრუნება ეჩქარებოდა. იგი ფრენის სურვილით იყო შეპყრობილი. მაშინ ჟუკოვსკი, რომელიც ლენინმა „რუსული ავიაციის მამად“ აღიარა, ჩასული იყო გერმანიაში, სადაც ვივიენტალი მოინახულა. პლანერით გატაცებულმა ვივიენტალმა 2 ათასზე მეტი გაფრენა განახორციელა სპეციალური გორაკიდან. ერთხელ, ქარმა თვითმფრინავი ამოატრიალა, ვივიენტალი ძირს დაეწარცხა და დაიღუპა. სიკვდილის წინ უთქვამს: ძრავა რომ დამეყენებინა, ალბათ გავფრინდებოდი... ძრავას დაყენების ოცნება უკვე ტრიალებდა ფრენით გატაცებულ ადამიანებს შორის. ჯერ კიდევ XIX საუკუნე იყო. ძმები რაიტები კი, ძრავიანი ბიპლანით მხოლოდ 1903 წელს ავიდნენ ცაში. და სწორედ ვივიენტალის ნახაზები გამოიყენეს ბიპლანის შესაქმნელად, თუმცა, თავად, ბევრი რამ შეცვალებს და სრულყვეს მასში.

— ბაბუათქვენმა ალბათ იცოდა ავიაციაში მაშინდელი მიღწევის შესახებ...

— რასაკვირველია, იცოდა და საქართველოში დაბრუნებამდე გარსევანიშვილს სთხოვა, მისთვის ვივიენტალის ნახაზები გამოეტანებინა. საქართველოში პირველი საცდელი გაფრენა პლანერით, 1908 წელს განხორციელდა. ამ დროს პარიზი ავიაციის დედაქალაქად იყო აღიარებული, იქ გაიხსნა პირველი აეროკლუბი, რომელიც დიპლომებს გასცემდა, მაგრამ ამ დოკუმენტს თეორიული კურსის გავლის შემდეგ გადასცემდნენ. 1909 წელს ლუი ბლერიომ სენსაციური გადაფრენა განახორციელა საფრანგეთიდან ინგლისში. გაზეთები წერდნენ — ინგლისი უკვე აღარ არის კუნძულიო!.. ბესარიონ ქებურიამ, თუკი რაიმე ებადა, ყველაფერი გაყიდა და მიუხედავად იმისა, რომ ულამაზესი ცოლი და სამი ვაჟი ჰყავდა, პარიზისკენ გაემგზავრა. იმ დროისთვის, საქართველოში უკვე ჩამოყალიბებული იყო კავკასიის ჰაერნაოსნობის საზოგადოება,

რომლის მესვეურებმაც გაუწიეს დახმარება საფრანგეთში გასამგზავრებლად. მათ ოცნებად ჰქონდათ ქცეული, ტფილისში საფრენოსნო სკოლის გახსნა. პარიზში ჩასვლის შემდეგ, ბესარიონმა ჩააბარა საფრენოსნო სკოლაში, გაიარა თეორიული კურსი და მსოფლიოში რიგით 210-ე მფრინავი გახდა — მაშინ, როცა ბევრ დიდ ქვეყანას არ ჰყავდა მფრინავი. ამასთან, მიიღო ალენიშნო, რომ პარიზის საფრენოსნო სკოლა კიდევ ხუთმა ქართველმა კაცმა დაამთავრა, მაგრამ ეს სხვა თემაა, რომელსაც შეიძლება, შემდეგ, მიუბრუნდეთ.


— საფრენოსნო სკოლის დამთავრების შემდეგ, ბესარიონ ქებურია ისევ საქართველოში დაბრუნდა?

— არა, ბლერიოს სკოლას მიაშურა. მაშინ პარიზში უკვე რამდენიმე საფრენოსნო სკოლა იყო, მაგრამ ამ სკოლებში ბიპლანებს იყენებდნენ. მართალია, ეს საფრენი აპარატები მეტ სიმძიმეს სწევდა და იოლი სამართავიც იყო, მაგრამ მონოპლანი უფრო მაღლა ადიოდა და მის მართვას მეტი ოსტატობა სჭირდებოდა. როცა ლუი ბლერიოსთან მივიდა, მან უთხრა — თვითმფრინავი ცოტაა, ფრენის მსურველების დიდი რიგი დგას და ლოდინი მოგიწევსო. ბლერიოს სკოლაში ასეთი პრინციპით ასწავლიდნენ: აფრენამდე მინდორში დადიოდნენ თვითმფრინავით, ფრენისას კი, ინსტრუქტორ-მასწავლებელი ჰაერში არ მიჰყვებოდა მფრინავს და ყველაფერი მის ოსტატობასა და ვაჟკაცობაზე იყო დამოკიდებული. რაც მთავარია, ავარიის შემთხვევაში, მფრინავს, აპარატის დაზიანებისთვის, დიდ ჯარიმას ახდევინებდნენ. სკოლაც ამის შედეგად დაგროვილი თანხებით არსებობდა... ბესარიონმა მეგრული გამჭრილობა გამოიყენა და საკუთარი თვითმფრინავი შეიძინა. 50-ცხენისძალიან თვითმფრინავზე ფული არ ეყო და 25-ძალიანი შეიძინა. ეს სწორედ ის მოდელი იყო, რომლითაც ბლერიო ინგლისში გადაფრინდა. ბესარიონ ქებურია კომისიის წინაშე აფრინდა, ეიფელის კოშკს შემოუფრინა, ნორმები, რომლებიც დაწესებული იყო, წარმატებით შეასრულა და კომისიაც აღაფრთოვანა. ეს სკოლაც ექსტერ-



Signature du Titulaire.  
Vissarion Khebouri  
Aviateur






— საჩვენებელი ფრენები ჩატარდა ნიჟინ-ნოვგოროდში, სარატოვში, ყაზანში, სადაც კუზმინსკი შეუერთდა. მათი თვითმფრინავები ძლიერ ქარში სათამაშოებივით დაფარფატებდა. კუზმინსკიმ ქარში 50-ცხენისძალიანი თვითმფრინავით ფრენა ვერ გაბედა. ბესარიონმა თავისი 25-ძალიანი მონოპლანით იფრინა. ქარმა მაინც ჩამოაგდო. ეს ამბავი რუსეთის გაზეთებში ფართოდ გაშუქდა. ბები-აჩემი გულწასული რომ იყო, ბაბუასგან დეპეშა მოუვიდა — ნუ გეშინია, თვითმფრინავს შევაკეთებ და ისევ ვიფრენო. — შეუპოვარი კაცი იყო. მისი ფენომენალური ნიჭი კიდევ იმაში მდგომარეობდა, რომ არა მარტო კარგად ფლობდა ფრენის ტექნიკას, არამედ საკუთარი ხელით აკეთებდა ყველაფერს, ძრავას გარდა — კონსტრუქციას, ფრთებს, პროპელერსაც კი.

ნად დაამთავრა. 1910 წელი იდგა. ამ დროს, პარიზში, როდენის სახელოსნოში იაკობ ნიკოლაძე მუშაობდა დიდი ილიას ძეგლზე, რომელიც ახლა თბილისში დგას. ნიკოლაძე და ქებურია ერთმანეთის მეზობლად ცხოვრობდნენ და მეგობრობდნენ. პარიზში ბესარიონი მეგობრობდა აგრეთვე რუს ადვოკატ კუზმინსკისთან, რომელიც ავარიების გამო, საფრენოსნო სკოლას ვერ ამთავრებდა. კუზმინსკი შეძლებული კაცი იყო, ორი თვითმფრინავი შეიძინა და სთხოვა ბესარიონს ქებურიას — შენ ამ თვითმფრინავებს გაგატან, ვოლგისპირეთიდან საქართველოში გადაფრინდი, მე ყაზანში დაგეწევი; იქ საჩვენებელი ფრენები მოვანყოთ, მერე გავემგზავროთ საქართველოში და საფრენოსნო სკოლის გახსნაში დაგეხმარებო.

თის გაზეთებში ფართოდ გაშუქდა. ბები-აჩემი გულწასული რომ იყო, ბაბუასგან დეპეშა მოუვიდა — ნუ გეშინია, თვითმფრინავს შევაკეთებ და ისევ ვიფრენო. — შეუპოვარი კაცი იყო. მისი ფენომენალური ნიჭი კიდევ იმაში მდგომარეობდა, რომ არა მარტო კარგად ფლობდა ფრენის ტექნიკას, არამედ საკუთარი ხელით აკეთებდა ყველაფერს, ძრავას გარდა — კონსტრუქციას, ფრთებს, პროპელერსაც კი.

**— ავროა სწორად ემართებოდა და ალბათ ტრავმებსაც იღებდა ხომ?**

— სწორად ემართებოდა ავროა, მაგრამ არ ეუბებოდა. დასრულებული იყო... მის სიბერეს მოვეხსარი. 80 წლის კაცი, ცურვას მასწავლიდა, ერთხელ ასეთი რამ შეემთხვა: ჰაერში ძრავა გაუჩერდა. წარმოიდგინეთ, რა დღეში უნდა ჩავარდნილიყო კაცი ამ დროს, მაგრამ ბესარიონი არ დაიბნა, მუშტაიდათ, ორ, გვერდიგვერდ მდგარ ხეს მოჰკრა თვალი და მათ შორის „გაჩხირა“ თვითმფრინავი. მერე ჩახტა. ფეხიც მოიტეხა და ნეწებიც, მაგრამ აპარატი გადაარჩინა.



**— თვითმფრინავი რკინიგზით უნდა გადაეტანათ?**

— დიას, მატარებლით. მაშინ პოლონეთი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა. ვარშავის გენერალ-გუბერნატორი ვინმე სკალონი გახლდათ. პოლონეთში რომ ჩავიდნენ, ვარშავაში ქებურიამ საჩვენებელი ფრენა მოაწყო. ფრენის შემდეგ მასთან გენერალ-გუბერნატორი მივიდა და მილოცვის ნაცვლად უთხრა — დაჯარიმებული ხარ 500 ოქროთი, — რაც მაშინ დიდი თანხა იყო. ბესარიონს გაუკვირდა — ასეთი რა დავაშავევ?! — რომ ჩამოვარდნილიყავი, ცხენები დაშავდებოდნენო, — იყო პასუხი: მაშინ აეროდრომად იპოდრომს იყენებდნენ... ამ საუბრის დროს, მათ უეცრად ტანმორჩილი, ლამაზი ქალი მიუახლოვდა და ბაბუაჩემს გამოქარჩლა. ბესარიონმა გაიფიქრა, — ნეტავ, ვინ არის ეს ქალი, ამდენს რომ უბედავს გენერალ-გუბერნატორსო? თურმე, სკალონის ცოლი ყოფილა... მერე, მიუბრუნდა ეს ქალი ბაბუაჩემს და უთხრა — მანქანა მყავს და ვმართავ, მაგრამ ცაში არასდროს აესულვარ და თუ შეიძლება, ამაფრინეთ თქვენი თვითმფრინავითო. ბაბუამ უთხრა — სიამოვნებით, თუკი ამას, თქვენი მუხლზე დაეთანხმებო. მერე, ბაბუა ჰყვებოდა — გენერალ-გუბერნატორმა ისეთი სიამოვნებით დამართო ნება, ცოლის თვითმფრინავით გასერივნაზე, ალბათ ფიქრობდა — იქნებ ჩამოვარდესო. ეტყობა, მობეზრებული ჰყავდა ცოლი (იციან)...

— ვოლგისპირეთში თუ ჩატარა საჩვენებელი ფრენები?

**— თბილისელებს როგორ დამოკიდებულება პქონდათ ბაბუას მიმართ?**

— იოსებ გრიშავილს „თბილისურ ბო-ჰემაში“ აღწერილი აქვს უტრუხუნეს დუქანი — „Над Курой“... უტრუხუნეს უნდოდა, თავის დუქანში ბეერი ხალხი მიეზიდა და აი, რა მოიფიქრა. კონკას ემშაკისეულად თვლიდნენ, კონკა ხიდზე რომ გადადიოდა, ხალხი ჩადიოდა. ამბობდნენ — ემშაკისეულია, არ ჩავარდესო. უტრუხუნემ რამდენიმე ცნობილი პიროვნება შეკრიბა, მათ შორის — ფიროსმანიც. ნიკალას სთხოვა — შენ ბესარიონს იცნობ, ზურუნა-დუდუკით გაგიშვებ იპოდრომზე, როცა ფრენა იქნება, ორ ტომარა ბატიბუტს გაგატან, რომ ბესარიონმა თვითმფრინავიდან გადმოყაროს — დაე, ხალხი დარწმუნდეს, რომ თვითმფრინავი ემშაკისეული არ არისო. ყველაფერი ასეც მოხდა. მაგრამ ამის გამო, სახიფათო ვითარება შეიქმნა: ბესარიონმა ბატიბუტი რომ გადმოყარა, იპოდრომზე მთელი ახალგაზრდობა და ბავშვები გამოეფინნენ და ასაფრენი ბილიკიც დაფარეს. ბაბუაჩემი იძულებული გახდა, გვერდით დამჯდარიყო, მაგრამ ბორბლები ლოპებს გაჰკრა და თვითმფრინავი გადაბრუნდა. ნეწები კი მოიტეხა, მაგრამ ხალხს

ხელში ატაცებული მოჰყავდა. თვითმფრინავი შეაკეთა და 50-ცხენისძალიანი ძრავაც შეიძინა. ეს ძრავა მონოპლანზე დაამონტაჟა, პატენტიც გაგზავნა და რუსეთის იმპერიაში ერთ-ერთი პირველი ავიაკონსტრუქტორიც გახდა.

**— საქართველოში პირველი საჩვენებელი ფრენა როდის მოაწყო და საქართველოს კიდევ რომელ ქალაქებში ჩაფრინდა?**

— 1910 წლის 24 ოქტომბერს მოაწყო პირველი ფრენა. დაფრინავდა სოხუმიდან სენაკამდე, სენაკიდან ფოთამდე, ფოთიდან ბათუმამდე... 1913 წელს, ბოლო გაფრენისას, თვითმფრინავი ზღვაში ჩაუვარდა. მეთევზეები ნავით რომ მიუახლოვდნენ გადასარჩენად, დაინახეს, იხრჩობოდა და მუხლებით ძრავა ეჭირა: მთავარი ძრავა იყო, დანარჩენს საკუთარი ხელით გააკეთებდა... პირველი კომერციული რეისი მფრინავმა სალარაძემ მოაწყო. გაგვიცინებათ, რომ გაიკვებო, სად მიფრინავდა — მანგლისში. რატომ? იმ დროს, ზაფხულობით მთელი მთავრობა და თბილისის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სწორედ მანგლისში ისვენებდა. თბილისიდან მანგლისში ჩაფრენას ოცი წუთი სჭირდება. როგორ ფიქრობთ, მათ რამდენი ხანი მოანდომეს ამ გზას?.. მესამე დღეს ჩაფრინდნენ: გზაში შეფერხდნენ და სადღაც ტრიალ მინდორში დაუშვენი, თვითმფრინავის შესაკეთებლად. მწყემსებმა პირველად დაინახეს თვითმფრინავი, გაგიჟდნენ — ეს რა საოცრებააო. იქვე ცხვარი დალესს, პურმარილი გაიშალა და რეისი თბილისი-მანგლისი მესამე დღეს დასრულდა...

**— ბატონო გუგული, სად არის ახლა ეს უნიკალური მასალა, რა მდგომარეობაშია და ვინ მპატრონობს?**

— საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, როცა არეულობა დაიწყო, მოვიარე რამდენიმე მუზეუმი და ვნახე, რომ ამ უნიკალურ მასალას ყრიდნენ. ყველაფერი შევავაროვე და წამოვიღე. მერე, ქართველმა კინოდოკუმენტალისტებმა შექმნეს ფილმი ქართულ ავაციანზე. ამ ფილმის წამყვანი მე გახლდით. შემდეგ, ავიაციის ინსტიტუტის დირექტორმა სერგო ტენაძემ შემოგვთავაზა, ავიაციის მუზეუმი დაგვეარსებინა. ამ ინსტიტუტში ავიაციის ისტორიას ვკითხულობდი. შენობაში 100 კვადრატულ მეტრზე ფართია გამოყოფილი, სადაც ქართველი ავიატორების ღვაწლის ამსახველი უნიკალური მასალაა გამოფენილი.

**სახსება-გახსება**  
**შპს „ეპრიკა“**  
სესხება-გახსება ბინის მყარი გარანტიით, იპოთეკით.  
გაქვთ თანხა დაგვირეკეთ, არ გაქვთ — მით უფრო დაგვირეკეთ. ჩვენთან ყველაზე კარგი პირობებია!  
მის: მარჯანიშვილი 21, 30-4 სართ. (ბაქოვანაძის მხარეს)  
☎ 95-23-66; 899-44-64-60 6161  
899-44-64-61 ბიორბი

# ფოტოგრაფის ავტობიოგრაფია

ეს ფოტოები გადაღებულია 1995 წელს, ფილმზე – „შეყვარებული კულინარის 1001 რეცეპტი“ – მუშაობის დროს. ფრანგული კინოს ვარსკვლავი პიერ რიშარი თბილისში, თავის მეგობარ ქალთან – აიშასთან ერთად ჩამოვიდა. ფილმის რეჟისორ ნანა ჯორჯაძეს უყურადღებოდ არ დარჩენია აიშას არაორდინარული გარეგნობა და მასაც შესთავაზა პაგარა როლი თავის სურათში.



მეორე ფოტოზე, თუმანიშვილის თეატრის ამჟამინდელი სამხაგვრო ხელმძღვანელი, გიორგი მარგველაშვილი (ჩოხაში), პიერ რიშარი და ფილმის ერთ-ერთი პროდიუსერი, ფრანგი მარკი გახლავან ალბეცდილი.

იური კეხიძე

# sanam cocxlebi vart... 1956

## მანანა იაშვილი

დასაწყისი იხ. „გზა“ №24-25.

### ამბავი მეოთხე – ფუნიკულიორის აღებისა

გურამ დოჩანაშვილი ამას არ ამხელს, რომ ხულიგნების იმიჯი მათ მინც ანუხებდათ:

„ჩხუბის გამო, ხშირად გვიჭერდნენ, ხულიგნების სახელი გვქონდა გავარდნილი, მაგრამ კონიას (კონსტანტინე გამსახურდია. — ავტ.) ხათრით გვიშვებდნენ. ბევრსაც არაფერს ვაშავებდით, მაგრამ ხომ იცით, რომ ამოგიჩემებენ... მაშინ, კალინინის რაიონის მილიციის უფროსი, რუსიკო და გურამ თიკანაძეების ბიძა იყო. ის, წლებს შემდეგ, ქუჩაში შემხვდა



გურამ დოჩანაშვილი (ზემოთ) თანაკლასელების გარემოცვაში

და მომეფერა — თქვენაირი კარგი ბიჭები ქალაქში არ დადიოდნენო.

მთაწმინდის პლატოზე გვიყვარდა ასვლა. ფუნიკულიორის რესტორანში სასიამოვნო გარემო იყო, დიდი ორკესტრი უკრავდა და თბილისის ხედი იშლებოდა. გარდერობში კაცი იდგა, რომელსაც ზვიადივით, ტეხილი, კუთხოვანი მოძრაობები ჰქონდა, კარგი სანახავი იყო. ზვიადს ვაბრაზებდით — ნამდვილად სუკის აგენტია და შენ სპეციალურად დაგცინისო... ძალიან ხმაურიანები და ხალისიანები ვიყავით. რესტორნის პერსონალს მგონი, ეშინოდა კიდევ — ხულიგნები არიანო, მაგრამ ხათრს არ გვიტყებდნენ.

ერთ დღესაც, ფუნიკულიორზე ავედით. ზვიადს ჩეჩქვივით ჰქონდა ფული, მამა აძლევდა. რესტორანში შევედით თუ არა, ხალხი აჩურჩულდა, ერთმანეთს ჩვენზე თვალით ანიშნებდნენ, ზოგი გვესალმებოდა, იყო ერთი, შამპანურების გაგზავნა-გამოგზავნა... კარგად რომ შევზარხოვდით, მერაბმა „შავლეგო“ დასცხო, ჩვენ ავეყვიით. მერე, ორკესტრმა საცეკვაო

„ვალსის“ დაკვრა დაიწყო და — ასე არ უნდაო! — მერაბი და ზვიადი წამოდგნენ, ორკესტრთან მივიდნენ, როიალთან მჯდომი ააყენეს... რესტორანში მყოფი ხალხი გაისუსა. მერაბი და ზვიადი როიალს მიუსხდნენ და ოთხ ხელში, შოპენის ულამაზესი პიესა დაუკრეს. ხალხმა ტაში დასცხო, რესტორნის ადმინისტრაცია და მილიციელები გაშეშებული იდგნენ. შემდეგ, თამაზ გუნჯუამ ჩვენი კონცერტი პაგანინი გააგრძელა... ჩემი ჯერიც დადგა. შეშინებულ მევიოლინეს ინსტრუმენტი გამოვართვი და მოცარტი დავეუკარი, ჰო, მოცარტი — მუსიკის მეფე!.. ხალხი გადაირია, გვილოცავდნენ, სადღეგრძელოს სწევდნენ, გვეოცნდნენ, გვეუბნებოდნენ: ჩვენ ხულიგნები გვეკონეთ და თურმე, რა ბიჭები ყოფილხართო!..

იქიდან გამარჯვებულები წამოვედით. გამოსვლისას, ისევ „შავლეგო“ დავაგუგუნეთ და ასე, სიმღერ-სიმღერით, ფეხით დავეშვიტით მთაწმინდაზე“.

### სიღნაღის „ახალგაზრდა გვარდია“

ეს ამბავი მუდმივმა ოპოზიციონერმა პოლიტიკოსმა, გიორგი ყორღანაშვილმა მიაბა, შემდეგ კი, სიღნაღელმა ლერი ჯოხარიძემ და თენგიზ ზურაშვილმა დაამონუმეს. ოლონდ, გამაფრთხილეს — შტაბი კი გვქონდა ციხე-ბურჯში, მაგრამ ჩხუბები, ლახტაობა და ხმალაობა — გამორიცხული იყო, ჩვენ



ფუნიკულიორის რესტორანში სასიამოვნო გარემო იყო, დიდი ორკესტრი უკრავდა და თბილისის ხედი იშლებოდა



მხოლოდ მაღალ სულიერ მატერიებზე ვსაუბრობდით, ყორღანაშვილი ფანტაზიორობსო...

მოდი და ნუ გაგეცინება: კახელები დინჯი ხალხი კია, მაგრამ 13-14 წლის ბიჭებმა არ იჩხუბონ, ლახტი არ ითამაშონ და მით უმეტეს, სიღნაღში, არ იხმალონ, ეს ხომ გამორიცხულია. არაო, — გაჯიუტდა თენგიზ ზურაშვილი, — ჩვენ მხოლოდ წინგებს ვკითხულობდით, ლექსებს ვწერდით და სერიოზულ თემებზე ვბაასობდითო.

მოკლედ, ასე იყო თუ ისე, 1956 წლის მარტი იდგა. თბილისის ამბებმა სიღნაღელებიც სტალინის დასაცავად აწათო. ყველაზე აქტიურები, სატვირთო მანქანებით დედაქალაქში მიტინგებზე ჩამოჰყავდათ. პარალელურად, სიღნაღში, ბელადის ძეგლთან სკოლის მოსწავლეები საპატიო ყარაულში იდგნენ და სტალინის სადიდებელ ლექსებს ამბობდნენ. 9 მარტის რეპრესიების შემდეგ, ამ ძლიერმა ემოციურმა მუხტმა განაპირობა ის, რომ სიღნაღის და საშუალო სკოლებში მერვეკლასელებმა — არც მეტი, არც ნაკლები — პატრიოტული ორგანიზაცია „საგი“ („სიღნაღის ახალგაზრდა გვარდია“) ჩამოაყალიბეს. ძველი გალაგნის ბურჯში შტაბი ადრევე ჰქონდათ მოწყობილი, მაგრამ ახლა მან ახალი ფუნქცია შეიძინა.

იქ „საგის“ ჩვეულებრივი წევრები იკრიბებოდნენ, ხოლო განდობილებს, კონო ბეჟაშვილის მამის ვენახის ბოლოს, მინურში ცალკე შტაბი ჰქონდათ გამართული.

9 მარტის შემდეგ, დიდთოვლობა დაიწყო, მაგრამ ბიჭები შტაბში მაინც იკრიბებოდნენ და მსჯელობდნენ — რა და როგორ გაეკეთებინათ. თანდათან, ორგანიზაციული სტრუქტურა ჩამოყალიბდა, რომლის უფროსად ლერი ჯოხარიძე, მოადგილედ კი, კონო ბეჟაშვილი აირჩიეს. მთავარ კომიტეტში ჯემალ ქიტოშვილი, გაიოზ სულხანიშვილი, ომარ ნატროშვილი და თენგიზ

ზურაშვილი შედიოდნენ. მათ გადანყვიტეს, სიღნაღის თვალსაჩინო ადგილებში სტალინური ლოზუნგები და პატრიოტული მიმართვები დაენერათ, შეეგროვე- ბინათ სტალინის საიდუმლოები და ხრ- უშჩოვის სალანძღავი ლექსები, რომლებ- საც სკოლაში ავრცელებდნენ. იზრუნეს ორგანიზაციის გაზრდაზეც — ივნისში მათ უკვე 23 ძირითადი და 8 გულშემატ- კივარი წევრი ჰყავდათ. ირჩევდნენ წესი- ერ და კარგ მოსწავლეებს. ძალიან გამო- ადგნენ გოგონები — გიული ოქრუაშ- ვილი და ნუნუ ნიკვაშვილი, რომლებსაც ბეჭდური ასოებით, სუფთად წერა შეე- ძლოთ.

თავიდან, სკოლაში გამოუშვეს სტალი- ნისადმი მიძღვნილი ორი კედლის გაზე- თი, მაგრამ ამას არ დასჯერდნენ. სიღ- ნაღის ბულვარში გაზეთების სტენდი იყო, სადაც გაზეთ „კომუნისტის“ ახალ-ახალ ნომრებს აკრავდნენ. ბიჭებმა სტენდი გახ- სნეს და დილით, გაზეთის კითხვის მოყ- ვარულებს, „კომუნისტის“ ნაცვლად, სტალინის სურათებითა და ხრუშჩოვის სალანძღავი ლექსებით, ბავშვური უშუა- ლობით გაფორმებული კედლის გაზეთი დახვდათ.

მკითხველები ამან ძალიან გაახალისა. ერთმანეთს ლექსების წასაკითხად და მათი ავკარგინაობის გასარჩევად უხმობდნენ. ბოლოს, რომელიღაც მოხელემ ხალხს ურ- ჩია — დაიშალეთ, დაგვიჭერენ, — და გაზეთი შეცვალა. ბიჭებმა ერთხელ კიდევ მოახერხეს სტენდში ახალი გაზეთის გამოკვრა, მაგრამ ბულვარში მილიციამ პატრულირება დაიწყო და საქმის გაგრ- ძელება შეუძლებელი გახდა.

გადანყვიტეს, ლექსები და მოწოდებე- ბი კინოში შემსვლელი ხალხისათვის სიბ- ნელეში ჩუმად შეეპარებინათ ან ეზოების მესერებზე დაემაგრებინათ. ესეც არ იკ- მარეს, კონო ბუჟაშვილმა და ლერი ჯოხ- არიძემ საზაფხულო კინოთეატრის მეს- რიდან მაყურებელს პროკლამაციები დაა- ყარეს: „მოკვდეს ქართველი, ვინც არ დაიცვას კობას ღირსება!“ სხვა ბავშვები შიგნით, კინოთეატრში იყვნენ და ჩოჩ- ქოლი განგებ ატყეხს. სენასი შეწყდა, სი- ნათლე აინთო და ხალხი ერთმანეთს ფურ- ცლებს უჩვენებდა.

როგორც ჩანს, ადმინისტრაციული ორგანოები მანამდე არასერიოზულად ეკიდებოდნენ „საგელების“ ბავშვურ თამაშებს, მაგრამ კინოთეატრ- ში მომხდარმა ინციდენტმა, მათი შემფოთება გამოიწვია. ბიჭებ- ის უმეტესობა (ორივე სკოლ- დიდან) საზაფხულო ბანაკში გაუშვეს. თბილისიდან, საგამო- ძიებო ჯგუფთან ერთად, სიღ- ნაღში, საქართველოს უშიშ- როების სახელმწიფო კომიტე- ტის თავმჯდომარე ალექსი ინ- აური ჩავიდა.

1956 წლის 10 აგვისტოს, ომარ ნატროშვილი, თენგიზ ზურაშვილი და ლერი ჯოხარიძე დააპატიმრეს. მოსწავლეების

ოჯახებში ჩხრეკა ჩაა- ტარეს.

ლერი ჯოხარიძე იხსენებს:

„მე და დედა ერ- თოთახიან ნაქირავებ ბინაში ვცხოვრობ- დით. დილით, ორი უცხო მამაკაცი და სიღნაღის რაიკომის ინსტრუქტორი — ირაკლი ალავერდაშ- ვილი მოვიდნენ. მათ მითხრეს — სკოლა- ში საგამოცდო ბლან- კები დაიკარგა და ეჭვი შენზე გვაქვსო. დედა შინ არ იყო. შემოიყვანეს ორი მე- ზობელი ჩხრეკაზე დასასწრებად და დიდხანს ჩხრევდნენ ყვე- ლაფერს. ყველა წიგნი ნახეს, ზოგიერთს, ჩემგან გაკეთებული ბეჭდით — „საგი“ ჰქონდა დასამული. ნახეს ლექსები და სტალინის სურათები. „საგის“ წევრთა სია სანერ მაგიდაზე, სუფრის ქვეშ მქონდა დამალული და ისიც აღმოაჩინეს.

დედისგან გადანახული ფულიდან, რამ- დენიმე მანეთის ალები უფლებს მომცეს და რაიკომში წამოყვანეს. რაიკომის მდი- ვნის, ზაქარია ბიძინაშვილის კაბინეტში დამხვდა უცხო სამხედრო, რომელიც ინ- აური აღმოჩნდა. მან ტკბილად გამომ- კითხა ჩემი და ჩემი მშობლების ვინაობა. როდესაც გაიგო, რომ იმ დღეს, 10 აგვის- ტოს ვიყავი დაბადებული, დიდი ამბით მომილოცა. შემდეგ, მაჩვენა პროკლამა- ციები და მკითხა: რა არის „საგიო“? ვუთხარი, რომ ეს არის გაიდარის რო- მანის — „თემური და მისი რაზმი“ — მიხედვით შექმნილი ორგანიზაცია, რომელიც მოხუცებს ეხმარება, ხოლო ომის შემთხვევაში, „ახალგაზრდა გვარდ- იად“ გადაკეთდება. პროკლამაციებისა და ლექსების შესახებ ვუთხარი, რომ ჩვენი არაა და ისინი კინოში ავკრიბე. ინაურმა ჩაიცინა: „შე მამაძალო, სტალინი ჩვენც კი გვიყვარს!“ — და მეორე ოთახში, გამომძიებელს ჩამაბარა.

გამომძიებელი კი, მკაცრი იყო. მითხრა, რომ ომარ ნატროშვილმა პროკლამაციე- ბის ამბავი აღიარა. ასევე, დაჭერილი ჰყავ- დათ თენგიზ ზურაშვილი, ხოლო გიული



თენგიზ მურაშვილი, ლერი ჯოხარიძე

ოქრუაშვილი სახლში დაჰკითხეს... ვიჯექი და მხოლოდ ერთ რამეს ვფიქრობდი — კონო ბუჟაშვილის ვენახში გათხრილი მიწური არ ენახათ... საღამომდე გრძელდებოდა დაკ- ითხვა. მილიციის სა- კანში გამიყვანეს და ისე ვიყავი დალლილი, მკვ- დარივით დამეძინა.

მეორე დილით, და- კითხვა გაგრძელდა. ზედმეტ გააქიქებას აზრი არ ჰქონდა და ვუთხარი, რომ პატრი- ოტები ვართ და არავის მი ვცემთ საქარ- თ- ველოსა და სტალინის

შეურაცხყოფის უფლებას. საღამოს 5 საათამდე წერდა გამომძიებელი, 14 ფურ- ცელი გაავსო და ხელი მომანერინა. სახ- ლში გამიშვეს და მეორე დღეს დამიბარეს, შტაბი გვაჩვენეო. რას ვიზამდი?.. ნავიყ- ვანე მეორე დღეს ციხის ბურჯზე, სადაც დიდი ასოებით ეწერა — „ძირს ხრუშ- ჩოვი!“. გამომძიებლებმა ყველაფერი დაათვალიერეს და მკაცრად გამაფრთხ- ილეს“.

კონო ბუჟაშვილის მამამ წინააღმდეგ გადანახა ვენახის ბოლო, სადაც ბიჭებს სამალავი ჰქონდათ გამართული. ამ ამ- ბის შემდეგ, მთელი სიღნაღი სიყვარუ- ლითა და პატივისცემით ექცეოდა „საგელებს“. უშიშროების ორგანოებს ისი- ნი აღარ შეუწუხებია, მაგრამ არც მათ გაუგრძელებიათ „შტაბობანას“ თამაში.

რკინის ჩექმით დამკვიდრებული კო- მუნისტური იდეალები, „ხრუშჩოვის ოტე- პელმა“ თანდათან „დაადნო“ და მატერი- ალურ სიყვითელს დახარბებულმა ახალმა კომუნისტურ-ბიუროკრატიულმა ელიტამ, რომელსაც სახელმწიფოსაგან მინიჭებუ- ლი პრივილეგიები ეცოტავებოდა, გასამ- დიდრებლად, ახალი გზების ძიება დაი- წყო. სხამალალი ლოზუნგი: „სოციალის- ტური დოვლათის დაცვა და კომბინა- ტორებთან ბრძოლა“ — სინამდვილეში, აქტიური და მოხერხებული ადამიანების პოტენციალის სათავისოდ გამოყენებას, მათ მუდმივი შიშის ქვეშ ყოფნას ისახავ- და მიზნად. კორუფციამ, სახელმწიფო



სხედან: თენგიზ მურაშვილი, კოწო ბუჟაშვილი. ღვანას: ჯემალ ქიტოშვილი, ლერი ჯოხარიძე



„სიღნაღის ახალგაზრდა გვარდია“

**წარმოების განვითარებასთან ერთად, ახალი მშენებლობები დაიწყო. ე.წ. „ხრუმჩოკებს“ მაშინ, „ასანთის კოლოფებს“ ეძახდნენ**



იღებდნენ. ხალხი მათ ზიზზნარევი სიბრაღულით უყურებდა და ვერაფრით წარმოედგენდა, რომ მომავალ წლებში, ამ ავადმყოფობით მრავალი ახალგაზრდა დასწრულდებოდა.

როდესაც ნარკომანია ლოკალურ წრეს გასცდა და

ქონების დატაცება-ქურდობამ, სპეკულაციამ თანდათან, საზოგადოების ყველა ფენა მოიცვა და საქმე იქამდე მივიდა, რომ საქართველოს მთელი მოსახლეობა, დიდიან-პატარიანად, რაღაც ფორმით იძულებული იყო, კანონი დაერღვია და თავი დამნაშავედ ეგრძნო.

მაგალითებისთვის შორს წასვლა არ არის საჭირო: ვთქვათ, ავადმყოფობის გამო მათემატიკაში ჩამორჩი და მშობლებმა მასწავლებლის აყვანა გადწყვიტეს. შენ დამატებითი გაკვეთილების შესახებ არავისთვის არ უნდა გეთქვა, რადგან მასწავლებელს მოხსნიდნენ და დედ-მამას ქრთამის მიცემაში დაადანაშაულებდნენ... ან ვთქვათ, მშობლებსაც და შენც გასურდათ, სკოლაში ლამაზად შემოსილს გველო. ქართული სანარმოები კი, ისეთ სკოლის ფორმას და ფენსაცმელს კერავდნენ, რომ საფრთხობელას შემურდებოდა. თუ მოსკოვიდან ტანსაცმლის ჩამომტანი არავინ იყო, ერთ გზა რჩებოდა — სპეკულანტი. ხომ წვრილმანია, მაგრამ ამგვარი და სხვა წვრილმან-მსხვილმანის ერთობლიობა მუდმივი უზერსულობისა და დანაშაულის გრძნობას აღვივებდა.

გაჩნდა ორმაგი სტანდარტი. კომუნისტური რეჟიმის ხრწნის დასაწყისი თანითრევედა და ხრწნიდა იმ პატრიარქალურ ფასეულობებსაც, რომლებზეც ქართული მენტალიტეტი იდგა. მანკიერებამ ქართულ ცნობიერებას განსაკუთრებული დაღი დაასვა. იშლებოდა ზღვარი სინდისის განსაზღვრებასა და უსინდისობას შორის, ჭეშმარიტსა და ცრუავტორიტეტს, კეთილსა და ბოროტს შორის...

მაშინდელი ახალგაზრდობის ჯანსაღი ნაწილი, რომლებიც ოჯახიშვილობით, გვარიშვილობით, განათლებით ეროვნულ ფასეულობებზე იყვნენ აღზრდილნი, კომუნისტური სახადისაგან თავდაცვას, მეცნიერებასა და ხელოვნებაში ცდილობდა. ისევ მძლავრობდა სპორტის ვაჟკაცური სახეობები: ალპინიზმი, ჭიდაობა, ფეხბურთი, კალათბურთი. ეწყობოდა ლაშქრობები საქართველოს ყველა კუთხე-კუნჭულის ყოფისა და ისტორიული ძეგლების შესასწავლად; იწერებოდა შესანიშნავი მოთხრობები და ლექსები, ითარგმნებოდა მსოფლიო ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშები. მსატყრებმა ხელახლა აღმოაჩინეს დავით კავაბაძე და „სოციალისტური რეალიზმიდან“ გათავისუფლებების პროცესი დაიწყო.

მაგრამ პარალელურად, მოდიოდა რაღაც ძნელად აღსაქმელი, ამორფული და ბლანტი, რომლის გაცნობიერებაც მაშინვე, შეუძლებელი იყო, რადგან დროში განელილი, მისხალ-მისხალ ისე ცვლიდა ადამიანებსა და გარემოს, რომ აწმყოში ხელშეუხებლს არაფერს ტოვებდა. ასე იქცა წინა თაობის საამაყო და სატრიაბასო უბნებს შორის პირველობისთვის გამართული ჩხუბები და „ყოჩობა“ — ანგარიშსწორების, დაჭრის და მკვლელობის არენად. საიდან დაიწყო?... ალბათ, ვიღაცამ დანა იხმარა, ვიღაცამ — გაისროლა.

ბოლმა და შიში გაჩნდა, ურთიერთპატივისცემა და რიდი ამ თარგზე აენყო და ტრადიციაც ჩაკვდა...

50-იანელები სპორტულობით, ნავარჯიშევი, ლამაზი სხეულითა და ვაჟკაცობით ამაყოდნენ. ამ ამბებს 60-იან წლებში, თანდათან შემოეპარა სიტყვა „ქურდი“, რომელმაც მალე, მთლიანად შეცვალა ყმაწვილების წარმოდგენა მისაბაძ ავტორიტეტზე. კატასტროფა იყო: ვინც სპორტს მისდევდა, დასაციინად იქცა: „კუნთმაგარი და ხისთავიანიაო“. სწავლას მოწყურებულებს კი, „სირისტიანს“ არქმევდნენ. ქურდები და განსაკუთრებით, „კანონიერი ქურდები“ რომანტიკული შარავანდედით შეიმოსნენ. ციხე, კარცევილი, ქურდული ღირსების კოდექსი, გიტარაზე დამღერებული „ბლანტი“ სიმღერები მათ ცხოვრებას მიმზიდველად „უცხო“ და სანიტერესოს ხდიდა...


ეს დიდი შემოსევა ხრუმჩოვისეულმა ამნისტიამ მოიტანა, რომელმაც არა მხოლოდ პოლიტპატიმართა ერთი ნაწილი გაათავისუფლა, არამედ სისხლის სამართლის კოდექსიც კი შეცვალა და კრიმინალებიც გარეთ გამოუშვა. ეს ხალხი მართლაც, საშინლად ნატანჯი და მრავალჭირნახული იყო. მათ შორის, ბევრი ნარკომანი იყო. მაშინ, ქართული საზოგადოება ამ ფენომენს ნაკლებად იცნობდა. ომის ინვალიდებიდან იყო ნარკომანთა მცირე ნაწილი, მაგრამ ხალხმა მათი ამბავი ყურმოკვრით იცოდა.

„ახალი ტალღა“ შედარებით დიდი იყო და როგორც მაშინდელი ახალგაზრდები მიყვებიან, მთავრობამ მათთვის სპეციალური აფთიაქები გახსნა, საიდანაც ისინი საჭირო რაოდენობის ნარკოტიკს

ჩვეულებრივ, არაკრიმინალ ახალგაზრდებში გავრცელდა, ხელისუფლებამ მკაცრი ზომების მიღება დაიწყო და ახალ უკიდურესობაში გადავარდა: ახლა ისინი ავადმყოფებად კი არა, კრიმინალებად გამოაცხადეს. ასეთი მიდგომა — ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადავარდნა — სამწუხაროდ, დღესაც გრძელდება...

60-იან წლებში, კიდევ ერთი სიხალე გაჩნდა: ნარკომების განვითარებასთან ერთად, ახალი მშენებლობები დაიწყო. ე.წ. „ხრუმჩოკებს“ მაშინ, „ასანთის კოლოფებს“ ეძახდნენ. ასე აშენდა: საბურთალო, დილომი და მესამე მასივი, რომელსაც მაშინ, სხვა სახელი ვერ გამოუნახეს და რადგან რიგით მესამე იყო, ასეც დაარქვეს... ერთი მხრივ, ეს ქალაქისთვის დიდი შეღავათი გახლდათ, რადგან „კომუნალკები“ თავისუფლდებოდა და სარდაფებიდანაც იქ ჩასახლებული მოქალაქეები მზის სინათლეს ნახულობდნენ. მეორე მხრივ, „კომუნალკები“ მაინც დარჩა, სოფლიდან ახალჩამოსულებმა დროებით სარდაფებიც აითვისეს და „ხრუმჩოკების“ გარემოცვაში, თბილისმა თავისი ძველი იერი და ხიბლი დაკარგა...

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**



50-იანელები სპორტულობით, ნავარჯიშევი, ლამაზი სხეულითა და ვაჟკაცობით ამაყოდნენ

*P.S. მანანა იაშვილის წერილების ციკლი ჩვენი წარსულის იმ მხარეს ეხება, რომელიც ბევრ ადამიანში გამომხატურების სურვილს აღძრავს. ავტორი და რედაქცია იმასაც ვარაუდობენ, რომ აღწერილი მოვლენების ზოგიერთ მონაწილესა თუ მომსწრეს საკუთარი ვერსიები ექნებათ. ასეთ შემთხვევაში, გთხოვთ, გამოგვეხმაუროთ: აზრთა გაცვლა-გამოცვლა, კამათი, ფაქტებითა და არგუმენტებით გაჯერებული შეხედულება მხოლოდ საერთო სურათის სრულყოფას შეუწყობს ხელს.*

# ჟონაჟონ სანარჩოჟო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის  
(კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„კასხუხის“ სვეტისკენ არ ბაგაჟაჟოთ თვალი.

1. „მიყავით სიკეთე, მიბოძეთ რაიმე სიუჟეტი, სასაცილო ან თუნდაც, არასასაცილო, ოღონდ კი, სუფთა რუსული ანექდოტი იყოს. ხელი მიკანკალებს, ისე მინდა კომედიის დაწერა“, — ესვენებოდა 26 წლის ახალგაზრდა კაცი ალექსანდრ პუშკინს. პუშკინმა არ დაამაძღა და სულ მალე, ქვეყანას მოეველინა ... რა?
2. რომელი ქვეყნის მეფე იყო რვე მართალი?
3. რა არის ბჯა?
4. ვისი შექმნილია სამამულო ომის-დროინდელი პლაკატი — „როდინა მატ ზავიოტ“?
5. ამერიკულ მხატვრულ ფილმში — „პრეზიდენტის მოტაცება“ — ამ ქართველ მსახიობს, ტერორისტის როლში, ჰარი-სონ ფორდთან ერთად იღებდნენ. ერთ-ერთ ეპიზოდში, მის პერსონაჟს, პრეზიდენტი თმაში ჰყავს ჩაბლუჯული და პისტოლეტით ემუქრება. სცენა არადაამაჯერებელი გამოდიოდა, რადგან ქართველი მსახიობი, ჰარი-სონ ფორდს მოკრძალებით ეპყრობოდა, რის გამოც, ამერიკელმა მსახიობმა მას საყვედური უთხრა: რა დაგემართა, დღეს საჭმელი არ გიჭამიაო? ამ სიტყვებით შეგულიანებულმა ჩვენმა თანამემამულემ, მომდევნო დუბლში, ჰარი-სონ ფორდი ლამის თმით ითრია. დაასახლეთ იგი.
6. ამ ქვეყანაში დაიბადნენ რედიარდ კიპლინგი და ვივიენ ლი.
7. ვინ არიან ავტორები „გერმანული ლექსიკონისა“, რომელიც ლუთერიდან გოეთემდე გერმანული სალიტერატურო ნის ლექსიკას მოიცავს?
8. „Мне отмщение, и Аз воздам“ („ჩემი არს შურისგება, და მე მივაგო“) რომელ ნაწარმოებს უძღვის ეს ეპიგრამა.
9. ამ ეროვნების ადამიანები ლენინს პირად მცველებად ჰყავდა.
10. ეს ფრანგი მსახიობი ახალგაზრდობაში, საიუველირო მაღაზიაში მუშაობდა. ერთხელ, პირნავარდნილი ქურდები შეძლებულ მყიდველებად მიიღო და ძვირად ღირებული მარგალიტების კოლიე გაკვეთილი ხნით ათხოვა. ამ ამბის შემდეგ, მისი ოჯახი ხუთი წლის განმავლობაში იხდიდა დანაკარგის საფასურს. დაასახლეთ იგი.
11. ახლო აღმოსავლეთში 1950 წლამდე, ეს სპორტი აკრძალული იყო.

# ანექდოტები

\*\*\*

ფიზიკის გაკვეთილი „ახალი რუსებისთვის“.

არქიმედეს კანონი: სავსე აბაზანაში ჩაშვებული სხეული, ჯერ ამ წყალს გამოდევნის, შემდეგ, აღიარებს, თუ სად დამალა ძვირფასეულობა და ფული.

\*\*\*

— შეილო, ნუხელ სიზმარში ისევ დავფრინავდი!

— ბები, რამდენჯერ უნდა გითხრა, რომ შენი წამლები სხვა ყუთში დევს.

\*\*\*

კახელმა ორჯერ განათხოვარი ქალი მოიყვანა ცოლად. მიუხედავად ამისა, იგი ქალიშვილი აღმოჩნდა.

— კი, მაგრამ როგორ? — ეკითხება კახელი.

— როგორ და პირველი ქმარი რაჭველი მყავდა. სანამ რამეს მოიფიქრებდა, თავზე გვათენდებოდა. მეორე ქმარი იმერელი იყო. ღამე დავწვებოდით თუ არა, ამოიღებდა და მთელი ღამე იძახდა: რავარია, ა, მაგარია ხომ? ამ ტრაბახში, თენდებოდა კიდევ!

\*\*\*

გამომძიებელი თანაგრძნობით ეკითხება დაქვრივებულ ქალს:

— მაინც რა გითხრათ სიკვდილის წინ თქვენმა ქმარმა?

— რა და მაგ თოფით ტყუილად მემუქრები, ტყვიები არ დევს შიგნითო!

\*\*\*

— ნეტავ, ჩემი მატარებელი რამდენ ხანში გადის? — კითხულობს სიდედრი.

— ორ საათში, 26 წუთსა და 42 წამში, დედა, — სხაპასხუპით პასუხობს სიძე.

\*\*\*

ნიკუშას მამა, თავისი შვილის კლასელის მამასთან რეკავს:

— დაუნერეთ თქვენს შვილს სამინაო დავალება?

— კი!

— გადამანერინეთ, რაა!..

\*\*\*

დედა ეკითხება ვაჟიშვილს:

— სად მიდიხარ?

— მინდორში.

— მართო მიდიხარ?

— არა, მაყვალა მიმყავს.

— სველ ბალახზე არ წამოწვე, იცოდე.

— არა, ხომ გითხარი, მაყვალა მიმყავს-მეთქი.

\*\*\*

კაცი შედის უფროსის კაბინეტში, თავზე მელანს ასხამს, ადის მის მაგიდაზე და იწყებს ცეკვას. ამ დროს, მისი კოლეგა შემოაღებს კარს:

— შეწყვიტე, ჟან! გეზუმრეთ, არავ-



ითარი ათმილიონიანი მეგვიდრეობა არ მიგიღია!

\*\*\*

ცოლი და ქმარი ეროტიკულ ფილმს უყურებენ.

— ხედავ, სექსის დროს როგორი მნიშვნელოვანია ოხვრა და კვნესა?! — დამოძღვრა ქმარმა ცოლი.

— მართალი ხარ! — დაეთანხმა ცოლი.

ღამით, საქმე საქმეზე რომ მიდგა, ცოლი ეკითხება:

- დავინყო?
- ჯერ არა!
- ახლა?
- ნუ ჩქარობ!
- არც ახლა?
- დაინყე!

— ხვალისთვის არც ნავთი გვაქვს და არც შეშა. სამსახურში ხელფასი არ მოუციათ. დენისა და ტელეფონის ფულიც გადასახდელია!..

\* \* \*

ნარკომანი დილით იღვიძებს, ქუჩაში გადის და გამვლელს ეკითხება:  
 — ბიძაჩემო, ერთი მითხარი, დღეს ოთხშაბათია?



— არა, დღეს კვირაა.  
 — გუშინ იყო ოთხშაბათი?  
 — არა, გუშინ შაბათი იყო.  
 — აბა, ხვალ იქნება ოთხშაბათი?  
 — არა, ხვალ ორშაბათია.  
 — ვააა! ვერ გავიგე, ოთხშაბათი, ვსიოოო, აღარ იქნებაააა?!

\* \* \*

ცოლ-ქმარი კინოში აპირებს წასვლას. ცოლი სარკესთან ტრიალებს:  
 — ხომ მართალია, რომ ეს ვარცხნილობა ძალზე მახალგაზრდავებს?!  
 — ეკითხება ქმარს.  
 — კი, რასაკვირველია, მაგრამ იცოდე, ნამეტანი არ მოგივიდეს, თორემ, ამ ფილმზე არასრულწლოვნებს არ უშვებენ.

\* \* \*

ჭომოსექსუალების, ტრანსვესტიტებისა და ლესბოსელების მოლაპარაკებები ჩიხში შევიდა და ეშმაკმა უწყის, რას აკეთებენ ახლა იქ.

\* \* \*

მილიციაში:  
 — ფული სად გქონდათ შენახული?  
 — ბიუსტჰალტერში.  
 — მე რე, რატომ არ შეენინააღმდეგეთ?  
 — მეგონა, კეთილი ზრახვები ამოდრავებდა.

\* \* \*

მომთვინიერებელს ხელში ცეცხლმოკიდებული რგოლი უჭირავს და ლომს მუხლმოდრეკილი ევედრება:  
 — არა, არა! სულს ნუ უბერავ, უნდა გადახტე!..

\* \* \*

სიდედრმა სიძეს სოკო მიუტანა. სიძემ სოკო შეწვა, მაგრამ დაეჭვდა და პირველად კატას აჭამა. რამდენიმე წუთში, კატამ ფეხები გაფშიკა. გაბრაზებულმა სიძემ სიდედრი მეთე სართულიდან გადააგდო. ამ დროს, გახარებული კატა ფეხზე წამოხტა და დაიძახა:  
 — იეს!

\* \* \*

სვანმა ცოლი სამშობიაროში დაანვინა. ეზოში მასთან ერთად, ხუთი-ექვსი კაცი ტრიალებს, რომლებიც თავიანთი ცოლების მშობიარობას ელოდებიან. გადის გარკვეული დრო. შენობიდან გამოდის მედღა და ერთ-ერთ მამას ულოცავს:  
 — გილოცავთ, თქვენს მეუღლეს ბიჭი შეეძინა! ამის გაგონებაზე სვანი გაბრაზდა:  
 — ეგ ჩემი ბიჭი იქნება! მაგან ჩემ შემდეგ მოიყვანა ცოლი სამშობიაროში.

\* \* \*

სვანებმა კენტავრს ცხენი წაართვეს.

\* \* \*

მომაკვდავმა კაცმა თავისი ექიმი და ადვოკატი გამოიძახა და სასთუმალთან აქეთ-იქით დააყენა. დგანან, ხმას არ იღებენ. ბოლოს ერთი ეკითხება:  
 — რისთვის მოგვიყვანე?



— მინდა, იესოსავით ორ ყაჩაღს შორის მოვკვდე!

\* \* \*

ულამაზო ქალი სარკეში იყურება, იყურება, იყურება და ამბობს:  
 — ასე მოუხდება ჩემს ქმარს.

# გონის სუსხი

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის  
**(კასუხები)**

1. ნიკოლოზ გოგოლის „რევიზორი“.
2. საქართველოსი.
3. ჩალის ზვინია.
4. ეს პლაკატი ირაკლი თოიძემ შექმნა.
5. ლევან უჩანეიშვილი.
6. ინდოეთი.
7. ძმები გრიშები.
8. ასეთი ეპიგრამა ლევ ტოლსტოის „ანა კარენინას“ უძღვის ნინ.
9. ლენინს პირად მცველებად ლატვიელები პყავდა. ისინი ბელადის განსაკუთრებული ნდობით სარგებლობდნენ.
10. ლუი დე ფიუნესი.
11. ახლო აღმოსავლეთში 1950 წლამდე, ფეხბურთი იყო აკრძალული.



ვაკელი ბელურა



# veluri wablis xeivani

დასაწყისი იხ. „გზა“, №24-26

ამერიკაში თითქმის 15 წლის წინ  
ნასული ნიკა ბერიძე თბილისში დაბ-  
რუნების შემდეგ, თავისებურ აკლი-  
მატუზაციას გადის. მშობლების, სამი  
დედამამიშვილისა და ბუბის გარდა,  
მას აქ, მანამდე უნახავი, 13 წლის  
ქალიშვილი — თეონაც ხვდება.  
ემიგრანტ კაცს ძალზე შეცვლილი  
ვითარება, დედამამიშვილებს შორის  
დამკვიდრებული რთული ურთიერ-  
ობები და ერთ-ერთი მათგანის —  
რეზის მძიმე მატერიალური მდგო-  
მარეობა თავიდანვე არ აძლევს ამო-  
სუნთქვის საშუალებას...

ნიკას, სანახავად, ორი ძველი  
მეგობარი ეწვევა. მათ სტუმრობას,  
ბიძაშვილის, რუსეთიდან ჩამოსუ-  
ლი ბიზნესმენის — ლადოს სტუმ-  
რობა ემთხვევა.

სუფრა გაიშალა და კაცებიც საუბარს  
შეჰყვნენ. რატომღაც, ბესო თვალში არ მოუ-  
ვიდა თუ არ ეჭაშნიკა ლადოს და სულ მის  
დამცირებას ცდილობდა: რასაც კი ბესო  
იტყოდა, ლადო ან მის სანინალმდეგოს ამ-  
ბობოდა, ან საერთოდ, დამცინავად რეაგირებდა  
მის ნათქვამზე.

— საქართველოს შრომისუნარიანი მო-  
სახლეობის ერთი მესამედი რუსეთშია, ერთი  
მესამედი — ევროპაში, დარჩენილი ნაწილი  
— ამერიკაში... სამაგიეროდ, მე და კახა  
ვართ აქ მყარად გამაგრებულები. არა, კახა?  
— თქვა ბესომ.

— ბოდში, რა, შენი სახელი ისევ დამ-  
ავინყდა, — თვალეზში მიაშტერდა ლადო

## ზაზა პაჩნაძე

ბესოს.

— ბესო. ბესო... — უკვე მესამედ  
პასუხობდა ბესო ერთსა და იმავე კითხ-  
ვზე ლადოს.

— იცი, რას გეტყვი, ჩემო ბესარი-  
ონ?.. რაც არ იცი, იმაზე არ უნდა  
ილაპარაკო. რას აკეთებენ ეგ შენი  
ქართველები მერე, აქედან რომ არიან  
გახიკულები, იცი? ქურდობენ, ბიჭო,  
ნახევარზე მეტი! იპარავენ და ამით ცხ-  
ოვრობენ. ბევრი იმ ნაქურდალთა აქ ცოლ-  
შვილს ინახავს. იცი, შენ ეს?!

— ვიცი, — რატომღაც გამწარდა ბესო.

— საქმეც მაგაშია! მთელი ნაგავი გახ-  
ვეტილია აქედან. რა სახელი აქვს, იცი,  
ქართველობას უცხოეთში?.. მე რომ ამ  
მთავრობის ვიყო, არავის გავუშვებდი გა-  
რეთ, არავის!.. — თქვა რატომღაც რუსეთ-  
ში გადახვენილმა, ქართველებზე გამწყრა-  
ლა ლადომ და ვერცხლის ძენკვით საქამრეზე  
დაკიდებულ ოქროს საათზე დაიხედა.

— აკი, არც უშეგებენ, — თქვა კახამ. —  
როგორმე, აქედან რომ გააღწიონ, ყუთებსა  
და ჩემოდნებში ძვრება ხალხი! ჰო, ჰო...

— საქმეც ეგ არის... კაცი რომ აქედან  
ყუთით და ჩემოდნით უცხოეთში გავა...  
საბუთები რომ იმას არ ექნება წესრიგში,  
ლეგალიზაცია რომ არ ექნება, როგორ უნდა  
იცხოვროს?! უნდა იქურდოს, არა?! აბა,  
სხვა რა?! ამიტომაც არის, რომ ყველანი,  
აქაც და იქაც, ძმავო, ხაფანგში ხართ გაბმუ-  
ლი... საქმე მინდა, ნამოვიწყო. რაღაცაში  
მინდა, ფული დავაბანდო. საქართველოში  
პარტნიორს ვეძებ, რახანია, პარტნიორს და  
ერთი კაცი ვერ ვიპოვე, წამლად, ერთი!  
ელაპარაკები და არავინ გისმენს. მოსმენის  
კულტურაც კი არა აქვს ხალხს, აბა!.. მოვე-  
დი აქ, ბიძაჩემი მინდოდა მენახა, მაგის წყ-  
ალობით ვდგავარ დღეს ფეხზე და კაცს  
ინსულტი დამართვია.

— მერე, ვისი ბრალია — ჩვენი თუ  
მთავრობის? — იკითხა ბესომ.

— შენი! — თითი მიუშვირა ლადომ  
ბესოს. — ვინ გაიმახოდა — ბალახს შეგჭა-  
მო, — მთავრობა?! თუ მთავრობა იმას  
გუშენებოდა — ნუ შეჭამ, ძმავო, ბალახს,  
მოინამლებიო?! ასე არ იყო?! ნახევარი  
საქართველო ციხეში რომ ზის და „ბალან-

დას“ მიირთმევს... გემრიელია?

ამ დროს, ღია კარში ელისო და სო-  
ლომონი გამოჩნდნენ.

— აი, გაიღვიძა... სოლომონ, იცნობ ამ  
კაცს? — ჰკითხა სიძეს ელისომ და ლადოზე  
მიუთითა.

— როგორ ვერ ვიცნობ?! ლადო არაა,  
შოთას ბიჭი?

— ლადო, გიცნო, ბიჭო!.. — გაოცდა  
ელისო.

ლადომ გადაკოცნა და თავზე ხელი გადა-  
უსვა ბიძას.

— ნუ გეშინია, ყველაფერი წესრიგში  
იქნება... — და ნიკას მიუბრუნდა. — მოსკ-  
ოვში უნდა ნავიყვანოთ, საუკეთესო კლინი-  
კაში ვუმკურნალებ.

— შოთა როგორაა? — იკითხა სო-  
ლომონმა.

— შოთა გარდაიცვალა, სოლომონ... სულ  
ახალგაზრდა იყო... დაგავინყდა? — ჩაერია  
ელისო.

— შოთა ცოცხალია, გუშინწინ ველაპარ-  
აკე... რა უცნაური ხალხია — შოთა გარდა-  
იცვალა!.. — ეწყინა სოლომონს, შეტრი-  
აღდა და ოთახიდან გავიდა. ლადომ მზერა  
გააყოლა.

— იცი, რა, ბესო... ასე გქვია, არა, ხომ  
არ მემულება?

— ჰო, ბესო მქვია-მეთქი, აკი ვთქვი,  
ბესო!.. — სახე აეჭრა ბესოს.

— თქვენი ქვეყანა აი, ამ კაციგან ძალიან  
კი არ განსხვავდება... ჰო, ქვეყანასაც სისხლი  
აქვს ტვინში ჩაქცეული და აღარ ახსოვს  
არაფერი — ვინ მტერი იყო და ვინ —  
მოყვარე... ნავალ მე, მელოდებიან ერთგან...

— გაგაცილებ, — წამოდგა ნიკა.

— ჰო, შენთან რალაც საქმე მაქვს... მერე  
გნახავ. კარგად მეყოლეთ, — თითი აუწია  
ბიჭებს ოდნავ შეზარბოშებულმა ლადომ და  
კარისკენ წავიდა.

ნიკამ სხვებთან ერთად გააცილა ლადო  
და ბიჭებთან შემობრუნდა.

— აუ, ეს რა მახალო ვინმე იყო! თავი  
ძლივს შევიკავე... — ხელი აიქნია ბესომ.

— მიზანში ამოგიღო... — უთხრა კახამ.

— უბრალოდ, „სოფელია“. ნიკა რომ  
არა, პასუხი უნდა მომეთხოვა... არ მომშხამა,  
ბიჭო?!

— თითზე „პერსტენი“, პირში სიგარა...  
იქით „კრიშა“, აქეთ „კრიშა“, ბანკში დიდი  
მაყუთი... — ჩაიციხა კახამ.

— რესტორანში ნავსულიყავით, ჯობდა,  
ნიაზასთან... — თქვა ბესომ.

— კარგი... მართლა, რა დაგემართა?  
გულთან კი არ უნდა მიიტანო ყველაფერი,  
— უთხრა ნიკამ.

— ამიყვანა, ბიჭო, მაგ შენმა ბიძაშვილ-  
მა... ჰო, აი, რომ შემომხედა, არა, რალაც-  
ნაირად ამიყვანა... რალაც მურტალი შეგ-  
რძნება... დამალევიანებთ რამეს, ამ ოჯახში?!  
— გაღიზიანებული იყო ბესო.

— კახა, ჩამოასხი... — ანიშნა კახას ნიკამ.  
კახამ ჭიქები შეავსო. ბესო ფეხზე წამო-  
და. ჭიქას ჩააცქერდა.

— ერთს ვიტყვი, რა... ნასულები ნათელ-  
ში ამყოფოს... მანუჩარა, ჩომბე, ქუცა... ყვე-  
ლანი ომში ჩახოცეს... საფლავიც არ ვიცი  
იმათი... მე და კახა კი, ცოცხლები ვართ...  
შენც, ნიკა... ისინი აღარ არიან, ძმავო... გაანათ-  
ლოს!..

— მათი შესანდობარი იყოს... — თქვა





კახამ.

— ხსოვნა იყო... — თქვა ნიკამ და სამივემ გამოცალა.

— შევავინებ, რა! — სთხოვა ბესომ ნიკას.

— შევავინებ, მაგის დედაც!.. — უთხრა ნიკამ.

— ჩვენ, ბიჭო, დაცხრილული თაობა ვართ. ოცდათხუთმეტიდან ორმოცდათხუთმეტამდე... ტრტტტ... ყველანი დაცხრილულები ვართ... ვიღაც „პერსტენიანი“ კი აბუჩად გიგდებს!.. ვინც იქ იყო იმ დროს, ვინც მოსკოვში გრიალებდა იმ წლებში... — ან ნიუ-იორკში, არა?.. — ჩაილაპარაკა ნიკამ.

— თუნდაც. მაგრამ შენ ეს არ გეგება... — რატომ გგონია, რომ არ მეხება?.. — ჰკითხა ნიკამ.

— იმიტომ, რომ შენ ნიკა ხარ, ის კი — ვიღაც „პერსტენიანი“... — განუმარტა ბესომ.

— აოე... უბერავ ახლა, ბესო... — ჩაერია კახა.

— ჩვენ გასრეილი თაობა ვართ... დამარცხებული, „დაკაფორებული“... აზრი აქვს რამეს? ვისთვის ვისროდი, ვის ვესროდი, რატომ ვესროდი? ვის ვვლავდი, ამისხენით, თუ მაინც უნდა წაგვეყო ეს ომი, რომ მერე, ვიღაც ნაბიჭვრებს ჩვენს სისხლზე ეგრიალათ? — კაი, რა, ბესო...

— რით მომანვა, რა? ფულით, სხვა რით? გაყვილიფეს ხალხი, დაისიეს ტრაკები და თავზეც გავფსამენ, როცა ხოში აქვთ! ჰო, ჰო, კაცს თვალებიდან ბრწყალელები ჰქონდა გამოყოფილი. რამდენიც შემომხედა, ის ბრწყალელები ჩამასო ტვინში. რატომ არ მოვთხოვე პასუხი, რატომ, მე ამის!.. იმიტომ, რომ დაცხრილულ თაობაში მოვეყვი... „დაჩორებული“ მოტყუებულში, გაძარცვულში... მე ამის!!! — ბესომ გაშლილი ხელი დაჰკრა ჭიქას. ჭიქა გატყდა და შუშის ნამსხვრევები ბესოს ხელში შეესო. სისხლი თქრიალით გადმოსკდა ხელიდან.

— თუნდა! ელისო! — იღრიალა ნიკამ.

— აი, სულ ეგერეა ომის მერე, მე ამის!.. ჭიქა ვეღარ ამინვეია ამასთან... — თქვა კახამ, როცა ბესოს, მაჯის ზემოთ, სისხლდენა რომ შეეჩერებინა, ხელი ცხვირსახოცით გაუკრა.

ოთახში თუნა შემოვარდა.

— ჩქარა, ბესოს დაუძახე, ბამბა და იოდი წამოიღოს!.. — უთხრა ნიკამ.

თუნა უკან გაიქცა.

— არაფერია... გამოსაშვები სისხლი იყო, ალბათ... არაფერია... — ცოტა დამშვიდდა

ბესო.

— თუნა, დაუჩქარეთ! — გასძახა ნიკამ.

ოთახში ვერიკომ შემოირბინა.

— ნიკა, ბესო, რა არის, რა გჭირს, რატომ გდის სისხლი?

— გამეჭრა, ჭიქა გავტყე. შუშაზე გავიჭერი... შუშის ნამსხვრევზე... — უპასუხა ბესომ.

— აბა, მაჩვენე!.. ღმერთო, ეს როგორ გავიჭრია!.. ახლავე, ახლავე ელისო მოგხედავს...

სანამ ელისო შემოვიდოდა, ოთახში სოლომონი შემოეხეტა.

— მაგან ხომ არ აიღო ჩემი სასხლავი დანა? — იკითხა მან, ბესოს სისხლიანი ხელის დანახვამ.

— მამა, შენი ჭირიმე, შენს ოთახში წაიღო! — სთხოვა ნიკამ.

— ახია მაგაზე.

— გამოდი, შენ, კაცო, აქეთ! რა უდროოდროს იცის, საიდან მოაგონდა ახლა, პაპა-ჩემის დროინდელი დანა?! წამოდი, წამოდი! — ვერიკომ ხელი მოჰკიდა სოლომონს და ისე გაიყვანა...

— მართალია ბატონი სოლომონი... ახია ჩემზე, ჩვენზე, ყველაზე... მართალია. ელისომ ბამბა და იოდი შემოიტანა.

— რა მოხდა?

— სისხლი მანვალეებს, ეტყობა. იქ არ დავჭერილვარ, ამ ჩემს ცარიელ თავს ტყვიას რომ ვუშვებდი და აქ უნდა დავვლავრო ბოლომდე... — რაღაცას რომავდა ბესო.

— ჩუმად იყავი შენ! სისხლის გამოშვება მომიხდომია... აბა, მაჩვენე... — ელისომ ჭრილობა დაუშუშავა. იოდიც წაუსვა და ხელი გადაუხვია. — რა გჭირთ, შვილო, სისხლის გამოსაშვები? თქვენ უნდა იცოცხლოთ!

— გაცოცხლებენ ესენი, რომ?!.. აი, ჩემი გარდაცვალების ცნობა ჯიბეში მიდევს... — ბესომ მეორე ხელით ჯიბიდან ქალაღის გაკვეცილი ფურცელი ამოიღო. — გუშინ მომცეს მერიამი... აი, აქ წერია, რომ ორი-ათას ოთხი წლის იენისში გარდავიცვალე... — სხვა სახუმარო ვერაფერი მოიფიქრე? — ჰკითხა ვერიკომ.

— არა, მართლა, რა სახუმარო... — განაგრძო ნერვიულად ბესომ. — ქალაღზე კი არა და ვინ იცის, იქნებ, მართლაც მკვდარი ვარ... ჩვენ ხომ დახმარებას გვაძლევენ, ომში ნამყოფებს — ოცდაორ ლარს!.. ჰოდა, მივედი მოლარესთან და — სიაში არა ხარ, კომპიუტერში არა ხარ შეყვანილი... არ მომიცა დახმარება. ვუთხრებ — ქრისტე ვარ, მკვდრებით აღვდგე?! აი, მოწმობა, აი, ჰო მე ვარ, ნახე, ცოცხალი ვარ, მკვდარი როგორ ვარ-მეთქი?! — რა ვქნა, მე რა გიყო, ნადი, გამგეობაში გაარკვიეო. მივედი გამგეობაში და — მკვდრებში წერისარო, — კომპიუტერში მიჩვენეს... მერიამი წაიღო... ვიფიქრე, მოდი, მერიამი გარდაცვალების ცნობას მოვთხოვ, თუ მომცემენ-მეთქი და მართლაც არ მომცეს?! ახლა, რასაც მინდა, იმას ვიზამ, მაინც მკვდარი ვარ... მკვდარი ვარ, მაშ, რა ვარ, მაშ მე ცოცხალი ვარ?! — ბესო, იცოდე, ღრმა ჭრილობაა. არ

უნდა მოიხსნა, სანამ კარგად არ შემრება და მოხმება, — ეუბნებოდა ელისო. — თუ არ შეგანუხა და არ დაგიჩრქდა, რა თქმა უნდა. გარშემო შენითლდება, თუ ჩირქდება და დააკვირდი... — კარგით, რა, ქალბატონო ელისო! ჭრილობის მოვლა მესწავლება? გაკანრულია, რა! ამ ჭრილობას ვერ ვახორცილებ, აი, აქ რომ მჭირს... — გულზე ხელი მიიღო ბესომ. — რატომ უნდა წაგვეყო ომი, რით გვაჯობებს აფხაზემმა, ვაკაცობით? რატომ უნდა მქონდეს ხელი გაშვებული ოცდაორი ლარისთვის?.. — იცი, რა, ბესო, შენ არც პირველი ხარ და არც უკანასკნელი. — უთხრა ელისომ. — გადი მშრალ ხიდზე — მედლები „კაპიკებად“ იყიდება!.. ჯარისკაცი მარტო საზარბაზნე ხორცად სჭირდება ყველა მთავრობას. არ იცოდინ? მე ისიც მიკვირს, მაგ ოცდაორი ლარს რომ გჭუქნიან. სტალინიმ მთელი ჯარისკაცობა მოხვეჭა და გულაგზე უკრა თავი... ჩემი თემიკო შვიდი წელი ტაიგაში ცხოვრობდა, ორმოცდაათ გრადუს ყინვაში... კომუნისტს აშენებინებდა ტუსალებს სტალინი... — ბესომ თუნას გახედა.

— ბავშვს როგორ შეეშინდა!.. არაფერია, შვილო... დედა მოგვიკითხე, კარგი? — გამდლობ... — თქვა თუნამ.

კარზე ზარის ხმა გაისმა.

— თარსი რომ დაიბადები, სულ თარსად უნდა იარო მერე!.. — თქვა ბესომ.

ოთახში ირაკლი შემოვიდა და გაკვირვებულმა მიიხედ-მოიხედა.

— რა ხდება, ომი?

— მშვიდობაა, მაგრამ ომზე უარესია. ომი ათასჯერ მერჩია... — ბესო წამოგდა. ცოტას ქანაობდა. — ყველასთან ბოდიშს ვინდი... კახა, გამატილებ?... წავედით. აბა, ჰე! შენთან ბოდიში, ირაკლი... ცოტა გადავაჭარბე, სულ ცოტა, აი, ამხელა... ნევისხელა... ყველამ მაპატიეთ. — კახა მხარში ამოუდგა და გავიდნენ. ნიკამ მეგობრები გააცილა და შემობრუნდა.

— იჩხუბეს? — იკითხა ირაკლი.

— ხელი დაჰკრა ჭიქას და გაეჭრა... — თქვა თუნამ.

— იდიოტები არ არიან? იმის მაგივრად, ამდენი ხნის უნახავი ძმაკაცი რალაცით ასიამოვნონ... — ბესო ომში იყო... — თქვა ელისომ.

— მერე, იქ ეიომა, აქ რას მომოს, ოჯახში!.. დედაჩემი არ მოსულა? — შინ არის, სოლომონთანაა...

როცა ირაკლი სოლომონის ოთახში შევიდა, ვერიკო და სოლომონი კარტის ფურცლებით სახლს აშენებდნენ. ჯერ ერთი დადებდა კარტს, შემდეგ — მეორე.

— ესენი ნახე, რა მაგრად ერთობიან, — გაეცინა ირაკლის.

— გართობაზე თქვენა ხართ გადასული, ჩვენ — ვაშენებთ, — ჩაილაპარაკა სოლომონმა.

— ჰოო? რას აშენებთ? — ვითომ დაინტერესდა ირაკლი.

— რას და მეტროს ახალ სადგურს, — უპასუხა სოლომონმა.

— მეტროს სადგურს?.. თქვენ რა, მინის ქვეშ ხართ ჩასულები? — არა, ჯერ არ ჩავსულვართ, ჯერ ეს-

კალატორის კიბეს ვამონტაჟებთ... — უპასუხა ვერვიკომ და შეიღს თვალი ჩაუკრა.

— დედა, მომისმინე, რა ხდებოდა დღეს თქვენთან სკოლაში? — შევეკითხა ირაკლი.

— შენ საიდან იცი? რა ყველაფერი შენ უნდა გაიგო პირველმა! — გაუკვირდა ვერვიკოს.

— დედა, ეს ჩემი პროფესიაა, მე ყველაფერი უნდა ვიცოდე.

— ჩემი სკოლის ამბებიც?

— დედა, შენ გგონია, ისე, ჰაერზე ხდება, რაც ხდება?..

— აბა, რაც ახლა სკოლაში ხდება, წინასწარ იყო დაგეგმილი? — გაიკვირვა ვერვიკომ.

— როზი დოლიძეა, ხომ, აჯანყების მოთავე? ვინ არის, როგორი ქალია, რას ასწავლის?

— სიმართლე გინდა იცოდე? როგორც მასწავლებელი — ნულია და როგორც ინტრიგანი — ყველაფერი... ამიტომ, სულაც არ გამოიკვირდება, სკოლის დირექტორობასაც რომ გამოჰკრას ხელი...

— არ მეგონა, შენგან ასეთ რამეს თუ მოვისმენდი, მე სხვა ინფორმაცია მქონდა.

— ეს სწორია, ირაკლი, რომ სკოლა ორ ნაწილად არის გახლეჩილი?! მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები... რომ ჩაშლილია მეცადინეობა! მერე, ესეც არ მოუწონებთ და ამის გადადგომას მოითხოვენ და ასე დაუსრულებელიც?!

— ცოტაც მოიცადეთ და ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგება...

— როგორ არის?.. წინა თაობა მომდევნოს იმას ასწავლის, რაც თავად მიაჩნია სწორად... ჰო, თურმე ყველა ასე იქცევა. რა მივიღეთ სანაცვლოდ? გაურკვეველი სქესის მოქალაქე. კალაპოტი... ყველა ტირანი ხალხის სახელით უღელტა მილიონებს, ხალხის საკეთილდღეოდ მხოლოდ... როზიც სკოლის გადასარჩენად იბრძვის, ბავშვების საკეთილდღეოდ... თუ შენი ხელიც ერია ამაში?..

— რა სისულელეა, დედა, როგორ გეკადრება?! მე მქონდა ინფორმაცია და შენზე ნაღდ ვინმესთან ხომ ვერ გადავამონებდი! მე არც ძველს ვიცნობ და არც ახალს. მე, უბრალოდ, სიმართლე მინტერესებდა და ამიტომ შეგეკითხე... — სცადა დედის დაშოშმინება ირაკლიმ.

— ჩვენ ხუთწლეულებით გვზრდიდნენ. თქვენც ხუთწლიანი გემები უნდა შეადგინოთ და ყველაფერი თავისით ჩადგება კალაპოტში... — ურჩია ირაკლის სოლომონმა.

— ოო, ამან ხომ... — ხელი ჩაიქნია ირაკ-

ლიმ.

ვერვიკომ კარტი მიამატა და ხუხულა დაშალა.

— ოო, რა ქენი ეს, ვერვიკო, გვირახი ჩამომანგრეო თავზე?! — გადაირია სოლომონი. — ასე ხომ უამრავი ხალხი გაიჟლიტება, ნორმალური ხარ შენ?

— ვაიმე, არ მინდოდა, სოლომონ, შემთხვევით მომივიდა. რალა გვირახი გაგყავს, შენც — ადევი და აეროპორტი ააშენე.

— რომელი აეროპორტი? გაყიდულია აეროპორტი, თურქებს მიჰყიდეს, თურქები აშენებენ... ყიდიან ყველაფერს — მინას, წყალს, ჰაერსაც... დავილუშე!

— გამოდი, ქალო, აქეთ, გამოერიდე, — ხელი მოჰკიდა დედას ირაკლიმ. — ააშენოს თავად, რაც უნდა. თუ თავზე დაეგრევა და ქვეშ მოჰყვება, შენ მაინც აღარ დაგაბრალებს.

— არ ნახვიდე, ვერვიკო, მაგათ თავიანთი გზა აქეთ, ჩვენ — ჩვენი... — სთხოვა ცოლს



სოლომონმა.

— კაი, კაი, დარჩი, ააშენეთ კაშხლები, გაიყვანეთ გზები, ააგეთ ხიდები... მე გავალ... გაგერიდებით... — დაანწყნარა ორივე ირაკლიმ და ოთახიდან გამოვიდა.

მისაღებში ნიკა მარტო დარჩენილიყო სუფრასთან. ირაკლი მაგიდას მიუახლოვდა. პური აიღო, გაღეჭა.

— ჰა, ნიკა, როგორ ხარ? არ მოგენტრა ამერიკა?

— დავილაღე... — თქვა ნიკამ. — მომბეზრდა ცხოვრება.

— რაო, „დაგარუხუს“, ჯიგარო?

— რა მექნა, ირაკლი?.. როგორ გითხრა...

იქ თითქოს, ყველაფერი გაქვს. ჰო, ყველაფერი, რაც ადამიანს სჭირდება: ბინაც, ფულიც, მანქანაც... თითქოს მეგობრებიც გყავს, ხვდები, დროს ატარებ... მაგრამ არ გიხარია, იცი, არაფერი... ჰო, დამიჯერე, ზეიმის შეგრძნება არა გაქვს... ჰო, ჰო, გახვალ ქუჩაში და ყველაფერი ბრწყინავს, ყველაფერი ბრწყინავს... „პარადია“... მოდიან ჰომოსექსუალებისტები, მოაბიჯებენ... მოდიან „ლესბიანები“, რიო-დე-ჟანიერო გეგონება... გრიანებს მუსიკა, „სამბო“, „მამბო“, რა ვიცი... „იქაურად“ ამათ თავისუფლება ჰქვია... მანგრამ არ გიხარია, არაფერი... არაფერი... ზეიმი თავისთვის არის, შენ — შენთვის.

ბოლოს, ჰაერიც კი აღარ მყოფნიდა... აქ ჩამოვდი და... აქ კი, რამდენიმე დღეში დავილაღე... უკვე თითქოს ყველაფერი მომბეზრდა. სად წავიდე?

— ისევ გაქცევას აპირებ, არა?!! ორ დღეში დაილაღე. მამ, ჩვენ რა უნდა ვქნათ?!

— ისევ გაქცევას აპირებ, არა?!! ორ დღეში დაილაღე. მამ, ჩვენ რა უნდა ვქნათ?!

— ლალო იყო ჩვენთან სტუმრად, ჩვენი ბიძაშვილი...

— რაო, თბილისშია? ნაღდად რალაცის ყიდვას აპირებს. არ უთქვამს, რა საქმეზეა?

— უნდა გნახოო. რა ვიცი...

— ტყუილად არ ჩამოვიდოდა. დამიჯერე, ვიცი, რასაც ვამბობ...

— მამ, კარგად იცნობ, ეტყობა.

— საკმაოდ. თუკი რაიმეს ხელი მოჰკიდა, დოლარებზე აქცევს... ჰო, ჰო, მაგარი ყნოსვა აქვს.

— მამ, შეიძლება აქ ფულის დაბანდება. ასე გამოდის, არა?

— გააჩნია საქმეს, ყველაფერიც შეიძლება. ბევრად მეტი ფულის შოვნაც, ვიდრე სხვაგან...

— ჰოო? მაგრამ მე, იცი, ფული იმდენად არა... მე, იცი, როგორ გითხრა... როგორ ამბობენ? „შრომაშია ბედნიერება“...

— აა, გასაგებია: შენ პროცესი გიყვარს, ბავშვის კეთების, ხომ?..

— მოდი, რა, მე დავწვები. მაგრამ დავილაღე.

— ჰო, დაისვენე. საქმეზე მერეც მოვასწრებთ ლაპარაკს, თუკი ასეთი სურვილი გაგიჩნდება.

— აქ იქნები?

— გააჩნია, რამდენ ხანს აპირებ ძილს.

— ერთ-ორ კვირას სიამოვნებით გადავაბამდი...

ნიკა სამზარეულოში შევიდა, სადაც ელისო და თეონა იყვნენ. სკამზე ჩამოჯდა. გააბოლა. თეონას უცქერდა ერთხანს.

— თეონა, ხომ არ მიბრაზდები? — ჰკითხა ნიკამ შეიღს.

— არა, — თქვა თეონამ.

— აბა, შემოხედე. — თეონამ გვერდზე გაიხედა. — ისე მოხდა, იცი... ჯერ რეზისთან მქონდა აუცილებელი საქმე... მერე, ბიჭები მოვიდნენ, ჩემი და დედაშენის კლასელები... აბა, ხომ ვერ მივატოვებდი, არა?.. თეონა!

— ახლა?

— ახლა, ძალიან დაღლილი ვარ და ერთი სული მაქვს, დავიძინო.

— თუ არ გინდა, დაგაძინო?

— ეს რალაც ახალია ჩემს ცხოვრებაში...

— ჰო, დაგაძინოს, რა მოხდა მერე?! — ჩაერია ელისო მამა-შვილის ლაპარაკში.

— რანაირად უნდა დამაძინო, ზღაპარს მიაბობ? — გაეღიმა ნიკას.

— თუ არ გინდა, არა...

— იცი, რა, მგონი, მართლა მინდა...

— მართლა?.. — გაუხარდა თეონას.

— ჰო, მართლა.

— ნადით, შევიღებო, ნადით, — ურჩია ელისომ.

თეონამ ხელი ჩასჭიდა მამას.

— დაიცა, სიგარეტი ჩაგაქრო, — ნიკამ სიგარეტი საფერულეში ჩააჭყლიტა. თეონა მისი თითების მოქმედებაზე მიხვდა, რომ მამა მაგარი ნასვამი იყო, მაგრამ თავს მაინც იკავებდა.

ნიკა წამოდგა. ელისოს თვალი ჩაუკრა. მამა-შვილი სამზარეულოდან გავიდა. ელისომ თვალზე მომდგარი ცრემლი ხელისგულით შეიშორა.

ნიკა ლოგინზე გაუხდელად მიწვა. თეონამ პლედი მიაფარა. ნიკამ თვალები დახუჭა.

ნიკა ლოგინზე გაუხდელად მიწვა. თეონამ პლედი მიაფარა. ნიკამ თვალები დახუჭა.

ინფორმაციული ტელეფონი
822-006-008
822-006-088
822-006-108
(ზარი ფასიანია)
18 წლიდან

— მამა, გძინავს? — შევეკითხა თეონა.  
 — არა, — ჩურჩულით უპასუხა ნიკამ.  
 — ჰო, ჯერ არ დაიძინო. მოვიფიქრებ, რა უნდა გიამბო.  
 — ნიქარაზე არ მომიყვე: ტახის მეშინოდა ხოლმე, ვერ ვიძინებდი...  
 — კარგი, ნიქარაზე არ მოგიყვები.  
 — იცი, რა... უბრალოდ, ხელი დამადელოყაზე. ყველა ზღაპარს ეგ აჯობებს...  
 თეონამ მამას ხელი დაადო ლოყაზე. ნიკამ თვალები დახუჭა.

— მამა, — ჩუმად ჰკითხა თეონამ. — მამა, უკვე დაიძინე? — ნიკას ეძინა. — მამა, იცი, ჩემი ზღაპარი რა იქნება?.. შენ და დედა რომ ერთად იყოთ, მამა... — თეონა დაიხარა და ნიკას შუბლზე აკოცა. შემდეგ, ფრთხილად გამოაცალა ხელი და ადგა. ზღურბლიდან კიდევ ერთხელ მიხედა მძინარე ნიკას და ოთახიდან გავიდა...

მეორე დილას, როგორც ყოველთვის, ელისო სამზარეულოში ტრიალებდა. ვერიკო საუზმობდა და თან ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ. თეონაც იქვე იჯდა, წინ გადამოლილი ნიგნი ედო და მეცადინეობდა. ის ზოგჯერ თავს აიღებდა და ბებიებს უსმენდა.

— პატარები აღარ არიან, — ამბობდა ელისო. — ერთს თუ ფერება და დაყვავება შევლის, მეორეს მუქარა და დასჯა უნდა...  
 — დედა, შენ მუდამ ისე მარიგებ, თითქოს ისევე ოცი წლის ვიყო... — ცხარობდა ვერიკო. — ვერ ხედავ, როგორც ცა და დედამინა, ისე განსხვავდებიან და-ძმები! ეგ შენი მზამზარეული რეცეპტები, შენს პაციენტებს შეგიძლია ჩამოურიგო... არ მინდოდა მეთქვა, მაგრამ ისე, შენც დიდი წვლილი მივიძღვის ამ ბავშვების გაფუჭებაში, რომ იცოდე. შენი განებივრებულები არიან. კი, კი!

— რა წვლილზეა ლაპარაკი? რომ ნამოგაზრდევინე?.. ჩემით არ გედგათ სული?! — არ მოსწონდა შვილის მსჯელობა ელისოს.  
 — არა, დედა, შენ ვერ გამიგე. არ ვიცი, რას დავაბრალო, სულ მინდა, რომ რაიმე ასხნა მოეუძებნო იმას, რაც ჩვენს ოჯახში ხდება. ხან სასმელს მინდა დავაბრალო... ხომ ვიცი, გამიგულბდი თუ არა გარეთ, — ბებია გენაცვალოს, ბებია გენაცვალოსო! — და შენი ხელით უდგამდი რეზის სასმელს. არ იყო ასე?  
 — აბა, რას ამბობ?.. ორ ჭიქას თუ დავაღვეინებდი, იმიტომ, რომ სუსტი ბავშვი იყო და ღვინოში კიდევ, ყველაზე მეტი კალორია.

— ჰოდა, მეც არ ვიცი, რას დავაბრალო. არა, არ უნდა გამეჩინა ოთხი შვილი, ძალიან შევცდი, ძალიან. მთელი ცხოვრება იმას ვცდილობ, რაღაც ძაფი მაინც გავაბა მათ შორის, ესენი კი... სულ სხვადასხვა მხარეს გარბიან, — დანანებით თქვა ვერიკომ.  
 — რას იზამ?! მეტი შვილი, მეტი დარდი, ნათქვამია, — ამოიხრა ელისომ.  
 — შენ არ მაგულიანებდი, დედა?! დავავინწყა, ერთი სიტყვა რომ გქონდა ამოჩემებული — დაიტოვე, დაიტოვეო, — რომ მიმეორებდი, როგორც კი მოცილებზე ხმას ამოვიღებდი?!  
 — რა გითხრა, ვერიკო, ამას ხომ ვერ წარმოვიდგენდი — რასაც თქვენ დღეს შეესწარით, რაც დღეს ხდება! ან ვინმე წარ-

მოიდგენდა, თუ ასე გადაყრავდებოდა ქვეყანა?! ჩვენს დროს, ბევრი შვილი სიმდიდრედ მიიჩნეოდა. მამ, ჩემზე ითქმის, ქალიაო?! ერთი შვილის პატრონზე! სანთელივით რომ დაგაკანკალებდი! — არწმუნებდა შვილს ელისო.  
 — ჰო, მე რომ და-ძმები არ მყავდა, მაგიტომაც ვაჩენდი, ალბათ... რამდენჯერ მისაყვედურია შენთვის.

— შენ გგონია, მე კი ერთ შვილზე გავწერდებოდი, თემიკო რომ არ გადაესახლებინათ?! ხალხმა გერმანულ საკონცენტრაციო ბანაკებს გაუძლო, რა აღარ გადაიტანა, ცოცხლები გადარჩნენ... ამით კი, მოხვიეს ხელი და ციმბირში უკრეს ყველას თავი!.. იცი, როგორ უნდა გაგვეზარდა, ეგ გულაგი რომ არა?.. იცი, რა ოცნების კომპლექსს ვაგებდით მე და მამაშენი?!

— ისე კარგად მასსოვს, პირველად რომ ვნახე მამა. სამუდამოდ ჩამებუჭა ტვინში. შვიდი წლის ვიყავი უკვე. დამამასხვრდებოდა, აბა რა!.. მატარებელი რომ ჩამოგდა და შენ რომ გარბოდი და მე ვერ გენუოდი... მერე, მამამ მხარზე რომ შემისვა და ფეხით მოვედით სახლამდე. როგორ მიხაროდა!..  
 — მაგან დაასვა დალი, მაგ გადასასლებამ, თორემ, ის დღესაც ცოცხალი უნდა ყოფილიყო... შენ გაკლებდი, ჩემს თავს ვაკლებდი და იმასთან კი, ამანათს ამანათზე ვგზავნიდი.  
 — სულ ვეკითხებოდი, მაინტერესებდა — ან ტყვედ როგორ ჩავარდა, ან იქ, გადასახლებაში რას აკეთებდა, მაგრამ არაფერს ამბობდა, არ უყვარდა ამ თემაზე ლაპარაკი, — თქვა ვერიკომ, ჩაფიქრებულმა.  
 — არ უყვარდა კი არა, შვილო, — ეშინოდა. დამშინებული იყო. ვინ იცის, რა არ გადაიტანა გულაგის ტყვეობაში, რა ტანჯვაში ჰყავდათ კომუნისტებს... შენ იცი, ერთხელ ჩემს სამსახურში, მოადგილის ადგილი გამოთავისუფლდა, პოლიკლინიკაში, მე წარმადგინეს, მაგრამ უარი მტკიცეს: თქვენი მეუღლე, მოღალატე იყო, „ქართულ ლეგიონში“ მსახურობდა და აგიტაციას ეწეოდა ჯარში საბჭოთა წყობილების წინააღმდეგო. დაიჯერებ?! სამი ლამე თვალი ვერ მოვხუჭე... ახლა კი, გმირებად აქციეს იმ ლეგიონის წევრები. მოდი და გაუფე ამ ქვეყანას რამე.

— რა ვქნა, შენ კი არ გასაყვედურობ, დედა. მინდა, რომ ერთმანეთი უყვარდეთ, ისე, როგორც და-ძმებს უნდა უყვარდეთ ერთმანეთი... შენც ხედავ, რანაირი დროა... მინდა, რომ ერთმანეთი გაიტანონ, ერთმანეთს მხარში ამოუდგნენ. როგორც ჩვენ გაიტანეთ ერთმანეთი, როგორც ჩვენ ვიდექით გვერდივევრდ. დედა, შენზე აუტი როგორ

დამცდებ?! შენ რომ არა, ოთხ შვილს როგორ გაგზრდიდი, რით? რანაირად?.. სანამ პატარები იყვნენ, რაღაცას ვახერხებდი... ასე მგონია, რაღაც მომენტი გამომეპარა და ხელიდან დამისხლტნენ, რაღაც მნიშვნელოვანი მომენტი...

...ნიკა ისევ დისა და სიძის ჩხუბმა გამოაღვიძა.  
 „ამათ ჩხუბზე ხომ, საათის გასწორება შეიძლება, ალბათ“, — გაიფიქრა ნიკამ. ადგა, ჩაიცვა და დერეფანში გავიდა.  
 ...ანი ლოგინში გულაღმა იწვა. თაზო ჩაცმული იყო, ანის ზემოდან აჯდა და ხელს უჭერდა.  
 — ხელი გამიშვი, გამიშვი-მეთქი ხელი, დეგენერატო! — ეჩხუბებოდა თაზოს ანი.  
 — გაიმეორე, გაიმეორე, რა თქვი! — კბილებს აღჩქიალებდა თაზო.  
 — გავიმეორებ, ხელი გამიშვი და გავიმეორებ! — ეუბნებოდა ანი მუქარით.  
 — რა?! თან ხელიც გაგიშვა და თან გამიმეორებ კიდევ?! ოხ, როგორ მინდა, რა, ერთი გემოზე დაგალიღავო, დაგზილო ერთი, კარგად!  
 — ვინ უნდა დაზილო, ბიჭო! — ანიმ უეცრად, ცალი ხელი გააშვებინებინა და თაზოს ლანანი გაადინა ყბაში. — აი, შენ!  
 — ნუ მირტყამ, გაიგე? ნუ მირტყამ, — ისევ მოახერხა თაზომ მისთვის ხელის გაკავება, — თორემ, დაგასწრობ, იცოდე, დაგკლავ!  
 — მაშინ, რატომ ვერ ბედავ, რატომ ვერ მარტყამ? — ნიშნს უგებდა ანი. — დამარტყი, აბა, დამარტყი! დაიხ, ცისფერი ხარ, ცისფერი, „პიდარმონი“!

ახლა უკვე თაზომ გაულანუნა ანის. ცოლმა ხურდა დაუბრუნდა ისიც მოახერხა, რომ თაზო გადააყრავა და სანოლიდან გადაადგო. თაზო ცუდად დეცა.  
 — ვაიმე, დედა! — ხელი მოვივლო ნატკენ მხარზე თაზომ და ისევ ანის წამოუხტა, მაგრამ ანიმ მოასწრო, ხელიდან დაუსხლტა და ქვედა საცვლებისა და პერანგის ამარა, დერეფანში გასხლტა.  
 — უხ, შენი! — შეიგინა თაზომ.  
 ანიმ კარი მიუკეტა და მხრით მიანვა, თაზოს რომ ვერ გაელო. თან მთელი ხმით გაჰკიოდა:  
 — მიშველეთ!

სამზარეულოდან შემინებულ ელისოს და ვერიკოს გამოეყოთ თავი. ნიკა სააბაზანოდან გამოვიდა.  
 — ნიკა, მიშველე, მკლავს, მირტყამს ეს დაუნი! — შეესვენა მძას ანი.  
 ნიკამ სწრაფად მოისაზრა, ანი შეცვალა და კარს თვითონ მიანვა. ანი სამზარეულოში გაიქცა. ნიკა კარს გამოერია, თაზომ გამოალო და ნიკა შერჩა ხელში.  
 — ცისფერს მეძახის, ტო, „პიდარასტს“!.. — დანიყო თავის მართლებს თაზომ. — და თან, სახემიც მირტყამს, ტო, დაუნანებლად! ნახე, აი, ჰო ვიცი — ხუთი თითი მამჩნევია ლოყაზე.

ანის, სამზარეულოს კარიდან გამოეყოთ თავი.  
 — რაცა ხარ, იმას გეძახი! თორემ, არა ხარ!.. ხარ, ხარ, ხარ!  
 — ხომ გესმის, არა? ხომ გესმის შენი ყურით?.. მითხარი, აი, როგორ მოვიქცე, როგორც შენ მეტყვი, ისე მოვიქცევი.  
 — შვილი გჭირდებათ, შვილი, — ჩაე-



რია ცოლ-ქმრის ჩხუბში ვერიკო. — და საჩხუბრად ველარ მოიცლით, ისე იქნებით დაკავებული.

— მაგას არ ვუბნებნი?! მაგას არ ვუმტკიცებდი?! — „გულწრფელობდა“ ანი.

— ტყუის, არ დაუჯეროთ. რა სისულელეა! არ არის, მამ, საცემი, აი, არ არის?! არ აჩენს, დამიჯერეთ, თვითონ არ აჩენს. მე ხომ ვერ გავაჩენ, არა?! ისე მინდა ერთი ჩემნაირი ბიჭი...

— ჩემნაირიო... — კომენტარი გაუკეთა ელისომ.

— რომ შექედლოს, მე გავაჩენდი, გეფიცებით! — თქვა თაზომ.

— აი, თავისი პირით აღიარა, აი, ხომ თქვა! — სიტყვაზე ჩაიჭირა ქმარი ანი.

— კარგი, ანი, გეყოფა შენც, მორჩი! — გაბრაზდა ნიკა.

— ვა, მე რა შუაში ვარ?! — გაბოტტა ანი.

— იცით, რა?.. მე ნავედი და სანამ ეგ ბოდიშს არ მომიხდის, ჩემდა თავად აქ მომსვლელის!.. — თაზომ დემონსტრაციულად დატოვა სახლი და კარი გაიჯახუნა.

— ნადი, ნადი! თუ გგონია, გამოგიდგები. გაიჯახუნა ბიჭმა კარი!.. აი, ნახავთ, ერთ-ორ საათში მობრუნდება და თითქოს არც არაფერი მომხდარიყო, — ეტყობოდა, რომ მაინც ენყინა ქმრის წასვლა ანის.

— ანი, ვერ გაგამართლებ... კრინტი არ დაძრა! — დატუქსა ვერიკომ. — რა სიტყვებს ეუბნები, როგორ მიმართავ?! მერე, ტელევიზორზე გამოდიხარ და ლამის, მთელ ქვეყანას ჭკუას გავრიგებ!

— ის სხვაა და ეს — სულ სხვა. ეს სახლია და ის — სამსახური, ასეთი შედარება როგორ შეიძლება?! ხომ მართალი ვარ, არა, ნიკა? — მიუბრუნდა მამს ანი.

— გინდა, რომ ნალდავ, სიმართლე გითხრა? — შეეკითხა ნიკა.

— ვაიძე! — შეუინდა ანი.

— წარმოდგენა არა მაქვს, რა საერთო გაქვს მაგ... — აღარ დაამთავრა ნიკამ.

— გიუთან, ხომ?.. — შეეკითხა ანი. — აი, ეგ მეც არ ვიცი... მე თვითონაც ვეკითხები ხოლმე მაგას ჩემს თავს, — თქვა ანიმ და თავის ოთახში შეიკეტა.

ნიკაც თავის ოთახში შევიდა. სიგარეტს დაუწყო ძებნა. ბოლოს იპოვა და გამოვიდა. სამზარეულოსკენ წავიდა. შეჩერდა. ქალები-ის საუბარს მიუგდო ყური.

— თემიკო რომ მიჰყავდათ, — ჰყვებოდა ელისო, — თებერვალი იყო. მამინ მოუწადა ღმერთსაც ნამდვილი ქარიშხალი, ყინვა, თოვლი... ხომსკაპალა... სამი თვისა მყავდი, ვისთან მიმეყვანე?.. დაჭერები მიდიოდა და ქალაქი ოცდაჩვიდმეტი წელივით დაზაფრული იყო... რა მექნა, ხომ უნდა გამეცილებინა, რაიმე საგზლად ხომ უნდა გამეტანებინა! გაგხვიე ზენრებში, საბნებში, შეგფუთე. ცალ ხელში — შენ, ცალში — ეს ჩანთა და ნავედი ვაგზალზე... ყურის ხომსკაპალას, თვალებს ვერ ვახელ... მეც რა, ლიმუზინი მომპკითხავდა?.. დაიძრა მატარებელი. მივდექო ეს მილეთის ხალხი, მივრბივართ ამ მოყინულ ბაქანზე. დამისხლტა ფეხი, დავეცი. გამოვარდი ხელიდან. ჩემ წინ გდისხარ, ვინვინი ხელს და ვერ გწვდები... ღმერთო, რა გამოვიარე! ღმერ-



თო, როგორ შემეშინდა!.. მეგონა, გადაგვთვალავდნენ და მომიკვდებოდნენ... გადავრჩით. დაგვიწლო ხალხმა... წამომაცენეს. მომამჩიქეს შენი თავი... მტკივა ხელი, მტკივა... ვუძლებ... მუხლის კვერები მაქვს კიდევ, გადატყავებული. შენ — არაფერი, მარტო ჩუმად კრუსუნებდი შენთვის... ის ღამე თერთად გაგავთენე, მომიტყუხა თურმე, ეს ხელი, ქმარს ვინლა ჩიოდა?! რას აღარ მომასწრო ცხოვრებამ, მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, მაინც, საქართველოს გარდა, რა ვქნა, ვერც ამერიკაში და ვერც შუაგულ პარიზში ვერ ვიტყვოვრბოდი.

ნიკა სამზარეულოში შევიდა. თეონას და ვერიკოს თვალზე ცრემლი შენიშნა.

— მამა! — ლამის ტირილდა თეონა.

— ყველაფერი მოვისმინე. თქვენ გმირები ხართ, იცით, ნამდვილი გმირები!.. — ჩაილაპარაკა ნიკამ.

ამ დროს, სამზარეულოს კარში ირაკლი გამოჩნდა.

— ვინ არიან გმირები? რა ხდება, რა გატირებთ? კომუნისტებს მისტირიან, არა, ისევე?! — იკითხა ირაკლიმ.

— ესეც ჩვენთან ათევეს ღამეს? — გაუკვირდა ნიკას.

— არა, დათვრა ნუხელ ვაუბატონი და მანქანის გასაღები დაუშალა ვერიკომ. მთვრალი ჯდება „რულთან“, მამ, ეს ნორმალურია?! — ჩაილაპარაკა ელისომ.

— რაღაცას მოვკარი ყური. შენ იყავი, ელისო, საქართველოს გარდა, ვერსად ვიცხოვრებდიო? — იკითხა ირაკლიმ და ნიკას მიუბრუნდა. — ამით თუ უსმინე... ამით დღესაც კომუნისტური მენტალიტეტი აქვთ, ეე! ესენი გაგაგიჟებენ. ნადი, ნადი, გაასწარი აქედან, ძმაო, თორემ, ამ ჭაობში?.. შენისთანები ჩაძირულან?!

— მამა! — ჯერ ისევ ტირილდა თეონა.

— „მამა, მამა!“ მამაშენი ჩიტია, თეონა: გადაფრინდება?.. გადმოფრინდება... გალიაში ხომ ვერ ჩასვამ! — და ისევ ნიკას მიუბრუნდა. — ნადი, ნადი, გადაფრინდი შენს თბილ ქვეყანაში, ძმაო! თბილ-თბილ ბუდეში არ სჯობია ჯდომა?.. რა გინდა ამ ტიკაში, ამ ჯუნგლებში რა უნდა აკეთო?! ისე ჩაგძირავენ, ველარ ამოყვინთავ, ტყუილია!.. — ირაკლი მაგიდას მიუჯდა. — ორი ლიმონიანი ჩაი ჩემს ანგარიშზე: ერთი — მე, ერთიც — ჩემს ამერიკელ ძმას.

— მორჩა, აღარა ვარ ამერიკელი. ამ ნუთიდან, ისევ თბილისელი ვარ... მე ვრჩები, აღარსად წამსვლელი არა ვარ! — გამო-

აცხადა ნიკამ. — არ გაგლიჯე გული, ელისო?! ეს რა მოჰყვები?! ქმარს გულაგმი აცილებდი, ნაიქცი, სამი თვის ბავშვი გაგივარდა ხელიდან და იმ გამწარებულმა ხალხმა არ გადაგიარა!..

— დღეს?.. დღეს, გადაუვლიდნენ კი არა, გადათვალავდნენ ორივეს!.. — თქვა ირაკლიმ.

— მამა რჩება! მამა რჩება! — წამოხტა გახარებული თეონა. ნიკაც წამოდგა. თეონა მამას კისერზე ჩამოკვიდა, აკოცა. — მამა, მამა! როგორ გამიხარდა, აუ, როგორ გამისწორდა, შენ ხომ არ იცი!.. ბოდიში! მაგრამ დაგლიჯა!

— ვრჩები, გადანყვეტილია და სვალ-იდანვე, რაიმე საქმეს დავინწყებ... ოფისი დამჭირდება, პირველ რიგში. სადმე, სახლთან ახლოს აჯობებს, — თქვა ნიკამ.

— გადანყვეტილია? ჰოო, არა?! დღეს ასე ჭიკჭიკებ, მაგრამ ვნახავ, სვალ რა ხმაზე ამლერდები... — არ იშლიდა თავისას ირაკლი.

— მამა, მე დაგეხმარები ოფისის მოძებნაში, მე ვიცი ერთი ფირმა. ხომ წამომყვები?.. ახლავ შეგვიძლია წავიდეთ. წავიდეთ, რა! — შეეხვეწა თეონა ნიკას.

— კაი, მამინ, გავალ, გამოვიცვლი, — თქვა ნიკამ და ოთახიდან გავიდა.

კარში სოლომონი გამოჩნდა.

— ხალხო, ზამთარი მოგვადგა კარს და სახლი არ გადავხუროთ? — იკითხა მან სრული სერიოზულობით.

— მერე, მასალა მოტანილი გაქვს? — შაყირის ხასიათზე დადგა ირაკლი.

— ჰოდა, მაგას ვკითხულობ სწორედ. რით გადავხუროთ, რით? — შეეკითხა სოლომონი.

— უჟანგავი ფოლადის ფურცლებით გაცოცხლებ? — შეეკითხა ირაკლი.

— მზე რომ დააჭვრს და გაახურებს, სად გინდა, რომ წახვიდე მერე? — იკითხა სოლომონმა.

— მივდივართ, თეონა? — კარში ნიკა გამოჩნდა.

— წახვედით, არა, მამა-შვილი? ჩვენ გეტოვებთ... გზა დამილოცნია, ძმაო! ამ გაუვალ ჯუნგლებში ბედნიერ ფეხზე გვევლოს... — დაადევნა ირაკლი მამა-შვილს.

— მთლად მასეც რომ იყოს, როგორც შენ ლაპარაკობ, შენ აქედან ვერავინ გაგასწრებდა... — მიუბრუნდა ელისო ირაკლის.

ნატო, ნიკას ყოფილი ცოლი, თავის ოფისში კომპიუტერთან იჯდა და მუშაობდა. გვერდზე პატარა მაგიდა ედგა, რომელზეც ბუკლეტები ეყარა. ოთახში დივანი და სავარძელიც იდგა.

გარედან თეონას ხმა მოისმა.

— შებრძანდი, შებრძანდი!

ნიკა შემოვიდა. ნატომ მოიხედა და ნიკას თვალებს შეეფთა.

— ვაი! — უნებურად წამოდგა სკამიდან ნატო.

— უნდა მამატიო! — ბრინჯივით დაიბნა ნიკა. — წარმოდგენა არ მქონდა, სად მოგყავდი... — და თეონას გადახედა, რომელიც ეშმაკურად უყურებდა თვალბუნი.

— შემოდი, შემოდი! ცოტა კი შემეშინდა... აი, აქ დასხედით! ერთი ნუთით... — და ნატო მეორე ოთახში გავიდა.

# ფორთოხლისაბური თავდასხმა

## რუბრიკას უძღვება ექიმი თამარ მამაცაშვილი

დადისართ სპორტულ დარბაზში, ზრუნავთ საკუთარ აღნაგობაზე, არ ეწვეით, არ სვამთ, იკვებებით ჯანსაღი პროდუქტებით... და მაინც, ცუდულიტისაგან არ ხართ დაზღვეულნი.

ვერაფერს იზამთ: ჰორმონი — ესტროგენი, მხოლოდ ნაზი კანითა და ქალურობით როდი გვაჯილდოებს „ფორთოხლისებური კანიც“ (ფეხებსა და თეძოებზე) მისი ნობათია. თუმცა, ამ პროცესის ინტენსივობის მინიმუმამდე დაყვანა ჩვენს ხელთაა. მით უმეტეს, რომ ამ ბრძოლაში მარტო არ ვართ — ჩვენთან ერთად, ცელულიტს მთელი კოსმეტოლოგიური ინდუსტრია უტყვეს. ანტიცელულიტური კოსმეტიკა განსაკუთრებულად აუცილებელია მათთვის, ვისაც სამუშაოს თავისებურების გამო, ხანგრძლივად ჯდომა ან დგომა უწევს: ასეთი სამუშაოს დროს, ყოველ დღით და მსაპის შემდეგ, საჭიროა სპეციალური ფელეს ნასმა. მაგრამ თუ ცელულიტი უკვე შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანს, მხოლოდ კოსმეტიკა საკმარისი არ არის — ასეთ დროს, თქვენთვის შესაფერისი პროცედურა უნდა შეირჩიოს.

**ოზონოთერაპია** კარგია ცელულიტის სანყის სტადიებზე. რამდენიმე ინიექციაც საკმარისია იმისათვის, რომ ცხიმოვანი ბორცვები უკვალოდ გაქრეს. კანის უსწორმასწორობის გაქრობასთან ერთად, ზედაპირული ვენური ქსელები ქრება და ფეხის ვენების მდგომარეობა უმჯობესდება. პროცედურა ექვს თვეში ერთხელ უნდა გაიმეოროს.

**თალასოთერაპია** (ზღვის წყალმცენარეებით მკურნალობა) ყველაზე ძველი მეთოდია დიეტასთან, მასაჟთან და ვარჯიშთან ერთად, ზღვის წყალმცენარეებით მკურნალობა ცელულიტის შემცირებას უწყობს ხელს და ამავე დროს, მთელ ორგანიზმს წმენდს. ვიტამინებითა და იოდით მდიდარი წყალმცენარეები, ანტიცელულიტურ საშუალებებს შორის ლიდერობენ: იოდის ნაკლებობა ხომ ნივთიერებათა ცვლის დარღვევისა და კრძოდ, კანქვეშ ცხიმოვანი ცვლის მოშლის მიზეზია.

**ტალახით მკურნალობა** — ცელუ-

ლიტზე გამარჯვების კიდევ ერთი საიმედო ხერხია. სამკურნალო ტალახი ხანგრძლივად ინარჩუნებს სითბოს, აფართოებს სისხლძარღვებს, რის შედეგადაც უმჯობესდება — სისხლისა და ლიმფის მიმოქცევა. ნივთიერებათა ცვლის პროცესები, ქსოვილთა მომარაგება ჟანგბადითა და საკვები ნივთიერებებით. სამკურნალო ტალახი კანს ვიტამინებით, მინერალებითა და ორგანული ნივთიერებებით ამდიდრებს და ამავე დროს, ტოქსინებს შეიწოვს.

**კრიოთერაპია ანუ კრიომასაჟი** — ხანმოკლე გადაცივებაა საკმაოდ დაბალტემპერატურამდე. სიცვიე ასტიმულირებს სისხლის მიმოქცევას: ყინულის შოკური ზემოქმედებისას, მუშაობას სარეზერვო კაპილარები იწყებს. გადაცივება შეიძლება ზოგადი ან ადგილობრივი იყოს. ამისთვის, ცივ აბაზანებს, კომპრესებს, ყინულის მასაჟს იყენებენ.

**ვაკუუმური მასაჟი** საშუალებას გვაძლევს თავი დავაღწიოთ რამდენიმე ზედმეტ კილოგრამს და თან, კანის რელიეფი გადავასწოროთ. გარეგანი წნევის ცვალებადობის გამო, სისხლის მიმოქცევა უმჯობესდება, ცვლის პროცესები ძლიერდება, საქმეში ერთვის კუნთები და სარეზერვო სისხლძარღვები, ცხიმოვანი კავსულები კი, იშლება და კანი სწორდება.

**პრესოთერაპია** — მასაჟი შეკუმშული ჰაერით, აუმჯობესებს ლიმფისა და სისხლის მიმოქცევას. ეს მეთოდი რეკომენდებულია ვენების ვარიკოზული გაგანიერების მქონე ქალებისათვის.

**ელექტრომიოსტიმულაციას** ზარმაცთა პროცედურას უწოდებენ. დენის მეშვეობით, შეგვიძლია ნებისმიერი ჯგუფის კუნთები ვაიძულოთ, რომ იმუშაოს. ამგვარად, მიიღწევა თეძოებისა და დუნდულების ფორმის გაუმჯობესება, მუცლის გადაჭიმვა. ცელულიტური ბორცვებიც ქრება, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ რაც უფრო სქელია ცხიმის ფენა, მით სუსტია იმპულსი, ამიტომ მსუქანი ქალები ჯერ უნდა გახდნენ...

**ელექტროლიპოლიზი** — ცხიმოვანი უჯრედების განადგურებაა ელექტრომაგნიტური ველის ზემოქმედებით. სხეულზე ადებენ ელექტროდებს, რომლებშიც ცვლადი დენი გაივლის. პროცედურა ერთ საათს გასტანს. მკურნალობის კურსი 2-3 თვეა.


## „აღალ დონეზე“

ცელულიტი მხოლოდ ჩვეულებრივ მოკვდავთა ხვედრი როდია.

● **ჯენიფერ ლოპესმა** ყველა მეთოდი სცადა ლიპოსაქციის გარდა: მსახიობი არ აპირებს თავის საქვეყნოდ ცნობილი სხეულის ნაწილების დამალვას და აფიშებსა და ჟურნალების გარეკანებზე დეფექტიანი კანით ჩნდება.

● **სინდი კროუფორდი** ბარძაყების და თეძოების კანის ცელულიტს ყავის ნალექით დაზღვევის გზით ებრძვის.

● **მადონა კი**, „ფორთოხლის კანის“ გაქრობას, მასაჟის აპარატის გამოყენებით ცდილობს.



## ცხიმი ორთქლდება!

მასაჟუსეტის შტაბის ცენტრალური კლინიკის მეცნიერებმა შეიმუშავეს ლაზერული აპარატი, რომელიც საშუალებას იძლევა, თავი დავაღწიოთ ცელულიტს მტანჯველი დიეტებისა და ოპერაციების გარეშე. ახალი ლაზერის თავისებურება ისაა, რომ ცხიმოვან ქსოვილს კანის დაზიანების გარეშე გავშორებს. ცხიმი ორთქლდება და ფორებიდან გამოდის. ექიმები ვარაუდობენ, რომ ეს ლაზერი სახის კანზე ჩირქოვანი გამონაყარის სამკურნალოდაც გამოადგება.

## სხვადასხვა

### სიცილის მოლოდინში

სიცილის მოლოდინიც კი სასარგებლოა ჯანმრთელობისათვის — მიიჩნევენ ამერიკელი მეცნიერები, რომლებმაც უჩვეულო გამოკვლევა ჩაატარეს: კვლევის ერთი ჯგუფის მონაწილეები, ერთი საათის განმავლობაში ელოდნენ კინოკომედიის ნახვას, მეორე ჯგუფის კი — სამეცნიერო წიგნის წაკითხვას. ამ დროს, მათ სისხლის ანალიზები აუღეს და აღმოაჩინეს, რომ პირველი ჯგუფის წევრთა სისხლში 27%-ით მეტი იყო ენდორფინების შემცველობა და 87%-ით მეტი — ზრდის ჰორმონის დონე: ორივე ეს ნივთიერება ორგანიზმზე დადებითად მოქმედებს.


### ხაუარი – სიმსივნის მიჯაჭი

მუდმივად ყოფნა თუნდაც ზომიერი ხმაურის პირობებში, ყურის სიმსივნის გაჩენის რისკს აძლიერებს. მკვლევარებმა გამოჰკითხეს ყურის კთილთვისებიანი სიმსივნის — აკუსტიკური ნევრომის მქონე 146 ადამიანი. მათ აინტერესებდათ, რამდენად ხმაურიან გარემოში უხდებოდათ დაავადებულებს წარსულში ყოფნა. ასევე, გამოიკითხა 564 ჯანმრთელი ადამიანი. გამოკითხვის შედეგები ერთმანეთს შეადარეს. თუ ხმაური 80 დეციბელზე მაღალია, (სწორედ ასეთია ქუჩის მოძრაობის ხმაური) მისი რეგულარული ზემოქმედებისას, ყურის სიმსივნის განვითარების საშიშროება 1,5-ჯერ მატულობს, ნაკლებად ხმაურიან გარემოში ყოფნისას, იმავე პათოლოგიის განვითარების რისკთან შედარებით.

ინფორმაციულ-შეჯიბრებითი კოლაჟი

ეორი ღვალის უბის წიგნაკრები:

1. კვერი პატარა ჩაქუჩია.
2. „გულქვა“ და „უგლიმი“ სინონიმებია.
3. გრამის ერთ მემილიონედს გამაჰქვია.
4. კანძი ერთი ცხვრის ნაპარსი მატყლია.
5. გუნდებად გამხმარ ხაჭოს კალტი ჰქვია.
6. ზინდანი ოქრომჭედლის პატარა გრდემლია.
7. ლანგუსტს, ათფეხიან ზღვის კიბოს მარწუხები არა აქვს.
8. მსხვილი წნელის ორმხრივ წნულ ღობეს, ტყრუშულს ეძახიან.
9. 1979 წლის 18 თებერვალს, სპარის უდაბნოში თოვლი მოვიდა.
10. მევენძალა ტყის მცენარეა. რაჭალეჩხუმში მას მსლად იყენებენ.
11. მეცნიერთა გათვლით, დედამიწას 12 მილიარდი ადამიანის გამოკვება შეუძლია.
12. „იგი ადამიანი არ არის, იგი დაავადებაა“, — ამბობდა ნიცეში ვაგნერის შესახებ.



13. დედამიწაზე მცხოვრებ ცოცხალ არსებებათა 70 პროცენტს, ბაქტერიები შეადგენენ.

14. „თოხუმი“ სპარსული წარმოშობის სიტყვაა და შთამომავლობას, ჯიშს, ჯილაგს ნიშნავს.
15. „ქალი თუ პიროვნულად საინტერესოა, იგი როცა უნდა, მაშინ გახდება ლამაზი“, — ამბობს ბუბა კიკაბიძე.
16. საკვების უკმარისობის დროს, ლენტისებურ ჭიას შეუძლია, საკუთარი სხეულის 95 პროცენტს შეჭამოს და მაინც ცოცხალი გადარჩეს.
17. რაიმონდ პაულსს, ალა პუგაჩოვასათვის 10 სიმღერა აქვს დაწერილი. რუსული ესტრადის რკინის ლედი, კომპოზიტორს მოფერებით რაიმოშას ეძახის.
18. „ზა უდაჩუ ვ დეღე, ზა ზდაროვიე ვ ტეღე, ზა ლიუბოვ ვ პასტელე, ი ვსიო ეტა ბეზ კანიტელი“, — ეს რუსების ერთ-ერთი საყვარელი სადღეგრძელოა.
19. ავსტრალიაში ჩასული ევროპელები აბორიგენებს ეკითხებოდნენ — თქვენს მხარეში მოზინადრე მოხტუნავე ცხოველს რა ჰქვიაო? აბორიგენები პასუხად თავებს იქნევდნენ და ერთ სიტყვას იმეორებდნენ: „კენგურუ!“ — რაც მათ ენაზე „ვერ გავიგეს“ ნიშნავს.
20. უცხოეთში მყოფ საბჭოთა ფეხბურთელებს ძალზე მცირე რაოდენობის თანხას უხურდავებდნენ. ერთხელ, მოსკოვის „ტორპედოს“ ფეხბურთელმა ვალერი ვორონინმა, ლონდონში ყოფნისას, თანაგუნდელები საკმაოდ ძვირად

ეს ოჯახი სამოცდაათიანი წლებიდან, ყველა თბილისელისათვის იყო ცნობილი. დედა — თინა ჟორჟოლიანი, ცნობილი ქართველი მსახიობის, ალექსანდრე ჟორჟოლიანის ძმისშვილი, პედაგოგი. მამა — ბიძინა ფერაძე, პედაგოგი, განათლების დამსახურებული მუშაკი, ყველასათვის კაცობის და კაცთმოყვარეობის მაგალითი. იგი გახლავთ ავტორი ყველა დროის პოპულარული სიმღერისა — „ყვავილების ქვეყანა“. უფროსი ვაჟი — ილია ფერაძე, ინჟინერი, სპორტზე და მეგობრებზე შეყვარებული კაცი. უმცროსი ვაჟი — გია ფერაძე, რუსთაველის თეატრის მსახიობი, კინოში 40-მდე როლი ითამაშა.



„მე, ბუბია-ბაბუა, დედა, მამა და გია ფერაძე“ - წიგნი „არასწიოზუდ“ იანუზი

ნანული გობიკიშვილი

გია ფერაძის ცხოვრება — შემოქმედებითი სიხარულითა და ოჯახური ბედნიერებით სავსე, ერთმა ტრაგიკულმა დღემ საბედისწეროდ შეცვალა. იგი საპყრობილეში აღმოჩნდა. სულიერ შევებას მხოლოდ ლექსების წერისას გრძნობდა...

მისი გარდაცვალების შემდეგ, 1998 წელს, გამოვიდა მსახიობის ლექსების წიგნი — „სევდის კრებული“ ამ ცოტა ხნის წინ კი, ილია ფერაძემ გამოსცა წიგნი — „მე, ბუბია-ბაბუა, დედა, მამა და გია ფერაძე“, სადაც მოთხრობილია წინაპრებზე, გიაზე (მისი ლექსები და ხუმრობებია თავმოყრილი) და იმ სიძნელეებზე, რომლებიც საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ციხეში ყოფნისას, გიას მეგობრებსა და ოჯახის წევრებს თავს გადახდათ.

— ბატონო ილია, თქვენი მსგავსება ძმასთან საკმაოდ თვალში საცემია. ამით ხომ არ გისარგებლობო ოდესმე?

— გია ლამაზი და სიმპათიური კაცი იყო, მე სერიოზული და დაბღვერილი ვარ... ერთხელ, „ახალი ფილმების“ გარეკანზე გიას ფოტო დაბეჭდეს. ყველა ეუბნებოდა: ფოტოზე გამოსახული ადამიანი ილიკოს უფრო ჰგავს, ვიდრე შენო. გიაც პასუხობდა: მაინცდამაინც საიდუმლო უნდა გამაყიდვინოთ? მე გადაღებაზე ვიყავი, არ მეცალა და ილიკო გავგზავნე. რა მოხდა, ეგვე გამოჩნდეს ხალხშიო.

— თქვენი მისამართით ალბათ, სწორად ისმოდა ფრაზა — გიას ძმა...

— გია მოსკოვში მიდიოდა და ტექნიკურ წრეში დახმარება სჭირდებოდა. ჩემს იქაურ მეგობარს დაფურეკე და ვთხოვე: ჩემი ძმა შენთან მოვა და დაეხმარე-მეთქი. გიას იმ კაცის მისამართი მივეცი — მიხვალ და ეტყვი, რომ ილიკოს ძმა ხარ-მეთქი. მოსკოვიდან რომ ჩამოვიდა, ვკითხე: ის კაცი დაგეხმარა-მეთქი? გიამ მიპასუხა — როგორ არა, დამეხმარა, მაგრამ ილიკოს ძმა ვარ-მეთქი, რომ ვთქვი, ასე მიპასუხა: ეგ რომელია, არტისტი გია ფერაძის ძმაო? — ერთხელაც კი ვერ აიტანა ჩემი ძმობა.

— იუმორი ორივეს მშობლებს იგან გამოგყვათ...



ილია ფერაძე „გია ლამაზი და სიმპათიური კაცი იყო, მე სერიოზული და დაბღვერილი ვარ...“

— დედაჩემის მამა — სერგო, სანდრო ჟორჯოლიანის ძმა იყო. ყველა ამბობდა, სანდრო სცენარზე მსახიობი, სერგო — ცხოვრებაში. დედა სამედ-ციწო ინსტიტუტში მუშაობდა. მხოლოდ მასთან იცავდნენ დისერტაციებს სიცილ-სიცილში. სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ხუმრობდა. მისი ბოლო ხუმრობა ასეთი იყო: თინა ლოგინად ჩავარდა და თანამშრომლები სანახავად მოვიდნენ. ქუჩიდან მანქანის სიგნალის ხმა გაისმა — ერთხელ, მეორედ, მესამედ, მეოთხედ და უეცრად, თინა სუსტი ხმით ამბობს — მოვდივარო!

**— ბატონო ილია, იახტსმენი იყავით და ჩემპიონი ხომ არ გახდებოდით?**

— პიერ კუბერტენის პრინციპით ვხელმძღვანელობდი — „მთავარია, მონაწილეობა და არა გამარჯვება“. დღესაც სპორტის ამ სახეობას მივდექ. თბილისის ზღვაზე იახტა მაქვს და იქ დავდივარ.

**— გასა მგობრებთან თქვენც მგობრობდით, ვის გაიხსენებდით?**

— ზეინაბ ბოცვაძე ჩვენი ოჯახის ნევრივით იყო. ჩემი მეუღლე და შვილი გიჟდებოდნენ მასზე. მის დაბადების



ვხედავ, კატერი მოდის. გაა ფეხზე დგას, „ტელნიამკა“ ჩაუცვამს, ერთი თვალი მეკობრესავით აუხვევია და ყვირის — „აბორდაჟე“

დღეს, 13 აგვისტოს, თითქმის მთელი თბილისი მასთან იკრიბებოდა. ზეიკო იტყოდა ხოლმე — ამ დროს, ქალაქში კაციშვილი არ არის და ჩემს დაბადების დღეზე ეტყობა, სპეციალურად ჩამოდიანო. მეგობრებს ძალიან უყვარდათ. ერთხელ, 12 აგვისტოს, ზეიკომ დამირეკა: ბიძინიჩ (ასე მეძახდა), დღეს იმდენმა ადამიანმა დამირეკა, რომ ხვალ ტევა არ იქნება სახლში, იქნება რამე მიშველოო. — არ ინერვიულო-მეთქი და მეორე დღეს, დილით 9-ის ნახევარზე მივაკითხე და ვუთხარი — ახლა გაემზადე, ნანა კეთილადეს და თემურ კლდიაშვილს გავუაროთ, თბილისის ზღვაზე წავიდეთ და იახტაზე მოვილიხნოთ-მეთქი. თემური სახლში არ დაგვხვდა. მე, ზეიკო და ნანა წავედით, შუა ზღვაში

გავედით. პატარა ყურესავით ადგილზე გაჩერდით, სადაც ვერავინ გვიმოვიდა. ყველაფერი ნაყიდი მაქვს, შამპანურები ჩაცივებულია. სუფრა გავშალეთ და ვჭუჭყუვებთ, თან ვბანაობთ. მოკლედ, განცხრომაში ვართ. ამ დროს, თურმე გაა მისულა ზეიკოსთან. ლატიველ ქალს, სკაიას, რომელიც ზეიკოს მდგმური იყო, უთქვამს — დილით შენმა ძმამ მოაკითხა და სადღაც წავიდნენო. გაა მიხვდა, სადაც ვიქნებოდით, მეგობრები შეყარა, არიქა, ზეიკო მეგობრებმა მოგვტაცეს, უნდა ვუშველოთო. ყველა დაიბნა, ვინ მეგობრები, საიდანო? ორი მანქანით ამოვიდნენ ზღვაზე. იაქურებმა კი, თქვეს, — ილიკოს ძმა მოვიდაო, — კატერი მისცეს და უთხრეს, სადაც ვიყავით. თბილისის ზღვა იყო ერთადერთი ადგილი, სადაც გააზე ამბობდნენ — ილიკოს ძმააო. სიმღერა და მხიარულება ხმაურმა შეგვანყვევტინა. კაიუტაში ვისხედით. ზევით ამოვვდი და ვხედავ, კატერი მოდის. გაა ფეხზე დგას, „ტელნიამკა“ ჩაუცვამს, ერთი თვალი მეკობრესავით აუხვევია და ყვირის — „აბორდაჟე“. ასე დაგვეცნენ თავზე. მერე, შემთხვევით, ჩემი მეგობრებიც მოვიდნენ და დაახლოებით 25 კაცი შევიკრიბეთ, ჩემი იახტა კინალამ ჩაიძირა. ზეიკო მეუბნებოდა: არ მერჩინა, სახლში დავრჩენილიყავი? ნაცნობებში მაინც ვიქნებოდითო.

**— იქნებ, გასა რომელიმე ოინი გაიხსენოთ...**

— თეატრალური ინსტიტუტის წინ, გაა მეგობრებთან ერთად დგას. ბიჭებს ლუდის დაღვევა უნდათ, ფული კი — არა აქვთ. გაამ იცის, რომ ელისო გუდიაშვილს (მისი ჯგუფელია) ფული აქვს. — ელისო, 3 მანეთი მასესხე, რა! — სთხოვა გაამ. — გაა, 5 მანეთი მაქვს, მაგრამ დედაჩემმა რაღაც დამაბარა, უნდა ვიყიდო და ვერ მოგცემო, — უპასუხა ელისომ. გაამ მას მკლავზე ხელი მოჰკიდა და ხმამაღლა დაიწყო ყვირილი: — შე ბოზო, რა გინდა, რომ დამდე! ნადი, ბავშვს მიხედო! აი, ამხანაგებო, უყურეთ — ბავშვი დაუგდია და მე დამდეგსო. მოკლედ, სკანდალი აუტეხა. ელისო დაიბნა — რუსთაველის გამზირია, ბევრი ხალხია. ზოგიერთი გაჩერდა და მას მიაჩერდა. რა ქნას? მან ჩანთიდან ხუთ-მანეთიანი ამოიღო და გასა უთხრა, — აჰა, ჯანდაბას, შენი თავიო! — და მი-აჩეჩა.

P.S. გაა ფერაძის ერთ-ერთი ლექსი — „დასასრული“ — ასე მთავრდება:

*„მორჩა ლექსი, თვითონაც  
სანთელივით მიეჭრები...  
სული თითქოს დაჭრილი,  
მოფარფატე გეღია...  
ისევ შენკენ მიხმობენ  
ეს სნეული ფიქრები,  
კომედია დასრულდა?...  
დასრულდა ტრაგედია!“*

სამწუხაროდ, მისი კომედიაც დასრულდა და ტრაგედიაც. გაა ფერაძის გარდაცვალებიდან 10 წელი გასულა.

**ინფორმაციულ-შეხვედებითი კოლაჟი**

**ეონა ღვალის უბის წიგნაკიდან:**

ღირებულ ბარში დაპატიჟა, კარგად გაუმასპინძლდა და წამოსვლისას ხარჯი ბარმენს, საფეხბურთო კლუბ „გლაზგო რენჯერსის“ ანგარიშზე ჩაანერინა.

21. კლინტი ისტ-ვუდი, რომელსაც თითქმის ყველა ფილმში სიგარა ან სიგარეტი აქვს გაჩრილი პირში, ცხოვრებაში არასდროს ეწეოდა. რამდენიმე დუბლის გადაღების შემდეგ, მას თამბაქოსგან გული ერეოდა და რეჟისორს გამუდმებით ეწუწუნებოდა.



22. სიცოცხლის ბოლო წლებში ივანე ჯავახიშვილი ძალზე ავად იყო, რაც მის კალიგრაფიასაც დაეტყო. დიდი მეცნიერის ხელნაწერებს სტამბა აღარ იღებდა და მის მეუღლეს უწევდა მათი გადათეთრება.

23. ზოგიერთი ისტორიკოსის მტკიცებით, ეკატერინე მეორის მარჯვენა ხელმა, ალექსანდრ ბეზუბროდკამ იმპერატორიქას სიკვდილის შემდეგ, მისი ანდერძი გადაამალა, რომლის მიხედვითაც, ეკატერინეს შვილიშვილი უნდა გამეფებულიყო და ეკატერინეს ვაჟს, პავლეს ტახტზე ასვლაში დაეხმარა. დღევანდელ დღეს ძნელია რაიმის თქმა, მაგრამ ფაქტი ერთია: ალექსანდრ ბეზუბროდკა ერთადერთი იყო ეკატერინეს გარემოცვიდან, რომელიც პავლე მეორეს თავიდან არ მოუშორებია და უამრავი პატივიც მიაგო ამ ადამიანს.

24. იტალიაში მომუშავე, ბრიტანეთის ელჩის, 61 წლის ჰენრი ჰამილტონის ახალგაზრდა ცოლი — ემა ჰამილტონი, ჰორაციო ნელსონის საყვარელი გახლდათ. ეს ქალი სახელოვან ადამირალს აღმერთებდა და მისგან შვილიც კი გააჩინა. თავდაპირველად, ნელსონი ცდილობდა, ეს ამბავი მიეჩქმალა, მაგრამ როდესაც ემა თავის ქალიშვილს ჰორაციო დარქვა, ეჭვიც აღარავის დარჩენია, თუ ვისი შვილი იყო იგი.

25. მოსკოვში 1970 წელს, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის მუშაკთა საკავშირო თათბირი ჩატარდა. ყველაფერი ჩვეულ რიტმში მიმდინარეობდა, სანამ რამდენიმე მომხსენებლის გამოსვლის შემდეგ, თავმჯდომარემ რადიომაუწყებლობის ერთ-ერთ მუშაკს არ გადასცა სიტყვა. ამ ადამიანის თანამდებობის ხსენებაზე, დარბაზში ისეთი ხარხარი ატყდა, რომ მომხსენებელმა ერთი სიტყვის თქმაც კი ვერ მოახერხა. ეს კაცი სომხური რადიოს თავმჯდომარე გახლდათ.

# პეტრე და პავლე — მოციქულთა თავნი

12 ივლისს მართლმადიდებელი ეკლესია პეტრეპავლობის დღესასწაულს აღნიშნავს, რომელიც მოციქულთა თავთა — პეტრეს და პავლეს მოსახსენიებლად დაწესებული. მართალია, ისინი სხვადასხვა დღეს ეწამნენ, მაგრამ უფლის დანარჩენ მონაფეთაგან გამორჩეული ღვანლის გამო, ქრისტეს ეკლესიამ მოციქულთა თავნი უწოდა და მათი ხსენება ერთსა და იმავე დღეს დააწესა...


## პავლე მოციქული

წმინდა მოციქული პავლე, მანამდე, სავლედ წოდებული, ისრაელიანი იყო — ბენიამინის ტომიდან. იგი კილიკიის ქალაქ ტარსოსში დაიბადა და რომის მოქალაქედ მიიჩნეოდა. სავლედ ფარისევლთა სექტის წევრი გახლდათ და სასტიკად სძულდა იესო ქრისტეს და მისი მიმდევრები (პავლე უფლის მოციქული გახდა მისი ჯვარცმისა და მკვდრეთით აღდგომის შემდგომ).

მაცხოვრის მკვდრეთით აღდგომისა და ზეცად ამაღლების შემდეგ, იერუსალიმში ქრისტეს მიმდევართა სასტიკი დევნა დაიწყო. ამის გამო, ქრისტიანები პალესტინის სხვადასხვა ადგილას გაიხიზნნენ. ზოგიერთმა მათგანმა დამასკოს შეაფარა თავი, რადგან იქ შედარებით დაცულად გრძნობდა თავს. იმხანად იერუსალიმში მყოფმა სავლემ იუდეველთა მღვდელმთავარს ნერილობით სთხოვა ნებართვა, რათა დამასკოში წასულიყო, იქ მყოფი ქრისტეს აღმსარებლები დაეტყველებინა და შებორკილები ჩაეყვანა იერუსალიმში. „მოციქულთა საქმის“ თანახმად, როდესაც სავლედ დამასკოს მიუახლოვდა, ღამით ზეციდან გადმოსული ნათელი იხილა.

ზეციური ხილვით გაოგნებული სავლედ პირველად დაეშო. მოულოდნელად, ხმა მოესმა: „საულ, საულ. რად მდევნი მე?“ „ვინ ხარ შენ, უფალო?“ — იკითხა გაოცებულმა: „მე ვარ იესო, რომელსაც შენ სდევნი“, — მოესმა პასუხად. ეს ხმა მის მხლებლებსაც ესმოდათ, მაგრამ სავლეს გარდა, ხილვას ვერავინ ხედავდა. მაცხოვარმა მას დამასკოში შესვლა უბრძანა. სავლედ წამოიდა, მაგრამ თავისიწინი წართმეოდა და ველარაფერს ხედავდა. იგი დამასკოში მხლებლებმა შეიყვანეს, სადაც სამი დღე და ღამე მშვიდმწყურვალმა დაყო. შემდეგ მასთან უფლისმცემი ჩვენებით წარგზავნილი, ქრისტეს მოციქულთა მოწაფე — ანანია მივიდა და უთხრა: „ძმავ საულ, უფალმა გამომგზავნა მე, იესომ, რომელიც გეჩვენა გზაზე, სადაც მიდიხარ, რომ თვალნი აგვიხილოს და აღივსო სულიწმინდით“. მართლაც, ხელი შეახოთუ არა ანანია, მხედველობა დაუბრუნდა. სავლემ საბოლოოდ ირწმუნა უფალი იესო ქრისტე და ქრისტიანული წესით მოინათლა. ეს მოხდა 37 წელს.

ნათლისღების შემდეგ, იგი არაბეთში გაემგზავრა. საეკლესიო გადმოცემის თანახმად, არაბეთში მყოფ პავლეს თავად უფალი იესო ქრისტე ეცხადებოდა, სამი წლის მანძილზე, ჭეშმარიტ სჯულს ასწავლიდა და ქრისტიანობის საქადაგებლად ამზადებდა. თავად უფლისგან განსწავლული წმინდა პავლე არაბეთიდან იერუსალიმში ჩავიდა, პეტრე, იაკობ და იოანე მოციქულებთან ერთად. შემდეგ, ბარნაბა მოციქულთან ერთად ქალაქ ტარსოსში წავიდა, საეკლესიო საქმეების მოსაწყობად და მოსაგვარებლად.



ბა“ იქადაგა: ანტიოქიაში, რომში, მცირე აზიის, საბერძნეთის, ესპანეთისა და ბრიტანეთის ქალაქებში, სადაც ეკლესიები დააფუძნა. წმინდა პეტრე მრავალ სასწაულს ახდენდა, სწულნი მისი სარტყლის შეხებით, მისი ჩრდილის დაცემითაც კი იკურნებოდნენ...

წმინდა პეტრე მოციქული, ქრისტეს სჯულისთვის ეწამა რომის იმპერატორის — ნერონის ზეობისას: ქრისტეს მიმდევრებმა წინასწარ შეიტყვეს წმინდა პეტრეს მომავალი წამების შესახებ და გააფრთხილეს, დაეტოვებინა რომი. მაგრამ როდესაც მოციქული ქალაქიდან გადიოდა, უფალი იესო ქრისტე იხილა: „აქ ვიდრე ხუალ, უფალო?“ — მიმართა მან. „შევალ პრომედ ჯუარ-ცუმად“, — უპასუხა მაცხოვარმა და ვიდრე გაოცებული პეტრე მოციქული ფიქრობდა — ნუთუ კვლავ ვვარს უნდა ეცვას უფალი ჩემიო? — იესო ქრისტე ზეცად ამაღლდა. ამ ჩვენებით, წმინდა პეტრეს ენიშნა, რომ მისი მინიერი ყოფიდან განსვლის ჟამი მოწვეულიყო და უკანვე მიბრუნდა...

პეტრე მოციქულს ჯვარზე გაკვრა გადაუწყვიტეს. როდესაც მას ჯვარზე აკრავდნენ, ჯალათებს სთხოვა, თავდალმა მიემსჭვალათ: მე ღირსი არა ვარ, ისე გამკრათ ჯვარზე, როგორც ჩვენი უფალი და მაცხოვარი. მე თავვევ გამკარითო. მას თხოვნა შეუსრულეს — „თავდამოქცევი“ ჯვარცმული მოციქული სულის აღმოსდომამდე ქადაგებდა ქრისტეს სჯულს...

პეტრე მოციქულმა დაგვიტოვა ორი ეპისტოლე, რომელიც — „ახალი აღთქმის“ საღმრთო ნერილშია შეტანილი. პეტრეს მოწაფის — მარკოზის „სახარება“ მის მიერაა ნაკურთხი და მოწონებული.

## მორენა მერკვილაკე

### პეტრე მოციქული

წმინდა პეტრე (სვიმონ-პეტრედ წოდებული) მოციქული უბრალო გალილეელი მეთევზე იყო — ანდრია პირველწოდებულის ძმა. სწორედ ანდრიამ ახარა მას განკაცებული უფლის გამოჩენა, მიიყვანა ქრისტესთან და მას შემდეგ, აღარც განშორებია.

ერთხელ, მაცხოვარმა თავის მოწაფეებს პკითხა: „თქვენ ვინ გგონიე მე ყოფად?“ „შენ ხარ ქრისტე, ძე ღმრთისა ცხოველისაი“, — მიუგო პეტრემ. სწორედ ამ აღიარებისთვის მიიღო მან უფლისგან პასუხად: „ნეტარ ხარ შენ სვიმონ, ბარ იონა, რამეთუ ხორცთა და სისხლთა არა გამოგიცხადეს, არამედ მამამან ჩემმან ზეცათამან; და მე გეტყვი შენ, რამეთუ შენ ხარ კლდე და ამას კლდეთა ზედა აღვაშენო ეკლესიაი ჩემი და ბქენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან მას“ (მათე 16, 15-16). წმინდა მამათა განმარტებით, „ამას კლდესა ზედა“ — „შენს რწმენაზე, სარწმუნოებაზე აღვაშენოს“ ნიშნავს. ე.ი. აქ ლაპარაკია პეტრე მოციქულის სარწმუნოებაზე, რწმენაზე ძე ღმრთისა მიმართ. ამდენად, იესო ქრისტე კლდეს უწოდებს არა პეტრე მოციქულს, არამედ მის სარწმუნოებას (თავად პეტრე მოციქული მტკიცე და შეურყეველი სარწმუნოების კლდედ იწოდება).

მიუხედავად მტკიცე და შეურყეველი რწმენისა, პეტრე მოციქული ადამიანურ სისუსტეებსაც ავლენდა: სწორედ ასეთი სისუსტის გამოვლინება იყო პეტრესგან მაცხოვრის სამგზის უარყოფა, რომლის შესახებაც თავად უფალმა აუწყა საიდუმლო სერობის დროს: „ამენ გეტყვი შენ, რამეთუ ამას ღამესა, ვიდრე ქათმისა ხმოზამდე, სამგზის უარ-მყო მე“ (მათე 26, 31-34). ...როდესაც პეტრემ მესამეჯერ უარყო მაცხოვარი, მამალმა იყვილა. მას მოძღვრის სიტყვები გაახსენდა და უდიდესმა სინანულმა შეიპყრო: „განვიდა გარე და ტიროდა მწარედ“, — გვუწყებს „სახარება“. სინანული პეტრე მოციქულს მთელი სიცოცხლის მანძილზე განელებია, ამიტომაც მიუტევა უფალმა სწავლმოკლეობა — მკვდრეთით აღდგომის შემდგომ, თომასა და ნათანელთან ერთად ტიბერიის ზღვაზე გასულ პეტრეს გამოეცხადა და მიმართა: „სვიმონ იონისო, გიყუარ მეა უფროსი ამათსა?“ „ჰე, უფალო, შენ უწყი, რამეთუ მიყუარ შენ“, — მიუგო პეტრემ. „დამწყე ცხოვარნი ჩემნი“, — უთხრა მაცხოვარმა. იესო ქრისტემ სამჯერ გაუმეორა შეკითხვა და პეტრე მოციქულმაც სამჯერ აღიარა იგი. უფალმა ამით მიანიშნა, რომ მიუტევა და აპატია სულმოკლეობა.

ამის შემდეგ პეტრე მოციქული დაუცხრომლად ქადაგებდა ღმრთის სიტყვას, მან „სახარე-



# წმინდანის გაგნება უნდა იყოს მისი მონასტრის, სადაც იღუმენს არ იჩივებენ...

ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი მრავალი ხატი არსებობს. ერთ-ერთი მათგანი — „ტრიხერუსა“ ანუ „სამხელიანი“, ათონის წმინდა მთის ხილენდარის მონასტერშია დაბრძანებული. „ტრიხერუსად“ წოდებული ღვთისმშობლის სასწაულმოქმედ ხატს წმინდა ეკლესია II ივლისის იხსენიებს...

## მორენა მერკვილაკე

ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „ტრიხერუსად“ ცნობილი ხატის ისტორია წმინდა იოანე დამასკელის სახელთანაა დაკავშირებული, რომელიც 680 წელს, სირიის დედაქალაქ დამასკოში დაიბადა მართლმორწმუნე ქრისტიანთა ოჯახში. იოანემ საუცხოო საერო განათლება მიიღო და დამასკოს ხალიფის პირველ მრჩეველად იქნა დადგენილი, მალე ქალაქის თავის თანამდებობაც მიიღო. იმ პერიოდში, ბიზანტიის იმპერატორმა ლეონ III ისავრიელმა (717-741) გამოაცხადა ვერდიქტი (საგანგებო ბრძანება), რომლის თანახმადაც, წმინდა ხატთა თაყვანისცემა იკრძალებოდა. ხატმებრძოლთა წინააღმდეგ ხმა აღიმართა იოანე დამასკელმა. მან სამი ტრაქტატი დაწერა მართლმადიდებლობის სინამდის — წმინდა ხატების დასაცავად, რამაც სასტიკად განარისხა ბიზანტიის იმპერატორი ლეონი, მაგრამ რადგან იოანე ბიზანტიის მოქალაქე არ იყო, მისი დასჯის უფლება არ ჰქონდა, ამიტომ ცილისწამებას მიმართა: დახლოვებული კალიგრაფებს იოანე დამასკელის ხელწერით ეპისტოლე დააწერინა, თითქოს იგი ბიზანტიის იმპერატორს, სირიის დედაქალაქის დაპყრობაში დახმარებას ჰპირდებოდა. ეპისტოლეს თან „მეგობრული“ წერილი დაურთო და დამასკოს ხალიფას გაუგზავნა. გააფრთხილდა ხალიფამ იოანეს თავის მართლებს „საშუალებაც არ მისცა — ერთგული მსახური თანამდებობიდან გადააყენა და მისი დასჯა — ხელის მოკვეთა ბრძანა. იოანე ქალაქის ბაზრის მოედანზე გაიყვანეს და ხელი მოჰკვეთეს.

სალამო ხანს იოანე დამასკელმა ხალიფასთან მეგობრები წარგზავნა და საკუთარი მოკვეთილი ხელი სთხოვა დასამარხავად. ხალიფამ მართლაც გაუგზავნა მარჯვენა. შუალამისას, იოანე სამლოცველო ოთახში ჩაიკეტა, ღვთისმშობლის ხატის წინ მუხლი მოიყარა და გულმხურვალედ შესთხოვა ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს, მისთვის ხელი გაემრთელებინა, რათა კვლავ შესძლებოდა უფლის სადიდებელი საგალობლების ზექმნა. შემდეგ, ყოვლადწმინდა დედოფლის ხატის წინ ჩაეძინა. სიზმარში ღვთისმშობელი გამოეცხადა და მიმართა: „აი გამრთელებული შენი ხელი, მეტად ნულარ სწუხარ, იზრუნე იმის შესრულებაზე, რაც ლოცვისას აღმიქვი“. გამოღვიძებულ იოანეს მოკვეთილი ხელის მტევანი მართლაც, მაჯასთან ჰქონდა მიერთებული. მადლიერებითა და უსაზღვრო სიხარულით აღვსილმა იოანემ ვერცხლის ხელი გააკეთებინა და ღვთისმშობლის ხატზე მიამაგრებინა. ამის შემდეგ, ხატს „ტრიხერუსა“ (სამხელიანი) ეწოდა.

ამ უდიდესი სასწაულის ხილვამ დამასკოს ხალიფა, იოანეს უდანაშაულობაში

დაარწმუნა, ამიტომ პატიება სთხოვა და გადაწყვიტა, კვლავ აღედგინა მისთვის დაკარგული პატივი. მაგრამ ანგელოზებრივი მონაზვნური ცხოვრების მოსურნე იოანემ უარი თქვა ხალიფის შეთავაზებაზე, დაჰბრუნებოდა ძველ თანამდებობას; მთელი თავისი ჯიხნა ღვთისმშობლისადმი დაუბრუნებდა, თვითონ კი იერუსალიმში გაემგზავრა და საბასწმინდის ლავრაში დაემკვიდრა. მან თან წაიღო ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სამხელიანი ხატი.

წმინდა იოანე დამასკელის გარდაცვალების შემდეგ, ხატი იერუსალიმის საბასწმინდის ლავრის საკუთრება გახდა. ამავე ლავრაში იყო დაბრძანებული 1122 წლამდე, შემდეგ იგი სავანეში მოღვაწე ბერებმა, მათი ლავრის მოსალოცად ჩასულ სერბეთის მთავრების კოპოს საბას მიართვეს, რომელმაც სერბეთში გადააბრძანა. ეს, თავად ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ნება იყო.

XVI საუკუნეში, სერბეთზე თურქთა თავდასხმის დროს, სინამდის განადგურების საფრთხის წინაშე დადგა, ამიტომ სერბეთში მოღვაწე ბერებმა სასწაულმოქმედი ხატი სახედარზე დააკრეს და თავის ნებაზე მიუშვეს. უფლის ნებით, სახედარმა ათონის წმინდა მთაზე, ხილენდარის მონასტერში მიაბრძანა ხატი. მონასტრის მამები სიხარულით აღივსნენ, მონივნებით მიეახლნენ სინამდის და მონასტრის მთავარი ტაძრის საკურთხეველში დააბრძანეს.

რამდენიმე წლის შემდეგ, ხილენდარის მონასტრის წინამძღვარი გარდაიცვალა. ცხადია, საჭირო იყო ახალი წინამძღვრის არჩევა, რასაც ბერებს შორის აზრთა სხვადასხვაობა მოჰყვა და მონასტრის სამო ორ ურთიერთდაპირისპირებულ ბანაკად გაიყო. ერთ დღეს, როდესაც ბერები ღვთისმსახურების აღსავლენად შეიკრიბნენ, „ტრიხერუსა“ საკურთხეველში აღარ დახვდათ — იგი ილუმენის ადგილზე დაბრძანებული იხილეს. ხატი კვლავ საკურთხეველში შეაბრძანეს, მაგრამ მეორე დილით, იგივე გამოედგა. ბოლოს, ერთ-ერთ ბერს ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი გამოეცხადა და დაავალა, რომ ეუწყებინა მონასტრის სამოსთვის — მისი ხატი საკურთხეველში აღარ გადაებრძანებინათ, რადგან სურდა, „ტრიხერუსად“ წოდებული ხატის მეშვეობით, მონასტრის წინამძღვრის ადგილი თავად დაეკავებინა. ასე ჩააცხრო უფლის ყოვლადწმინდა დედამ სავანის ბერებს შორის არსებული შფოთი.

ამის შემდეგ, ღვთისმშობლის სამხელიანი ხატი ხილენდარის მონასტრის ილუმენის ადგილზე დაბრძანებული და იქ მოღვაწე ბერები მისგან, როგორც ილუმენისაგან, ისე ითხოვენ კურთხევას, რადგან მონასტრის წინამძღვრად „ტრიხერუსას“ ხატი მიჩნეული; ხილენდარის მონასტრის წინამძღვარს აღარ ირჩევენ და მხოლოდ მის მოადგილეს ნიშნავენ.

სულწინა ბრძანებით, მალე პავლე მოციქულს წარმართთა შორის ქრისტეს სჯულის ქადაგება ხედა წილად. მან სამჯერ იმოგზაურა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში და დაუცხრომლად ქადაგებდა „სახარებას“ წარმართთა შორის, აარსებდა ეკლესიებს... მესამედ მოგზაურობის დროს, წმინდა მოციქული კესარიისში შეიპყრეს — ქრისტეს სჯულის ქადაგებისთვის და რომში წარგზავნეს. ეს მოხდა 65 წელს. ორი წელი ტყვეობაში გაატარა, 67 წელს კი, იმპერატორ ნერონის ბრძანებით, თავი მოჰკვეთეს, საიდანაც უფლის მადლით, სისხლის ნაცვლად, რძე გადმოდინდა...

ქრისტეს არც ერთ მოციქულს არ დაუთმენია იმდენი ტანჯვა და წაქეზება და არც ერთ მაგანს არ მისდგომია იმდენი ვნება, რამდენიც პავლე მოციქულმა დაიბრუნა და იტყვირთა. საკუთარი ვნებისა და ტანჯვის შესახებ თავად გვაუწყებს კორინთელთა მიმართ მიწერილ მეორე ეპისტოლეში: „სუთჯერ მივიღე იუდეველთაგან ორმოცზე ერთით ნაკლები დარტყმა; სამჯერ კვერთხით მცემეს, ერთხელ ჩამქოლეს და სამჯერ გემის მსხვერვა გავიცაღე, ლაქი და დღე შუა ზღვაში დაყავი; მრავალჯერ მოგზაურობებში, განსაცდელში მდინარეებზე, განსაცდელში ყაჩაღთაგან, განსაცდელში თანატომელთაგან, განსაცდელში წარმართთაგან, განსაცდელში ქალაქებში, განსაცდელში უდაბნოდ, განსაცდელში ზღვაზე, განსაცდელში ცრუ ძმებს შორის, შრომასა და გაჭირვებაში, ხშირ სიფხიზლეში, შიმშილსა და წყურვილში, ხშირ მარხულობაში, ყინვასა და სიშიშვლეში“ (II კორ. 24-27). აი, ასეთი იყო ქრისტეს გზაზე შედგომის შემდეგ პავლე მოციქულის მინიერი ყოფა, თუმცა განსაცდელითა და წაქეზებით დამძიმებული წმინდა მოციქული ამქვეყნიურ ცხოვრებაშივე შეიქნა ღირსი იმისა, რომ განეცადა ღვთიური ნეტარება: „წმინდა წერილის“ თანახმად, იგი მესამე ცამდე იქნა ატაცებული და სამოთხის სიტკბოება იგება: „და ისმენდა გამოუთქმელ სიტყვებს, რომელთა გამოთქმა ნებადართული არა აქვს ადამიანს...“

პავლე მოციქულმა თითხმეტი ეპისტოლე დაავიციოვა. სწორედ პავლე მოციქულმა დაგვიმოძღვრა, რომ სამ უმთავრეს სათნოებას — რწმენას, სასოებასა და სიყვარულს შორის, უპირველესი — სიყვარულია: „თუ მე ადამიანთა და ანგელოზთა წინაშე ვლაპარაკობ, ხოლო სიყვარული არ გამაჩნია, მაშინ უღარუნა რვალი ვარ ან ჩაურუნა ნაწილი. წინასწარმეტყველება რომ მქონდეს, ყოველი საიდუმლო და მთელი ცოდნაც რომ ვუწყოდე, სრული რწმენაც რომ მქონდეს, ისეთი, მთების გადაადგილება რომ შემიძლოს, ხოლო სიყვარული არ გამაჩნდეს, არარაობა ვიქნებოდი. მთელი ჩემი ქონება რომ დავარიგო და ჩემი სხეული დასანჯავად გავწირო, ხოლო სიყვარული არ გამაჩნდეს, არაფრად ვარგივარ“; — ამ სიტყვებს პავლე მოციქული კორინთელთა მიმართ მიწერილ პირველ ეპისტოლეში წერს, თუმცა მხოლოდ ამ სიტყვებით არ მთავრდება მისი ქადაგება უმთავრესი ქრისტიანული სათნოების — სიყვარულის შესახებ და რადგანაც მისი გულცი ღვთისა და მოყვასის უსაზღვრო სიყვარულით იყო აღვსილი, ამიტომაც იხსენიება იგი განუხაზღვრელი სიყვარულის დამტყვი გულის მქონე პავლე მოციქულად.

# მიხეილ ქორქია — «უშიში, ვითარცა უხორცო» როგორ დასაჯეს ოლიმპიური ჩემპიონი სამაგალითოდ

2004 წელს ქართულმა კალათბურთმა დიდი დანაკლისი განიცადა, რადგან 13 დღის ინტერვალით, ორი ოლიმპიური ჩემპიონი — ზურაბ საკანდელიძე და მიხეილ ქორქია გარდაიცვალნენ. ბატონ მიშას, ბავშვობის მეგობარი უკანასკნელ გზაზე ახალი გაცილებული ჰყავდა, როცა კალათბურთის გულშემატიკეფრებს სპორტის სასახლეში, უკვე მეორე ყოფილი „დინამოსის“ პანაშვიდზე მოუხდათ მისვლა. მიხეილ ქორქია თავისი თაობის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი სპორტსმენი გახლდათ, რომელმაც მოედანზე არ იცოდა, რა იყო შიში და არც მის მიღმა დაუფლებია ასეთი გრძნობა. მან, ქუთაისის საკალათბურთო სკოლის სხვა წარმომადგენლების მსგავსად, ვარჯიში სულიკო თორთლაძესთან დაიწყო, რომელიც საკუთარ არჩევანში არც ამჯერად შემცდარა. ქორქია ბატონი სულიკოს მორიგი მოსწავლე აღმოჩნდა, რომელმაც საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე დიდ წარმატებას მიაღწია. კარიერის მანძილზე „დინამოს“ თავდამსხმელმა საკავშირო ჩემპიონატისა და თასის მოგებასთან ერთად, ევროპის პირველობასა და ოლიმპიური თამაშებზე გამარჯვება მოახერხა. ამასთანავე, სპორტის დამსახურებული ოსტატი, ორჯერ იყო კონტინენტის ჩემპიონატზე მეორე, ხოლო ერთხელ, ოლიმპიდაზე ბრინჯაოს დაეუფლა. მან ასევე ვერცხლის მედალი მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონატზე. „ლირსების“ და „გორგასლის“ მეორე ხარისხის ორდენოსანი, უკანასკნელ პერიოდში აქტიურად მოღვაწეობდა საფეხბურთო ცხოვრებაში და ქუთაისის „ტორპედოს“ რამდენიმე წლის წინანდელი წარმატებებიც მას უკავშირდება.

## ლამა თაბაბარი

გასაკვირი არ არის, რომ ქართული კალათბურთის ბერძენის — ოთარ ქორქიას ძმისშვილი, სპორტის ამ სახეობას გაჰყვა. მიშკოს ბიძასავით მეტროპოლი ხასიათი პატარაობიდანვე ჰქონდა. შემდგომში, ბატონი ოთარი სიამაყით აღნიშნავდა — ქორქია მაინც ქორქიააო!.. ქუთაისში დაბადებულ-გაზრდილი ჭაბუკი მესხეთი კლასში სწავლობდა, როდესაც ქორქია-უფროსმა, სულიკო თორთლაძეს მასზე უთხრა — კალათბურთზე უზომოდ შეყვარებული და აღლო თუ არ მალატობს, კარგი მოთამაშე უნდა დადგესო. მართლაც, გამოცდილი მწვრთნელის ხელში, პატარა მიშას ტალანტი მალევე გამოვლინდა და ქუთაისელი ჭაბუკი საქართველოს მოსწავლეთა ნაკრებში მოხვდა, რომლის შემადგენლობაშიც საკავშირო სპორტაკადემიაში იასპარეზა, სადაც ერთ-ერთი გამოჩენილი გახლდათ.

1965 წელს, 17 წლის მიშა ქორქია თბილისის „დინამოში“ მიიწვიეს და იმავდროულად, საბჭოთა კავშირის კადეტთა ნაკრებში აიყვანეს, რომელმაც იტალიის ქალაქ პორტო-სან-ჯორჯიოში ჩატარებულ ევროპის პირველობაზე პირველი ადგილი დაიკავა. მაშინ, უკან დაბრუნებისას, თვითმფრინავის ბილეთებთან დაკავშირებით, გაუგებრობა მოხდა და საბჭოთა ნაკრების წევრებს იტალიაში ვიზიტი გაუგრძელდათ. ამის გამო, მასპინძლებმა ქვეყნის სამხრეთით მდებარე ქალაქ ბრინდიზიში დიდების საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობა შესთავაზეს. ქორქიამ და მისმა თანაგუნდელებმა თავისზე უფროსებს არაფერში ჩამორჩნენ და ფინალში იტალიის ნაკრების დამარცხების შედეგად, შეჯიბრებაში გაიმარჯვეს. ამით იტალიელები ისე მოიხიბლნენ,

რომ გამარჯვებულებს ხელისგულზე ატარებდნენ, რესტორანში ფულს არ ახდევინებდნენ, შინ ეპატიუბოდნენ და უმასპინძლდებოდნენ, კინოთეატრებში უფასოდ შესვლის ნებას აძლევდნენ. განსაკუთრებული პატივისცემით ქორქია სარგებლობდა, რომელმაც ტურნირი მაღალ დონეზე ჩაატარა. იტალიელებმა ქუთაისელი კალათბურთელი, პირველსავე ნახვისას თავისიანად იგულეს, რადგან ქართველის სამხრეთულმა ტემპერამენტმა აპენინელები მის მიმართ თავიდანვე სიმპათიით განაწყობა. მიშა კარიერის დასაწყისში უკვე გამოიჩინა დიდი სისწრაფით, შეტევის ნებისმიერი ნერტილიდან დაგვირგვინების უნარით და რაც მთავარია, შესაშური ბრძოლისუნარიანობით. იგი ნებისმიერი ბურთისთვის თავდაუზოგავად იბრძოდა და გამოუვალ მდგომარეობაშიც კი ცდილობდა მის დაუფლებას, თუნდაც ამისთვის მაყურებლებში გადახტომა დასჭირებოდა...

მიუხედავად იმისა, რომ ქორქია უკვე საბჭოთა კავშირის პირველი ნაკრების კანდიდატად მიიჩნეოდა, თბილისის „დინამოში“ ოფიციალურ შეხვედრაში დებიუტი მხოლოდ 1968 წელს — ე.ი. გუნდში მისვლიდან სამი წლის შემდეგ ჰქონდა. ქვეყნის პირველი ნაკრების თავკაცმა ალექსანდრ გომელსკიმ შეკრებიდან ქორქია კი გაუშვა კლუბში სათამაშოდ, მაგრამ ქართველ თავდამსხმელს საკავშირო ფედერაციიდან ჩემპიონატის მატჩებში მონაწილეობის ნებართვა მიღებული არ ჰქონდა. მიუხედავად ამისა, სპორტის სასახლეში მიმდინარე შეხვედრისას, „დინამოს“ მთავარმა მწვრთნელმა ლევან ინჯორველმა 19 წლის მიშა მოედანზე მეორე ტაიმში მაინც გამოიყვანა. თბილისელები თამაშს აგებდნენ და გამარჯვებას სწორედ დებიუტანტის წყალობით მიაღწიეს, რომელ-



მაც საერთო ჯამში, 18 ქულა მოაგროვა. იმავე წელს, ქორქიამ „დინამოსთან“ ერთად, ჩემპიონატის ოქროს მედლები მოიგო, ხოლო ერთი წლის შემდეგ, საკავშირო თასს დაუფლა.

საერთაშორისო დონეზე პირველი წარმატება ქორქიამ 1971 წელს, ესენში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე მოიპოვა. ერთი წლით ადრე, მსოფლიო ჩემპიონატზე საბჭოთა კავშირის ნაკრების წარუმატებელი ასპარეზობისას, ალექსანდრ გომელსკის, მთავარი მწვრთნელის პოსტი დაატოვებინეს და გუნდის სათავეში ვლადიმირ კონდრაშინი მოვიდა. როცა ნაკრები ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადებოდა, ახალ მწვრთნელს კონტინენტის პირველობაზე ზურა საკანდელიძის ნაყვანა გადაწყვეტილი ჰქონდა, მაგრამ ქორქიას საკითხში ორჭოფობდა. დასკვნით შეკრებაზე, როდესაც ესენში წამსვლელთა ვინაობა უნდა გამოცხადებინათ, მიშა წერვილოვმა და მოლოდინში, ოთახში ბოლთას სცემდა. ამ დროს, კარი საკანდელიძემ შეაღო და მეგობარს მიახარა — გილოცავ ევროპის ჩემპიონობასო! — რაც იმის მაყინყებელი გახლდათ, რომ ქორქია ნაკრების შემადგენლობაში ჩართეს და ხელმძღვანელთა ამ გადაწყვეტილებაში სწორედ მის თანამემამულეს ჰქონდა შეტანილი წვლილი: საკანდელიძემ მათ გარანტია მისცა, რომ მისი ახალგაზრდა მეგობარი იმდენს გაამართლებდა, უფრო მეტიც: როგორც ამბობენ, ბატონმა ზურამ კონდრაშინს პირობა წაუყენა — თუ ქორქიას არ წამოიყვანთ, არც მე ვითამაშებო... მისი ავტორიტეტული სიტყვა გადამწყვეტი აღმოჩნდა. შემდგომში, ბატონი მიშა აღნიშნავდა, რომ საკანდელიძის გარეშე, ის ვერც ნაკრებში დაიშვებოდა ადგილს და ვერც ოლიმპიური ჩემპიონი გახდებოდა. მართლაც, ქორქიამ ევროპის პირველობაზე მშვენივრად იასპარეზა და პირველსავე მატჩში ესპანელებთან, ორივე გუნდის მოთამაშეებიდან ყველაზე მეტი — 15 ქულა მოაგროვა. საბოლოოდ კი, ფინალში უფოსლავეილთა დამარცხების შემდეგ, მან გუნდთან ერთად, ოქროს მედალი მოიგო.

1972 წელს, მიუხედავად იმისა, რომ ოლიმპიადისთვის

მზადებისას, ნაკრებმა ბრაზილიაში საკონტინენტთაშორისო თასზე იასპარეზა და კონდრაშინმა სახსრეთ ამერიკაში ქორქიაც წაიყვანა, ხოლო საკანდელიტის თბილისში დარჩენამ მოუწია. სან-პაულუში ჩასულმა გუნდმა თამაშებს შორის დასვენების დღეებში, ქალაქში არსებული სერენტარიაში — გველების მუზეუმი დათვალიერა. სტუმრებისთვის ამ დანახებულებებში გიგანტური პითონების ფიტურები, ხუთმეტრიანი ანაკონდების ტყავები, ასევე, ცოცხალი გველები იყო წარმოდგენილი, რომელთა ნაკბენი ადამიანს რამდენიმე წამში კლავდა. კალათბურთელები აღნიშნულ სანახაობას სუნთქვაშეკრული უყურებდნენ და თითოეული მათგანი დაძაბული იყო. ივან ედევსო, რომელიც გუნდში მთავარ „ხუმარად“ ითვლებოდა, თანაგუნდელებს ოდნავ ჩამორჩა, ქორქიას ზურგიდან მიეპარა, კოჭთან მოჰკოდა ხელი და ხმაძილა „დინამოს“... ბუნებრივია, ამან „დინამოელი“ ფრიად შეაშინა, მაგრამ სამაგიეროდ, თვითმხილველთა თქმით, მან ერთბაშად გაიხსენა, 25 წლის ასაკამდე რაც კი ქართული და რუსული გინება უსწავლია და ედევსოს „შავი დღე“ დაადგა. თუმცა, საერთო მხიარულებამ სპორტსმენებს დაძაბულობა ექსკურსიის ბოლომდე მოუხსნა...

ბრაზილიიდან ჩამოსვლის შემდეგ, ქვეყნის ჩემპიონატში „დინამომ“ მთლად წარმატებით ვერ ითამაშა, მაგრამ მიშამ 7 მატჩში 138 ქულა მოაგროვა და ტურის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. ქორქია, რომელიც გუნდში ყველას უყვარდა, თავადაც გამოირჩეოდა იუმორის გრძობით. მიუხედავად წასვლამდე, სერენტარიაში ზურგებისას, „ნითელ კუთხეში“ მორიგი პარტიული კრება ჩატარდა, რომლის დასრულებისას, მიშამ კედელზე გამოკრულ საკავშირო ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრთა ფოტოებს მიუახლოვდა და გულიანად წარმოთქვა — „ამის დედაც, ამბოჯან ერთი მაინც იყოს ბიძაჩემი. მაშინ ამ ოლიმპიადის მოგება რაღაში დამჭირდებოდა...“

მიუხედავად, ფინალში საბჭოთა კავშირის ნაკრები ამერიკის შეერთებული შტატების გუნდს დაუპირისპირდა, რომელსაც მანამდე, ოლიმპიურ თამაშებზე მარცხი განცდილი არ ჰქონდა. კონდრაშინმა სასტარტო ხუთეულში საკანდელიტე და ქორქიაც დააყენა. ბატონი მიშა იხსენებდა, რომ მწვრთნელის ამ ნაბიჯმა ცოტა არ იყოს, შეაცბუნა, რადგან 23 წლის ახალგაზრდისთვის ასეთი დონის ტურნირის გადამწყვეტ თამაშში მოედანზე პირველსავე წუთიდან ყოფნა საკმაოდ მძიმე გამოცდას წარმოადგენდა. ამ

დროს, თავს მშვიდად გრძობდა მეორე ქართველი, რომელიც გუნდის ვეტერანად მიიჩნეოდა. თამაშამდე ჩატარებული მოთელებისას, ქორქიას თქმით, მთელმა გუნდმა იგრძნო, რომ ამერიკელების დამარცხება შეეძლო. კონდრაშინის არჩევანმა გაამართლა და ქართველების წყალობით, საბჭოთა გუნდი დანიშნურდა. თამაშის შუაწელში, ერთმანეთში ატეხილი განეგ-გამონევისთვის, არბიტრმა თამაშის ბოლომდე, ქორქია და ამერიკელთა ერთ-ერთი ლიდერი, დუაიტ ჯონსი გააძევა. ქართველი თავდამსხმელი მოედნიდან თავჩაქინდრული გავიდა, იმის შეგრძნებით, რომ გუნდი დააღალატა და სათადარიგოთა სკამის ბოლოში დაჯდა. თან ფიქრობდა — მორჩა ჩემი კარიერა ნაკრებში. მაგრამ მწვრთნელი მასთან მივიდა, მხარზე ხელი დაარტყა და დასაწყნარებლად უთხრა — იცი, შენ ვინ გამოითქე თამაშიდან?!. — რითაც აგრძობინა, რომ თვითგვემა საჭირო არ იყო. თამაშის დასრულების შემდეგ, როდესაც საბჭოთა ნაკრები უკანასკნელ სამ წამში მოპოვებულ გამარჯვებას ზეიმობდა, კონდრაშინი ქორქიას გაეხუმრა კიდევ — მიშოკო, ეს, შენი საუკეთესო თამაში იყო, რადგან ამერიკელთა წამყვანი კალათბურთელი გამოთიშეო.

ფინალის დამთავრების შემდეგ, ამერიკელებმა შედეგი გასაჩივრეს და ვიდრე ფიზიკურად წარმომადგენლები საბოლოო ვერდიქტს გამოიტანდნენ, საკანდელიტემ მეგობარს სთხოვა — ესენი კიდევ დიდხანს იმსჯელებენ, ყელი გამიშრა და წამოდი, რამე დავლიოთო. ორივე ქართველი „ბასკეტბოლ-აღესთან“ ახლოს მდებარე ბარში შევიდნენ და თითო კაბას ლუდი შეუკვეთეს. ამ დროს, დარბაზში სწორედ ჯონსი შემოვიდა, გოგონებთან ერთად, მეტოქეებს მიესალმა და შამპანური შეუკვეთა. მის დანახვზე, ჩვენებურებს ჩაულაპარაკიათ — ამან თამაში ნააგო და შამპანური სვამს, ჩვენ რაღას ვიჭყინებთი ლუდითო?!. სიტყვას საქმე მოჰყვა და თბილისელებმა რამდენიმე ბოთლი შამპანური გამოცალეს...

ფინალიდან ორი დღის შემდეგ, ქორქიას დაბადების დღეზე მომლორალმა ედიტი პიესამ და მსახიობმა საველი კრამაროვმა დიდი ტორტი მიართვეს, ხოლო მიშამ პირველი, გამარჯვების სადღეგრძელო შესვა. მიუხედავად ოლიმპიადაზე „დინამოს“ თავდამსხმელმა 9 თამაში ჩაატარა და საერთო ჯამში, 45 ქულა დააგროვა.

სხვათა შორის, საკანდელიტე და ქორქია თბილისში ისე ჩამოვიდნენ, რომ ამის შესახებ არავის გაუგია და აეროპორტში ოლიმპიურ ჩემპიონებს მხოლოდ ოჯახის წევრები დახვდნენ. ქართული სპორტის იმჟამინდელი ჩინოფიკები მათ არ შეგებებიან და შესაბამისად, გამარჯვებაც ვინრო წრეში აღნიშნეს.

4 წლის შემდეგ, ქორქიამ მონრეალის ოლიმპიადაზეც იასპარეზა, სადაც საბჭოთა კავშირის კალათბურთელთა ნაკრებში ერთადერთი ქართველი გახლდათ. კანადაში საბჭოელები ნახევარფინალში იუგოსლავიელებთან დამარცხდნენ, ხოლო თბილისელმა შვიდ თამაშში 44 ქულა მოაგროვა. ქორქიას დაუდგრომელ სასიათზე ერთი ეპიზოდის მეტყველებს, რომელსაც თავად კალათბურთელი უხალისოდ იხსენებდა ხოლმე: სპორტის სასახლეში მიმდინარე ჩემპიონატის ერთ-ერთი მატჩის დროს, მან ბურთი მეტოქის ფართან დაკარგა, რის შემდეგაც, ტრიბუნაზე მჯდომმა ერთ-ერთმა გულშემატკივარმა გულსწყნარობა ხმაძიალი გინებით გამოხატა. შეურაცხყოფაზე სპორტსმენმა რეაგირება მყისიერად მოახდინა და იმანაც არ დააბრკოლა, რომ ქომავალი მეშვიდე რიგში იჯდა — უბრალოდ, გაბრაზებულმა, ნახტომი ვერ გათვალა და გვერდით სკამთან დაეშვა, სადაც ერთ-ერთ მასწავლებელს, რომელსაც არაფერი დაუშავებია, ფეხი ორ ადგილას მოსტეხა. შემდგომში, მისი მკურნალობის ხარჯი, ცხადია, თავად იკისრა. რაც შეეხება უბრადელ მასწავლებელს — მას უდიდესი საქციელისთვის საკმაოდ მოხვდა...

ნაკრებში ჩვენებურის ყოფილი თანაგუნდელი, ალექსანდრ ბალაშოვი იხსენებდა, თუ როგორ გაანდო ქორქიამ, რომ შეყვარებული იყო. „გამიგე, ბალაშ, ერთი გოგო მომწონს, მაგრამ მისი მშობლები ჩვენი ქორწინების წინააღმდეგი არიან. არც კი ვიცი, რა ვიღო...“ — დაუჩვილა მას. ცოტა ხანში, იმავე კალათბურთელის თქმით, ქორქია და მისი საცოლემ მანანა ლენინგრადში „გაიპარნენ“, სადაც საშა ბელოვთან ცხოვრობდნენ, ვიდრე გოგონას მშობლების თანხმობა არ მიიღეს. აღსანიშნავია, რომ ბატონმა მიშამაც შეუწყო ხელი ბელოვის ოჯახურ ბედნიერებას. ქორქია ოლიმპიური გუნდის შეკრებისას, ცნობილ კალათბურთელ ქალთან, ალექსანდრა ოფინიკოვასთან მივიდა, რომელიც ბელოვს მოსწონდა და ჰკითხა, თუ რას ფიქრობდა იგი საშაზე. ოფინიკოვა არაფერი დაეჭვებულა და უპასუხა, რომ ბელოვი მოსწონდა. არ გასულა სამი დღე, რომ ალექსანდრამ ასეთი შინაარსის ანონიმური ბარათი მიიღო: „უნდა ვილაპარაკოთ, რადგან ბევრი რამ უნდა გითხრა იმაზე, თუ რა გრძობით ვარ შენდამი განწყობილი. ვფიქრობ, მიხვდები, ვინ გწერს ამას“. იმავე საღამოს, ბელოვი და ოფინიკოვა ერთმანეთს უკვე პაემანზე შეხვდნენ...

როცა ამირან სხიერელმა თავი დაანება კალათბურთის, გუნდის კაპიტნობა მიშამ გადაიბარა. მას არაერთი თამაში ჩაუტარებია, ხერხემლის ტრავმის მიუხედავად, რომელიც ქრონიკულად აწუხებდა, ხოლო ერთი სეზონი მტკივნეული ხელით იასპარეზა, მაგრამ დასვენება არასოდეს მოუთხოვია. ქორქიამ კალათბურთის თამაშს 1977 წელს დაანება თავი, როდესაც თბილისის „დინამოსთან“ ერთად, ქვეყნის ჩემპიონატში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, ხოლო ნაკრებში ევროპის პირველობის ვერცხლის პრიზიორი გახდა. გამომდინარე იქიდან, რომ კლუბში მე-13 ნომრით თამაშობდა, სახელოვან კალათბურთელს სიმბოლურად, სპორტის სასახლის მე-13 რიგში პერსონალური მე-13 ადგილი მისცეს, რომლის დაკავების უფლება სხვას არავის ჰქონდა.

სპორტიდან წასვლის შემდეგ, ცოტა ხანი, თბილისის „დინამოს“ წვრთნიდა, მაგრამ მისი სამწვრთნელო კარიერა დიდხანს არ



მას არაერთი თამაში ჩაუტარებია, ხერხემლის ტრავმის მიუხედავად, რომელიც ქრონიკულად აწუხებდა



მიუხედავად ამისა, სიცოცხლის უკანასკნელ წლებში, ბატონი მიშა აქტიურ ცხოვრებას ეწეოდა

გაგრძელებულა. გასული საუკუნის 80-იანი წლების შუა პერიოდში, ოლიმპიური ჩემპიონი დააპატიმრეს, რადგან იმდროინდელი ჩინოვნიკების აზრით, ე.წ. „ჩრდილოვან ეკონომიკაში“ გახლდათ ჩაბმული. სხვათა შორის, მაშინ გაზეთმა „ლელომ“ ქართველ ოლიმპიურ ჩემპიონთა სია გამოაქვეყნა, რომელშიც ქორქიას გვარი არ ფიგურირებდა და 1972 წლის მიუნენის ტრიუმფატორებიდან, გაზეთში მხოლოდ საკანდელი იქნა იყო დასახელებული... ცხიდან ქორქია 1987 წელს გამოვიდა და როგორც თვითონ იხსენებდა, თავისუფლება უფრო ღირებული აღმოჩნდა, ვიდრე ის 3 წამი, რომელმაც ოლიმპიადის ოქრო მოუტანა... ოლიმპიური ჩემპიონის აზრით, იგი საბჭოთა ხელისუფლებამ სხვებისთვის სამაგალითოდ დასაჯა.

დიდი სპორტი რომ ადამიანის ჯანმრთელობაზე საკმაოდ მძიმედ მოქმედებს, მიხეილ ქორქიას მაგალითი ამის ნათელი დადასტურებაა. კალათბურთელის კარიერამ ყოფილ „დინამოელს“ ხერხემალი, მუხლი და გული დაუზავა. თავად ქორქიას არაერთხელ აღუნიშნავს, რომ გულის უკმარისობა, რომელიც დიდი დატვირთვების შემდეგ აწუხებდა, ჩვეულებრივი ცხოვრების რიტმში დაბრუნებამ გამოიწვია, როდესაც გულზე მასპინძელსა და მეგობართა წრეში ქეიფის მოყვარულს, ხშირად უხდებოდა ალკოჰოლის მიღება. 1997 წელს, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, ცნობილი სპორტმენი ოთხჯერ მოხვდა საავადმყოფოში. იგი ამერიკაშიც კი გაემგზავრა სამკურნალოდ, მაგრამ იქაურმა ექიმებმა ოპერაციის ჩატარებაზე უარი თქვეს, რაზეც საკუთარი არგუმენტი ჰქონდათ.

მიუხედავად ამისა, სიცოცხლის უკანასკნელ წლებში, ბატონი მიშა აქტიურ ცხოვრებას ეწეოდა. 1999 წელს, ის საფეხბურთო კლუბ ქუთაისის „ტორპედოს“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და პრეზიდენტი გახდა. სწორედ ამ პერიოდში, ქუთაისელებმა ეროვნულ ჩემპიონატში თბილისის „დინამოს“ შეგემონა დაარღვიეს და ზედიზედ სამჯერ გახდნენ ქვეყნის ჩემპიონები, ხოლო ორჯერ თასი მოიპოვეს.

„ტორპედოს“ დატოვების შემდეგ, მან კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტის პოსტზე იყარა კენჭი, მაგრამ ბესიკ ლიპარტელიანს ვერ აჯობა. პარალელურად, ბატონი მიშა პარტია „ერთობის“ წევრი გახლდათ და ლევან კალაძის გატაცების შემდეგ, ღიად განაცხადა, რომ თუ სამართალდამცავი ორგანოები კახი კალაძის ძმას ვერ დააბრუნებდნენ, ხელმძღვანელებს თანამდებობები უნდა დაეტოვებინათ (იმ პერიოდში, შსს-ს მინისტრი, კახა თარგამაძე გახლდათ).

უკანასკნელ პერიოდში, ქორქია წყნეთში, საკუთარ აგარაკზე ცხოვრობდა და გარდაცვალების წინა საღამოს, სტუმრები ჰყავდა, თან, ტრადიციისამებრ, თამადაობდა. ღამით ბატონმა მიშამ თავი ცუდად იგრძნო და ვინაიდან იცოდნენ, რომ გული აწუხებდა, მეუღლემ მაშინვე „სასწრაფო დახმარება“ გამოიძახა, რომელიც ათ წუთში მოვიდა. მიუხედავად ამისა, ექიმებმა ოლიმპიური ჩემპიონის გადარჩენა ვერ შეძლეს...

**ლევან მოსაშვილი**, თბილისის „დინამოს“ ყოფილი და „თბილვაიამშენის“ ამჟამინდელი მწვრთნელი:

— მიხეილ ქორქიას მეუღლეს სკოლაში ჩემი ცოლი ასწავლიდა და როდესაც ისინი დაქორწინდნენ, ოჯახებით ძალიან დავახლოვდით. მიშა ის მოთამაშე გახლდათ, რომელიც მოედანზე იმედს არასოდეს კარგავდა და ყოველთვის ბოლომდე იბრძოდა. 1975 წელს, საკავშირო სპარტაკიადაზე, უკრაინის ნაკრებს ვხვდებოდით, რომლის შემადგენლობაშიც ტაჩენკო, კოვალენკო და ბელოსტენი გამოდიოდნენ. თამაშს ვაგებდით და ქორქია, ზურაბ საკანდელიძესთან ერთად, სათადარიგოთა სკამზე იჯდა, თან მატჩს საკმაოდ პესიმისტური განწყობილებით ადევნებდა თვალს, ვინაიდან ფიქრობდა, რომ მის შემობრუნებას ვერ შევძლებდით. უცრად, შეხვედრის გადარჩენის შანსი გაგვიჩნდა, რასაც მიშაც მიხვდა და თანაგუნდელებს დაუძახა — მიდით, ბიჭებო! ცოტა ხანში, იგივე, საკანდელიძემაც გაიმეორა და ორივეს შევატყვე, რომ მოედანზე დაბრუნება სურდათ. მართლაც, ისინი თამაშში ჩავრთე და როგორც ზურაბ, ასევე მიშამ, ბრწყინვალედ იასპარეზეს, რამაც უკრაინელთა დამარცხება მნიშვნელოვანწილად განაპირობა. საბოლოოდ კი, სპარტაკიადაზე მესამე ადგილი დავიკავეთ...

**სიოლოზ დარჩიანი**, თბილისის „დინამოს“ და საბჭოთა კავშირის ნაკრების ყოფილი კალათბურთელი, მსოფლიო ჩემპიონი:

— საბჭოთა კავშირის ნაკრებში ყოფნისას, ძალიან ბევრი რამ მასწავლა მიშა ქორქიამ, რომელიც თბილისის „დინამოში“ და ქვეყნის პირველ გუნდშიც ჩემი დამრიგებელი გახლდათ. ჩვენ ორი წლის განმავლობაში, შვებულების დროს, ერთ ოთახში ვცხოვრობდით და მისი დამსახურებაა, რომ ნაკრების შიდასამზარეულოში კარგად გავერკვიე, თორემ, თამაშის მსვლელობისას, კალათბურთის ერთი ბურთიც რომ ამეცდინა, მთავარი მწვრთნელი გომელსკი უკვე სხვა თვალთ მყურებდა. სწორედ ქორქიას წყ-

ალობით შევითვისე ის სათამაშო ყინი, რომელიც ამ კალათბურთელს ყოველთვის ახასიათებდა. მიშა მოედანზეც და მის მიღმაც არაოპტიმალური პიროვნება გახლდათ.

**ალექსანდრე გოლოშვილი**, საბჭოთა კავშირის ნაკრების ყოფილი წევრი, ოლიმპიური ჩემპიონი:

— მიშა ძალზე სწრაფი მოთამაშე იყო, რომელსაც მეტოქის ფარქვეშ გასვლა მშვენივრად შეეძლო და ზუსტ ტყორცნას ფლობდა. ის თხემიდან ტერფამდე მებრძოლი გახლდათ, რომელიც მე-10 რიგში გაფრენილი, უიმედო ბურთის დასაჭერადაც კი ხტებოდა. როგორც ქართველებს ახასიათებთ, მიშა ტემპერამენტით გამოირჩეოდა, მაგრამ მოედანზე ცივი გონებით მოქმედებდა. გულში ადამიანი, ქართული სტუმართმოყვარეობით გამოირჩეოდა. ქვეყნის ჩემპიონატის თბილისური ტურები ჩვენთვის ყოველთვის მის არასტანდარტულ ბინაში გაშლილი სუფრით მთავრდებოდა...

**ნოდარ ძირაძე**, თბილისის „დინამოს“ ყოფილი კალათბურთელი:

— მიშა ქორქია ძალიან დიდი პიროვნება იყო. ხშირად ხდებოდა, რომ ნაკრებში მოხვედრის შემდეგ, კალათბურთელი კლუბში მაქსიმალური ძალით არ იხარჯებოდა. მაგრამ მიშას ეს არასოდეს სჩვეოდა. ხანდახან, „დინამოში“ ვარჯიშის დაწყებამდე, ახალგაზრდები სანაძლეოზე ვთამაშობდით და მიუხედავად იმისა, რომ ოლიმპიური ჩემპიონი იყო, იგი ჩვენთან ერთად პაექრობას არ თაკილობდა. თან, ასეთი დაპირისპირებების დროს, ისე ირჯებოდა, თითქოს მსოფლიო ჩემპიონატის ფი-



მიხეილ ქორქია მეუღლესთან ერთად

ნალი ყოფილიყო. როდესაც დაიღებოდა, იტყოდა — მორჩაო და თამაშიდან გავიდოდა. მახსოვს, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ერთ-ერთი მატჩისას, მეტოქემ მუხლი ნეკნებში მომარტყა და ძირს დაცემულს, სუნთქვა შემეკრა. მიშა მომიასლოვდა და მითხრა — ადექი, არავის დაანახვო, რომ გტკივაო... შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ ერთი სეზონი მან ლამის მოტეხილი ხელით ჩაატარა, რომელშიც პლატინის ფირფიტა ჰქონდა ჩადგმული... ხერხემლის დისკოზე ოპერაცია რომ გაუკეთეს, ექიმმა დაარიგა — თამაში კი არა, სწრაფი სიარულიც კი უნდა დაივიწყო. მაგრამ მიშას ეს არ გაუთვალისწინებია და კალათბურთის მიტოვება არც უფიქრია.



კარგა ხანია, რაც 21 წლის სკარლეტ იოჰანსონი პოლიეუდმა ვარსკვლავად აღიარა. ჭეშმარიტად ვარსკვლავური გარეგნობის მქონე მსახიობმა, დაძაბულ რბოლაში მრავალი თანატოლი დაჯაბნა. სკარლეთი საკუთარ რეპუტაციას სასიყვარულო სკანდალებითა და უტიფარ რეალითი-შოუებში მონაწილეობით არ ბღალავს. სკარლეტ იოჰანსონი მაყურებელს სხვაგვარად აოცებს...


## სკარლეტ იოჰანსონი: „მერილინ მონროს სულ ტყუილად მაღარებენ!“

სრულიადაც ვერ გაუნელა. მშობლებმა მას სახელი მელანი ფილმის — „ქარნალებულნი“ — გმირის, მელანი ჰამილტონის პატივსაცემად დაარქვეს და რა გასაკვირია, რომ მანაც თავის უმცროს ქალიშვილს საკულტო კინოჰიტის მთავარი გმირის სახელი — სკარლეთი დაარქვა?! მელანი არ შემცდარა! სკარლეტმა გარდასახვის ნიჭი ბავშვობაშივე გამოავლინა, ამიტომ ის მოვალე იყო, ოჯახის ორი თაობის ქალების ოცნება, რეალობად გადაექცია. პატარა სკარლეთი კინომანი დედის გემოვნებას იზიარებდა. 8 წლის ბავშვი სერიოზულად მსჯელობდა ისეთ ფილმზე, როგორცაა, მაგალითად, „კრაიზთა დუმილი“.

დასაწყისისათვის მელანიმ შვილები სარეკლამო სააგენტოში მიიყვანა. კასტინგზე სკარლეთის ნაცვლად, მისი ძმა, ედრიენი გამოარჩიეს. სხვაგანაც იგივე განმეორდა. ამ მომხბვლელი, თავდაჯერებული გოგონას მიმართ ცხოველი ინტერესი მაშინვე ნელდებოდა, როგორც კი ბავშვი პირს გააღებდა და ლაპარაკს იწყებდა. მისი ასაკისათვის შეუფერებელი ხმის დაბალი ტემბრი, რომელიც სტაჟინი მწველის ხმას უფრო ნააგავდა, მსმენელის გაოგნებას იწვევდა. მელანიმ ტაქტიკა შეცვალა და ბავშვი კასტინგებზე თეატრებსა და კინოსტუდიაში მიიყვანა. დედის ტაქტიკურმა სვლამ გაამართლა: „როგორი ორიგინალური ხმა გაქვს“, — აღნიშნავდნენ აღფრთოვანებული რეჟისორები. სკარლეთის სამსახიობო დებიუტი 8 წლის ასაკში, სპექტაკლში — „სოფისტი ქალი“ შედგა, სადაც გოგონა პარტნიორობას იტენ ჰოუკს უწევდა. ერთი წლის შემდეგ, კინოსურათში „ნორტი“ გადაიღეს და მას მერე, რეჟისორებს არაერთგზის შეუცვლიათ გმირის ასაკი, რათა ეს გოგონა ფილმში გადაეღოთ. 12 წლის ნორჩი მსახიობი, თავად რობერტ რედფორდმა მიიწვია ფილმში — „შემლოცველი“. სწორედ რედფორდი იყო პირველი, ვინც საჯაროდ განაცხადა, რომ მსგავს ფენომენს არასდროს შეხვედრია: „სკარლეთი მხოლოდ ჩამოყალიბებული მსახიობი როდია. გამუდმებით ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს 30 წლის ქალთან ვმუშაობდი“. იმავეს იმეორებს სკარლეთ იოჰანსონის პარტნიორი ფილმში — „ადამიანი, რომელიც არ იყო“, ბილი ბობ ტორნტონი: „ზოგჯერ გაოგნებული შევცქეროდი — მერყენებოდა, თითქოს

ჩემ წინაშე ცხვირმოუხოცავი ბავშვი კი არა, მონიფული ქალი იდგა. და არ ვიცოდი, მას როგორ მოვეცოდე“. სკარლეთი ირწმუნება, რომ მას გარდატეხის ასაკისათვის დამახასიათებელი სირთულეები არ უგრძნია, საკუთარი ნაკლის გამო, განცდები არ ჰქონია და ჰორმონების მოძალებას არ შეუწუხებია.

პოლიეუდში ფიქრობენ, რომ სკარლეთის წარმატებული კარიერა და მისი ქცევა, უმეტესწილად დედის ბრძნული პოლიტიკის დამსახურებაა. სულ მალე, მას შემდეგ, რაც ქალიშვილი მისთვის განკუთვნილ სამყაროში აღმოჩნდა, მელანი ქმარს გამორდა, რადგან კირსტინი მეუღლის კინემატოგრაფისადმი ლტოლვას არასდროს იზიარებდა. მშობლების განქორწინება სკარლეტმა მისთვის დამახასიათებელი არაბავშვური რაციონალიზმით აღიქვა: „განქორწინება ჩემს მშობლებს სიკეთეს მოუტანს. ისინი შესანიშნავი, მაგრამ ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული და შეუფერებელი ადამიანები არიან“. მელანიმ მალე ბოიფრენდი გაიჩინა, მაგრამ მისი ცხოვრების უმთავრეს მიზნად და საზრუნავად, მაინც შვილის კარიერა რჩებოდა. სკარლეთის ბავშვობიდან მოყოლებული, მელანი მენეჯერის რანგში ყველა



ველი ალენი და მისი ახალი მუზა ფილმის — „ქმნატიური სიახლე“ გადაღების მომენტი

პოლიეუდმა, რომელსაც შედარებები მუდამ უყვარდა, სკარლეტ იოჰანსონს თანამდროვე მერილინ მონროს შეარქვა. ჩამოქნილი, სექსუალური ნაკვთების მქონე, მინიატიურული გოგონას მონროსთან შედარება, ცოტა არ იყოს, არაკორექტულია, რადგან საყოველთაოდ ცნობილია, რომ მერილინი საკმაოდ არამყარი ფსიქიკით გამოირჩეოდა. ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე (მერილინ მონრო 38 წლის ასაკში გარდაიცვალა), მონრო შემკრთალ, გაუნონასწორებელ გოგონად რჩებოდა, რომელმაც სამყაროს რეალობის ადეკვატურად აღქმა, ბოლომდე ვერ შეძლო. მისგან განსხვავებით, იოჰანსონის მტკიცე ხასიათი, მიზანდასახულობა და სიბრძნე დიდი ხანია, მის საფრმო ნიშნად იქცა. თუმცა, ჩვენთვის იოლი გასაგებია, თუ რატომ ცდილობენ ამერიკელები ამ ორი ვარსკვლავის შედარებას — პოლიეუდში დიდი ხანია აღარ გამოჩენილა საბედისწერო ქალის გარეგნობის ახალგაზრდა მსახიობი, რომელსაც იდუმალებით მოცული მიმზიდველობა ახლავს. სკარლეთ იოჰანსონმა პოლიეუდისაკენ მიმავალი ტრადიციული გზა განვლო. ამერიკელთა უმრავლესობა კინოს ეთაყვანება. მშობლები შვილებს „ოცნებათა ფაბრიკისკენ“ თავად უბიძგებენ. სკარლეთის დედა — მელანი თითქმის ბავშვი იყო, როდესაც დანიური წარმოშობის არქიტექტორი, ცნობილი დანიელი მწერლის შვილი, კარსტენ იოჰანსონი შეუყვარდა. ქორწინების შემდგომ, მომდევნო 8 წლის განმავლობაში მელანიმ 4 შვილი გააჩინა. შვილების აღზრდასა და დისახლისობაში ჩაფლულმა ქალმა, საკუთარ ოცნებათა რეალიზება შვილების მეშვეობით გადაწყვიტა. მით უმეტეს, რომ შვილების გაჩენამ, კინემატოგრაფისადმი ლტოლვა

სცენარს ეცნობა, პროდიუსერებთან და რეჟისორებთან მოლაპარაკებებს აწარმოებს და გადაღებების პროცესს ყოველთვის ესწრება. ასე მოხდა მაშინაც, როდესაც სოფია კოპოლა იაპონიაში ფილმ „თარგმანის სირთულეებს“ იღებდა, რომელმაც სკარლეტის, როგორც ამომავალი ვარსკვლავის სტატუსი, საბოლოოდ განამტკიცა. „ეს სცენარი საუკეთესო არჩევანი როდია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მოგეწონება, ამიტომ შენთვის გადავდე“, — უთხრა მელანიმ შვილს, როდესაც კოპოლას შეთავაზება გადასცა. ანდა: „ფილმში მხოლოდ ფულის, სახელოვანი პარტნიორების ან რეჟისორების გამო თამაში არ ღირს, უფრო მნიშვნელოვანია, ის როლი ითამაშო, რომელსაც შენზე უკეთ ვერავინ ითამაშებს“, — ასე მოხდა, მაშინ, როდესაც სკარლეტს ისტორიულ მელოდრამაში — „მარგალიტისსაყურიანი გოგონა“ ჰოლანდიელი მხატვრის, ვერმეერის მოახლის და მუზის როლი შესთავაზეს. ჰოლივუდის მღვრიე და ბოხოქარ წყლებში ცურვისას, მელანი საუკეთესო მრჩეველია. დედა-შვილის ურთიერთობა იშვიათი ჰარმონიულობითა და ერთსულოვნებით გამოირჩევა. შეკითხვაზე —

რათა იმაში გარკვეულიყო, თუ რატომ ითამაშა დედამ შვილის ცხოვრებაში ესოდენ ნეგატიური როლი.

ჰოლივუდი რის ჰოლივუდი იქნებოდა, თითოეული ვარსკვლავის ცხოვრებაში ერთი კომპრომატი მაინც რომ არ მოიპოვებოდეს. დამჯერი გოგონას უშფოთველი ნიღბის მიღმა, უეჭველია, ვნებიანი და თავგადასავლების მოყვარული ნატურა იმალება — ფიქრობენ ზოგიერთები. მაგრამ რადგან სკარლეტს სხვებისთვის ქმარი ან თუნდაც საყვარელი ჯერჯერობით არ წაურთმევია (როგორც ამბობენ, ესეც მელანის დამსახურებაა), მსახიობს სხვა რამის გამო უნდა მოეკითხოს, თუნდაც, არცთუ წარმატებული გამონათქვამებისათვის. მაგალითად, სკარლეტ იოჰანსონი იმდენად ხშირად თამაშობდა მასზე ბევრად უფროს პარტნიორებთან (რომლებიც გოგონათი აღფრთოვანებული იყვნენ) — ბილ მიურისთან, რობერტ რედფორდთან, ჯონ ტრაველტასა და სხვებთან ერთად, რომ ერთხელ წინდაუხედავად განაცხადა: „მე გამოცდილი, ორმოც წელს გადაცილებული პარტნიორები მიყვარს“; ან: — ახალგაზრდა მამაკაცები — საუკეთესო ბოიფრენდები სულაც არ არიან. ისინი ხშირად ძალზე ეგოისტური არიან და ქალისთვის არაფრის მიცემა არ შეუძლიათ“. სულ მალე, სკარლეტს ეს სიტყვები სანანებლად გაუხდა: „მას შემდეგ, რაც თავს მსგავსი გამონათქვამების ნება მივეცი, შელახული, გამელოტებული კაცების მოგერიებას ვეღარ ავუდივარ“. არანაკლებ დაუფიქრებელი იყო იოჰანსონის რეპლიკა ერთ-ერთი ინტერვიუს დროს, სადაც მან განაცხადა, რომ ბენისიო დელ ტორო უბადლო მამაკაცია და ერთხელ, მისთან ლიფტში სექსიც ჰქონდა. ეს თემა, რა თქმა უნდა, სასწრაფოდ მინისკანდალად აქცევს, მაგრამ მოვლენებს განვითარება არ მოჰყოლია. ბენისიო დელ ტორომ პუბლიკა დაინტრიგებული დატოვა: „რალაც არ მახსენდება... იქნებ, იყო, იქნებ, არც იყო. ამ თავსატეხს წარმოსახვის გასაფარჯიშებლად გიტოვებთ“. დელ ტოროს სიტყვებს მალე სკარლეტის „უარყოფაც“ მოჰყვა: „ჩემი იუმორის გრძნობა და გულღია ხასიათი, რაც ნიუ-იორკის მკვიდრთათვის დამახასიათებელია, ზოგჯერ სხვებისთვის გაუგებარია“. მსახიობმა დასძინა, რომ ბენი-



სიოს უხერხულ მდგომარეობაში ჩაყენება არ მინდოდა. ხოლო რაც შეეხება სექსს, ამ საქმის ლიფტში გაკეთება, აზრადაც არ მომივა, რადგან ეს „ანტისანტიარულიაო“!

ჭორები უსაფუძვლოდ არასდროს ჩნდება! ფილმის — „მარგალიტისსაყურიანი გოგონა“ — გადასაღებ მოედანზე არავის სჯეროდა, რომ მომხიბვლელ კოლინ ფერტსა და სკარლეტს შორის ვნების ნაპერწკალი არ გაღვივებულა. როგორც ამბობენ, ფერტი პარტნიორით ძალზე გატაცებული იყო და რომანის გაჩაღებას მხოლოდ მისმა ცოლისადმი ერთგულებამ და უსაზღვრო წესიერებამ შეუშალა ხელი. იმასაც ამბობენ, რომ სკარლეტიც განიცდიდა, რადგან გულგრილი არც თავად იყო. ასე იყო თუ ისე, ორივე მათგანი ღირსეულად მოიქცა. ამ ამბავს „სისხლიანი“ გაგრძელება არ მოჰყოლია. „ჩვენ შორის ვნებამ მართლაც იფეთქა, მაგრამ განა ეს არის მსახიობის მთავარი ამოცანა?! კოლინს საოცრად მომხიბვლელი ცოლი და არაჩვეულებრივი შვილები ჰყავს“, — აუღელვებლად განმარტა შექმნილი სიტუაცია სკარლეტ იოჰანსონმა. მოგვიანებით, თითქმის იგივე სიტყვები გაიმეორა მსახიობმა ინგლისელი პარტნიორის, ევან მაკრეგორის შესახებ. მაიკლ ბეის ბლოკბასტერის — „კუნძული“ გადაღებების დროს, სკარლეტი და ევანი წთვის განმავლობაში განუყრელი იყვნენ და რა გასაკვირია, თუ ერთმანეთისადმი გულგრილი არ დარჩნენ? როგორც მოსალოდნელი იყო, მათ შორის არსებული რომანის შესახებ, ხმები სასწრაფოდ გავრცელდა. პრესკონფერენციებზე სკარლეტი და ევანი ერთმანეთს ხოტბას ასხამდნენ და არ მალავდნენ, რომ მძიმე გადაღებების დამლევაში მეგობრობა დაეხმარათ. ჭორიკანებმა მაკრეგორის სიტყვები გაისხენეს იმის შესახებ, რომ ცოლი უზომოდ უყვარს, მაგრამ ადამიანთა იმ კატეგორიას მიეკუთვნება, რომლებიც სახლიდან შორს თავს უკეთ გრძნობენ.

გადაღებების დასრულების შემდგომ, სკარლეტი და ევანი ერთად აღარავის უნახავს და თუკი მათ შორის რაიმე იყო, მაშინ სკარლეტი მართლაც შექების ღირსია — ის მტკიცე ხასიათის მქონე ადამიანის გარდა, უდიდესი კონსპირატორიც ყოფილა!

ბოროტი ხმები იმასაც ამბობენ, რომ



ამძიმებს თუ არა სკარლეტს დედის გადაჭარბებული მზრუნველობა და არსებობს თუ არა მათ შორის ფარული კონფლიქტი (როგორც ეს „ბავშვ-ვარსკვლავებს“ ბრუკ შილდს, დრიუ ბერიმორს, კირსტენ დანსტა და მათ მენეჯერ დედიკოებს დემარათ)? მსახიობი აღშფოთებით პასუხობს: „მათ თავიანთი შვილების დიდება თავში აუყარდათ. ფიქრობდნენ, რომ შვილები ყველაფერს მათ უნდა უმადლოდნენ და ამიტომ, მათ ყველაფრის კეთებას აიძულებდნენ. დედაჩემი კი, მე და ჩემს გადაწყვეტილებებს პატივისცემით ეპყრობა, ამიტომ მის რჩევებს ვუჯერებ“. სხვათა შორის, სკარლეტი სპეციალურად შეხვდა დრიუ ბერიმორს,

სკარლეტ იოჰანსონის მომზიბვლელობამ 70 წლის ვუდი ალენიც იმსხვერპლა, როდესაც ფილმში — „მატჩ-პოინტი“ კეიტ უინსლეთი იოჰანსონით შეცვალა. მართალია, ამბობენ, თითქოს ტომ კრუზმა ფილმში — „მისიის შესრულება შეუძლებელია 3“ სკარლეტს როლი იმიტომ არ მისცა, რომ მან საინტოლოგიით გატაცება არ გაიზიარა და ამით, კრუზის საუკეთესო გრძნობები შეურაცხყო. მაგრამ სინამდვილეში სკარლეტმა ვუდი ალენთან მუშაობა ამჯობინა, რადგან ამ უმძიმესი, ნევროზული ხასიათის რეჟისორთან მუშაობა, პოლივედში უდიდეს პატივად მიიჩნევა. ვუდი ალენთან მუშაობაზე ყველა ოცნებობს, მაგრამ მასთან მუშაობის დასრულების შემდგომ, ცოტა ვინმე თუ ახსიათებს დიდ მესტროს ისე, როგორც სკარლეთი: „ის შესანიშნავი, ეგოიზმისგან სრულიად თავისუფალი ადამიანია. მასთან ურთიერთობა დიდი სიამოვნებაა!“ ამ სიტყვებმა თავად ალენიც კი შეაცბუნა: „სკარლეტს ვთხოვე, ყველასთვის მოეთხრო, თუ როგორი ურჩხული ვარ სინამდვილეში!“ თავის მხრივ, ქათინაურები ვუდი ალენმაც არ დაიშურა (რაც მისგან მსახიობებს იშვიათად ღირსებათ): „საერთოდ, გადაღებების დასრულების შემდგომ საოცრად გატანჯული ვარ ხოლმე. თავს იმდენად შეუძლოდ ვგრძნობ, რომ არავის დანახვა არ მსურს, მაგრამ სკარლეტთან ყველაფერი სხვაგვარად იყო. ოდნავადაც არ დავღლილვარ და ისევ მუშაობა მინდა“, — განაცხადა რეჟისორმა და მომდევნო ფილმში — „სენსაციური სიახლე“, სკარლეთი ისევ მიიწვია.

დიადი კონსპირატორი სკარლეტ იოჰანსონის პირადი ცხოვრების დეტალების შესახებ, ცოტა რამაა ცნობილი. პირველი ბიოფრენდი 14 წლის ასაკში ჰყავდა,


შემდეგ, მსახიობ პატრაკ უილსონს ხვდებოდა. 2004 წლის დასაწყისში, კამერონ დიასის ყოფილი ბიოფრენდი, ჯარედ ლეტო გაიცნო. მათგან ე.წ. „მუდმივი წყვილი“ (როგორც პოლივედში უნოდებენ) შეიქმნა, მაგრამ ერთმანეთს მხოლოდ გადაღებებს შორის ხანმოკლე შესვენებების დროს ხვდებოდნენ. ფილმ „კუნძულზე“ მუშაობის პერიოდში, წყვილი ერთმანეთს დაშორდა. ბრაიან დე პალმას სურათის — „შავი გეორგინი“ გადაღებებზე სკარლეთი 26 წლის ჯომ ჰარტ-ნერთან ერთად მუშაობდა. სკარლეტმა მალე აღიარა, რომ მათი ურთიერთობა უბრალო მეგობრობის საზღვრებს გასცა, მაგრამ სხვა არაფერი... „ჩემი ბიოფრენდების შესახებ, ბევრ ზღაპრებს ჰყვებიან. მომწონს კიდევ, როდესაც გავიგებ ხოლმე, რომ თურმე ახალი კავალერი მყოლია. ასეთ დროს ვფიქრობ, რომ მაგარი გოგო ვარ!“

სკარლეტ იოჰანსონს პოლივედის საზოგადოებისგან თავი შორს უჭირავს, ცდუნებებს შესაშურ წინააღმდეგობას უწევს და სკანდალებით პოპულარობის მოპოვებას არ ცდილობს, მაგრამ ზომიერების ფარგლებში არც იმას მალავს, რომ მისთვის არაფერი ადამიანური (ანუ ვარსკვლავური) უცხო არ არის. მაგალითად, მან განაცხადა, რომ სიამოვნებით გაიცნობდა პრინც უილიამს (ეს სურვილი ორიგინალობით არ გამოირჩევა. დროდადრო ამგვარ განცხადებებს მრავალი ვარსკვლავი აკეთებს). იმაშიც გამოტყდა, რომ სახის კრემებსა და ლოსიონებს ხმარობს, 30 წლის ასაკში, კი პროფილაქტიკის მიზნით, სახის კანის დაჭიმვას აპირებს: „იმაზე ფიქრიც კი მზარავს, რომ ერთ მშვენიერ დღეს დედაბერს დავემსგავსები!“ სკარლეთი იმ ახალგაზრდა მსახიობებს მასხრად იგდებს, რომლებიც უზომოდ გახდომას ცდილობენ. მას სპორტ-დარბაზში სიარული სძულს, მაგრამ ზედმეტი კილოგრამების მასაც ეშინია. მსახიობი შინიდან მაკიაჟის გარეშე იშვიათად გადის. სხვა ქალებსაც ურჩევს, რომ განწყობილების ასამაღლებლად, წითელი ფერის პომადა იხმარონ.

სკარლეტს თავისი ხრინწიანი, მგრძობიარე ხმით სიმღერა ძალიან უყვარს. ერთხელ, მისმა მუსიკალურმა განათლებამ და სიმღერამ თავად ენდრიუ ლოიდ-უებერიც კი აღაფრთოვანა. ფილმის — „სასიყვარულო ციებ-ცხელება“ გადაღებებზე, სკარლეთი ჯონ ტრავოლტასთან ერთად დუეტში სიმღერით დაღლილ კოლეგებს ართობდა. მადლობის ნიშნად, ტრავოლტამ სკარლეთი აფრიკაში პიკნიკზე მიიპატიჟა... ამას წინათ, იოჰანსონმა ჯონს დაპირება შეახსენა...

ცოტა ხნის წინ, ჰარი პოტერის როლის შემსრულებელმა, ახალგაზრდა ინგლისელმა მსახიობმა დანიელ რედკლიფმაც განაცხადა, რომ მას შემდეგ, რაც 16 წელი შეუსრულდა (ინგლისის კანონების თანახმად, მოქალაქეებს სასიყვარულო ურთიერთობის დამყარების უფლება 16 წლის ასაკიდან აქვთ) მხოლოდ ერთ რამეზე — სკარლეტ იოჰანსონის ბიოფრენდობაზე ოცნებობს.

## ნაომი კემპბელის სასამართლო პრეტენზია 3 თვით გადაიდო



ნ ა ო მ ი კემპბელის სასამართლო პროცესი, რომელზეც სუპერმოდელს შინამოსამსახურზე თავდასხმაში ედება ბრალი, სექტემბრამდე გადაიდო. შინამოსამსახურე ანა სკოლაინო აცხადებს, რომ ოპრა უინფრის

ტელეშოუზე მიმავალმა კემპბელმა სახელში ჯინსი ვერ იპოვა. ამის გამო გააფრთხულმა მოდელმა, მას მობილური ტელეფონი ესროლა. აპარატი მსხვერპლს თავში მოხვდა, რის გამოც დაზარალებული საავადმყოფოში აღმოჩნდა. სადაც მას ქირურგებმა 4 ნაკერი დაადეს... ნაომი ბრალდებას კატგორიულად უარყოფს. მიუხედავად ამისა, მანჰეტენის სასამართლოში გამართული ხანმოკლე სხდომის შემდგომ ცნობილი გახდა, რომ კემპბელის ადვოკატები პროკურორებთან საპროცესო შეთანხმების შესაძლებლობას განიხილავენ. 27 სექტემბერს გაირკვევა, მივა თუ არა საქმე ბრალეულობის ფორმალურ წაყენებამდე. თუ სასამართლო ნაომის დანაშაულს დაადგენს, მას 7 წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.


ამასობაში, სასამართლოს, ნაომის კიდევ ერთმა მოსამსახურემ მიმართა. გაბი გიზსონი, კემპბელს ცემაში, შრომით დისკრიმინაციასა და ტრავმების მიყენებაში ადანაშაულებს.

ნაომი კემპბელმა მოდელიობის გარდა, სახელი ემოციური გამოხდომებით და ანჩხლი ხასიათითაც გაითქვა. მკითხველს შეეახსენებთ, რომ 6 წლის წინ, კანადის სასამართლო შინამოსამსახურე ჯორჯინა გალანისზე თავდასხმის საქმეს განიხილავდა. 38 წლის გალანისმა პროცესზე განაცხადა, რომ ნაომიმ მას ყელში ხელი ნაუჭირა, შემდეგ კი, თავში ტელეფონი ჩაატყა. მაშინ, ტომპოდელის ადვოკატებსა და პროკურატურას შორის გამართული მოლაპარაკების შედეგად, კემპბელი პასუხისგებისგან გაათავისუფლეს, რის შემდეგაც, მან თვითკონტროლის გაკვეთილების კურსი გაიარა.



„ბუნებამ საბედისწერო ქალის გარეგნობით დამაჯილდოვა და არა სკანდალური თავგადასავლებისადმი ფატალური მისწრაფებით“

# ბინალური იტმ საყვარელი გაიჩინა



26 წლის ფრანგმა მოდელმა ალექსანდრა პარესანმა აღიარა, რომ უკვე 6 თვეა, მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელს, რონალდინოს ხვდება. სხეულის

თითქმის იდეალური პარამეტრების მქონე გოგონა (90-62-90) მსოფლიოში ყველაზე ცნობილ პარფიუმერიულ ბრენდებს უწევს რეკლამირებას და ამასთან ერთად, კინოში მოსახვედრადც გადადგა ნაბიჯი: სულ მალე, ეკრანებზე, მისი მონაწილეობით, გამოვა ფილმი ასტერიქსისა და ობელიქსის შესახებ. სექსუალურ მოდელს ეჭვიც არ ეპარება იმაში, რომ 26 წლის რონი მის ანკესზე თავიდანვე წამოეგო. ჩვენ ერთმანეთს თებერვალში, ბარსელონაში შევხვდით. შემთხვევით ერთ სასტუმროში დავბინავდით. მე მოდების ჩვენებაზე მივედი და იქ რონი დავინახე, რომელიც ჩვენებაზე თანაგუნდელებთან ერთად იყო მისული, — განაცხადა „ბარსას“ ფორვარდის ამჟამინდელმა სატრფომ. — ფოიეში მაგიდაზე ბარათი დავუტოვე, სადაც ჩემი სახელი და სასტუმროს ნომერი ეწერა. შემდეგ, აპარტამენტებში შევედი და რონალდინოს პასუხს დაველოდე. რამდენიმე ხანში, მან მარ-

თლაც დარეკა და შეხვედრა მოხდა. იმ საღამოს შემდეგ, ერთმანეთს ვხვდებით... ალექსანდრა და რონი ერთმანეთს ძალზე იშვიათად ხვდებიან. „მე ძალზე დატვირთული სამუშაო გრაფიკი მაქვს — ჩვენებები, გადაღებები, გაუთავებელი მოგზაურობა საფრანგეთსა და ჰოლანდიას შორის. ყოველივე ამას ბევრი დრო მიაქვს. ამ თვალსაზრისით, რონიც სცოდავს... მაგრამ თუ თავისუფალი წუთი გამოგვიჩნდა, მაშინვე ერთმანეთისკენ მივეშურებით. გარდა ამისა, ერთმანეთს ხშირად ვურეკავთ და წერილებსაც ვუგზავნით. როდესაც რონის თამაშები აქვს, ადგილს ვერ ვპოულობ“...

წყვილი ერთმანეთთან ფრანგულად ლაპარაკობს. ბრაზილიელმა ვარსკვლავმა დიუმასა და ჰიუგოს ენა მაშინ აითვისა, როდესაც 3 სეზონის მანძილზე, საფრანგეთის დედაქალაქის კლუბ „პარი სენ-ჟერმენში“ თამაშობდა.

## ჯგუფის — Guns-N-Roses — ლიდერმა სასტუმრის დაცვა დაკამინა



როკჯგუფის Guns-N-Roses-ის ლიდერი — ექსელ როუზი სტოკჰოლმის პოლიციამ სასტუმროს დაცვის წევრზე თავდასხმისთვის დააკავა. როგორც ვარაუდობენ, მუსიკოსმა მცველს ფეხზე უკბინა. ჯგუფმა ორშაბათს უკანასკნელი კონცერტი ჩაატარა. კონცერტის შემდგომ, მისმა წევრებმა სტოკჰოლმის ერთ-ერთ ლამის კლუბს მიაშურეს. გამთენიისას, სასტუმროში დაბრუნებულმა როუზმა პოლში ქალბატონს ჩხუბი აუტყუა და თავს დაესხა მცველს, რომელიც ინციდენტში ჩარევას ცდილობდა. ალიაქოთის დროს, მუსიკოსმა სასტუმროს ინვენტარიც დააზიანა. სტოკჰოლმის პოლიციის პრესატაშეს, ტოვე ჰაგის განცხადებაში ნათქვამია, რომ ექსელ როუზი ძალზე მთვრალი იყო და დაკავების დროს, პოლიციელთა შეკითხვებზე პასუხის გაცემას ვერ ახერხებდა, ამიტომ მისი დაკითხვა გადაიდო. პროკურორი საქმის გარჩევას შემდგომ გადაწყვეტს, ნაუყენებენ თუ არა ბრალს მუსიკოსს.

## ენცონი ჰოპკინსი ბოლში შერის



სერ ენცონი ჰოპკინსი მის ცხოვრებაში უდიდესი როლისათვის ემზადება. ამ შემთხვევაში, სიტყვა „უდიდესი“ პირდაპირი მნიშვნელობით უნდა გავიგოთ: ცნობილი მსახიობი იმითაა დაკავებული, რომ ლეგენდარული კოლეგის — მარლონ ბრანდოს ეკრანული სახის შესაქმნელად ემზადება და ამისათვის წონის მომატებასაც ცდილობს. ფილმში ბრანდოს ცხოვრების ბოლო წლები იქნება ასახული. დიდი მსახიობი კი გარდაცვალებამდე 2 წლით ადრე, 160 კგ-ის იწონდა. გაზეთ SUN-ის კორესპონდენტისთვის ცნობილი გახდა, რომ ჰოპკინსი ამჟამად, მაღალკალორიულ დიეტას იცავს, რათა სასურველ წონას მიაღწიოს. სამწუხაროა, რომ მსახიობი ჯერჯერობით, დასახული მიზნისგან შორს დგას. მას კიდევ დიდი ძალისხმევა და უამრავი კალორიული საკვების მიღება მოუწევს, რათა მარლონ ბრანდოს წონას ოდნავ მაინც მიუახლოვდეს. კალორიული საკვების მიღებასთან ერთად, ჰოპკინსი ბრანდოს ფილმებს უყურებს, რათა დიდი მსახიობის მანერები, ქცევა და მისთვის დამახასიათებელი ამერიკული აქცენტი უკეთ აითვისოს.

## ჯიტჯ მუმი — „შავი მუსიკის“ ისტადთა მასპინძელი

აშშ-ის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა თეთრ სახლში, გამოჩენილი აფროამერიკელი მუსიკოსები მიიწვია. ეს შეხვედრა „შავი მუსიკის ერთთვიურის“ ფარგლებში შედგა. „ამ თვის განმავლობაში დიდი ყურადღება დაეთმობა იმ ლვანლს, რომელიც აფროამერიკულმა მუსიკამ ჩვენი ქვეყნის კულტურას დასდო. ჩვენ მაღლიერებას გამოვხატავთ იმ ხელოვნება მიმართ, რომელთა შემოქმედებამ ამერიკელებსა და მთელ სამყაროს მშვენიერება უძღვნა. ზოგიერთი შავკანიანი მუსიკოსი თეთრ სახლში საკუთარი შემოქმედებით წარდგა. ამ ტრადიციას მომავალშიც გავაგრძელებთ“, — განაცხადა პრეზიდენტმა ბუშმა მუსიკოსთა მიღების ცერემონიაზე.



# უშვილონის ექიმნაშური ნამალო...

ინგა ჩაყელი

უჩვეულო ამბების ძიებაში რა უცნაურობას არ გადაყრივარ, მაგრამ ქართველების მართლაც ფენომენალური „გამჭრიასობის“ წყალობით, არასდროს არ ვარ დაზღვეული იმგვარი გაცემებისგან — როგორც სამეგრელოს ერთ-ერთ სოფელში ყოფნისას დამეზარათა. იქ ჩემი თანაკურსელი ცხოვრობს და როცა ამის შესაძლებლობა მეძლევა, სიამოვნებით ვსტუმრობ ხოლმე.

დაახლოებით ხუთი წლის წინ, როცა, კვლავ გაუთხოვარმა ჩავაკითხე, ბელამ თავი გაიგიჟა: შენ ან ჯადო გაქვს გაკეთებული, ან სიზარმაცე შეგებარა და თავისუფლებას ნებით ვლარ თმობ; სასწრაფოდ მეზობელ სოფელში უნდა წაგიყვანო, სადაც ცნობილი შემლოცველი ცხოვრობს, სასწაულებს ახდენს და შენთვისაც უნდა გამოვალოცვიროო!..

მაშინ არც დრო მქონდა საამისოდ და არც სურვილი, რადგან მკითხავ-მჩხიბავების ბევრი არაფერი მწამს, მაგრამ წელსაც რომ ლანძღვის კორიანტელში გამხვია მეგობარმა — რას ჰქვია, საკუთარი თავისთვის ვერ მოგიცლია და ისევ მარტო ხარ, უხეირო, გონჯი ქალივითო! — ლამის იქით შევეხვეწე — ოღონდ თავი დამანებე და ჯანდაბას, წამოგყვები იმ შენს სასწაულთმოქმედ მკითხავთან-მეთქი!

წამით შეცბა და მერე, ისეთი სიცილ-კისკისი აუტყდა, ჩაბურდა:

— არველოდი აფერისტზე ამბობ, ხომ?! — რა აფერისტი, რის აფერისტი, შენ არ იყავი, ცამდე რომ აცყავდა ქებით და ლამის მსხნელად გამოაცხადე?!

— დაჯექი, დაჯექი და მოგიყვები მაგ ამბავს, ოღონდ, გახეთში არ გაგწერო, ისედაც დაგვცინიან — მეგრელებს ყოველ ნაბიჯზე სასწაულს უგონებთო. არადა, მართლა სასწაული დაგემართა იმ უდღეურმა არველოდმა: გარდა იმისა, რომ ჯადოს ახსნას იბრალებდა და წინასწარმეტყველებასაც, ვითომ ექიმბაშობდა კიდეც. ყველაზე მეტად კი, უშვილობის წამლის კლიენტები ეხვეოდნენ, ლამის მთელი საქართველოს მასშტაბით ჩამოდიოდნენ, მათ შორის ისეთებიც, ვისაც ცნობილ კლინიკებში უთხრეს უარი მკურნალობაზე.

— არ მითხრა ახლა, არველოდი ასეთებსაც შევლოდაო!

— შევლოდა და მერე როგორ! მარტო მე რაც ვიცი, 7 ბავშვი გაჩნდა მისი მეცადინეობით და რაც მე არ ვიცი, ორჯერ მეტია ალბათ. გასინჯვით, ცოლსაც სინჯავდა, ქმარსაც — როგორც საჭიროდ მიიჩნევდა, ხან ერთს იტოვებდა და ხან — მეორეს თავის საშინაო სასტუმრო-ლაზარეთში და რალაც ბალახბუღახის ნახარშებს ასმევდა — უფრო

ხშირად, ქალებს, და თუ ვინმეს „მკურნალობის“ ვადა ერთ თვეს მაინც გაუგრძელდეოდა, ყველა დაორსულდა თითქმის და მინიერ ღმერთად იქცა არველოდი ყველასთვის. ფულს მუჭებით აყრიდნენ თავზე, გახარებულები, და რომ არა ერთი შეცდომა, დღესაც არხეინად იქნებოდა.

— შემოაკვდა ვინმე?!  
— არა, რას ამბობ?! — კინალამ იქით მოკლა ერთი ქალის ქმარმა, რომელსაც მარცხი მოსვლია დაქორწინებამდე და ოპერაციისას, ექიმებს ისე მოუჭრიათ მისთვის მამაკაცური ღირსება, ვითომ კაცი დარჩა პლასტიკური ოპერაციის შემდეგ, მაგრამ უშვილო რომ იყო, ეს სხვისთვის არ გაუმხელია, თორემ თავად კარგად იცოდა თავისი უბედურება... სამი წლის მერე, შეილი რომ არ გაუჩნდათ, დაუშვადლებია ცოლისთვის თავი: კი ხარ გაგდების ღირსი, მაგრამ გულჩვილი ვარ და თანახმა ვარ, სხვისი ვიშვილოთო! — რაზეც ქალი გადაარეულა: რას ჰქვია, უშვილო ვარ, ექიმებთან მივალ და დაგიმტკიცებ ჩემს „უდანაშაულობასო“!.. ქმარს რად უნდოდა სიმართლის გამჟღავნება და ბოლოს, ისევ თავად ურჩევია ქალისთვის, არველოდისთან „მკურნალობა“ იმ იმედით, რომ თვითმარქვია ექიმბაშო მის უბედურებას მაინც ვერ გამჟღავნებდა, ჰოდა — საკუთარი დანითვე გამოიჭრა ყელი...

— რა მოხდა ასეთი?!

— ის, რომ არველოდმა ერთ თვეში „განკურნებული“ ცოლი გაატანა შინ, რომელსაც მალე წამოეზარდა მუცელი და ექოსკოპიამ დაადასტურა, რომ ერთის ნაცვლად, ტყუპი მოველინებოდა ქვეყანას. ამის გაგონებაზე, თოფს რომ წამოავლო ხელი კაცმა, ეგონათ, სიხარულით გაგიჟდა. მაგრამ ის მანქანაში ჩახტა და გეზი ექიმბაშის სოფლისკენ აიღო, რომელიც საბედნიეროდ, შინ არ დახვედრია, თორემ, იქვე გააფრთხოებდა სულს: სულ დაუცხრილავს მისი სახლის კედლები და დაუღენია ფანჯრები. მეზობლებმა პატრულს დაუძახეს და დააჭერინეს სულიგანი, რომელმაც კაპე-ზემი თავის დახრჩობა სცადა თურმე და ბენეზე გადაარჩინეს — ჩამოსხნეს თოკივით დაგრეხილი ზენრიდან... მერე, დუმილი ვლარ შეძლო და გაამხილა თავისი უბედურება. ჩატარდა ექსპერტიზა და გამჟღავნდა, რომ ჩვენი არველოდი თავად ასრულებდა „ბუღის“ მოვალეობას და უშვილობით განამებულ-ნალან-



ძლი ქალები — უნაყოფოს, ხესაც ჭრიანო! — მათ საჭურის ქმრებზე შურს იმით იძიებდნენ, რომ შესანიშნავი გარეგნობის მქონე არველოდის „სიყვარულზე“ უარს არ ეუბნებოდნენ და ალერსსაც წამალივით ირგებდნენ...

— არ მითხრა, ახლა, ერთ-ერთმა „რქებ-დადგმულმა“ ქმარმა მოკლა არველოდიო?

— არა, სიკვდილს გადაურჩა, მაგრამ სამმა უჩივლა ერთდროულად და ციხეში ჩააყუდეს სამი წლით!

— აბა, ბევრად მეტს გააჩენინა ბავშვიო?!

— სხვამ ენაზე კბილის დაჭრა ამჯობინა და ალბათ, შეიძლება გაუგო — არაა ადვილი კაცისთვის იმის აღიარება, რომ საჭურისი და უნაყოფოა, თან ანგელოზივით ბავშვია ყველა, არველოდის „ნაკეთები“, და გაუჭირდებოდათ შელევა...

— არაფერს მატყუებ?! — ეჭვით შევხედე მეგობარს.

— რას უნდა გატყუებდე?! მადლობა ღმერთს, მაშინ რომ არ დამიჯერე და არ გამომყევი! — შემომხედა დანაშაულის მწერით. ვერ გეტყვით, რა ზიანი შეიძლებოდა ჩემთვის მოეყენებინა არველოდის, მაგრამ გული ამკარად დამწყდა, რომ ჩვენი დროის დონეუანი თუ კაზანოვა პირადად ვერ გავიცანო... მაგრამ არა უშავს — სამი წელი მალე გაირბენს, გამოვა ციხიდან არველოდი და თუ მშობლიურ სოფელში დაბრუნება გაბედა, აუცილებლად ვინახულვებ, ცინცხალ მასალასაც „დავცინცლავ“ საკუთარ „მეცნიერულ მიღწევებსა და გამოცდილებასზე“!

**ნდობის ტელეფონი**  
**ფსიქოლოგიური**  
**კონსულტაციები**  
**822 42 55 44**  
**822 006 005**  
**822-006-099**

ზარი ფახიანია, 18 წლიდან  
დაპროფიციანტი უსაქალაქო  
ტელეფონ-განათმეობით

A small illustration of a woman with curly hair, looking thoughtful while holding a telephone receiver to her ear.

1772 წელს ნორმანდიაში, ქალაქ ალანსონში, პატიოსანი პროვინციელების — მუსიე ლენორმანის ოჯახში დაიბადა ბავშვი, რომელსაც ნათლობისას მარი-ანა-ადელაიდა უწოდეს. ის მხოლოდ შვიდი წლის იყო, როცა პირველად იწინასწარმეტყველა. კაცმა არ იცის, რატომ ჰკითხეს პატარა ბავშვს მონაზვნება, თუ ვინ გახდებოდა მათი მონასტრის წინამძღოლი, მაგრამ ჰკითხეს და ბავშვმაც უპასუხა, რომ ხელმწიფე გააქარწყლებდა ყველა ინტრიგას და წინამძღოლად მეზობელ პროვინციაში მცხოვრებ ყველასათვის უცნობ ქალბატონს დანიშნავდა. მონაზვნებს სიცილადაც არ ეყოთ მისი ნათქვამი, მაგრამ გავიდა დრო და მარი-ანას წინასწარმეტყველება ახდა.

# ქალწულ ლენორმანის საიდუმლოება მისი მეთოდით დღემდე სარგებლობენ მთელი მსოფლიოს მკითხავეები

იმ ხანებში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ცნობილი მეცნიერის — დოქტორ გალის ნაშრომი. მან შექმნა თეორია, რომლის თანახმადაც, ადამიანის ტალანტი და უნარი მისი თავის ქალის ფორმით განისაზღვრებოდა. დოქტორი გალი ლონდონში ცხოვრობდა და მარი-ანამ გადანყვიტა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, მასთან ჩასულიყო. მაგრამ გოგონას სამგზავროდ ფული არ ჰქონდა. ჰოდა, გადანყვიტა, თავისი მათემატიკური ნიჭი გამოეყენებინა და ლატარიის ბედნიერი ბილეთის ნომერი გამოთვალა. შემდეგ კი, ყველაფერი ძალზე მარტივად მოხდა: მარი-ანამ ბილეთი შეიძინა და 1.200 ფრანკი მოიგო.

როცა ფრანც-იოსიფ გალმა გოგონას თავის აგებულება შეისწავლა, მან მარი-ანას ფრენოლოგიისა და მკითხაობის მეთოდების შესწავლა შესთავაზა. დოქტორმა წინასწარ განჭვრიტა, რომ იგი ცნობილი წინასწარმეტყველი გახდებოდა და ევროპის მალალ საზოგადოებაში მის შესვლასაც შეუწყო ხელი. მალე ლენორმანმა საყოველთაო პატივისცემა დაიმსახურა და გამდიდრდა კიდევ. საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები ყურადღებით ადევნებდნენ თვალს მის წინასწარმეტყველებას, რომელიც სულ უფრო და უფრო მეტი სიზუსტით გამოირჩეოდა. მან პოლიტიკური სიახლეების პროგნოზირებაც გაბედა. ლენორმანმა საოცარი სიზუსტით იწინასწარმეტყველა: საფრანგეთის მონარქიის დამხობა, ცვლილებები სასულიერო პირთა შემადგენლობაში და მონასტრების დახურვა.

სულით როიალისტმა ლენორმანმა დედოფალ მარია-ანტუანეტას გადარჩენა განიზრახა, რომელიც ტამპლის ციხეში იტანჯებოდა, — არადა, იცოდა, რომ ეს შეიძლებოდა, საკუთარი სიცოცხლის ფასადაც კი დასჯდომოდა. საოცარია, მაგრამ ციხის უფროსმა და ზედამხედველმა მას ტუსაღთან შესვლის ნება დართეს. მაგრამ მარია-ანტუანეტამ ვერ გაბედა გაქცევა და სიცოცხლე ეშაფოტზე დაასრულა...

ერთხელ, ლენორმანს სამი უცნობი ენჯია მოგვიანებით გაირკვა, რომ ისინი — რობესპიერი, მარატი და სენ-ჟიუსტი გახლდნენ. — ნუ შეგეშინდება სიმართლის თქმის, — უთხრა მას სენ-ჟიუსტმა. — ჩვენ გვიყვარს სიცოცხლე, მაგრამ თუ სიკვდილი გვიწერია, შევძლებთ, მას ღირსეულად შევხვდეთ.

ლენორმანმა ბანქო გაშალა და სახეზე შეძრწუნება გამოეხატა. ხანგრძლივი ყოყმანის შემდეგ, მან წარმოთქვა:

— თუ თქვენ სიმართლე არ გაშინებთ,



ნაპოლეონის მეფე კურთხევა

მაშინ იცოდეთ, რომ ერთი წლის განმავლობაში სამივეს სიკვდილი გელით.

შემდეგ მან მარატს მიმართა:

— თქვენ მეგობრებზე ადრე დაიღუპებით, მაგრამ ხალხი ისეთ პატივს მოგაგებთ, როგორსაც ადრე რომელთა სენატი მიაგებდა იმპერატორებს, ამ ბატონებს კი, სიკვდილის წინ, ხალხი დასწყევლის.

— მოქალაქე, თქვენი ბანქო ტყუის და ხალხს ცილს სწამებს! — სიტყვა გაანყვიტინა მარატმა მკითხავს. — იცით, რომ ჩვენ შეგვიძლია ტრიბუნალს გადაგვცეთ?

ამ სიტყვების მერე სამივემ დაუმშვიდობებულად დატოვა ოთახი. ამ ამბიდან ორი თვის შემდეგ, მარატი შარლოტა კორდემ გაისტუმრა იმ ქვეყანას. რობესპიერმა ხელმეორედ მოინახულა ლენორმანი, რომელმაც ამ ვიზიტის შემდგომ თავი ციხეში ამოყო. საკანში ყოფნისას ლენორმანმა ტერორის დასასრული იწინასწარმეტყველა და სამეფო კარის თეატრების დირექტორი ქალის — მონტანსიეს გადარჩენაც მოასწრო. უბედურ ქალს სხვა ციხეში გადაყვანას უპირებდნენ. ლენორმანმა კი მისწერა: „ჩანექით ლოგინში და თავი მოიავადმყოფეთ. ციხის გამოცვლა თქვენ ეშაფოტზე აგიყვანთ,

მაგრამ თუ ჩემს რჩევას გაითვალისწინებთ, ამ ხვედრს აიცილებთ და ღრმა სიბერეში აღესრულებით“. ყველა ტუსაღი, რომელიც იმ დღეს სხვა ციხეში გადაიყვანეს, გილიოტინაზე დაიღუპა. მონტანსიემ კი, რომელიც მოგვიანებით ციხიდან გაათავისუფლეს, თითქმის 100 წლამდე იცოცხლა.

1793 წელს, ლენორმანმა ახალგაზრდა ოფიცრის — ბონაპარტის წერილი მიიღო. ინტრიგებით დაღლილი და უიღბლო კარიერით განაშებული კაცი საფრანგეთის დატოვებასა და სულთანთან სამსახურის დაწყებას აპირებდა. ლენორმანმა მას ასეთი წერილი მისწერა: „თქვენ გამგზავრების ნებას არ დაგრთავენ. უდიდეს როლს შეასრულებთ საფრანგეთის ისტორიაში, შეირთავთ ქვრივს, რომელიც უდიდეს ბედნიერებას მოგიტანთ. მისი წყალობით, თქვენ საზოგადოებრივი მდგომარეობის უმაღლეს საფეხურს მიადნევთ, მაგრამ უმადური აღმოჩნდებით“.

ლენორმანმა ციხეში ჟოზეფინა ბოგარნე გაიცნო, რომელიც თავის ქმართან — ვიკონტ ალექსანდრ ბოგარნესთან ერთად დააპატიმრეს. ახალგაზრდა ქალმა ლენორმანი დაითანხმა, მისთვის ემკითხავა და დაუფარავად ეთქვა, თუ რა ელოდა მომავალში. პასუხად კი მიიღო, რომ ალექსანდრ ბოგარნეს სიკვდილით დასჯიდნენ, თვითონ კი, ბრწყინვალე მომავლის მქონე ახალგაზრდა ოფიცერს გაჰყვებოდა ცოლად. 1794 წლის 23 ივლისს, ალექსანდრ ბოგარნე სიკვდილით დასაჯეს. ჟოზეფინა საყრობილიდან გამოსვლის შემდეგ, ტანმორჩილ ოფიცერს შეხვდა, რომელიც ის-ის იყო, გენერლის რანგში აუყვანათ. მან ჟოზეფინა ცოლად შეირთო. რამდენიმე ხნის შემდეგ, გენერალი ბონაპარტი, იმპერატორ ნაპოლეონ პირველად იქცა. მარი-ანა ლენორმანმა იმპერატრიცა ჟოზეფინასგან საჩუქრად პორტრეტი, მარჯნის თასი და ლალისთვლიანი ბუჭედი მიიღო... მაგრამ ლენორმანმა ხომ არა მარტო ბედნიერი ქორწინება იწინასწარმეტყველა, არამედ ბონაპარტისა და ჟოზეფინას გაყრაც, გაყრის შემდეგ კი — ტანმორჩილი კორსიკელის კარიერა თავდაღმართში დაემუა...

მარი-ანა ლენორმანმა 1845 წლამდე იცოცხლა. 25 ივნისს, იგი გარდაიცვალა და პარიზში, პერ-ლაშეზის სასაფლაოზე დაკრძალეს. უკანასკნელი განსასვენებლისაკენ მის ცხედარს, იმ დროის საფრანგეთის ყველა გამოჩენილი ადამიანი მიაცილებდა, მათ შორის — საგარეო საქმეთა მინისტრი გიზი, რომელსაც წინასწარმეტყველი ასევე დაუმარა, როცა ის ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა და ყველასათვის უცნობი იყო.

ლენორმანის სიკვდილის შემდეგ, მისი ჩანაწერების, წერილებისა და შენიშვნების გარდა, დარჩა ერთი უცნაური, დაუმთავრებელი ხელნაწერი, რომელიც სრულიად ახალი, ციფრობრივი მკითხაობის სახეობას შეიცავდა, რისთვისაც განსაკუთრებული, ათგვერდიანი კამათლების გამოყენება იყო საჭირო. სამწუხაროდ, დღემდე ვერავინ მოახერხა ხელნაწერის განცალკევებული გვერდების გაერთიანება და მისი საიდუმლოს ამოხსნა. ერთადერთი, რაზეც შეიძლება მსჯელობა, ესაა ლენორმანის მიერ რიცხვების თეორიის წვდომის საოცარი უნარი და კომბინატორიკის ღრმა ცოდნა, რომელიც იმ დროს, ყველასთვის უცნობი გახლდათ.

# სასიხვდილო თაგაში ბურთით

ანუ ფახბურთის, ფრანბურთისა და ალათბურთის „წინაპარი“ – ტლაჩბლი



იმ დროს, როცა ძველი სამყაროს ყველა დიდი სახელმწიფო დაემხო, ევროპა კი შინაომებმა მოიცვა, ოკეანის გაღმა ქვეყნებში დიდებული ცივილიზაციები ყვაოდა, რომელთა ძლიერებაც სიბრძნესა და სარწმუნოებრივ ერთობას ფუძნებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ბორბლისა და რკინის კულტურა მათთვის უცნობი იყო, მაიასა და აცტეკთა იმპერიებმა ეგვიპტის მსგავსად, განვითარების ისეთ სიმაღლეებს მიაღწიეს, რომლებიც დღემდე მიუწვდომელია. თავის დროზე, ამ ხალხების მიღწევებიდან ბევრი რამ გაუგებარი იყო დამპყრობელთათვის, რამაც შესაბამისად, მათი საფუძვლიანი ნგრევაც გამოიწვია. ამ ქვეყნების განსაცვიფრებელი ასტრონომიული გამოთვლები და კოლოსალური არქიტექტურული ნაგებობის შენების მეთოდის კონკრეტადორთათვის არანაირ ინტერესის საგანს არ წარმოადგენდა. ახალი მინები, ძალაუფლება და სიმდიდრე — აი, ყველაფერი, რაც მათთვის მნიშვნელოვანი იყო. თუმცა, არც სხვა ეგზოტიკურ სიახლეებს უფრთხოდნენ — თამბაქო, კარტოფილი, სიმინდი, პომიდორი, კაკაო, კაუჩუკი — რამაც, საბოლოო ჯამში, არანაკლები ღირებულება შეიძინა, ვიდრე ოქროს.

აცტეკთა მმართველის — მონტესუმას დამარცხების შემდეგ, ერნან კორტესი — კონკისტადორთა წინამძღოლი მადრიდში დაბრუნდა. მან თავის ხელმწიფეს — კარლოს მეხუთეს, მის მიერ გაძარცვული ტაძრებიდან წაღებული საუცხოო ძვირფასეულობის გარდა, ბურთიც ჩაუტანა, რომელიც უცნაური, დრეკადი მასალისგან იყო დამზადებული. ინდიელები მას „წმინდა ხის თეთრ ცრემლებს“ უწოდებდნენ. ეს კაუჩუკის ბურთი გახლდათ, რომელიც რიტუალური თამაშისას გამოიყენებოდა. თამაშს ტლაჩტლი ეწოდებოდა. იმ პე-

რიოდის ევროპა მსგავსს არაფერს იცნობდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ესპანურ ჩოგბურთს, რომელსაც ცხენის ძუით დატენილი ტყავის ბურთით თამაშობდნენ.

თამაშ ტლაჩტლისა და კაუჩუკის ფისისგან დამზადებული ბურთის წარმოშობის სათავეები შორეულ წარსულში იკარგება. აცტეკთა და მაიას ტომების მცხოვრებლებმა ეს

თამაში 1500 წლის წინ გადმოიღეს თავიანთი წინაპრების — ტოლტეკებისგან — „მცოდნე ადამიანებისგან“. ეს უძველესი ხალხი დღევანდელი მექსიკის ტერიტორიაზე ცხოვრობდა და სიბრძნის წყაროების ძიებით იყო შეპყრობილი. ამიტომ ყველა მათი ქმედება მეტ-ნაკლებად უკავშირდებოდა მაგიას. ტოლტეკები მხოლოდ ორ ღმერთს აღიარებდნენ — მინის ქალღმერთსა და ცისა და წვიმის ღმერთს. თამაში ტლაჩტლი უშუალოდ უკავშირდებოდა მზისა და მთვარის კულტს, მაგრამ ჩვენთვის უცნობია, როგორ გამოიყურებოდა იგი განვითარების საწყის ეტაპზე. კორტესის დროისთვის, თამაშის წესები შეცვლილი იყო და ასპარეზობამ ქარისა და წვიმის ღმერთების სიმბოლურ დამცველთა სახე მიიღო.

მაიას ტომის ტლაჩტლის ვარიანტი წინასწარმეტყველურ ხასიათს ატარებდა. ასპარეზობის შედეგად უნდა დადგენილიყო, თუ როგორი იქნებოდა მომავალი წელი — გვალვიანი თუ წვიმიანი. ეს ძალზე მნიშვნელოვანი იყო მთელი მოსახლეობისთვის, რომლის ძირითადი საქმიანობა მინათმოქმედება გახლდათ. მთელი წლის განმავლობაში, ქურუმთა ფხიზელი მეთვალყურეობის ქვეშ, მონინალმდეგეთა გუნდების წარმომადგენლები ინტენსიურად ემზადებოდნენ, რათა წლის ბოლოსთვის ერთმანეთს შერკინებოდნენ.

საგანგებოდ ამ ასპარეზობისთვის ტაძარ იგუარას აღმოსავლეთ ნაწილში ასუფთავებდნენ მინდორს, მის ორივე ბოლოში ქვის მაღალ კედლებს აღმართავდნენ, რომლებზეც რგოლები იყო დამაგრებული. მოთამაშეს ბურთი ამ რგოლში უნდა მოეთავსებინა, თანაც, მთელი ასპარეზობის განმავლობაში, ბურთი მინაზე არ უნდა დავარდნილიყო, მასზე შეხება კი, მხოლოდ იდაყვებითა და მუხლებით შეიძლებოდა. ხე-

ლის მტევნებითა თუ ფეხის ტერფებით ბურთზე შეხება აკრძალული იყო. ამ წესის დამრღვევი ჩვეულებრივ, სიკვდილით ისჯებოდა.

ასპარეზობა ერთი ქულის მოპოვებამდე გრძელდებოდა. ეს ნამდვილი ბრძოლა გახლდათ, რადგან დამარცხებული გუნდის უძლიერესი მოთამაშე ნაგების შემდეგ, სიკვდილით უნდა დასჯილიყო. განწირულ მოთამაშეს, ობსიდიანის ხმლით კვეთდნენ თავს. მაიას ტომში გავრცელებული რწმენის თანახმად, მსხვერპლის სისხლით მორწყული მიწა სიმინდის უხვი მოსავლით დააჯილდოებდა მათ. ასპარეზობისა და მსხვერპლშენიერვის შემდეგ, გამარჯვებულთა ღვთაების პატივსაცემად, იმართებოდა ცეკვები დოლის თანხლებით, რომლის ბრაგუნიც გვიან ლამიმდე აყრუებდა ირგვლივ მიდამოს.

...ამ გასაოცარი ამბის მოსმენის შემდეგ, ესპანეთის მეფემ კარლოს მეხუთემ ინდიელთა წმინდა რიტუალური თამაშის ხილვა მოისურვა. აღსანიშნავია, რომ წინდახედულ კორტესს ახალი მინების შორეული ნაპირებიდან ოთხი მოასპარეზე ნამოყვანა თან.

ასპარეზობის დღისთვის მადრიდში თავი მოიყარა სხვადასხვა ქვეყნიდან ჩასულმა ბრწყინვალე არისტოკრატებმა, რათა „საოცრება ეხილა“ — წერდა გერმანელი მოგზაური ქრისტოფორ ვეიდიტი. მაშინ ვერავინ წარმოიდგენდა, ტლაჩტლი და კაუჩუკის ბურთი ყოველდღიურ ცხოვრებაში თუ ისე დამკვიდრდებოდა, რომ ძველებური ჩოგბურთის წესებს შეცვლიდა, უდიდეს გავლენას მოახდენდა ფეხბურთის განვითარებაზე და სპორტის ისეთი სახეობების საფუძვლადაც მოგვევლინებოდა, როგორებიცაა: ფრენბურთი — რომელშიც მოთამაშეები ცდილობენ, არ დაუშვან ბურთის მინაზე დავარდნა. და კალათბურთი — რომელსაც შეიძლება ტლაჩტლის „გამარტივებული“ ფორმა ვუნდოთ. ორი ასეთი წლის შემდეგ, აღარავის ახსოვს ინდიელი მოასპარეზენი, ვისთვისაც ტლაჩტლი თამაში კი არა, ტრაგიკული აღსასრულის მქონე უდიდესი რიტუალური მნიშვნელობის გაჯერებული ასპარეზობა გახლდათ. თუმცაღა მაიას ტომის წარმომადგენელთათვის ტლაჩტლის ფინალური ეპიზოდი არ იყო ისეთი ტრაგიზმით აღსავსე, როგორადაც შეიძლება, დღეს მოგვეჩვენოს, რადგან იმ ადამიანებს, რომლებიც ტაძარ იგუარას წინ ქედს იხრიდნენ, სჯეროდათ, რომ მათი სიკვდილი ამაო არ იქნებოდა...

# „15 წლის ვიყავი, თბილისში საცხოვრებლად რომ გადმოვყედი“

მომღერალი **ნინა წაქრიალაშვილი** გორშია დაბადებული-გაზრდილი, თუმცა, როგორც თვითონ ამბობს, დედაქალაქთან კავშირი პატარა ასაკიდან ჰქონდა.

— ნინა, როდის დაადექი თბილისსკენ სავალ გზას?

— თბილისი მას შემდეგ მახსოვს, რაც საკუთარი თავი აღვიქვი. აქ ხშირად ჩამოვდიოდი და თვეობით ვრჩებოდი. გორში, ბავშვთა ანსამბლში ვმღეროდი და რამდენიმე მუსიკალურ ინსტრუმენტზეც ვუკრავდი. ჩვენს ჯგუფს, რამდენიმე ალბომი აქვს გამოშვებული. მის ჩასაწერად, ბავშვები „მელოდიაში“ (ხმის ჩამწერი სტუდია) ვატარებდით ხოლმე ბევრ დროს. ბავშვობიდან მახსოვს ტელევიზიის შენობაც, სადაც რამდენჯერმე რალაც-რალაცებში გადამიღეს კიდეც.

— გორიდან თბილისამდე ბევრი იარე?

— არა, სულ რალაც 40 წუთის სავალი, მოკლე გზაა (იციინის).

— თუ იცი, ზუსტად რამდენი კილომეტრია?

— დაახლოებით, 68 კილომეტრია.

— ამ მანძილის დაფარვა რომელი ტრანსპორტით გიყვარს?

— საკუთარი ავტომანქანით. ადრე, სამარშრუტო ტაქსითაც ვმგზავრობდი, მაგრამ ამ ტრანსპორტში ჯდომა, მაინცდამაინც არ მიყვარდა.

— გორში აეროდრომი არ არის?

— ჯერ არა. იმედია, მიშა ქარელი, რომელიც ასე აქტიურად მუშაობს, აეროდრომსაც აგვიშენებს.



— გორიდან თბილისამდე როგორი გზაა?

— ნორმალური, რატომღაც დანგრეული არ არის.

— იმ 40 წუთს როგორ კლავ?

— გააჩნია, ვისთან ერთად ვმგზავრობ. საერთოდ, ადამიანებთან კონტაქტი არ მიჭირს. ვინც გვერდით მიზის, მას იმდენს ველაპარაკებ, რომ ვაშტერებ

ხოლმე. თუ ჩემი მანქანით ვარ, მუსიკას ვუსმენ, ვფიქრობ, ვოცნებობ და ხანდახან, ვმღერი კიდეც.

— გზად დედაქალაქში რა ნამოილე?

— ალბათ, „გორული“ კილო.

— მეტყველებაში რომ არ გეტყობა?

— რალაც ალბათ მაინც მაქვს, რადგან ხანდახან, როცა რალაცას ვამბობ, დათო ფორჩხიძე დამცინის — შე გორელოო!

— რით გამოირჩევიან გორელები, სხვა დანარჩენი ქართველებისგან?

— ალბათ, კილოთი — არსებით სახელებს ა-ებს და ი-ებს უმატებენ. დინჯებიც არიან და ჯიუტებიც, რალაცით კახელებს ჰგვანან... მამაკაცებს ხმამაღლა ლაპარაკი უყვართ.

— დედაქალაქს როგორ შეეგუე?

— ეს პროცესი არ გამჭირვებია. 15 წლის ვიყავი, საცხოვრებლად თბილისში რომ გადმოვყედი. სხვათა შორის, ამა თუ იმ გარემოსთან ადაპტაცია ქალებს უფრო უადვილდებათ, ვიდრე მამაკაცებს.

— შენ რა მიეცი თბილისს და რა მოგცა მან შენ?

— თბილისს რა მივეცი, ამას ნამდვილად ვერ გეტყვი (იციინის). შემიძლია გითხრა, რომ დედაქალაქში ადამიანი უფრო ადვილად ვითარდები, თუმცა, ვერ ვიტყვი, რომ ამ მხრივ, გორში რაიმე მაკლდა, ან მიჭირდა. მით უმეტეს, რომ აქაც მინახავს ბევრი განუვითარებული ადამიანი. საერთოდ, შენ თვითონ უნდა იყო მონადინებული, რომ განვითარდე.



## დათო ხუჯაძეს და ძვალს კლიპში ერთად ვიხილავთ

ერთი კვირის წინ, მომღერალი დათო ხუჯაძე თბილისში, ყოფილ რესპუბლიკის მოედანზე გამართულ ავტორალიზე ვიხილეთ. ის ღონისძიებაში იღებდა მონაწილეობას. მისი მოულოდნელი გამოჩენა არ გაგვიკვირვებია, რადგან დათო თბილისში, ჩუმ-ჩუმად (ისე, რომ ეს ამბავი არ გახმაურდეს), ჩამოდის ხოლმე. ამჯერად, მისი ჩამოსვლის მიზეზი ნათესავის ქორწილი ყოფილა. მისი აქ ყოფნით რეპერმა ძვალმა ისარგებლა და მასთან ერთად, სიმღერაზე, რომელიც ერთი თვის წინ ჩაწერეს, კლიპი გადაიღო. ამ კლიპის რეჟისორი 24 წლის გიორგი გოგიჩაიშვილი გახლავთ, რომელზეც შოუბიზნესის წარმომადგენლები დიდ იმედს

ამყარებენ.

როგორც ამბობენ, ხუჯაძე-ძვალის კლიპი ორიგინალური გამოვიდა, რადგან გიორგის ძალიან თანამედროვე ხედვა აქვს და მას, ნებისმიერი ჟანრის და სტილის სიმღერას შეუძლია ალლო აულოსო... ორ კვირაში, კლიპის პრემიერას „იმედის“ ტელევიზიით ვიხილავთ. ასე რომ, რეპდუეტი — ხუჯაძე-ძვალი უკვე გადაღებულია, მასში ერთი ლამაზი გოგონა,



სამოდელი სააგენტო „ნატალის“ მოდელი მონანილობს, რომელსაც ბიჭები სიყვარულს ეფიცებიან. გადაღებები ვაკეში, ყიფშიძის ქუჩაზე, მომღერალ ნინას ბინაში მიმდინარეობდა.

**ნინა წაქრიალაშვილი:**


— ჩემს სახლს პავილიონის ფუნქცია აკლდა და ისიც შეიძინა. თუმცა, ამ ორ ადამიანს უარს ვერ ვეტყვოდი, რადგან ორივე ძალიან მიყვარს და ჩემი მეგობრები არიან.



# ანრი ჯოხაძემ ბერლინში ტანზე მაისური შემოიხია

— გამარჯობა, ანრი.  
 — გაგიმარჯოს.  
 — როგორ ხარ?  
 — ძალიან კარგად.  
 — უფრო კონკრეტულად?  
 — დასვენებული ვარ. თბილისში გუშინ (ინტერვიუ ჩაწერილია 2 ივლისს. — ავტ.) დაბრუნდი — საბერძნეთსა და გერმანიაში ვიყავი.  
 — აბა, შთაბეჭდილებებით ალსახვე იქნები.  
 — მართალია, შთაბეჭდილებებით ალსახვე ვარ. გერმანიაში, უფრო კონკრეტულად, ბერლინში ვიყავი, იქ, სადაც ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის ციებ-ციხელება იყო და დრო ფანტასტიკურად გავატარე.  
 — ალბათ, საფეხბურთო მატჩებსაც დაქსნარი, არა?  
 — რა თქმა უნდა, ერთი ქალაქიდან მეორეში გადავდიოდი.  
 — ჩემპიონატის დღეებში გერმანია როგორ იყო?  
 — გარკვეულწილად, იქ ყოფნა საშიში იყო, რადგან ქვეყანა დუღდა, მაგრამ ამავე დროს, საინტერესო, განსაკუთრებით კი, ჩემი მსგავსი ადამიანებისთვის, რომლებსაც ურთიერთობაში „ტერაქტები“ უყვართ.  
 — ურთიერთობაში „ტერაქტები“ მიყვარს, რას ნიშნავს?  
 — თუ ადამიანმა პირადი ურთიერთობისას ტერორისტული აქტი არ მომიწყოს, იმ პიროვნების მიმართ ინტერესს ვკარგავ (იციანის).  
 — საინტერესოა, მაგრამ ვიღაც, ისევე გერმანიას დაფუბრუნდეთ...  
 — გერმანიაში გულშემატკივრებისა და თავყანისმცემლების სიმრავლემ გამაოცა. იქ

თითქმის ყველა ქვეყნიდან იყო ხალხი ჩასული. ამან ისე აღმაფრთოვანა, რომ ის გავეუფერასაც ვერასდროს ნარმოვიდგენდი — ფეხბურთის გამო, ტანსაცმელი შემოვიხიე.



— რა შეროძნე?

— მაისური და ქუჩაში ასე, დახეული ტანისამოსით დავდიოდი.  
 — ასეთი მაგარი ფანი ხარ?  
 — რომ გითხრა, ოთხ წელიწადში ერთხელ ფეხბურთით ვსუნთქავ-მეთქი, მოგატყუებ, მაგრამ იქ, რაღაც სხვა განცდა დამეუფლა. 4-5 დღის წინ, იტალიას ვგულშემატკივრობდი, სტადიონზე ვიყავი და მოიგო. ბრაზილიის თამაშს, უკვე აქ ვუყურე და მათ იმედი გამიცრუეს. ძალიან მიყვარს კარგი თამაშის ყურება.  
 — როგორ ფიქრობ, ვინ გახდება ჩემპიონი?  
 — ალბათ, გერმანია, მაგრამ საფრანგეთსაც დიდი შანსი აქვს.  
 — ბურთი მრგვალი რომ არ ყოფილიყო, რა ფორმის იქნებოდა?  
 — ისევე მრგვალი იქნებოდა.  
 — ცხოვრებაში ყვეთულ ბარათს ვის აუნევი?  
 — უნიჭობს.  
 — წითელს?  
 — ღრძობებს და ბოროტებს.  
 — ამ ბარათებს ხშირად იყენებ?

— ძალიან და სხვათა შორის, შავი ბარათებიც მაქვს.  
 — ვისთვის?  
 — ამის კანდიდატებიც არიან, მაგრამ ჯერ არ გამომიყენებია (იციანის). ვაი იმას, ვისაც შავ ბარათს ავუნევი!..  
 — ბურთს ვის კარში გაიტანდი?  
 — არის ერთი, ვის კარშიც ბურთს სიამოვნებით გავიტანდი...  
 — ნეტავ ჩემპიონობა როგორაა? ხომ არ იცო, ამ დროს რას განიცდიან?  
 — ვიცი, რასაც ნიშნავს, იყო ჩემპიონი და პირველი. უპ, ეს ადამიანის ცხოვრებაში ყველაზე საშიში განცდაა, რომელმაც შეიძლება, პიროვნული ღირსეუბანი შეგმატოს კიდეც და პირიქით, შეიძლება, საერთოდ დაგანგრეოს.  
 — ყველაზე ხშირად, რა სიტყვას იყენებ სოლმე?  
 — ბოლო დროს, სიტყვა „კუკლო“ ამოვიჩიქე, რაც ბერძნულად თოჯინას ნიშნავს. სხვათა შორის, ბერძენი გოგონები სწორედ ასე მომმართავდნენ.  
 — ამ მოგზაურობამ რა შეგცინა?  
 — ბევრი კარგი სამოსი (იციანის)... ვნახე აკროპოლი, ძველი ათენის ნაქალაქარი, სადაც ცივილიზაციის აკვანი დაირწა; ლაიფციგში — ბახის საფლავი და მისი სახლ-მუზეუმიც ვნახე, რითიც აღფრთოვანებული დავრჩი...  
 — შენი მქექაურ ხმით სიმღერა არ შემოსძახებ?  
 — იმიტომ არ ნავსულვარ, რომ მემღერა, დასასვენებლად გახლდით და კარგადაც დავისვენე.  
 — ახლა რას ნაიმღერებდი?  
 — ეთერ ქელიძის სიმღერას: „დავალ საყვარელ ქუჩებში და მიხარია, წვიმას მძინარე თბილისი დაუნამია“...

## რადიო „ფორტუნამ“ კუს ტვა დაასუფთავა

რადიო „ფორტუნამ“, ქალაქის დასუფთავების საქმეში თავისი წვლილი შეიტანა და გასულ შაბათს გადანყვიტა — კუს ტვის ტერიტორიას სწვეოდა და ის ნაგვისგან გასუფთავებინა. „ფორტუნას“ წარმომადგენლებს ქალაქის მერი — გიგი უგულავაც ესტუმრა. მან ხომ ეს-ეს არის თბილისის დასუფთავების კამპანია წამოიწყო, ჰოდა, რადიოს წამოწყება ძალიან მოეწონა. ასე რომ, ზაფხულის ერთ ცხელ დღეს, ისინი ხელდაკაპინებულნი შრომობდნენ.

## ლიზა ზაგრატიონის კონცერტი თბილისურმა წვიმამ შეაჩერა

3 ივლისს, მუსკომედიის თეატრის ბაღი, მომღერალი ლიზა ზაგრატიონის სოლო კონცერტით გაიხსნა. ლიზა ცოცხალ ორკესტრთან ერთად მღეროდა, რომელსაც მუსიკოსი ნიკა მემანიშვილი დირიჟორობდა და თან, ჩვეულ ამპლუაში, როიალთან იდგა. კონცერტის რეჟისორი დათო დოიაშვილი გახლდათ. მომღერალს გვერდით მთელი სამეგობრო ედგა. ნატო მეტონიძემ მასთან ერთად დუეტში იმღერა და იქვე გაირკვა, რომ ის, იმ დღეს, იუბილარი იყო. მან სიმღერის შემდეგ, გულწრფელად დასძინა: ასეთი დაბადების დღე ჯერ არ მქონიაო. იმ დღეს, მუსკომედიის ბაღში, ლიზამ უამრავი ად-

ამიანი შეკრიბა, რომ მსალებიც მას ყურადღებით უსმენდნენ... მაგრამ ყველაფერი წვიმამ შეაჩერა... მაყურებელი და იმ შაღა, თუმცა, ლიზას მეგობრები შეჰპირდნენ, რომ კონცერტს უახლოეს მომავალში გაიმეორებენ და მაყურებელს მისი სრულყოფილი სახით ნახვის საშუალება ექნება.



# მონანიება

შიო გვებაძე

ნაოპერაციები კრიმინალი საშუა ჩერქეზი, გამომძიებელ ლევან მინდელს საკუთარი ცხოვრების შესახებ უყვება. მშობლების დაბატმრებისა და ბინიდან გასახლების შემდეგ, თამაზს (ასე ჰქვია ჩერქეზს სინამდვილეში) მოულოდნელად, ახალი განსაცდელი დაატყდება თავს: მის უმცროს დას, ევას ფილტვების ანთება შეეყრება. ძმისა და დეიდის, აგრეთვე, ნაცნობი ექიმის ყველა მცდელობის მიუხედავად,

(დასაწყისი იხ. „გზა“ №8-26)

ბავშვი იღუპება. ბიჭს უკანასკნელი ნუგეში ეცლება ხელიდან. მანამდე, ცოტა ხნით ადრე, თბილისიდან სოფელში გადადის საცხოვრებლად თამაზის თანაკლასელი, ასევე რეპრესირებული მშობლების შვილი ციალა, რომელიც ერთადერთი ადამიანია, ვის სიტყვასაც თამაზი ყურს უგდებს. ამ დროს, მეზობელი არტაშა, თამაზს რღავს საეჭვო საქმიანობაში ჩაბმას სთავაზობს...

ერთი თვის შემდეგ, გასაყიდი თითქმის არაფერი დამარჩა, არტაშა ნამომეშველა.

„თამაზჯან, — მითხრა მან მორიგი ლოთობისას, — ეს ცხოვრება მორევია, თუ ხელი არ გაანძრია კაცმა, დაიხრჩობა“.

„აკი ვცადე, მაგრამ არაფერი გამომივიდა. სამუშაო ვერ ვიშოვე“.

„ფუჰ! — ზიზღით გადააფურთხა არტაშამ. — სამუშაო... მერე, ვისთვის უნდა იმუშაო ან რამდენი უნდა იშოვო?“

„მამ, რა ვქნა?“ — შევეკითხე გაკვირვებულმა.

„ვა, როგორ რა ქნა, მე აქ არა ვარ?! აი, ერთი საქმე აქვს ჩემს ძმაკაცებს, სწორედ შენნაირი ბიჭი უნდა. თუ არ ითაკილებ, კაი ფულს იშოვი“.

„როგორ?“

„ახლა შენ თვითონ ხომ იცი, მე როგორ ვცხოვრობ! ამ დღეებში ბიჭებმა კაი რამეები ჩამოიტანეს მოსკოვიდან, გასაღება სჭირდებათ, შესანახი ადგილიც. შენს ოთახში მოიტანენ, მერე, ნელ-ნელა გაყიდიან, შენც დაეხმარები. არხეინად იყავი, გულს არ დაგწყვეტენ...“

„სპეკულანტობა დავინყო?!“

„სპეკულანტობა რას მიქვია! მამა უცხოდა, მოსკოვიდან და ლენინგრადიდან ანტიკა რამეები სახლში მივართვით და ფულიც არ გადავასდევინოთ?!“

„მე მაგას ვერ ვიზამ, არტაშ“.

„შენი საქმეა, მამ, თუ გინდა, სადგურზე გადი, ბარგს ნაულებ ვინმეს. თოკს მე გათხოვებ, ეგ უფრო „ჩესტნი“ სამუშაოა“, — დამცინა არტაშამ.

„განა აუცილებელია, ბარგი ვზიდო?!“  
„მამ, სხვა რა გინდა? ხო ხედავ, რო ახლოს არ გიკარებენ“.

გველნაკებნივით ნამოვიჭერი, მინდოდა, ყელში ვწვდომოდი არტაშას და იქვე მიმეხრჩო... არტაშა გაუხმრევლად იჯდა, მშვიდად მიცქერდა. შემდეგ, დინჯად ჩამოასხა ღვინო ჭიქებში და წყნარი ხმით, რომელიც მუქარაც გამოსჭვიადა, მომიგლო:

„დაჯექი! თუ არ გინდა, მე არ გაძალებ. ეს ღვინო დავლიოთ. მე მხოლოდ სიმართლე გითხარი. კაცი ან ღმერთთან უნდა იყოს, ან — ეშმაკთან, მათ შუა ჯერ არავინ გაჩერებულა, შენც ვერ გაჩერდები“.

უხმოდ დავეშვი სკამზე. შემდეგ, ჩაის ჭიქა ავიღე და სულმოუთქმელად გამოვცალე. არტაშამ ისევ შეავსო. კიდევ რამდენიმე ჭიქა შევსვი. თანდათან გამიარა ბრაზმა, ხოლო არტაშას წინადადება ისე ძალიან აღარ მესაუშებოდა... „მართლაც, ცხოვრება ხომ მინდა. არტაშას ხელის შემყურე როდემდე უნდა ვიყო? რა უფლებით ვუკადრისობ მისი ხელობის გაზიარებას?!“ — ზედიზედ დავუხვი ჩემს თავს კითხვებით...

გვიან ღამით დავამთავრეთ სმა. ოთახიდან გასვლისას, არტაშამ მშვიდად მითხრა:

„ხვალ საღამომდე იფიქრე. თუ ჭკუაში დაგიჯდეს, მითხარი. მე შენი დახმარება მინდა, თორემ, ის ხალხი უშენოდაც იოლად გავა“.

პასუხი არ გამიცია, ოთახში შემოვბრუნდი და ძალღვივთ მივეგდე სანოლზე. მეორე დღეს, არტაშა ეზოში არ

გამოჩენილა. მეც არ გავსულვარ ბინიდან. ან კი სად უნდა წავსულიყავი? ჯიბეში ერთი „გროშიც“ არ მქონდა და გასაყიდ-იც აღარაფერი იყო. საღამომდე, მშვიერი ვიჯექი ოთახში.

დაღამდა. ეზოში გამოვედი. არტაშას ოთახში სინათლე ენთო. გულმა იქით გამინია. საშინლად მინდოდა ღვინის დალევა. დიდხანს ვებრძოლე ჩემს თავს. ბოლოს, ცდუნებამ დამძლია და არტაშასთან მივედი. ძველებურად შემხვდა, გამიღიმა.

„ჰა, დავლიოთ?“ — მკითხა და კარადიდან არყით სავსე ბოთლი გამოიღო.

„დავლიოთ, ჯანი გავარდეს! წყალსაც ნაულია ყველაფერი!“ — ვუპასუხე და ხარბად დავწვდი ჭიქას...

იმავე ღამეს, არტაშამ და კიდევ ვიღაც ორმა ახლაგაზრდამ, რომელთაგან ერთს გოგი ერქვა, ხოლო მეორეს — ჟორა, ჩემს ოთახში ჩემოდანი მოიტანეს. დილით კი, მე და არტაშა საბურთალოს ბაზარზე გავედით...

მთელი საქონელი 3 დღეში გავასაღეთ. არტაშა მართალი აღმოჩნდა: კარგი ფული გავაკეთეთ, თითოეულს სამას-სამასი მანეთი გვერგო. არტაშა რესტორანში დავბატყვე, გულუხვად გავუმასპინძლდი.

ეს იყო პირველი ნაბიჯი. მას მეორე მოჰყვა, მეორეს — მესამე და მესამეს — ასმეათე. ჩემს მდგომარეობას შევეჩვიე, მუდმივი შემოსავალი გამიჩნდა. ხშირად, საღამოობით, მთვრალეები ვიყავით თუ ფხიზლები, ჩემს ოთახში ვიკრიბებოდით, კარტს ვთამაშობდით, ვსვამდით. ძალიან მალე შევისწავლე ბანქოს თამაში, ვთამაშობდით „ოცდაერთს“, უფრო ხშირად — „პოკერს“. ვინ იცის, რამდენჯერ დავგეთენებია თავზე!.. არ მინდოდა, დავფიქრებოდი ჩემს მდგომარეობას. ვგრძნობდი, თუ როგორ ჩავიყურყუმელავე წუმბეში, მაგრამ გამოსავლის ძებნა არც მიფიქრია. ახლა ჩემს მეგობრებს არტაშა და მისი ნაცნობი სპეკულანტები შეადგენდნენ. გაფურბოდი ციალაზე ფიქრს და მისი მოგონებით მოწონილ ბოლმას გულმოდგინედ ვახშობდი ღვინოში. ასე გავიდა ივლისი.

აგვისტოს სულის შემსუთავმა სიცხემ ბევრი თბილისელი გარეკა ქალაქიდან. ჩვენ კი, ძველებურად ვსაქმიანობდით.

ერთ საღამოს, ჩვეულებრივად დავსხედით „პოკერის“ სათამაშოდ. ოთხნი ვთამაშობდით. პირველად, ბედმა გამიღიმა — თითქმის 1.000 მანეთი მოვიგე. გოგი და ჟორა აგებდნენ, აზარტში შესულნი, ბილნად იგინებოდნენ.

სვამდით, განუწყვეტლივ ვწვნიოდით და ვთამაშობდით. ნელ-ნელა ფორტუნამ ზურგი შემაქცია. გაბრაზებული, დიდ თანხებს ჩავდიოდი, მაგრამ ერთი ხელიც ვერ გავჭერი. ბოლოს, არა მარტო მოგებული, არამედ ჩემი ფულიც წავაგე... ბრაზი მომერია. უკანასკნელი 100 მანეთი ჩამოვედი და როდესაც ჟორამ ისიც მოიგო, გაბოროტებულმა, საცხე ჭიქა გადავკარი და ცარიელი სასმისი კედელს მივაფშვინი.

„პრისტიკვა“ ვითამაშოთ, თამაზჯან“, — გამიღიმა ჟორამ და გვერდზე ჩასმული,

ერთადერთი ოქროს კბილი გამოაჩინა. შევეყოყმანდი: კიდევ რომ წამეგო?! ნაღდი — ჯანდაბას, მაგრამ „პრისტავა“ სხვა საქმეა — ნაგებულის ვადაზე გადაუხდელი სასტიკად ისჯებოდა, მევალეს შეეძლო, ყურის კი მოეჭრა ნაგებულისათვის. „ეთამაშე!“ — წამაქეზა არტამაშა.

„წყალსაც წაუღია ყველაფერი, ვითამაშოთ! მაგრამ არა „პოკერი“, არამედ — „ზარი“, — დავთანხმდი მე.

გოგამ ჯიბიდან კამათლები ამოიღო. მაგიდა გვერდზე გაწვივით, ჩავიმუხლეთ. პირველმა არტამაშამ ყარა. წააგო. შემდეგ, ჩემი ჯური დადგა. რამდენჯერმე ვყარეთ კამათელი. მოვიგე... კიდევ მოვიგე... შემდეგ, ისევ წაავაგე. ოთახში კამათლის ჩხრიჩხალი და წვივზე გამეტებით შემოკრული, ხელის ტკაცუნის ისმოდა.

თამაში გათენებისას დავამთავრეთ. 500 მანეთი წაავაგე. ბრავი მახრჩობდა, არა ფულის ნაგების გამო, არამედ იმის გამო, რომ სრულებით არ მომდიოდა.

„არა უშავს, თამაზჯან, — მიმუხმე გოგამ, — ცხოვრებაც „ზარის“ თამაშია: დღეს — წაავაგე, ხვალ — მოიგებ“.

არაფერი მიპასუხია.

„ზეგ საღამოს, ფულს აქ, შენს ოთახში ჩამაბარებ. რვა საათზე მოვალ“, — დინჯად თქვა ჟორამ და ჭიქები ღვინით შეავსო. თანხმობის ნიშნად, თავი დაუქუჩინე.

„აბა, შემდეგ შეხვედრამდე!“ — დაილოცა არტამაშა, ჭიქა მომიჭახუნა და გადაკურა.

როცა უკანასკნელი ბოთლიც გამოვცალეთ, კარგად გათენებული იყო. სამივე ჩუმად გაიპარნენ. მე გაუხდელად მივწევი სანოლზე, მაგრამ დიდხანს არ დამეძინა. საკვირველი ის იყო, რომ სრულებით არ მომეკიდა ღვინო.

ბოლოს, როგორც იქნა, ჩამეძინა. მთელი დღე ლოგინში გავატარე...

საღამოს არტამაშა შემოვიდა, გამაღვიდა.

„ადე, გავიაროთ!“ — მითხრა მან.

„სად უნდა გავიაროთ? — ვიუარე მე. — ერთი „გროშიც“ არა მაქვს ჯიბეში“.

„ადე, ადე! — მიპასუხა არტამაშა. — ჩვენ არა გვაქვს, სხვას აქვს. იმ მუდრეგებმა 200 თუმნამდე ნაღდი მოგვიგებს, ერთ

პურს არ გვაჭმევენ?!“

„არ მინდა საბადლოდ პურის ჭამა, თავი დამანებე!“

„ვა, თამაზ, შენ რა არიფივით იქცევი! თამაში — თამაშია, ძმაცობა კი — ძმაცობა. ჟორამ თვითონა თქვა, საღამოს არტოს ბაღში მოდიოთ, გაიგე? ჰოდა, ადექი, რაღა, რა დროს წოლაა, დაღამდა“.

წამოვდექი. იქვე ოთახში შევისხი სახეზე წყალი, დაჭმუჭნილი ტანსაცმელი ვითომ გავისწორე და არტამაშას გავყვი.

...გვიან ღამემდე ვიქვიფეთ. ჟორასა და გოგის ვილაც, ჩემთვის უცნობი ახლდა. 30-32 წლის იქნებოდა. უსახელო პერანგი ეცვა, სულ მთლად მოსვირინებულ მკლავებზე მძლავრი კუნთები „უხტოდა“. ერთმანეთზე გადაბმული, სქელი წარბები ისედაც უსიამოვნო სახეს, უკარება კაცის იერს აძლევდა, მოკაუჭებული ცხვირით მტაცებელ ფრინველს ჰგავდა. ცოტას ლაპარაკობდა, გოგი და ჟორა მორიდებით, თითქმის შიშით შესცქეროდნენ და ფინიებივით ელაუქებოდნენ... არ მომეწონა ჩემი ახალი ნაცნობი, მიუხედავად იმისა, რომ მე რატომღაც, გამორჩევით კეთილად მექცეოდა.

„ვინ არის?“ — ვკითხე არტამაშას, როცა პარკიდან გამოვედი და სხვებს დავშორდი.

არტამაშა მიხვდა, ვისაც ვგულისხმობდი.

„ეგა? რუბენა ჰქვია, ძალიან კაი ვინმეა, მთელი თბილისის ბიჭებს იცნობს. ძველი ბიჭია, დიდი ხანი არ არის, რაც ციხიდან გამოვიდა“.

„ქურდია?“ — ვკითხე, ცოტა არ იყო, შეშინებულმა.

„ქურდი კი არა — კაცია! — მიპასუხა არტამაშა და შემდეგ დაუმატა: — ეგ რომ მაგასთან წამოგცდეს, სანთელივით გაგაქრობს, რით ვერ მიეჩვიე კაცურ ლაპარაკს?!“

არტამაშას ნათქვამმა ნათლად მიმახვედრა, თუ ვინ იყო რუბენა: „კაცი!“ — ასე ეხადნენ ჩემი ახალი ნაცნობები ყველა „სტაჟიან“ ქურდს.

„პრავიანია?“ — ვკითხე ისევ.

„მა რა! მთელი თბილისის ბიჭები მაგის მზეს ფიცულობენ!“ — მიპასუხა არტამაშა ამაყად.

მეორე დღეს,



ყველა ნაცნობი სპეკულანტი მოვიხანსულე, მაგრამ ფული ვერ ვიშოვე, უფრო სწორად — არ მასესხეს. არტამაშამაც უარი მითხრა: რაც მქონდა, სულ წავაგეო, მიპასუხა.

მთელი დღე რაღაც გამოუცნობი შიში მტანჯავდა: რა იქნებოდა? რას იზამდა ჟორა?... ჩემდა უნებურად, ვცახცახებდი. გამახსენდა არტამაშას ნაამბობი — თუ როგორ საშინლად დაუმახინჯებია ვილაცა, „პრისტავად“ ნაგებული ფულის გადაუხდელობისათვის...

საღამოს 8 საათზე, ჟორა მოვიდა, თან გოგი და რუბენა მოჰყვნენ. შიშით გამაჟრჟოლა მის დანახვამ: „ტყუილა არ მოუყვანია, რაღაც საშინელს მიპირებს“, — ვფიქრობდი და კბილს კბილზე ვაცემინებდი.

მოსულნი მაგიდასთან დასხდნენ, მხიარული მასლათი გააბეს. მე სანოლზე ჩამოვჯექი და თუმცა მათ საუბარს ყურს ვუგდებდი, არაფერი მესმოდა, რაღაც საშინელს ველოდი. ჟორა კი ყურადღებასაც არ მაქცევდა. ლაზლანდარობდა და გულიანად ხარხარებდა.

ცოტა ხნის შემდეგ, არტამაშა მოვიდა.

ჟორამ დაჯდომაც არ აცალა:

„აბა, არტამაშან, სწრაფად რამე გააჩინე! რუბენას ცოტა პატივი ვცეთ. აჰა, ეს „ბალის ტყავი“ დაიჭი!“ — მიაჩენა ხელში ასმანეთიანი და მსუბუქად უბიძგა კარისკენ.

არტამაშა ჩუმად გადმომხედა და მანიშნა, გარეთ გავყოლოდი. წელმონყვეტილივით, ძლივს წამოვდექი, ლასლასით გავყვი ეზოში.

„ფული იშოვე?“ — მკითხა არტამაშა.

„ვითომ არ იცი... სად უნდა მეშოვა?“ — შევეურჩინე მე.

„მაშ, იცი, რას გეტყვი? რუბენას სთხოვე, იქნებ, თავვეზად დაგიდგეს“.

„რას დამიდგება, რა მისი ამხანაგი მე ვარ, რომ თავი შეინუხოს?!“

„შენც სცადე, იქნებ, რამე გამოვიდეს, თორემ, ფინთად გათავდება საქმე, ჟორამ „პრისტავაზე“ ხუმრობა არ იცის...“ — მიპასუხა არტამაშა და წავიდა.

დიდხანს ვიდექი გარეთ, ვერ გადამწყვიტა იმ ოთახში შესვლა, სადაც ჩემი სულთამხუთავი მეგულებოდა. „რაც მოსახდენია, მოხდეს!“ — გავიფიქრე ბოლოს და ოთახში შევბრუნდი.

რუბენა, ჟორა და გოგი „ოცდაერთს“ თამაშობდნენ. ბანკი რუბენას ეჭირა, მის წინ ფულის გროვა იყო დახვავებული.

„სტუკია!“ — განაცხადა მან და ფულები შეაქუჩა.

„ათასი მანეთი!“ — წამოიძახა ჟორამ და კარტის გამოსართმევად, ხელი გაუწოდა.

„მოდის!“ — უპასუხა რუბენამ.

ჟორამ კარტები შეატყუა, დიდხანს წვალობდა. ფრთხილად ჩაითვალა, სხვები მოლოდინით შეჰყურებდნენ. რუბენა ფეხებგაფარჩხული იჯდა, კბილებით ნახევრად დაღეჭილი პაპიროსი ეჭირა, ხარბად ქაჩავდა და კუსტად შეჰყურებდა პარტიიორს.

ჟორამ, როგორც იქნა, გაჩითა თავისი კარტები და ფრთხილად დადო მაგიდაზე. შემდეგ, პაპიროსს მოუკიდა და ნერვიულად გააბოლა.

რუბენა მშვიდი მოლოდინით შეჰყურებდა.

„ვგდავარ, შენთვის ნადი!“ — ჩუმიად წარმოთქვა ჟორამ. რუბენამ თავისი კარტი გასინჯა, შემდეგ დასტიდან დაუდევრად, ერთბაშად ორი კარტი გადმოაგდო.

„ოცი!“ — თქვა დინჯად და აქამდე დაფარული მესამე კარტიც გახსნა.

„უჰ, მაგისი!.. — შეიგინა ჟორამ და ჯიბიდან ხუთი ცალი 100-მანეთიანი ამოიღო, შემდეგ, ჩემკენ მობრუნდა — დანარჩენი 500 მანეთი ჩაღი!“ — მომიგო მკვახედ.

გავში, ენა ჩამივარდა. ერთბაშად ყელში რაღაცამ წამიჭირა.

„დაყრუვდი?“ — ძალივით შემომიღრინა ჟორამ და დასისხლიანებული თვალები ბრაზით შემომანათა.

„მე... მე...“ — ავლულლული ენაბლუსავით.

„რა თხასავით კიკინებ! ხომ ხედავ, წავაგე, გადაიხადე!“

„მე... მე ფული არა მაქვს, ჟორა. ღმერთმანი, ვერ ვიშოვე. ხვალ მოგცემ, — ამოვლერლე და საცოდავად დავიღრიალე.

„ვერ იშოვე?“ — გესლიანად ჩაიცინა ჟორამ. — შენ „პრისტავკა“ იცი, რა არის?.. ამ წუთში — ფული, თორემ, დაუბრიდავი არ გადამირჩები“

„ჟორა, თუ ძმა ხარ...“ — წამოვიკნავილე მე.

„ახლა 9 საათია. შენ ისედაც, ერთი საათი დააგვიანე გადახდა! იქნებ, გგონია...“

„პრისტავკა“ წააგო?“ — შეანწყვეტინა სიტყვა რუბენამ, რომელიც მის წინ დახვავებულ ფულს დინჯად აწყობდა და ჯიბეში იტენიდა.

„პრისტავკა“ და ამ ტუტუცს ჰგონია, რომ ვალის ამოსალეხად, სასამართლოში ვუჩივლებ. ის კი არ იცის, რომ ორივე თვალს ამოვთხრი. ცოცხლად შეგჭამ, შე მუდრეგო, შენა!“ — ძალივით შემომყეფა და ფეხზე წამოხტა.

საშინელების მოლოდინში გავინახე. „მოიცა, ჟორა, — მომესმა უცნრად რუბენას ხმა. — ეგ 500 მანეთი მე მოვიგე, თუ ფული არა გაქვს, გადმომაბარე, იქნებ, მე არ ვიზარალო“.

„გადმოგაბარო?!“ — გაუკვირდა ჟორას.

„ჰო, როგორმე ამოვიღებ...“ — მზაკვრულად ჩაიცინა რუბენამ.

„ყაბუღსა ვარ, ნაიყვა, თუგინდ ცოცხლად შეწვი“.

მორიდგნენ. ჩემთვის არც უკითხავთ, თითქოს რამე ნივთი ვიყავი და არა ცოცხალი ადამიანი.

„აქეთ მოდექ, თამაზ!“ — მიბრძანა რუბენამ. შიშით მივუახლოვდი.

„პრისტავკაზე“ სიცოცხლით აგებენ პასუხს: ან — ფული, ან — სული! შენ ეს იცი?“

„არა“.

„არა?! აბა, რა ეშმაკად თამაშობდი?!“ — გაუკვირდა რუბენას.

„მე მგგონა, ვიშოვიდი, მაგრამ ვერ ვიშოვე“.

„გგგონა!.. რაებს ჩმახავ?! შენ იცი, მე ერთხელ რაზე ვიჯექეი?.. არა?.. მაშ, გეტყვი: ერთხელ, მეც ვერ ვიშოვე ვადაზე ფული. ჰოდა, რისკზე წავედი — ერთ ბინაში შევეხეტე. თუმცა ნაღდად ვიცოდი, „ამნევენდენ“, მაინც შევედი, რადგან „პრისტავკის“ გადაუხდელობისთვის გამომწელავდნენ... ჩავვარდი. ეს ერთადერთი საპატიო მიზეზია „პრისტავკის“ გადაუხდელობისათვის, თანაც — კაცური მიზეზი, გაიგე?“

ხმას არ ვიღებდი, თავდახრილი ისე ვიდექი, როგორც დამნაშავე მონაფე მკაცრი მასწავლებლის წინაშე და წნორის ფოთოლივით ვცაცხახებდი — ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რას მიპირებდა რუბენა.

„აი, რა, — დაიწყო ისევ რუბენამ დინჯად, — მე შენ ახლა, დროს მოგცემ, ფულს კი გამოგინებ. ამ დღეებში საქმეებზე წაგიყვან, ვნახოთ, რა კაცი დადგები. საქმე ფულში კი არაა, 500 მანეთი რა დიდი ფულია?! გაპატიებდი კიდევ, მაგრამ „პრისტავკის“ პატიება არ შეიძლება, აუცილებლად უნდა გადაიხადო — შენი ფულით, შენი ნაშოვნი ფულით. გაიგე?“

„გავიგე“.

„ჰოდა, ახე. ეს ფული სახარჯოდ დაიჭი, — რუბენამ ორი ცალი ასიანი გამომიწოდა, — ტირილს კი, თავი დაანებე. ხვალდან, ჩემთან იმუშავე. რა შენი საქმეა „ბარახლოს“ გაყიდვა?“

ხმას არ ვიღებდი.

„გამომართვი ფული!“ — მკაცრად გაიმეორა რუბენამ.

შიშით აცხცახებულმა, ანგარიშშიუცემლად ჩამოვართვი ასმანეთიანები. რუბენა წამოდგა და მხარზე ხელი დამკრა.

„გამოდგები! — გაიცინა მან. შემდეგ, ჟორასთან მივიდა: — მორჩა! დღეიდან, თამაზი ჩვენი ბიჭია, არაფერი აწყენინო. რაც მოხდა, ისიც დაივიწყე, გაიგე?“

„ვა, როგორ ვერ გავიგე, რუბენჯან! განა მეჯავრება, მაგრამ „პრისტავკა“ — „პრისტავკა“... შევრიგდეთ, ჯიგარ!“ — გამოიღმა ჟორამ და ხელი გამომიწოდა. ჩამოხრჩობილივით გავიკრიჭე და გამონვდილ ხელს ხელი შევაგებე.

ოთახის კარი, სანოვავით და ბოთლებით დატვირთულმა არტაშამ შემოალო. ჩემი გაღიმებული სახის დანახვაზე, თვითონაც გაიღიმა. თვალი ჩამიკრა. შემდეგ, დრო ისელთა და ჩუმიად მითხრა:

„გამოგადაგა ჩემი რჩევე? გითავდაბა?“  
„ჰო, მითავდაბა“, — მივუგე მოკლედ.  
„შენ რუბენას მაგრად მოეჭიდე, მაგასთან არ დაიკარგები“, — დამარიგა ისევ არტაშამ და ბოთლების გახსნას შეუდგა.

იმ ღამით, სამუდამოდ ამეხილა თვალი. ადრევე ვგრძნობდი, ჟორა და გოგი სვეულანტები არ იყვნენ, მაგრამ არასოდეს მიკითხავს რაიმე, ახლა კი გამოირკვა — ერთიც და მეორეც, ბინის ქურდობას ეწეოდნენ, მატარებლებზე „მუშაობდნენ“

— ეს იყო მათი „პროფესია“. ამაში, შეზარხოშებული არტაშაც გამომიტყდა:

„იცი, თამაზჯან, გასალები რომ გთხოვე, შენს ოთახში ორ კაი ბიჭს ეძინა: „ლეგავები“ ეძებდნენ. სამი დღის შემდეგ აითესნენ. „ვეგროზისკი“ პირში ჩალაგამოვლებული დატოვეს, მათ! შენ რო არ ყოფილიყავი, საშალავიც აღარ გვექონდა: მე სახლში მიყვანა ვერ გავებდე, ბუბიანეში, თუმცა გამოყრუებულია, მაგრამ თვალში ჯერ კიდევ იხედება, შემეშინდა...“

„რატომ აქამდე არ მითხარი?“ — შევეკითხე, ნაძალადევი სიმშვიდით.

„გიყი ხარ?! — გაუკვირდა არტაშას. — ეგ რომ მექნა, გაუსალებელი არ გადავრჩებოდი“.

„ახლა რატომ არ გეშინია?“

„ახლა... — გაიცინა არტაშამ. — შენ რუბენა ვინა გგონია? მაგან თუ თქვა, აქედან კამჩატკაზე მოკლავენ კაცს! მოალატეების დანდობა ჩვენს „კარაბადინში“ არ წერია, მაგის სახელით, ცხენში ქურდები საშართალსა ქნამენ. არც კასაცია, არც აპულაცია, მორჩა — იყო კაცი და აღარ არის კაცი! ასეა...“

რუბენა ყველაზე მეტს სვამდა, მაგრამ საოცარი ის იყო, რომ სრულებით არ ეკიდებოდა სასმელი. სხვები კი მაგრად დათვრნენ. მე ღვინოს არ ვეკარებოდი. ყოველივე იმან, რაც ცოტა ხნის წინ გადაამხდა თვის, კრიჭა შემეიკრა და შიშით შეპყრობილი, ისე ვუცქერდი რუბენას, როგორც მონუსხული ჩიტი — გველს. დაახლოებით ღამის ორ საათზე, რუბენა წამოდგა.

„გვიანაა, დავიძინოთ!“

ყველანი წამოდგნენ.

„მე თამაზისთან ვრჩები!“ — უმისამართოდ თქვა რუბენამ და ჩემს საწოლზე გაიშხლართა. სხვები სწრაფად გაიკრიბნენ ოთახიდან.

კარი ჩავკეტე და სკამზე ჩამოვჯექი. ოთახში ერთი საწოლის მეტი არ იდგა, მეორე, დიდი ხანი იყო, რაც გავყიდე, ლოგინიც არ მქონდა, მაგრამ შიშით ხმას ვერ ვიღებდი. რუბენამ თვალი გაახილა, წამოდგა, საწოლიდან საბანი აიღო, მომანოდა.

„გაშალე და დანექი!“ — მომიგლო მოკლედ.

ხმა არ ამომიღია, ჩუმიად გავშალე იატაკზე თხელი საბანი, ტანსაცმელი გავიხადე, შემდეგ შუქი გამოვრთე და მივწექი, მაგრამ ძილი არ მომკარებია.

„ხვალდან ჩემთან იმუშავე“, — გამახსენდა რუბენას დაპირება და ტანში ყრუანტელმა დამიარა. რა მოჰყვება ჩემს „მუშაობას“?. ალბათ, ცხენ!.. დამიჭერენ, ცხენში ჩამსვამენ, იქნებ, უარესიც მიქნან... იქნებ, ჯობია, ახლავე გავიქციე?.. მივალ დეიდასთან, ბოდიშს მოვუხდი, ყველაფერს ვეტყვი; გამოიგებს, საიდუმლოს შემინახავს. შემდეგ, რაღაც გამოსავალიც გამოჩნდება... ამ აზრმა გამახალისა. ლოგინიდან წამოვდექი და ფრთხილად გადავხედე რუბენას. იგი ყელში ხანჯალგაყრილი ხარვივით ხვრინავდა.

„გაიქციე, ვიდრე გვიან არ არის, გაიქციე“



ცი!“ — ჩამძახოდა იდუმალი ხმა.

„ახლავე, ახლავე!“ — ვუბასუხე და ფრთხილად დავიძარი კარისკენ, მაგრამ გზა არტაშამ გადამიჭრა. დამცინავად შემომხედა.

„სად მიხვალ, თამაზ, დეიდასთან უნდა დაიშალო?.. შენ რუბენა ვინა გგონია? მაგან თუ თქვა, აქედან კამჩატკაზე მოკლავენ კაცს. სიცოცხლე მოგჭულდა?!“

გამოვერკვიე. კართან საცვლების ამარა ვიდექი და უაზროდ მივჩერებოდი ცარიელ სივრცეს... მოჩვენება გაქრა. ოთახში გამეფებულ სიჩუმეს მხოლოდ რუბენას ხვრინვის ხმა არღვევდა.

უეცრად მივხვდი, რომ ვერსადაც ვერ წავიდოდი: საამისოდ, არც გამბედაობა მყოფნიდა და არც ნებისყოფა...

რუბენამ დაახველა, გვერდი იცვალა. ციებიანივით ავკანკალდი. „მომკლავს, თუ გაიღვიძა და მიხვდა, რომ გაპარვას ვაპირებდი“, — ელვასავით გამირბინა თავში და სწრაფად დავუბრუნდი საბანს.

მთელი სხეული მიკანკალებდა, ხელის ფათურით მოკეპბზე მაგიდაზე ღვინის ბოთლი, მოვიყუდე და ნახევარზე მეტი სულმოუთქმელად დავლიე. მესიამოვნა, კანკალმა გამიარა, ოდნავ დავმშვიდდი კიდევ.

გვიან ჩამეძინა. მესიზმრა — თითქოს ქობულეთში ვიყავი, ციალა, საცურაო კოსტიუმში გამონყობილი, ქვიშაზე ჩემ გვერდით იწვა. მსიარულად ვბაასობდით, ვიცინოდით. მშვიდი, ლურჯი ზღვის ტალღები ნაზად გველაშქნებოდა ფეხებზე...

„ვიბანაოთ!“ — ვთხოვე ციალას. სიცლით დამეთანხმა. დაფაფუნით შევერიეთ რბილ ტალღებს...

„დამიჭირე!“ — კვლევად წამოიძახა ციალამ და მსიარული, დანიშნურად. მკლავი გავემართე, დავედევნე. ციალამ გამისწრო. შემერცხვა, სწრაფად მოვუსვი მკლავი, მაგრამ მაინც ვერ დავენიე. დიდხანს მივდევი... უეცრად, ციალა გჩერდა, ნაპირისკენ გაიხედა. იმავე წამს, მკლავში ჩავავლე ხელი.

„ხომ დაგიჭირე!“ — შეეძახე გახარებულმა.

ციალას არ უბასუხია, ისევ ნაპირისკენ იხედებოდა. უნებლიეთ, მეც ნაპირისკენ ვისროლე მზერა. საკმაოდ შორს გაგვეცურა, პლაჟზე მყოფნი ქონდრისკაცებივით მოჩანდნენ.

„დავებრუნდე, თამაზ, მეშინია“, — შემომჩივლა ციალამ.

„რა მოგივიდა, ციალა, დაილაღე?“ — ვკითხე მზრუნველობით.

„მეშინია, თამაზ...“

„რა სისულელეა, რისი გეშინია?“ — შევცინე.

უეცრად ჩამოხვდებოდა, ზღვა გაშავდა და აქოჩრილი ტალღები ბოროტი ღმუილით შეეხეთქნენ ერთმანეთს. ნაპირი გაქრა. ვეღარაფერს ვხედავდი, გარდა



ციალასი, რომელიც აზვირთებულ ტალღას აყოლილი, დიდი სისწრაფით ამოძრავებდა მკლავებს.

„ყოჩაღ, თამაზ!“ — მესმოდა მისი ხმა.

უეცრად, ტალღამ დამკრა და რამდენჯერმე დამატრიალა ადგილზე. ორიენტაცია დავკარგე, უკვე აღარ ვიცოდი, სად იყო ნაპირი, ტალღები ზღვის ფსკერისკენ მეჭებოდნენ... ციალა გაქრა, თვალთახედვიდან დამეკარგა.

„ციალა, ციალა!“ — ვიბლაველე უეცრად.

„აქეთ, თამაზ, აქეთ!“ — მომესმა მისი ხმა და ძალა შემომემატა.

მოვარდნილმა უზარმაზარმა ტალღამ თვალუწვდენელ სიმაღლეზე ამწია. ტალღის ქედზე მოქცეულმა, ციალა დავინახე. ნაპირისთვის მიეღწია, ხელს მიქნევდა.

„ფრთხილად, თამაზ, ფრთხილად! ტალღას გამოჰყვიე, არ დაიშვრე!“ — მომესმა ისევ მისი ხმა და ნაპირიც განათდა... გაბეღვლად მოვუსვი მკლავები, ტალღა კიდევ უფრო მაღლა აიწია და საშინელი ღრიალით მიასკდა ნაპირს... ფეხქვეშ ქვიშა ვიგრძენი. გახარებული, გავქანე ციალასკენ, მივუახლოვდი კიდევ... სამი ნაბიჯი... ორი, ერთი და — ციალასთან ვიქნები.

„გაფრთხილდი, თამაზ!“ — მომესმა სასონარკვეთილი კვილი და იმწამსვე, უეცრად მოვარდნილმა ტალღამ ბუმბულივით ამიტაცა და უკან გამაქანა.

„ვერ ნახვალ, აქ უნდა დარჩე!“ — ჩამესმა ყურში ბოროტი ხითხითი და ხახადალბულმა ურჩხულმა ბასრი კბილები ჩამასო, ფსკერისკენ წამათრია...

„მიშველეთ, მი-შვე-ლეთ-ეთ!“ — ავბლაველდი და გავიბრძოლე. ურჩხულმა კვლავ ადამიანივით ჩაიხითხითა და დინჯად გაცურა ღია ზღვისაკენ...

უცნაური შარავანდედით მოსილი ციალა, შორეულ ნაპირზე მდგარი, ხელს მიქნევდა, რალაცას მეძახდა. ურჩხული სწრაფად მიცურავდა, თანდათან ვშორდებოდი ნაპირს. ციალა ნათელი წერტილივით ჩანდა ჰორიზონტზე. უკანასკნელი ძალა მოვიკრიბე, საშინელ ურჩხულს თავისუფალი ხელით ყელში ვეცი.

„მი-შვე-ლეთ-ეთ!“ — ვიბლაველე არაადამიანური ხმით.

„რა ეშმაკი გაბლაველეს! — შემომიტია ურჩხულმა, ნაცნობი ხმით...“

უეცრად თვალი გავახილე. იატაკზე ვინექი, თავს რუბენა წამომდგომოდა...

„რა ეშმაკი გაბლაველეს-მეთქი?“

— მეკითხებოდა ის, გულმოსულად. გამოვერკვიე. გული საშინლად მიცემდა, ოფლში ვცურავდი, უაზროდ მივჩერებოდი ჩემს თავზე დახრილ რუბენას, რომელიც საოცრად ჰგავდა სიზმარში ნანახ საზარელ ურჩხულს.

„ადე! რამდენი ხანია, გათენდა. აგრე საშინლად რომ ღრიალებდი, ყორა ხომ არ ჩაგყოლია სიზმარში?“ — ბოროტად ჩაიცინა რუბენამ.

„სიზმარი ვნახე, საშინელი სიზმარი, მასრჩობდნენ!“ — მივეუბნე და საწოლზე წამოვეყვიე.

„ადე! სიზმარში დახრჩობა არაფერია, ცხადში არ გაგგუდოს ვინმე!..“ — მიპასუხა ადგებულად რუბენამ.

ძლივს ავითრიე დაუფეილი ტანი იატაკიდან, საბანი ავიღე და საწოლზე დავაგდე.

რუბენა მაგიდას მიუჯდა, შეწყვეტილ საუბრეს დაუბრუნდა. უხმოდ ილუქმებოდა, ვახშმის ნარჩენს შეეცეოდა და პირდაპირ ბოთლიდან სვამდა ღვინოს.

ტახტზე მორჩილად ჩამოჯდარი, მოთმინებით ველოდებოდი, როდეს დაამთავრებდა საუბრეს რუბენა, მაგრამ ის არ ჩქარობდა... დინჯად ისაუბმა, დარჩენილი ღვინო მთლიანად შესვა, შემდეგ, პაპიროსს მოუკიდა, ფანჯარასთან ჩემგან ზურგმუქცევით დადგა და ალაპარაკდა:


„მე ახლა ნავალ, შენ სახლიდან ფეხი არსად გაადე. ამ საღამოს ან ხვალ, ჩემი დამოგზავნილი კაცი მოვა, საქმეზე წავიყვანს. უსიტყვიოდ შეასრულე, რაც გიბრძანოს, თორემ... — რუბენა უეცრად მობრუნდა, ბოროტი მზერა მესროლა. — გაიგე?“

„გავიგე“, — ამოვიკნავლე.

მისი სახე და საშინელი, სქელი წარბები მაშინებდა. მინდოდა, თვალი ამერიდებინა, არ შეეხებოდა, მაგრამ ვერ ვახერხებდი. ისევ იმ ჩიტად გადავიქციე, რომელიც ხის ტოტზე მჯდომი, მონუსხული, თვითონვე უფარდება პირში საშინელ გველს...

რუბენა ერთხანს მიყურებდა, თვალებით მბურღავდა. შემდეგ, ისევ ფანჯრისაკენ შებრუნდა და თითქოს თავისთვის ლაპარაკობსო, განაგრძო: „საქმეს გააკეთებ... შენს მუშაობაზე პასუხს მე ვაგებ. არაფერი მიქარო, თორემ, კატასავით დაგახრჩობ. მე ხუმრობა არ ვიცი... ამ პირველი საქმით გადაწყდება შენი ბედი — ეს კარგად დაიხსომე! ენას კბილი დააჭირო. რასან „ჩვენი“ გახდი, ესეც იცოდე — მოლაყბეს დანის წვერი არ ასცდება!.. ჩემი სახელი სხვებისათვის დაივიწყე, თუ ვინმესთან დაგცდა, ოთხში ამოგიღებ! არც გაქცევა იფიქრო: საფლავშიც ვერ დამემალები! — დაამთავრა მან მუქარით, შემდეგ, ქუდი აიღო: — ნავედი!“ — მომიგლო ძალღიჯით და ისე გავიდა ოთახიდან, რომ ჩემთვის ზედაც არ შეუხედავს.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**



ზოგჯერ განგება გამორჩეული ნიჭით მარტო ერთ პიროვნებას კი არა, მთელ გვარს დააჯილდოებს ხოლმე. საჭირო აღარც არის განვმარტო, რა პროფესიის ადამიანებზე ან სპორტისა თუ ხელოვნების რომელი დარგის წარმომადგენლებზე გვაქვს ლაპარაკი. ყველა-სათვის ცნობილი და ახლობელია იშხნელების, სუნიშვილების, თურ-მანიძეების გვარი...

ამჯერად ერთი „მოცეკვავეთა გვარის“ შესახებ გიამბობთ. ოდიკა-ძეები — სპორტული და სამეფლისო ცეკვების უზადლო შემსრულებლები უკვე მსოფლიოში არიან სახელგანთქმულები. მათი კლუბები პოპულარობით სარგებლობს ისრაელში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, საქართველოში... ოდიკაძეები ევროპაშიც გაიცნეს... ამ ცოტა ხნის წინ, გაიმართა კავკასიის თასის გათამაშება სპორტულ და სამეფლისო ცეკვებში. აღნიშნულთან დაკავშირებით, ისრაელიდან სამშობლოში ჩამოვიდა ბორის ოდიკაძე — ისრაელის სპორტულ და სამეფლისო ცეკვათა ფედერაციის პრეზიდენტი, რომელიც მოგივითხრობს:

# „მოსეკვავეთა გვარი“ საქართველოდან

## ლელა ჯიყაშვილი

— ისრაელში 1992 წელს წავედი. ფედერაციის პრეზიდენტად 1999 წელს ამირჩიეს... თავიდან ისრაელში არაფერი გვქონდა, მე და ჩემმა მეუღლემ, მოცეკვავე რუზანა ოდიკაძემ, რომ იტყვიან, ყველაფერი ნულიდან დავიწყეთ. კლუბი რომ გავხსენით, სულ ხუთი ბავშვი მოვიდა... ისინიც ძალით მოიყვანეს მშობლებმა, არ მოსწონდათ სამეფლისო-სპორტული ცეკვები. რატომღაც არ მიაჩნდათ ახალგაზრდების ცეკვა... ორი თვის შემდეგ, ჯგუფში 30 ბავშვი გვყავდა, სამი თვის შემდეგ — 60. ექვსი თვის შემდეგ, ისრაელში პირველი ჩემპიონატი მოეწყო, ჩვენი ბავშვები ფინალისტები გახდნენ. შემდეგ საცხოვრებელი ადგილი გამოვიცვალეთ, დავტოვეთ სკოლა 140 ბავშვით და ქალაქ ამდოდში ხელახლა შევექმნით მოცეკვავეთა სკოლა. დავიწყეთ საერთაშორისო ტურნირების ჩატარება. წელს მეცხრედ ჩავატარეთ ტურნირი. ევროპის თასზე, 18-მა ქვეყანამ მიიღო მონაწილეობა. პირველად, ისრაელის ისტორიაში ჩვენი მოსწავლეები ფინალში მოხვდნენ.

— თქვენ თუ გიცეკვიათ ის-

რაელში მეუღლესთან ერთად?

— როგორ არა. 1993 წელს პროფესიონალთა შორის ოფიციალურ ჩემპიონატზე პირველი ადგილი დავიკავეთ, ისრაელის ჩემპიონები გავხდით. ცეკვავენ ჩემი შვილებიც. მარია ოდიკაძე 11 წლისა და ორ პროგრამაში ისრაელის ჩემპიონია, ნარმატებები აქვს 9 წლის ლუკასაც... უფროსი ვაჟიც მოცეკვავეა, დღეს ამერიკაში, ბოსტონშია მეუღლესთან ერთად, მუშაობდა ფრედ ასტერის პრესტიჟულ სტუდიაში. ახლა საკუთარი სკოლა გახსნა...

— მოცეკვავე ნათესავებიც გყოლიათ...

— საქართველოს დამსახურებული არტისტი გივი ოდიკაძე, ჩვენი ნათესავია. ჩემი ძმისწულებიც პროფესიონალი მოცეკვავეები არიან. მიხეილი ამერიკის შეერთებულ შტატებშია, მისი ვაჟი —



რად მუსიკალურები ვართ... დაკვირვებული თვალი შეამჩნევს, რომ ჩვენი კლუბის, სკოლის წევრები სხვანაირად განიცდიან მუსიკას... სხვათა შორის, მღეროდნენ ჩემი მშობლებიც, პაპა დუდუკოზე უკრავდა... მართალია, ახლა ოდიკაძეები იშვიათად ვიკრიბები, მაგრამ სუფრასთან აუცილებლად ვმღერით.

— არ ცეკვათ ოჯახურ გარემოში?

— არა, ოჯახში გვიჩვენია, ვიმღეროთ...

— რამდენი წელია, რაც ცეკვათ?

— თენგიზ გაჩეჩი-

ლაძის პირველი მოსწავლე ვიყავი. 1972 წელს საქართველოში ჩატარდა კონკურსი და დიპლომით დამაჯილდოეს... მაშინ სულ 2-3 თვის დაწყებული მქონდა ცეკვა. მანამდე ქართულ ცეკვებს ვცეკვავდი.

— დაბოლოს, როგორ ფიქრობთ, საქართველოს სამეფლისო-სპორტული ცეკვების შემსრულებლები გაუწვევენ კონკურენციას ევროპელებს?

— ქართველები ძალიან ნიჭიერები არიან, მაგრამ აუცილებელია, კონტაქტი ჰქონდეთ ევროპასთან, გადიოდნენ ევროპულ ტურნირებზე. საქართველოში კი ამის საშუალება არ არსებობს, არადა, დარწმუნებული ვარ, ისინი არც ევროპაში შეარცხვენენ საქართველოს სახელს.

P.S. ჩვენ ვცეკვათ ქართულ ხალხურ ცეკვებს, ის ჩვენია და კონკურენტი არ გვყავს მსოფლიოში, მაგრამ ქართველები ევროპულ ცეკვებსაც მშვენივრად ვითვისებთ და ეს მართლაც საამაყოა.

— თუ არ სეზობს რაიმე მეთოდი, რაც ოდიკაძეების ცეკვას სხვებისგან გამოარჩევს?

— ჩვენ საოც-

## პრეპარატი ფენსი გაძლევთ უნიკალურ შანსს

**ფსიქოზი** ენაზე **საუკუნოვან**  
**მგზავს** გამორჩეულენას!  
**ნეიროფორმიტი**  
**სეზონალური** იქითნეთ  
**ომაჟუნალური** აფთიაქები

საუკუნოვანი გამოცდილების ამონა, ყველაზე ეფექტური, არაპრომოუნალური მაღაზრის საშუალებით

სხელი ხაზი: 39 66 03



# Chrysler-ის სხეი კომპლექსი

ახალი „სებრინგი“, სამოდლო რიგში დაიკავებს ადგილს დიდ მოდელს — Chrysler 300C-სა და შედარებით კომპაქტურს — Dodge Caliber-ს შორის. ეს საშუალებას მისცემს კომპანიას, შესამჩნევად გაზარდოს მონათესავე მარკების რეალიზაციის საერთო მოცულობა. აღსანიშნავია, რომ Chrysler Sebring/Dodge Stratus-ის წინამორბედი თაობის წარმოების ლიცენზია, ქალაქ მიჩიგანში მდებარე ქარხნისგან შარშან შეიძინა რუსულმა კომპანიამ — „გრუპა გაზ“, რომელიც წელიწადში 65 ათასი მანქანის გამოშვებას გეგმავს. ქალაქ ნიჟნი ნოვგოროდში მდებარე საწარმოში „კრაისლერების“ აწყობა დაახლოებით 2 წლის შემდეგ დაიწყება.

ახლო მომავალში, კონცერნი — DaimlerChrysler, მოდელის — Chrysler Sebring სრულიად განახლებულ ვერსიას გამოუშვებს. ჩრდილოეთ ამერიკაში ამ მანქანის გაყიდვა მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალში დაიწყება, ატლანტის ოკეანის გამოლმა კი, ის 2007 წლის დამდეგს გამოჩნდება.

ახალი „კრაისლერებისთვის“ რამდენიმე ძრავაა გამზადებული: სამი — ბენზინის (2,0 ლ სამუშაო მოცულობის, 152

ცხ.დ. სიმძლავრის აგრეგატი 5-საფეხურიანი მექანიკურ გადაცემათა კოლოფით იქნება აღჭურვილი, ხოლო 2,4 ლ მოცულობის, 173 ცხ.დ. სიმძლავრის და 2,7 ლ მოცულობის, 193 ცხ.დ. სიმძლავრის — ავტომატურ გადაცემათა კოლოფით) და 2,0 ლ მოცულობისა და 140 ცხ.დ. სიმძლავრის დიზელის ძრავათი, რომელსაც 6-საფეხურიანი მექანიკურ გადაცემათა კოლოფი დაერთვის თან.

## სიუხვიზი „ოქტავიასგან“


გაზრდილი სიმძლავრის მქონე ავტომანქანებში დიზელის ძრავების გამოყენება სულ უფრო ფართოდ იკიდებს ფეხს: ამ აგრეგატებს ნაკლებად აპროტესტებენ ეკოლოგები და ისინი მეტი ეკონომიურობითაც გამოირჩევა. მათ შორის, ვინც დიზელის ძრავათი მოიხიბლა, ჩეხური კომპანია „სკოდაც“ აღმოჩნდა: სექტემბრიდან, ის ევროპის ავტობაზარზე ახალ ჰეჩბექს — Octavia RS-სა და მასზე არანაკლებ „ცხელ“ უნივერსალს — Octavia RS Combi-ს გამოუშვებს, რომელიც 2-ლიტრიანი, 170 ცხ.დ. სიმძლავრის ძრავათი იქნება აღჭურვილი, 225 კმ/სთ სიჩქარეს განავითარებს, ხოლო 100 კმ/სთ სიჩქარემდე მანქანას 8,5 წმ-ში „აგორებს“. გარეგნულად, დიზელისძრავიანი „ოქტავია“ არაფრით განსხვავდება ბენზინისძრავიანი „თანამოძმეებისგან“.



## სხეიდა „ეკომპლექსო“ Ferrari

სახელოვანი სატიუნინგო ატელიეებისთვის ავტორიტეტები არ არსებობს, მაგრამ ხელით, თანაც უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებით აწყობილი ამ ბოლიდის ხელის ხლებას ცოტა ვინმე თუ გაბედავს.

მიუხედავად ამისა, ფირმა Hamann-ის სპეციალისტები პასუხისმგებლობის ტვირთს არ შეუშინდნენ და შექმნეს Ferrari F430 Spider. თურმე, „ფერარის“ ძრავას დახვეწა შესაძლებელი ყოფილა.




ინჟინერებმა მართვის ელექტრონული სისტემის პარამეტრებიც შეცვალეს, გამონაბოლქვის გამოშვების მექანიზმსაც შეაჯვალეს ხელი, ახალი კოლექტორიც დაურთეს და ფოლადის კატალიზატორიც. ყოველივე ამან მათ საშუალება მისცა, V8 ტიპის, 4,3 ლ მოცულობის აგრეგატის სიმძლავრისთვის 48 ცხ.დ. შეემატებინათ და მაქსიმალური სიჩქარე 322 კმ/სთ სიჩქარემდე გაეზარდათ. მაგრამ არც ეს არის მთავარი. „ჰამანის“ სპეციალისტთა „თავხედობამ“ მათ, ავტონარმოების სამყაროში „წმიდათაწმიდად“ აღიარებულ, ლეგენდარულ იტალიურ დიზაინზე ხელის აღმართვა გააბედვინა. ამის შედეგად, F430 Spider-ს გაუჩნდა ორიგინალური წინა სპოილერი, უკანა დიფუზორი (ორივე მათგანი არა მარტო სამშენის წარმოადგენს, არამედ მაქანის აეროდინამიკას აუმჯობესებს) და უფრო სპორტული სტილის სალონი. დაბოლოს, უკანასკნელი შტრიხი — მასიური საბორბლე დისკები, რომლებიც უანრის კანონის დაცვის კონცენტრირებულ გამოხატულებას წარმოადგენს.

# სიმაღლესს ჰასუხი უნდა მოეთხოვოთ

ფრანც ბეკენბაუერის განცხადებით, ყვითელი და წითელი ბარათების სიმრავლის გამო, პასუხისმგებლობა, მსაჯთან ერთად, იმ ფეხბურთელებსაც ეკისრებათ, რომლებიც ამა თუ იმ მატჩში სიმულირებით ცდილობენ თავ-თავიანთი გუნდისთვის სარგებლობის მოტანას. „სიმულანტების რიცხვი იმდენად გაიზარდა, რომ ჩვენ უბრალოდ ვალდებულნი ვართ, მხარი დაუჭიროთ მსაჯებს“, — აღნიშნა ბეკენბაუერმა, რომლის აზრითაც, მუნდიალის დასრულების შემდეგ, ფიფა სიმულაციის პრობლემის განხილვას უნდა დაუბრუნდეს და მის შესამცირებლად საჭირო გამოსავალი მოიხსნოს. როგორც ცნობილია, მსოფლიო ჩემპიონატის ისტორიაში ყვითელი და წითელი ბარათების სიმრავლის მხრივ, რეკორდი რუსმა არბიტრმა, ვალენტინ ივანოვმა დაამყარა: მან მიმდინარე ტურნირზე ჰოლანდიელთა და პორტუგალიელთა მერვედფინალურ

შეხვედრაში 16-ჯერ ყვითელი, ხოლო 4-ჯერ — წითელი ბარათი გამოიყენა. ბეკენბაუერის თქმით, რუსი მსაჯი ფეხბურთელების დასჯის საკითხში „მეტისმეტად ხელგაშლილი“ იყო. ამასობაში კი, ფეხბურთის ქომაგებმა სპეციალური საიტი გახსნეს ([ivanovalentin.com](http://ivanovalentin.com)), რომელზეც წითელ-ყვითელი ბარათების მოყვარული არბიტრის მხარდამჭერთა ხმებს აგროვებენ. საგულისხმოა, რომ არსებობს ანალოგიური საიტი ([valentinivanov.com](http://valentinivanov.com)), სადაც პირიქით — მსაჯის მონინააღმდეგენი აძლევენ ხმას.

ბეკენბაუერმა იმასაც გაუსვა ხაზი, რომ უფასო პრეზიდენტის პოსტის დასაკავებლად იბრძოლებს. ამავე დროს, გერმანული ფეხბურთის ცოცხალ ლეგენდას, ფიფას თავკაცობა არ სურს. „ჰერ ბლატერის მსგავსად, 6-7 ენაზე არ ვლაპარაკობ, — განაცხადა ბეკენბაუერმა, — მსოფლიოს უპირველესი საფეხბურთო



ორგანიზაციის თავკაცი სწორედ ის უნდა იყოს, ევროპაში ყველაფერი სხვაგვარადაა. იქ ყველა ინგლისურად ლაპარაკობს, ხოლო ჩემი ინგლისური ნამდვილად მოითხოვს დახვეწას. ლენარტ იოჰანსონმა თქვა, რომ გადამწყვეტილებას რამდენიმე თვის შემდეგ მიიღებს. თუ ის ნასვლას გადამწყვეტს, მისი ადგილის დაკავებაზე ნამდვილად ვიფიქრებ“.

## მენდიალი უღოჯინგოლ მიმდინარეობს

224-ვე დოპინგ-კონტროლმა, რომელზეც მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატის 56 მატჩში მონაწილე ფეხბურთელები გაატარეს, ნეგატიური შედეგი უჩვენა. ეს ეხება არა მარტო მოთამაშეთა მიერ აკრძალულ პრეპარატთა სიაში შესული ნაწილების მოხმარებაზე შემოწმებას, არამედ ახალ დოპინგს სახელწოდებით — „ერო“ (ერიტროპოეტინი). „ერო“ გახლავთ ჰორმონი, რომელსაც თირკმლები გამოიმუშავებს და ერიტროციტების სტიმულირებას ახდენს. მას სპორტსმენები ორგანიზმში ჟანგბადის ტრანსპორტირების ოდენობის გაზრდის მიზნით იყენებენ. ეს პროცესი კი, ერიტროციტების რაოდენობის ზრდის შედეგად უმჯობესდება.

## სამენდილო ციხე-სხელაბა გუანბანამოს სამხედრო ბაზაზე

გუანტანამოს სამხედრო ბაზაზე მდებარე ციხეში, სადაც „ალ-ქაიდას“ ტერორისტულ ქსელთან თანამშრომლობაში ეჭვმიტანილი პირები იმყოფებიან, ტუსაღებს, საუდის არაბეთის ნაკრების მონაწილეობით ჯგუფური ეტაპის სამი მატჩის ყურების უფლება მისცეს. „სამი მატჩი ჩავიწერეთ, რეკლამები ამოჭყერით და დაახლოებით 40 პატიმარს ვუჩვენეთ, რომლებიც ავლანეთიდან და საუდის არაბეთიდან არიან“, — განაცხადა Reuters-ის კორესპონდენტთან საუბრისას ამერიკელმა სამხედრო პირმა.

## გერმანია ღიდი ეკონომიკური მოგების მოლოდინშია

მუნდიალის დაწყებამდე, გერმანელი ეკონომისტები ვარაუდობდნენ, რომ ამ ქვეყანაში საქმიანი აქტიურობის ინდექსი შემცირდებოდა, მაგრამ მსგავს მოვლენას ადგილი არ ჰქონია. პირიქით, მიუნხენის სპეციალური კვლევითი ინსტიტუტის მონაცემებით, საქმიანი აქტიურობის ინდექსი 106,8 პუნქტით გაიზარდა და მიაღწია დონეს, რომელიც გერმანიაში მხოლოდ ამ ქვეყნის აღმოსავლეთი და დასავლეთი ნაწილების გაერთიანების შემდეგ, 1991 წელს აღინიშნა. რადიო Deutsche Welle იუწყება, რომ ამ მაჩვენებლის ზრდაში პოზიტიური როლი მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატზეც შეასრულა. ტურნირმა ხელი შეუწყო უმუშევართა რიცხვის შემცირებასაც, თუმცა ჯერჯერობით, მხოლოდ დროებით გაუღებზე შეიძლება ლაპარაკი. „ყველაფერი, რაც ფეხბურთთანაა დაკავშირებული, დღეს ცხელი ლეგენდით საღდება. ხალხი ყველაფერს ყიდულობს — ქუდებიდან დაწყებული, პრეზერვატივებით დამთავრებული, რომლებზეც მსოფლიო ჩემპიონატის ემბლემა გამოსახული“, — განუცხადა Reuters-ის კორესპონდენტს გერმანელ რიელტერთა ასოციაციის მმართველმა დირექტორმა, როლფ პანგელსმა. მრეწველობის საქმეში მოღვაწე ადამიანები დარწმუნებულნი არიან, რომ მუნდიალის წყალობით, დამატებით 2 მილიარდი ევროს ოდენობის მოგებას მიიღებენ. როგორც მოსალოდნელია, მიმდინარე მსოფლიო პირველობა გერმანიის შემოსავალს 5%-ით გაზრდის. გარდა ამისა, ბიზნესმენები იმედოვნებენ, რომ ტურნირს ხანგრძლივი პერიოდით, მთელი ევროპის ეკონომიკაზე დადებითი ეფექტის მოხდენა შეუძლია.

## ბრაზილიის და არგენტინის გუნდებმა ბანგლადეშელთა იმედი გაუნბილეს



ორმოცამდე ადამიანი, მათ შორის პოლიციელები, ბანგლადეშის დედაქალაქ დაკაში მომხდარი მასშტაბური ინციდენტის გამო დაშავდა. შეხლა-შემოხლის მიზეზად, გერმანიისა და არგენტინის ნაკრებთა შეხვედრისას ელექტროენერჯის გამორთვა იქცა. ამის გამო, გამანაწილებელ სადგურს ასობით გააფთრებული ქომაგი მიანყდა. წესრიგის დამცველები კი, იძულებული გახდნენ, ხელკეტებით შეეჩერებინათ ისინი. თუმცა, ამ მეთოდს შედეგი მალევე არ გამოუღია. ჯერჯერობით უცნობია, თუ ვისი მიზეზით გაითშეს დენი, მაგრამ იმას კი ამბობენ, რომ მას ბანგლადეშელი ფანები სამაგიეროს აუცილებლად გადაუხდინან. ცხადია, მათი გუნდი კიდევ დიდი ხნის განმავლობაში ვერ მოხვდება მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე. ბანგლადეშელები ძირითადად, ორ ნაწილად იყვნენ გაყოფილნი: ერთნი — ბრაზილიელებს ქომაგობდნენ, ხოლო მეორენი — არგენტინელებს. პოლიციის წარმომადგენელთა განცხადებით, ამ დროს, სამართალდამცველები ძლიერი იერიშის მოლოდინში იმყოფებოდნენ, რადგან დაკაში ელექტროენერჯის გამორთვა იშვიათი არ არის.

# საყვარალი გუნდისთვის სამსახური დახარბა...

გერმანიისა და არგენტინის მეოთხედ-ფინალური მატჩის შემდეგ, ბერლინის „ოლიმპიაშტადიონის“ დიქტორი სამსახურიდან დაითხოვეს. BBC-ს ცნობით, ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ამ უკანასკნელმა სტადიონზე მყოფ ხალხს გერმანიის გუნდის მხარდაჭერისკენ მოუწოდა. „ქალბატონებო და ბატონებო, ჩვენი გუნდი ჩვენს მხარდაჭერას საჭიროებს“, — უთქვამს მას შესვედრის მსვლელობისას.

## „გახსენით რონალდინიოს ახილავით და მიირთვით“



ჩვენს მკითხველს უკვე ვაცნობეთ, რომ საფეხბურთო სამყაროში რონალდინიოს კბილები დიდი პოპულარობით სარგებლობს. აი, ერთ ნოვატორ ინგლისელს კი, ბრაზილიელი სუპერვარსკვლავის ხიბლით, სპეციალური, ბოთლის გასასხნელიც შეუქმნია. ეს ყოველდღიური მოხმარების ხელსაწყო (განსაკუთრებულად საჭიროა მუნდიალის მსვლელობისას...) ფეხბურთელების 12-სანტიმეტრიან ფიგურას წარმოადგენს: პირდაღებული რონალდინიო თავისი ეროვნული გუნდის 10-ნომრიან მაისურშია გამოწყობილი. ალბათ მიხვდით, რომ ამ ფიგურას, „ბარსას“ ნახევარმცველის „საფირმო ნიშანი“ — დიდი და ძლიერი კბილებიც ამშვენებს, რომლითაც მომხმარებლებმა უნდა გახსნან ლუდის ბოთლები. გასასხნელის ერთადერთ ეგზემპლარს მისი მფლობელი ინტერნეტუქციონზე გაყიდის. საინტერესოა, ისურვეს თუ არა ვინმე ამ საგნის ყიდვას მას შემდეგ, რაც ვერც ბრაზილიის ნაკრებმა და ვერც რონალდინიომ თავი ვერაფრით გამოიჩინეს?..

# მსოფლიო ჩემპიონატი — ურუგვაიდან გერმანიამდე

## საფრანგეთი 1998

60-წლიანი შესვენების შემდეგ, ფიფამ მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობა სწორედ იმ ქვეყანას უბოძა, რომელმაც თავის დროზე, ამ ტურნირის საფუძველი ჩაუყარა.

1998 წლის მუნდიალის წინ, ფიფამ ისტორიული გადაწყვეტილება მიიღო, რაც ფინალურ ეტაპზე გასული გუნდების 32-მდე გაზრდაში გამოიხატა. საფრანგეთში გასამზადრებული 30 საგზურისთვის (დანარჩენი ორი — ჩემპიონ ბრაზილიასა და მასპინძელთა გუნდს ერგოთ) თავიდანვე, თავდაუზოგავი ბრძოლა წარიმართა, ფინალურ ეტაპზე გასულნი კი, ჯგუფებში ახლებური, გეოგრაფიული პრინციპით გადაანაწილდნენ. ამის შედეგად, 8 ჯგუფიდან 7-ში, ორი ევროპული, ერთი ამერიკული და ერთიც აზიური ან აფრიკული ნაკრები მოხვდა.

„ა“ ჯგუფში უდავო ფავორიტად, მოქმედ ჩემპიონს — ბრაზილიის გუნდს მიიჩნევდნენ. ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ პირველ ადგილს სამხრეთამერიკელებს ვერავინ შეეცილებოდა. მერვედფინალის მეორე საგზურისთვის კი, მოტლანდიის, ნორვეგიისა და მაროკოს ნაკრებებს უნდა ებრძოლათ. ჩემპიონატის სასტარტო შესვედრაში თამაშის პატივი ბრაზილიასა და მოტლანდიას ერგოთ. ფავორიტებს განსაკუთრებული არაფერი უჩვენებიათ, თუმცა კი მეტოქეს 2:1 სძლიეს. შესვედრა იმით გამოირჩეოდა, რომ სპეციალურად მუნდიალისთვის აშენებულ ულამაზეს „სტად დე ფრანსზე“ 80000 ქომაგი შეიკრიბა. საბოლოოდ, სამხრეთამერიკელებმა ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავეს, მეორე პოზიციაზე კი, ნორვეგიელები აღმოჩნდნენ. მათ ბრაზილიის ნაკრებს შესვედრის ბოლო 7 წუთში 2 გოლი გაუტანეს და 2:1 მოუგეს.

კენჭისყრისას, ამკარად გაუშართლა მეორე ფინალისტს — საფრანგეთის ნაკრებს. მასპინძლებს „ც“ ჯგუფში დანიის, სამხრეთ აფრიკისა და საუდის არაბეთის გუნდებთან უხდებოდათ ბუკრობა. ფრანგებმა სამივე მატჩი მოიგეს და პირველ ადგილზე გავიდნენ. ჯგუფიდან მეორე ევროპული გუნდი — დანიაც გავიდა, რომელმაც ერთადერთ გამარჯვებას აფრიკელებთან მიაღწია.

მერვედფინალში დაძაბულობა არც ერთ მატჩს არ აკლდა, მაგრამ განსაკუთრებული ზნებათაღელვით არგენტინისა და ინგლისის დაპირისპირება გამოირჩეოდა. შესვედრის ძირითადი და დამატებითი დრო ფრედ, 2:2 დასრულდა. თამაში ბოლომდე ვერ ჩაამთავრა ინგლისელთა ერთ-ერთმა ლიდერმა — დევიდ ბექჰემმა. იმ დროს ჯერ კიდევ „მანჩესტერში“ მოთამაშე ნახევარმცველი, არგენტინელი დიეგო სიმეონეს პროვოკაციას წამოეყო და მეტოქეს, არბიტრის — კიმ მილტონ ნილსენის თვალწინ არასპორტულად მოექცა. დანიელ არბიტრს ბევრი აღარ უფიქრია და ბექსი მოედნიდან გააძევა. შესვედრის ნამდვილ მშვენიერ იქცა მაკლ ოუენის მიერ სამხრეთამერიკელთა კარში გატანილი გოლი. ინგლისელთა ახალგაზრდა ფორვარდმა სამი მცველის მოტყუება მოახერხა და ძლიერი დარტ-



ყმით არგენტინელთა მკარეს შანსი არ დაუტოვა. პენალტების სერიამი გადაწყვეტი აღმოჩნდა ინგლისელი დევიდ ბექის მიერ აცრილებული ბურთი. არგენტინამ ანგარიშით 4:3 იმარჯვა.

კიდევ უფრო დაიძაბა მდგომარეობა მეოთხედფინალურ მატჩებში. ამ ეტაპზე, ცენტრალურ შესვედრად, ორი ევროპული გრანდის სუპერდაპირისპირება მოინათლა. ფრანგ გულშემატკი-

ვართა უმრავლესობა დარწმუნებული გახლდათ, რომ თუ მასპინძლები „იტალიურ ბარიერს“ დასძლევენ, მათ წინ ვლადარავინ დაუდგებოდათ. საბოლოოდ, ასეც მოხდა, თუმცა „სამფეროვნებს“ დიდი ჯაფა კი დაადგათ. შესვედრის ძირითად და დამატებით დროში გოლის გატანა ვერც ერთმა გუნდმა ვერ მოახერხა, პენალტების სერიის დასასრული კი, ისეთი აღმოჩნდა, როგორსაც „სტად დე ფრანსზე“ შეკრებილი ქომაგების აბსოლუტური უმრავლესობა ინატრებდა. იტალიელთა უკანასკნელი დარტყმა ლუიჯი დი ბიაჯომ ხარისხს მოახვედრა და „სკუადრა აძურა“ ჩემპიონატს დაემკვიდრა.

სენსაციურად დასრულდა შესვედრა გერმანიისა და ხორვატიის ნაკრებს გუნდებს შორის. „ექსიუგებმა“ სახელოვან მეტოქეს 3:1 სძლიეს და თავიანთ ისტორიაში კიდევ ერთი სახელოვანი ფურცელი ჩანერგეს. სანახაობრივი აღმოჩნდა დანარჩენი ორი მეოთხედფინალიც. ბრაზილიელებმა ასევე შეტევებზე ორიენტირებულ დანიელებს, რივალდოს დუბლის წყალობით, მხოლოდ 3:2 სძლიეს, ხოლო პოლანდიამ მატჩის ბოლო წუთზე, დენის ბერგაშპის მიერ გატანილი ბრწყინვალე გოლით, არგენტინას 2:1 აჯობა.

ჩემპიონატის ნახევარფინალების წინ, ფავორიტებზე ლაპარაკი ძალზე რთული გახლდათ. ოთხივე გუნდი დაახლოებით თანაბარ თამაშს უჩვენებდა, ამდენად, ქომაგი განსაკუთრებით საინტერესო მატჩებისთვის განწყობილი. ბრაზილიისა და პოლანდიის ნაკრებების შესვედრაში ანგარიში რონალდომ გახსნა, თუმცა თამაშის დასრულებამდე სამიოდე წუთით ადრე, პატრიკ კლუივერტმა გაათანაბრა და კიდევ ერთხელ ამ ჩემპიონატზე, გამარჯვებულის გამოსავლენად, პენალტების სერიის დანიშნა გახდა საჭირო. ამჯერად, თავი იჩინა ბრაზილიელთა ლეგენდარული გოლკიპერის — კლუდო ტაფარელის უდიდესმა გამოცდილებამ. სამხრეთამერიკელმა მკარემ ფილიპ კოკუსა და რონალდ დე ბურის დარტყმების მოგერიება მოახერხა და გუნდს ფინალის საგზური მოუტანა.

გაგრძელება იხ. გვ. 72



# ირაკლი ლომია: ფიზიკურ თუ სულიერ დაავადებას, აურის ნეგატიური მუხტით დაბინძურება იწვევს



ცნობილი მკურნალის, შემოქმედისა და ექსტრასენსის — ირაკლი ლომიას ფენომენმა არა მარტო ქართველები, არამედ უცხოელებიც გააოცა. ამბობენ, ნამდვილ სასწაულებს ახდენსო. მას უამრავი ადამიანი ემადლიერება. ირაკლი მძიმე ავადმყოფებს კურნავს. მასთან, დახმარების სათხოვნელად, ხალხი საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოდის. ირაკლის ფენომენალურმა ნიჭმა, უამრავი ოჯახი გადაარჩინა დანგრევასა და გაუბედურებას. მას მალაჩინოსნებიც ხშირად აკითხავენ. უჩვეულო უნარით დაჯილდოებული მკურნალი, მაგიური ზემოქმედების შედეგად დაბინძურებულ აურას ხედავს და უარყოფითი მუხტისგან ასუფთავებს, ანუ სხნს თვალს, ჯვადოს, საგვარეულო წყევლას.

— ირაკლი, ავადმყოფებს რა მეთოდებით კურნავთ?

— ვიყენებ ექსტრასენსულ მეთოდს, კოსმოსურ ენერჯის, გამოლოცვას. ასტრალური მეთოდით (ფოტოსურათის მეშვეობით), აურაზე ზემოქმედებას ვახდენ, გარდა ამისა, ხილვებში ნასწავლი რეცეპტებით ვამზადებ მცენარეულ თუ ქიმიურ ნამლებს, მალამოებს — კანის დამწვრობის, ეგზემის, სინითლის, ნაირენერვის, ჭორფლისა და დამახინჯებული ადგილების სამკურნალოდ.

— თქვენზე ამბობენ, მძიმე ავადმყოფებსაც კურნავსო, მართალია?

— ნებისმიერი სირთულის სენს შევებრძობლებით, თუ დიაგნოზის დასმის მერე, ჩემი პასუხი დადებითი იქნება... თითოეული პაციენტის დაავადება ინდივიდუალურია, ამდენად, ვისი ორგანიზმიც სპეციალურ მკურნალობას დაექვემდებარება, რაც არ უნდა მძიმე მდგომარეობაში იყოს, მაინც გამოჯანმრთელდება. ჩვენ ადამიანის კარმულ-ენერგეტიკულ გამოკვლევას ვახდენთ. ნებისმიერი ცოცხალი არსების ენერგეტიკა და მუსტულისა და დელებისად და უარყოფითად. ფიზიკურ თუ სულიერ დაავადებებს, ბიოველის ნეგატიური მუხტით დაბინძურება იწვევს... უკვე მეექვსე წელია, რაც ხალხს ვმსახურებთ. ჩვენთან უცხოელებიც ხშირად ჩამოდან, არაჩვეულებრივ შედეგებს მივაღწიეთ. მე რელიგიური ნიშნით არ ვასხვავებ პაციენტებს, ნებისმიერი რწმენისა და ეროვნების ადამიანს ვუწევ დახმარებას.

— კურთხევა საპატრიარქოდან თუ გაქვთ მიღებული?

— ბავშვობიდან მყავდა სულიერი მოძღვარი, მის ხელში გავიზარდე და საკუთარი თვალთ ხედავდა — ჩემს თავს რა სასწაულებიც ხდებოდა. როცა სხეულზე ჯვრები გამოქსახა და მირონი გადმოვდინა, სხვა სასულიერო პირებმა მიიჩნიეს, აველურისგან შეპყრობილიაო და ყველა გამირობოდა. სხეულზე ჯვრებამოსახული და მირონმდინარე ჩემმა მოძღვარმა საპატრიარქოში მიმიყვანა. არასოდეს დამავინწყდება უწმიდესთან და უნეტარესთან, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან შეხვედრა. ძალიან თბილად მიმიღო და მითხრა: სასწაულია,

შენ ღვთის შვილი ხარ, რადგან სხეულზე ჯვრების გამოსახვა და მირონის გადმოღინება სატანას არ ძალუძსო. იმხანად, ზოგჯერ თავბრუ მეხვეოდა ხოლმე, მაგრამ საპატრიარქოდან წამოსვლის შემდეგ, გამიქრა. უწმიდესმა და უნეტარესმა კურთხევა მომცა — ხალხის სამსახურში ვყოფილიყავი. ჩემთან მოსული ყველა პაციენტი მორწმუნეა და ეკლესიაში დადის. მე მათ ენერგეტიკული მეთოდით დიაგნოზს ვუსვამ, ვკურნალობ და გამოლოცვის დროს, სანთლებს ვანთებ, ეგზორციზმს ვიყენებ. პაციენტები ჩემთან მოძღვრის კურთხევით მოდიან.

— თქვენს ცხოვრებაში სასწაულები როდის დაიწყო?

— თბილისში, ტრადიციულ ქართულ ოჯახში დავიბადე. მერე, ჩემი მშობლები სამუშაოდ სენაკში გადავიდნენ და თან წამიყვანეს. ამქვეყნად ჩემი მოვლინებაც სასწაული იყო... სანამ დავიბადებოდი, დედა ხშირად ცუდად ხდებოდა ხოლმე, ექიმები ვერაფერს უგებდნენ, დიაგნოზის დასმა უჭირდათ, რადგანაც ქალი, პრაქტიკულად, ჯანმრთელი იყო.

— მშობიარობის მერე როგორ იყო?

— გაჩენის დღიდან, ავად უკვე მე ვიყავი, ხშირად კრუნჩხვებში ვვარდებოდი. ალბათ, არ არსებობს დაავადება, რომელიც ექიმებმა არ დაიდიგინეს. ჩვიდმეტი წლის განმავლობაში სად არ წამიყვანეს, ვისთან არ მიმჯურნალეს, მაგრამ ამაოდ, ვერავინ მიშველა. აპარატურა, რომლითაც ენციფალოგრამა ან ტომოგრამა უნდა გადაეღოთ, მოულოდნელად ითიშებოდა და ინვებოდა, კომპიუტერი ფუჭდებოდა.

— რატომ?

— მიზუსტ ვერავინ ხედავდა... ისე ცუდად ვიყავი, ეგონათ, არ გადარჩებო. სამშობიაროდან ახალი გამორეილი, თურმე, კრუნჩხვებში ჩავვარდი და გავშავდი. საბრალოდ დაქვამს უკვილია — ვაიძე, დავილუბე, შვილი მომიკვდაო და სანოლის თავთან დაბრძნებული ღვთისმშობლის ხატისთვის უთხოვია: ოლონდ ირაკლი გადამირჩინე და ახლავე, მუხლისჩოქით შემოვუვლი მთელ ეზოს სამჯერო. უზარმაზარი ეზო გვაქვს... მუხ-

ლები თურმე სულ დასისხლიანებული ჰქონდა. ოთახში რომ შესულა, სისხარულით კინალამ გადარეულა — სასწაული მოხდა, ცოცხალი დაავადი, სახეზე ვარდისფერი მელო და ჩვეულებრივად ვსუნთქავდი.

— როდის გადაწყვიტეთ ექიმთა გამხდარყვით?

— მედიცინისკენ მიდრეკილება ბავშვობიდანვე მქონდა. მაგალითად, თუ ვინმე მეტყოდა, თავი მტკიავო, შევხედავდი და უქრებოდა — ამის საშუალებას შინაგანი ენერჯია მაძლევდა. მაშინ არ ვიციოდი, ჩემს თავს რა ხდებოდა. ძალიან ხშირად ვვარდებოდი დეპრესიაში, თავის მოკვლის სურვილიც კი მიჩნდებოდა, მეჩვენებოდა, რომ ჩემზე ცუდს ლაპარაკობდნენ, არავის ვუყვარდი. სასწაული ის იყო, რომ ყოველთვის რელიგიური დღესასწაულებზე ვხდებოდი ცუდად, კრუნჩხვებში ვვარდებოდი. ჩვენს რაიონში ცხოვრობს ქალი, რომელსაც წინასწარმეტყველების ნიჭი აქვს. სწორედ, მან შემოუთვალა დედაჩემს, ირაკლის არაფერს სჭირს, ექიმებთან ტყუილად ატარებ, თქვენი წინაპრების გენეტიკური ცოდვების გამო, ღმერთისგან არის დასჯილი, ბიჭს ძლიერი ენერგეტიკა აქვს, აუცილებლად გამოულოცეთ და მერე, ხალხს თვითონ განკურნავს, თუ არა და მოკვდებაო.

— შენმა მშობლებმა მისი ნათქვამი დაიჯერეს?

— რა თქმა უნდა, არა, მაგრამ დრო გავიდა და უარესად გავხდი. დედამ სანქტ-პეტერბურგში წამიყვანა, ოპერაცია ჩვენი ბოლო იმედი იყო. მასსოვს, დასამშვედებელად ნემსით თავში ძლიერი წამალი გამიკეთეს, ისე მეტკინა, რომ სიმწრისგან დავიკლაკნე. თქვენ წარმოიდგინეთ, ის ადგილები, სადაც ხელები მენყო, ამოინვა.

— რანაირად?

— მაგალითად, რომელზეც დამანვინეს, ზემოდან ცელოფანი ჰქონდა გადაფარებული და სწორედ, ის ადგილები ამოინვა, სადაც ხელები მენყო. ექიმები მიხვდნენ, რომ ძლიერი ენერგეტიკა მქონდა. სწორედ, ამის შემდეგ, მკურნალობის არატრადიციული მეთოდები სერიოზულად დავინტერესდი, მაგრამ პარალელურად, სწავლა სამედიცინო ინსტიტუტში გავაგრძელე, რათა ადამიანთა განკურნების ხელოვნება სრულყოფილად ამთვისებინა.

P.S. ინფორმაციის მისაღებად დაუკავშირდით ირაკლი ლომიას მენეჯერს. მისამართი: „შპს მკურნალ-ექსტრასენს-პარაფსიქოლოგ“ ირაკლი ლომიას ოფისი მდებარეობს — ქ. თბილისი, ცისარტყელას ქ. №21-ში (ნახალოვკა, მეტროსადგურ „ნაძალადევსა“ და „ელექტროდებოს“ შორის, პირველ სამშობიაროსთან) მიღება წარმოებს ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 12 საათიდან 18 საათამდე. მიმღების ტელეფონები: 20.50.51, 20.50.52; ფაქსი: 20.50.53; მობილური (24 საათის განმავლობაში 995-9950-15-78. 995-93-92-65-78; მონაცემები შეტანილია ინტერნეტში [www.ikaextrasens.com](http://www.ikaextrasens.com) ელფოსტა: [ika@ikaextrasens.com](mailto:ika@ikaextrasens.com), [extrasens@mail.ru](mailto:extrasens@mail.ru) საქმიანი წინადადებებით ან სათანამშრომლოდ შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ირაკლის ელფოსტით: [irakilomaia@mail.ru](mailto:irakilomaia@mail.ru)





			<b>1</b> მამალი თხა										
						<b>2</b> ხის ალვირი		<b>3</b> თუთიყუშის სახეობა		<b>4</b> ორკეს- ტრის ხელმძღვ- ანელი			
				<b>5</b> ესპანელი ფერმწერი									
						<b>6</b> ბრა- ზილიელი მწერალი							
						<b>7</b> პატარა თოხი							
						<b>8</b> ღაირა							
	<b>9</b> სო- ხის სიციფი დახურული ჭურჭელი	<b>10</b> ლიტერ- ატურული კანონი			<b>11</b> ტუს- ნაზარ- მოების შესავალი ნაწილი								
					<b>12</b> ამერიკის შტატი	<b>13</b> სასახლე იტალია- ში			<b>14</b> ქლის ქროუ- ლო თუხაშურაფი				
					<b>15</b> ბგ- ერის გრაფიკუ- ლი ნიშანი				<b>16</b> კანადის ფულის ერთეული		<b>17</b> სისხლ- ნაკლებობა		<b>18</b> სოფ- ლის პოლიციელი რევილუ- ციაში
	<b>19</b> კვებ- ის გარკვეუ- ლი რეჟიმი					<b>20</b> მუნბული ხმელთაშუა- ნლაში							
		<b>21</b> ფურ- ცლების მეცნიერული შესაკრავი			<b>22</b> ზლა- პრუ- ლი გერმანული ქალი	<b>23</b> კორეული ავტომო- ბილი	<b>24</b> მომ- ლე- რალო ან მოცეკვაობა ჯაჯაფი	<b>25</b> ფრანგი მწერალი					
						<b>26</b> გან- საკუთრე- ბული ნიჭი						<b>27</b> ფრანგუ- ლი გახს- ჯიში	
<b>28</b> ცდის გარეშე			<b>29</b> იაპონიის პირველი დედაქალაქი		<b>30</b> რსამე შესაწავი ჭურჭელი	<b>31</b> კომბინა- ცია პოკერში						<b>32</b> გერმანე- ლი მწერალი	
						<b>33</b> ველური ვარდი							
<b>34</b> საფეაფილე ვანა							<b>35</b> მუხლის მოდრეკა ლოცვისას					<b>36</b> ავტო- მობი- ლის ძარას- ტიპი	
<b>37</b> სპირ- ტიანი სასმელი		<b>38</b> ინტუიცია											
					<b>39</b> ირმებშებ- მული მარნილი	<b>40</b> მსახიობი ... ბურჯანაძე	<b>41</b> მუქი ნაცრ- ისფერი						
<b>42</b> 3,141					<b>43</b> შინაური ცხოველი								
	<b>44</b> აბი- დონოს დეკორატი- ული ქამარი			<b>45</b> ძვირფასი ქვა	<b>46</b> მძარცვე- ლი, ყაჩაღი								
			<b>47</b> სიძე- პატარძლის მხლებლები									<b>48</b> მხარე გერმანია- ში	



**წინა ნომრის სკანოკრილის პასუხები**  
 1. მიზანთოპი; 2. კასპი; 3. თონე; 4. არბიტრი; 5. პონი; 6. იდიოტი; 7. შამპინიონი; 8. იაღონი; 9. ნალჩიკი; 10. ტრიო; 11. პო; 12. კოდი; 13. ჩილე; 14. ნამაზი; 15. ოლიმპი; 16. პლუდი; 17. კამა; 18. მინდი; 19. ნოტი; 20. დოლაბი; 21. მაროკო; 22. ლეი; 23. ძმა; 24. ტევრი; 25. შინელი; 26. მანე; 27. ჰამბურგი; 28. პიტლერი; 29. ფენი; 30. ლიმპიტი; 31. მატრიკული; 32. კუ; 33. ტანდემი; 34. ნიავი; 35. კალოში; 36. დიმი; 37. ლხინი; 38. წვირი; 39. შაორი; 40. ბაია; 41. ბაკარა; 42. საფრა; 43. გუა; 44. მალაგა; 45. არნივი; 46. მინდია; 47. სვე.  
 სურათებზე: მიშელ პლატინი; ლუიზ ფიგუ.

# kviris astrologiuri prognozi

(6 - 12 ivlisi)

## მარტი 21.03-20.04

ამ კვირას, მთელი თქვენი დიბლომატიური ნიჭის გამოვლენა მოგიწევთ და მისი წყალობით, ყველა გაუგებრობის თავიდან აცილებას შეძლებთ. მშვიდი და წყნარი დღეები საშუალებას მოგცემთ, ახლო მომავლის გეგმები დასახოთ. შესაძლოა, საინტერესო მივიღინებთ გამგზავრების შანსი გამოგიჩნდეთ და დროსაც სასიამოვნოდ გაატარებთ.

## კარგი 21.04-20.05

ნებისმიერი საოჯახო საქმიანობისათვის, ძალიან იღბლიანი კვირა იქნება. შაბათ-კვირას, ელიტურ წვეულებაზე მიგიპატიუებენ. ნასვლაზე უარს ნუ იტყვით, რადგან იქ გაცნობილი ადამიანები მომავალში დიდ დახმარებას აღმოგიჩენენ. ყურადღება მიაქციეთ თქვენს ვიზუალურ მხარეს — ამაზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული.

## ტყუპი 21.05-21.06

საკმაოდ დატვირთული კვირა გექნებათ. ახლობელ ადამიანზე ზრუნვა, დიდ დროსა და ენერჯიას წაგართმევთ, მაგრამ ეცადეთ, სამსახურში ყურადღება არ მოადუნოთ, რადგან ბიზნესის სფეროში წარმატება მოსალოდნელი. დასვენების დღეები, მყუდრო, თქვენთვის სასიამოვნო გარემოცვაში გაატარეთ.

## კიბო 22.06-22.07

საკმაოდ პოზიტიური კვირაა. ამ დღეებში, თქვენი ცხოვრების საღად შეფასებას შეძლებთ. ზუსტად განსაზღვრავთ პრიორიტეტებს და თქვენი მონდომება ხელმძღვანელს შეუძინებელი არ დარჩება. კვირის ბოლოს, სასიამოვნო სიურპრიზი გელით, რომელსაც თქვენი რჩეული, უკვე რამდენიმე დღეა გიმზადებთ.

## ლომი 23.07-23.08

ამ კვირაში ძალზე ენერჯიული იქნებით, ბევრ სასიკეთო საქმეს გააკეთებთ და ამის გამო, მადლობასაც გადაგიხდინან. შეეცადეთ,

ენერჯია შაბათ-კვირისთვისაც შემოინახოთ, რადგან ამ დღეებში, აქტიური გართობის მოყვარული ადამიანების გარემოცვაში აღმოჩნდებით.

## ძალწული 24.08-23.09

კვირის დასაწყისში, ძალიან საპასუხისმგებლო დავალებას მოგცემენ. მოინდომეთ, გაამართლოთ ხელმძღვანელების იმედები და შრომა აუცილებლად დაგიფასდებათ. ნუ გამოიჩენთ ამბიციურობას: წარმატება თავში არ აგივარდეთ და ძველ მეგობრებს ნუ დაივიწყებთ, თორემ, მათ სამართლიან გულსწყრომას დაიმსახურებთ და შესაძლოა, ზოგიერთი მათგანი დაკარგოთ კიდევ.

## სასწორი 24.09-23.10

ცხოვრების სტილის შეცვლაზე ფიქრობთ და ამის საფუძველი ნამდვილად გაქვთ. იყავით უფრო გაბედული და წარმატებაც არ დააყოვნებს. პრობლემებს მხოლოდ საკუთარი ძალებით ვერ გაუმკლავდებით. სთხოვეთ რჩევა ახლობელ ადამიანებსა და კოლეგებს. კვირის ბოლოს კი, ორგანიზატორული ნიჭი და შრომისმოყვარეობა გამოიჩინეთ — უქმე დღეები სამსახურებრივი პრობლემების მოგვარებას დაუთმეთ.

## მორიელი 24.10-22.11

კვირის დასაწყისს აქტიურად და დინამიკურად გაატარებთ. შუა კვირაში კი, მცირეოდენი დაბრკოლებები შეგექმნებათ. შესაძლოა, ურთიერთობა ოჯახის წევრებთანაც გაგიმწვავდეთ. იყავით კორექტული და უსიამოვნო საუბარს თავიდან აიცილებთ. შაბათ-კვირა მეგობრებთან ერთად, მხიარულ გარემოში გაატარეთ და ისე დაისვენეთ, რომ პრობლემებზე არ იფიქროთ.

## მზვილფოსანი 23.11-21.12

თუკი რაიმის ძირფესვიანად შეცვლას აპირებთ ან რაღაც პროექტის განხორციელებას

გეგმავთ, თამამად შეუდექით საქმეს. ეს კვირა იდეალურია ახალი წამოწყებისთვის, მაგრამ თუ იზარმაცებთ, თქვენს ჩანაფიქრს ვერასდროს განახორციელებთ. შაბათ-კვირას, დასვენებაზე არც კი იფიქროთ, ეს დღეებიც საქმეების მოგვარებას დაუთმეთ.

## თხის რძე 22.12-20.01

პარასკევამდე თქვენი შესაძლებლობების გამომჟღავნების შესაძლებლობა არ მოგეცემათ. კვირის ბოლოს კი, ენერჯიის მოზღვავებას იგრძნობთ და თქვენი საქმიანობა წარმატებული იქნება — განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ხელოვნებით ხართ გატაცებული. შაბათს წვეულებაზე მიგიწვევენ, სადაც თქვენი სასიამოვნო გარემოების წყალობით, ყურადღების ცენტრში მოექცევით.

## მირწული 21.01-19.02

ამ დღეებში, მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას ნუ მიიღებთ, რადგან გუნება-განწყობილება ელვის სისწრაფით გეცვლება. ყურადღებით მოუხმინეთ ოჯახის წევრებს და მათი რჩევები გაითვალისწინეთ. თუ დასასვენებლად წასვლას გადაწყვეტთ, მაშინ შეეცადეთ, მათთან ან მეგობართან ერთად გაემგზავროთ, რადგან სახლიდან შორს მყოფს, სულ მალე, ოჯახური სიტუაცია მოგენატრებათ.

## თაყვანი 20.02-20.03

ეს კვირა წარმატებული აღმოჩნდება პოლიტიკაში დასაქმებული ადამიანებისთვის, მაგრამ თუ შეუმონებელ ინფორმაციას დაეყრდნობით, მაშინ დიდია იმის ალბათობა, რომ ინტრიგების მსხვერპლი აღმოჩნდეთ. ამ დღეებში, სასიყვარულო ურთიერთობები მეორე პლანზე უნდა გადასწიოთ — რაც უფრო ნაკლებ დროს გაატარებთ თქვენს რჩეულთან, ის მით უფრო დაგაფასებთ. მომავალ კვირას კი, მთელი დღეების მასთან (და რაც მთავარია, მშვიდად) გატარებას შეძლებთ.

## გომონღვაი მოჯანიკა

# ნინო გორგოზიანი „რუსთავი 2“-მა გადანიშნა

ალბათ, გახსოვთ, ცოტა ხნის წინ, ბელორუსიაში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების დროს, იქ, თბილისიდან ჩასული ტელეჟურნალისტი — ნინო გორგოზიანი რომ დააპატიმრეს და რამდენიმე დღით, ციხეში გამოკეტეს. მან



უცხო ქვეყანაში საკმარისი შეურაცხყოფა აიტანა. სამშობლოში დაბრუნებული კი, ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტმა „ღირსების ორდენით“ დააჯილდოვა. ერთი კვირის წინ, ნინომ სამსახური შეიცვალა. მან „რუსთავი 2“-იდან მიიღო შეთავაზება. **ნინო გორგოზიანი:**

— „რუსთავი 2“-ში გადმოსვლა ძალიან მიხარია, რადგან აქ პროფესიონალების გუნდია. — მაგრამ „ღირსების ორდენი“ ხომ „არსზე“ მუშაობის

დროს მიიღე!

— ეს ჯილდო ჩემი საქმიანობისთვის მივიღე და არა იმიტომ, რომ „არსზე“ ვიყავი. სადაც არ უნდა მემუშავა, იმ კონკრეტულ სიტუაციაში, თავი უნდა გამომევილინა — დაგვიჭირეს, ციხეში მოვხვედი და კასეტა მინც გადავარჩინე. ასეთი რაღაცები ჟურნალისტიკა ყოველთვის უნდა შეძლოს. მნიშვნელობა არ აქვს, რომელ არსზე მუშაობს.

— ახლა, „რუსთავი 2“-ში შემართებით მოხვედი?

— შემართებით მოვედი და მგონი, უფრო მეტის გაკეთებას შევძლებ, ვიდრე აქამდე ვაკეთებდი.



# რამდენად იოლად ეგუებოთ რთულ ცხოვრებისეულ სიტუაციებს?



რთულ ცხოვრებისეულ სიტუაციებში ადამიანები სხვადასხვაგვარად იქცევიან: ერთნი, შედარებით იოლად ეგუებიან უსიამოვნებებს და ამჯობინებენ, რომ ცხოვრების დინებას მიჰყვნენ; მეორენი, ძალზე ემოციურად გამოხატავენ უკმაყოფილებას და გამუდმებით თავბედს იწყველიან, მაგრამ საბოლოო ჯამში, ისინიც ეგუებიან შექმნილ სიტუაციას, თანაც ისე, რომ ფაქტობრივად, პრობლემის გადაჭრას ვერ ახერხებენ. მესამენი, საკუთარ ნაჭუჭში იკეტებიან და პრობლემებზე თავალის დასუჭვას ამჯობინებენ. მეოთხენი, კიდევ უფრო სხვაგვარად იქცევიან და ა.შ. ქვემოთ მოყვანილი ტესტის მეშვეობით თქვენ გაარკვევთ, ცხოვრებისეულ პრობლემებთან გამკლავების როგორი უნარით გამოირჩევით.

1. უყვებით თუ არა სხვებს საკუთარ პრობლემებისა და უსიამოვნებების შესახებ?

- ა) არა, რადგან მიგაჩნიათ, რომ ამით არაფერი გეშველიებათ — 3;
- ბ) დიას, თუკი საამისოდ შესაფერისი თანამოსაუბრე გყავთ — 1;
- გ) ყოველთვის არა, რადგან სხვისთვის მოყოლა კი რა, ზოგჯერ ამაზე ფიქრი თავადაც გიჭირთ — 2.

2. რამდენად მძიმედ განიცდით უსიამოვნებებს?

- ა) ყოველთვის მძიმედ განიცდით — 4;
- ბ) ეს დამოკიდებულია გარემოებებსა და საქმის ვითარებაზე — 0;
- გ) ცდილობთ, მოთმინებით აღიჭურვოთ, რადგან ეჭვი არ გეპარებათ იმაში, რომ ნებისმიერ უსიამოვნებას აქვს დასასრული — 2.

3. თუკი თქვენ საერთოდ არ ეკარებთ ალკოჰოლს, გამოტოვეთ ეს შეკითხვა და გადადით შემდეგზე. ხოლო თუკი სვამთ სპირტიან სასმელებს, განმარტეთ, რა მიზნით?

- ა) იმ მიზნით, რომ საკუთარ პრობლემებზე დარდი ღვინით გაიქარვოთ — 5;
- ბ) იმ მიზნით, რომ დროებით მაინც გადააყოლოთ გული — 3;

გ) დროდადრო, უბრალოდ იმიტომ სვამთ, რომ კარგ გუნებაზე დადგეთ და უფრო თავისუფლად იგრძნოთ თავი — 1.

4. როგორ იქცევით, როცა რალაციით ძალზე შეწუხებული ხართ?

- ა) ცდილობთ, მოდუნდეთ და აკეთებთ იმას, რის უფლებასაც სხვა დროს ნაკლებად აძლევთ თავს — 0;
- ბ) მეგობრებს სტუმრობთ — 2;
- გ) საკუთარი თავის სიბრაღულით აღვსილი, შინიდან ფეხსაც არსად ადგამთ — 4.

5. როგორ იქცევით, როცა თქვენთვის ახლობელი ადამიანი გულს გტყენთ?

- ა) საკუთარ ნაჭუჭში იკეტებით და საერთოდ არავის ეკონტაქტებით — 3;
- ბ) ახსნა-განმარტებას ითხოვთ მისგან — 0;
- გ) გაუთავებლად ამ თემაზე ლაპარაკით ირგვლივ მყოფებს თავს აბეზრებთ — 1.

6. ბედნიერების განცდის წუთებში, როგორი რეაქცია გაქვთ?

- ა) ასეთ დროს გადატანილი უბედურება აღარც კი გახსოვთ — 1;
- ბ) გეუფლებათ იმის შიში, რომ ბედნიერების წუთები ხანმოკლე აღმოჩნდება — 3;
- გ) არასოდეს გტოვებთ იმაზე ფიქრი,

რომ ამ ცხოვრებაში უამრავი უსიამოვნო რამ არსებობს — 5.

7. რა აზრის ხართ ფსიქიატრებზე?

- ა) ნამდვილად არ ისურვებდით მათ პაციენტად ყოფნას — 4;
- ბ) მათ უამრავი ადამიანის დახმარება შეუძლიათ — 2;
- გ) ადამიანმა თავად, ფსიქიატრის გარეშე უნდა შეძლოს საკუთარი თავის დახმარება — 3.

8. თქვენი აზრით, გწყალობთ თუ არა ბედი?

- ა) მუდმივად გდევნით ბედი-მდევიარი — 5;
- ბ) უსამართლოდ არ გწყალობთ ბედი — 2;
- გ) ბედი გწყალობთ — 1.

9. მეუღლესთან ან საყვარელ ადამიანთან ჩხუბის შემდეგ, როცა სიბრაზე შედარებით განელელებული გაქვთ, რაზე ფიქრობთ ხოლმე?

- ა) ისხენებთ იმ სასიამოვნო მომენტებს, რომელიც მასთან ერთად განგიცდიათ — 1;
- ბ) ოცნებობთ ფარულ შურისძიებაზე — 2;
- გ) ფიქრობთ იმაზე, რამდენი რამის ატანა მოგიხდათ მისგან — 3.

## ტესტის შედეგები

**7-15 ქულა:** ამ ტიპის ადამიანები იოლად ეგუებიან უსიამოვნებებს, სწორად აფასებენ შექმნილ სიტუაციას და ინარჩუნებენ სულიერ წონასწორობას.

**16-26 ქულა:** ამ ტიპის ადამიანები ყოველთვის ვერ ახერხებენ ცხოვრებისეული უსიამოვნებების ღირსეულად ატანას. ხშირად კარგავენ წონასწორობას და იწყებენ თავბედს. სირთ-

ულეებთან შეჯახებისას გამუდმებით ნერვებაშლილები არიან და სხვებსაც ცუდ ხასიათზე აყენებენ.

**27-36 ქულა:** ამ ტიპის ადამიანებს ცხოვრებისეულ უსიამოვნებებთან ნორმალურად გამკლავების უნარი არ შესწევთ. რთულ სიტუაციებზე ისინი ფსიქოლოგიურად არაადეკვატურად რეაგირებენ.

# მსოფლიო ჩემპიონატი – ურუგვაიდან გერმანიამდე

დასაწყისი იხ. გვ. 67

მეორე ნახევარფინალში ფრანგებს ხორვატიის ნაკრების დასამარცხებლად დიდი ძალისხმევა დასჭირდა. ემე ყვეს შეგირდებმა პირველებმა გაუშვეს გოლი, მაგრამ შემდეგ, ლილიან ტურამმა დუბლი შეასრულა და მატჩის გმირიც გახდა. ცნობისათვის — ხორვატთან თავის გამოჩენა დავორ შუკერმა შეძლო, რომელმაც მოგვიანებით, მესამე ადგილისთვის ჰოლანდიასთან მოგებულ შეხვედრაშიც (2:1) გაიტანა და ექვსი გოლით, ჩემპიონატის ბომბარდირი გახდა.

საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი ნამდვილ ზეიმად იქცა, მაგრამ მას გარკვეული იმედგაცრუებაც თან ახლდა: მატჩის დღეს, შეუძლოდ იგრძნო თავი ბრაზილიელთა უპირველესმა ვარსკვლავმა — რონალდომ. მართალია, საბოლოოდ, კიჭა მინდორზე მაინც გამოვიდა, მაგრამ ის საკუთარ თავს არ ჰგავდა. უდიდესი მოტივაციით მოთამაშე მასპინძლებმა კი, საქმე პირველსავე ტაიმში მოათავსეს. შეუდარებელი ზინედინ ზიდანის წყალობით, ფრანგებმა ორი გოლი შესწვნამდე გაიტანეს, მატჩის მიწურულს კი, მთელი გუნდით შეტევაზე გადასული მეტოქე ერთხელაც გამოიჭირეს: ბრაზილიელთა განადგურებას ემანუელ პეტომ დაუსვა ნერტილი. ერთი სიტყვით,

8 წლის წინაც, ისეთსავე სცენარით მიმდინარეობდა ბრაზილიელთა და ფრანგთა დაპირისპირება, როგორც რამდენიმე დღის წინ, მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალურ მატჩში, ოლონდ, ერთი განსხვავებით: მაშინ, ევროპელებმა სამხრეთამერიკელთა კარში სამი გოლი გაიტანეს.

ფინალური ტურნირი 10 ივნისიდან 12 ივლისამდე მიმდინარეობდა. 32 გუნდი 8 ქვეჯგუფად იყო დაყოფილი. მატჩები ნრიული სისტემით მიმდინარეობდა. თითოეულ ქვეჯგუფში გამოვლენილი 2 საუკეთესო ნაკრები მერვედფინალიდან ოლიმპიური პრინციპით აგრძელებდა ასპარეზობას.

გავიდა 171 გოლი (საშუალოდ, 2,67 — თითო შეხვედრაში).

საუკეთესო ბომბარდირად დავორ შუკერი იქცა (6 გოლი, ხორვატია).

იამაიკის ნაკრების კარში 3 გოლის გატანის შემდეგ, არგენტინელი გაბრიელ ბატისტუტა პირველი ფეხბურთელი გახდა, რომელმაც პეითორიკის შესრულება ერთბაშად ორ მსოფლიო ჩემპიონატზე მოახერხა: 4 წლით ადრე, ბატისტუტამ 3 გოლი ბურძენების კარში გაიტანა. ცნობისთვის — ერთ ჩემპიონატზე პეითორიკი შანდორ კოჩიშს, უიუსტ ფონტენსა (მას 4 გოლაც აქვს გატანილი) და გერდ

მიულერს აქვთ შესრულებული.

დანის ნაკრების თავდამსხმელმა ებე სანდმა ნიგერიელებთან გამართულ მერვედფინალურ მატჩში გოლის გატანა შეცვლაზე გამოსვლიდან 16 წამში მოახერხა. ეს მაჩვენებელი მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში რეკორდული გახლავთ.

გერმანიის ნაკრების ფეხბურთელმა ლოთარ მათეუსმა მეხუთე მსოფლიო ჩემპიონატში მიიღო მონაწილეობა და ამით, მექსიკელი ანტონიო კარბახალის რეკორდი გაიმეორა. მათეუსი რეკორდსმენია მსოფლიო პირველობაზე ჩატარებული შეხვედრების (25) მიხედვითაც. მას დიეგო მარადონა, ვლადისლავ შუშუდა და უვე ზედეური უდგანან კვალში: სამივეს მუნდიალზე 21 მატჩი აქვს ჩატარებული.

საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატმა სარეკორდო აუდიტორია მიიზიდა. მუნდიალის 64 მატჩს 37 მილიარდი მყურებელი ადევნებდა თვალს, რამაც თითოეული შეხვედრისათვის საშუალოდ, 78 მილიონი ადამიანი შეადგინა ჩემპიონატის ფინალურ მატჩს კი, ორმა მილიარდმა ქომამა უყურა. ამ მაჩვენებლის თანახმად, გადამწყვეტ დაპირისპირებას ჩვენი პლანეტის ყოველი მესამე ადამიანი ადევნებდა თვალს.

**რშრიკა მოამგალა ალექსი რეხვიაშვილმა**

## იპოვნეთ სენსაცია

გთავაზობთ ციფრულ თავსატეხს სუდოკუს (იპოვნურად „სუ“ ნიშნავს ციფრს, „დოკუ“ — ცალკე მდგომარეობის გულებს დაპყრობა და ჩვენი ჟურნალის ფურცლებზეც გამოჩნდა. მის ამოსახსნელად ცარიელ უჯრებში უნდა ჩაწეროთ ციფრები 1-დან 9-მდე ისე, რომ არც ერთ სვეტსა და არც ერთ სტრიქონში ერთნაირი ციფრი არ გამოეჩინოს. სწორად ამოხსნილ სუდოკუსში აგრეთვე, არ მეორდება ციფრები ბლოკებში 3X3. ჩვენ გთავაზობთ მარტივ და საშუალო სუდოკუსს. გისურვებთ წარმატებას!

**\* მარტივი**

	7	3		4		
4		9			2	
		4	2			
5	3		7 6	4		
	9	8		4	6	
		6	9 5		3 8	
			1	9		
7			4			1
	3			8		2


## წინა ნომრის სუდოკუს პასუხები


7	6	2	8	1	5	4	3	9
9	1	8	3	4	6	7	5	2
4	3	5	9	2	7	1	6	8
5	9	1	4	3	8	2	7	6
2	7	3	6	9	1	8	4	5
8	4	6	5	7	2	9	1	3
3	8	9	1	5	4	6	2	7
1	5	7	2	6	9	3	8	4
6	2	4	7	8	3	5	9	1

**\*\* საშუალო**

7			6			4	9
	9			5		2	8
			7			1	
		9		4			6
8			9	1	6		5
	2			7		4	
		3			8		
1	8		3				7
4	6			5			3

# ფოტოკუჩიონები





**TB STARS**

# პიკაპილი ჯიბუხი სანი ბუხამიშვილი

ბ 70 / 26



ლხმალე

ბუხამიშვილი



ინდივიდუალური გადახდის სისტემა

**☎ 38-91-92 45-17-17**  
**877-77-70-77 899-35-90-00**

გურამიშვილის 78 (მეტრო "გურამიშვილთან")

ბინები 57 მ<sup>2</sup> - დან  
თანამედროვე ლიფტი  
სუპერმარკეტი  
საბავშვო ბაღი  
აუთიაქი  
სამედიცინო ცენტრი  
მიწისქვეშა ავტოსადგომი  
დაცვა  
კაფე - ბარი  
იზოლირებული,  
კეთილმოწყობილი  
ეზო 5000 მ<sup>2</sup>  
მოპირკეთებული ქვანა და  
მიმდებარე ტერიტორია  
თეთრი კარკასი